

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი  
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

ბესიკ ციციანი

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ასპექტები  
პიროვნების ფორმირების პროცესში

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

წარმოდგენილია განათლების აკადემიური დოქტორის  
ხარისხის მოსაპოვებლად

სპეციალობა: განათლების თეორია და ისტორია

მეცნიერ-ხელმძღვანელები:

ავთანდილ ქემხაძე - პედაგოგიკის  
აკადემიკური დოქტორი, სრული პროფესორი

გურამ ჩაგანავა - ფსიქოლოგიურ  
მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

ბათუმი – 2013

## შინაარსი

<b>შესავალი</b>	3
<b>თავი პირველი. ფიზიკური აღზრდა და სპორტი</b>	19
1. ფიზიკური აღზრდის არსი	19
2. სპორტი როგორც ქცევა	25
3. ფიზიკური აღზრდა და სპორტი ისტორიულად	27
4. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თავისებურებები	38
5. სპორტული წვრთნის შინაარსი და განმსაზღვრელი ნიშნები	42
<b>თავი მეორე. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ზოგადი საფუძვლები</b>	50
1. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფიზიოლოგიური საფუძვლები	50
2. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგიური - ფსიქოლოგიური საფუძვლები	56
<b>თავი მესამე. ემპირიული კვლევა</b>	71
§1. ინტელექტუალური განვითარება	71
§2. ზნეობრივი განვითარება	77
§3. ესთეტიკური თვისებების ფორმირების თავისებურებანი	92
§4. რელიგიური განვითარება	99
§5. ურთიერთობები წვრთნის პროცესში	101
§6. სპორტის ზეგავლენა პიროვნების სოციალიზაციაზე	109
§7. პიროვნების ფსიქოლოგიური ფაქტორებისა და ხასიათის აქსცენტუაციის თავისებურებები	132
§8. აჭარის არ სკოლის მასწავლებლებისა და სასპორტო სკოლების მწვრთნელთა საკვალიფიკაციო-საგანმანათლებლო მონაცემების შესწავლა	143
<b>დასკვნები</b>	149
<b>გამოყენებული ლიტერატურა</b>	172
<b>დანართი 1. ცხრილები</b>	186
<b>დანართი 2. ტესტები</b>	212

## შესავალი

ადამიანში სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბების ერთ-ერთ მთავარ საფუძვლად მასში თანდაყოლილი ფსიქოფიზიკური (ინტელექტუალური) უნარების სრულყოფილად განვითარება არის მიჩნეული (ბიბილეიშვილი, 2011: 50). ამით ხაზგასმულია ის დიდი როლი, რომელიც, ფსიქოლოგიური განვითარების პარალელურად, ფიზიკურ განვითარებას ენიჭება. ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალების, კერძოდ, მისი შემოქმედებითი უნარებისა და მონაცემების, გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და კულტურული ღირებულებების განვითარება პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას ნიშნავს. კარგად არის ცნობილი, რომ ადამიანის სრულყოფა აღორძინების ეპოქის ერთ-ერთი ძირითადი პედაგოგიური იდეა იყო. ამ ეპოქის (XIV-XVI საუკუნეები) მოღვაწეები პიროვნების მრავალმხრივი განვითარების პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ფიზიკურ აღზრდას.

აღორძინების ეპოქის ჰუმანისტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ვიტტორინო დე ფელტრეს (1378–1446). 1424 წელს, პადუაში, ჰერცოგის სასახლეში, მან საფუძველი დაუდო „ბედნიერების სახლს“. მისი აღმზრდელობით-საგანმანათლებლო დაწესებულების მთავარი მიზანი იყო ადამიანის „სხეულის, გონებისა და ხასიათის“ ჰარმონიული განვითარება. ვიტტორინო დე ფელტრე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბავშვების ფიზიკურ განვითარებას – სპორტულ თამაშებს, ცხენოსნობას, ჭიდაობას, ფარიკაობას, მშვილდოსნობას, ცურვას. ვიტტორინო დე ფელტრეს თანამედროვე – პიეტრო პაოლო ვერდუერიო (1350–1444) პიროვნების განვითარებაში ზნეობრივ აღზრდას ანიჭებდა უპირატესობას, რაც, მისი აზრით, მოიცავდა რელიგიურ, ზნეობრივ და ფიზიკურ კომპონენტებს.

აღორძინების ეპოქის წარმომადგენელია ფრანგი ჰუმანისტი ფრანსუა რაბლე (1494–1553). მისი პედაგოგიური იდეები გამოსატულია რომანში „გარგანტუა და პანტაგრუელი“. მასში რაბლე აღწერს რომანის გმირის აღზრდის სისტემას, რომელიც გულისხმობს მეცადინეობის ისეთ ორგანიზაციას, როდესაც სწავლის პროცესი სისტემატურად მონაცვლეობს თამაშებთან და ფიზიკურ ვარჯიშებთან.

საყურადღებოა თომას მორის (1478–1535) იდეები. რომანში „უტოპია“ ის ამტკიცებდა, რომ პიროვნების ჰარმონიულმა განვითარებამ უნდა დასძლიოს ის წინააღმდეგობები, რომლებიც ფიზიკურ და გონებრივ საქმიანობას შორის არსებობს (Мазалова, Уракова, 2006).

როგორც ცნობილია, პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ცნება მოითხოვს, რომ ასეთ შემთხვევაში გარკვეულ ცვლილებებს ჰქონდეს ადგილი პიროვნების მომცველ ყველა სტრუქტურაში (გამოცდილება, ფსიქიკის ფუნქციონალური მექანიზმები, ტიპოლოგიური თვისებები) (Чепиков, 2003). ჰარმონიულობა, მრავალმხრივი ფორმირება და განვითარება გულისხმობს მთლიანობის, თანაფარდობისა და ერთდროულობის არსებობას პიროვნების ყველა შემადგენელ ნაწილში, თვისებათა და ცვლილებათა ფორმირებაში. ასეთი რამ რეალობაში შეუძლებელია მოხდეს. ამიტომ პიროვნების ყოველმხრივ და ჰარმონიულ ფორმირებას აღზრდის იდეალი შეიძლება ეწოდოს, რომელიც მოიცავს შემდეგ შემადგენელ ნაწილებს: გონებრივი აღზრდა; ზნეობრივი აღზრდა; ესთეტიკური აღზრდა; ფიზიკური აღზრდა (Чепиков, 2003).

თანამედროვე პედაგოგიის სახელმძღვანელო (Сластенин, 2002) შემდეგნაირად აყალიბებს მოსწავლეთა ფიზიკური კულტურის აღზრდის ძირითად ამოცანებს. ეს არის: ბავშვების სწორი ფიზიკური აღზრდის, მათი შრომისუნარიანობის, გაკაუების, ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა, ძირითადი მოძრაობითი თვისებების განვითარება, ყველა ფიზიკური თვისების – ძალის, ამტანობის, მოქნილობისა და სისწრაფის განვითარება. საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობის, შიშის, დაღლილობის, ტკივილის შეგრძნებების დაძლევის უნარის გამომუშავების საფუძველზე მოსწავლეებს უყალიბდებათ არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ აგრეთვე ზნეობრივი თვისებებიც. მნიშვნელოვნად არის მიჩნეული ფიზიკური კულტურით სისტემატური მეცადინეობისადმი მყარი ინტერესისა და მოთხოვნილების აღზრდა, რადგან ცხოვრების ჯანსაღი სტილის საფუძველია საკუთარი ფიზიკური მდგომარეობის მუდმივი სრულყოფისადმი შინაგანი მზაობის შემუშავება (Сластенин, 2002).

პიროვნების ფორმირებაზე ფიზიკური კულტურის ზემოქმედების როლი იზრდება იმ მაღალ ემოციურ ფონთან დაკავშირებით, რომელიც თან ახლავს სპორტულ შეჯიბრებებს. ის ავითარებს თანაგრძნობის, თანაგანცდის, ურთიერთდახმარების მიდრეკილებებს, განსაკუთრებით – ჯგუფური მოქმედებების დროს, როდესაც იზრდება პიროვნული პასუხისმგებლობა საერთო მიზნების მიღწევაში. ფიზიკური კულტურა განსაზღვრავს ცხოვრების ჯანსაღ სტილს, მისი მეშვეობით შესაძლებელია ფიზიკური სრულყოფილების მიღწევა, ადამიანური ღირებუ-

ლებების განვითარება, ყოველივე ეს კი ორგანულ კავშირშია ზოგადად ადამიანურ ღირებულებებთან, მაღალ სულიერებასთან.

ფიზიკური კულტურა და სპორტი არა მხოლოდ ადამიანის ფიზიკური განვითარების, მისი ჯანმრთელობის დაცვისა და განმტკიცების საშუალებაა, არა მხოლოდ ადამიანთა სოციალური აქტივობის გამოვლენისა და ურთიერთობათა სფეროს უზრუნველყოფელი საშუალებაა, არამედ, უდავოდ, დიდ ზემოქმედებას ახდენს ადამიანთა ცხოვრების სხვა მხარეებზე: საზოგადოებაში მის ავტორიტეტზე; შრომით აქტიურობაზე, ინტელექტუალურ-ზნეობრივ მახასიათებლებზე, ესთეტიკურ იდეალებსა და ღირებულებით ორიენტაციებზე. ფიზიკულტურა და სპორტი საზოგადოების თითოეულ წევრს საკუთარი „მე“-ს განვითარების, განმტკიცებისა და გამოხატვის შესაძლებლობებს აძლევს, რაც სპორტულ მოღვაწეობაში გამარჯვებით მიღებული სიხარულის, მარცხით გამოწვეული სინანულის, საერთოდ, ყველანაირი ადამიანური გრძნობების მძაფრი განცდის საშუალებას იძლევა და იწვევს სიამაყეს ადამიანის პოტენციალური შესაძლებლობის გამოვლენის გამო.

სოციალურ ჯგუფში სპორტსმენის საქმიანობა გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს მისი ხასიათის თავისებურებებზე, აყალიბებს პიროვნების ცხოვრებისეულ პრინციპებს. სპორტით დაკავებულობის დროს სხვა ადამიანებთან ურთიერთობები იწვევს არა მხოლოდ მეტოქეობის ეფექტს, არამედ, ამავედროულად, სპორტსმენში აყალიბებს ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებულ ძლიერ პიროვნულ თვისებებს (Лубышева, 1997; 10-15).

იან ამოს კომენსკის მოძღვრებაზე დაყრდნობით, ი. ბიბილეიშვილი განიხილავს განვითარებისა და აღზრდის პრობლემატიკას. მას მიაჩნია, რომ „განვითარება და აღზრდა“ ორბუნებოვანია თავისი შინაარსით: 1. განვითარება ხდება სწავლებისა და აღზრდის პროცესში; 2. განვითარების საფუძველზე წარმატებით ხორციელდება სწავლა და აღზრდა. აი, ამ ორი ასპექტის გადაკვეთაზე გამოიკვეთება პედაგოგიკის მისია (ბიბილეიშვილი, 2009:88).

შემდეგ ი. ბიბილეიშვილი აგრძელებს: ცნება „განვითარების“ ვიწრო შინაარსში მოიაზრება განვითარება ადამიანისათვის ბუნებით თანდაყოლილი იმ ფსიქოფიზიკური უნარებისა, რომელთა მეშვეობით პიროვნება იღებს აღზრდას და იძენს ცოდნას. ეს უნარებია: აღქმა, მეხსიერება, ყურადღება, წარმოსახვა, აზროვნება, მეტყველება, მოქმედება, ნებისყოფა. სხვანაირად ამ უნარებს ინტელექტუალურ უნარებსაც უწოდებენ. საყურადღებოა, რომ ჟ. პიაჟეს მიხედვით,

გენეტიკური ფსიქოლოგიის ძირითადი ცნება, ზუსტად „ინტელექტია“. პროფ. რევაზ ნათაძე კი ინტელექტუალურ უნარებს „შემეცნებით ფუნქციებს“ უწოდებს. იან ამოს კომენსკი ამ უნარებს „ნიჭის“ სახელით აღნიშნავს და წერს: „სიტყვა „ნიჭი“ ამ შემთხვევაში აღნიშნავს ჩვენი სულის იმ თანდაყოლილ ძალას, რომელიც ჩვენ ადამიანებად გვხდის. სწორედ ეს ძალა გვაძლევს ჩვენ, შექმნილთ ღვთის სახის მაგვარად, უნარს – შევიცნოთ ყველა საგანი, ჩვენ მიერ შეცნობილი საგნებიდან ავირჩიოთ მხოლოდ უკეთესი, არჩეულთა მისაწვდომად დაჟინებით ვისწრაფოთ, ბოლოს – ამით დავტკბეთ, ხოლო აქედან რაც შეიძლება მეტ სიახლოვეში აღმოვჩნდეთ ჩვენს ღმერთთან“ (ბიბილეიშვილი, 2009:89).

პროფ. ი. ბიბილეიშვილი თანამედროვე ქართველ პედაგოგთა (გაგუა, 1997: 27; ვასაძე, 2000: 150; გობრონიძე, 2000: 107; მაღაზონია, 2001: 57) თვალსაზრისების განხილვისას, მიდის დასკვნამდე, რომ „საქართველოს მამულიშვილის აღზრდის მიზანი მიღწეულია, თუ სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით ჩამოყალიბებულია ჰარმონიულად განვითარებული პიროვნება, რომელიც მსოფლმხედველობის, გონებრივი, ზნეობრივი, შრომითი, ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის ერთიანობით მზად არის სამშობლოსა და საკუთარი თავის დაცვისათვის, ქმნის საქართველოსათვის სულიერ, ინტელექტუალურ და მატერიალურ ღირებულებებს და ცხოვრობს სილამაზის კანონების მიხედვით“ (ბიბილეიშვილი, 2011: 107).

ჰარმონიულად განვითარებული პიროვნებისთვის დამახასიათებელი ცალკეული თვისებები პერიოდულად შეისწავლება ფიზიკურ აღზრდასა და სპორტთან დაკავშირებულ პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში, მაგალითად, აღნიშნავენ, რომ ბავშვი, რომელიც ადრე იწყებს სიარულს, ჩვეულებრივ, ჯობნის თანატოლებს გონებრივ განვითარებაში (Юдина, 2013); მიუთითებენ, რომ ემპირიული სამუშაოების ჩატარების საფუძველზე დამტკიცდა, რომ მოსწავლე-სპორტსმენის პიროვნების ინტელექტუალური, ზნეობრივი და ფიზიკური თვისებების ფორმირება ეფექტიანია იმ შემთხვევაში, როდესაც უზრუნველყოფილია სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის ჰუმანიზაციის პირობები (Черкашин, 2004:86-88); საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა ეძღვნება სპორტსმენტა ესთეტიკურ განვითარებას, მაგალითად, უ. ხოლოდოვი და ვ. კუხნეცოვი აღნიშნავენ, რომ ფიზიკური აღზრდის ესთეტიკურობასთან კავშირ-ურთიერთობები, ერთი მხრივ, იმაში გამოიხატება, რომ ფიზიკური აღზრდა აფართოებს ესთეტიკურობის სფეროს ზემოქმედებას ადამიანზე, ხოლო, მეორე მხრივ, ესთეტიკური აღზრდა

ზრდის ფიზიკურის ეფექტიანობას მასში დადებითი ემოციური მომენტის შეტანის საფუძველზე (Холодов, Кузнецов, 2003).

მაგრამ, რეალურად არ არსებობს ისეთი გამოკვლევა, სადაც ერთდროულად შესწავლილი იქნებოდა მოსწავლე-სპორტსმენის პიროვნების ინტელექტუალური, ზნეობრივი, ესთეტიკური, რელიგიური თვისებების ფორმირების თავისებურებები. კვლევის სწორედ ასეთი ორიენტაცია არის წარმოდგენილი წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში. პროფ. ი. ბიბილეიშვილი ერთგან აღნიშნავს: „ფიზიკური წრთობა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები გააჩნია, ფიზიკური აღზრდის შედეგად მიიღწევა. ფიზიკურად სრულყოფილია პიროვნება, რომელიც წლის ყველა დროში და მთელი სიცოცხლის მანძილზე სამი ბუნებრივი ფაქტორით ცხოვრობს. ესენია: 1. მზის ენერჯია; 2. სუფთა ჰაერი; 3. ოთახის ტემპერატურის ცივი წყალი“ (ბიბილეიშვილი, 2011: 104). გასაგებია, რომ აქ მეცნიერი ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე საუბრობს, როგორც ფიზიკური კულტურის კანონზომიერ შედეგზე.

საყურადღებოა, რომ საზოგადოებაში ადამიანის მოთხოვნათა იერარქიაში ჯანმრთელობამ ჯერჯერობით ვერ დაიკავა პირველი ადგილი. ამიტომ უმნიშვნელოვანესია ჯანმრთელობის მიმართ ისეთი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, როდესაც ჯანმრთელობა უმნიშვნელოვანეს ადამიანურ ღირებულებად იქნება მიჩნეული (შამათაგა, 1976:41;259; Агаджанян, 1994:183-201; Агаджанян, 1994:53-55; Алфорова, 1991:87-111; Амонашвили, 1990:220-232). ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია ყოველი ადამიანის ამ მიმართულებით აღზრდა. ცხოვრების ჯანსაღი სტილი დაკავშირებულია პიროვნების მიერ საკუთარი სოციალურ-ფსიქოლოგიური და ფიზიკური შესაძლებლობებისა და უნარების განხორციელებასთან. ცხოვრების ჯანსაღი წესი (Pollock, 1990:1-79) აუცილებლად გულისხმობს მოტორულ აქტივობას, რომელიც მოიცავს სპორტში სისტემატურ მეცადინეობას, გამაჯანსაღებელ სირბილს, რიტმულ და სტატიკურ ტანვარჯიშს, სუფთა ჰაერზე დოზირებულ სიარულს, წრთობის გონივრული მეთოდების გამოყენებას და რაციონალურ კვებას.

აღმოსავლური ფილოსოფია ეფუძნება ადამიანის მთლიანობაში აღქმას, რომელიც უწყვეტად დაკავშირებულია უშუალოდ გარემოცვასთან, ბუნებასთან, კოსმოსთან და ორიენტირებულია ჯანმრთელობაზე. კროს-კულტურული მიდგომის საფუძველზე ირკვევა, რომ ჯანმრთელობა სოციალურ-კულტურული ცვლადია, მისი მახასიათებლები შეფარდებითია და დეტერმინირებულია

სპეციფიკური სოციალური პირობებით, კულტურული კონტექსტით, ცხოვრების სტილით, ეროვნული თავისებურებებით (Дарибазарон, 2011). აღმოსავლურ ფილოსოფიაში ყოველთვის კეთდებოდა აქცენტი ადამიანის ფსიქოლოგიურ და სხეულებრივ ერთიანობაზე. ცხოვრების ჯანსაღი წესის ჩასახვის შესახებ მოძღვრება პირველად აღმოსავლეთში იწყებს ფორმირებას. ახ. წ. VI საუკუნის ძველი ინდოეთის ყოფაში ფორმულირდებოდა ცხოვრების ჯანსაღი წესის ძირითადი პრინციპები. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ძველი ინდური სხეულებრივ-ფილოსოფიური მოძღვრების ხატკა-იოგას პრინციპების შესახებ: ერთ-ერთი მათგანია – მდგრადი წონასწორობის ფსიქიკის მიღწევა. ასეთი წონასწორობის მიღწევის პირველ და არსებით პირობად გვევლინება სრული შინაგანი თავისუფლება. ფიზიკური და ფსიქიკური ფაქტორების ჰარმონია, ზომიერი კვება, სწორი სუნთქვა, კუნთების მოღუნება, რელაქსაცია, სისტემური ფიზიკური ვარჯიშების სისტემა, სრულფასოვანი ძილი, სულიერების ზეობა, გონიერება, სულიერი სრულყოფილების მიღწევა (Рамачаракა, 1909:11-218). ჩინელი მოაზროვნეები თვლიდნენ, რომ ორგანიზმში დისჰარმონია წარმოიშობა ფსიქოლოგიური დისჰარმონიის მიზეზით. ისინი გამოყოფდნენ ხუთ ავადმყოფურ განწყობას: რისხვას და ფეთქებადობას, გაწბილება-განცდას, მწუხარება-დამცირებას, სევდას და წყენას, შიშს და შფოთვას. ასეთი განწყობებით ინგრევა და პარალიზდება როგორც ცალკეულ ორგანოთა ენერგია, ასევე, მთლიანობაში ორგანიზმიც, მცირდება ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა; სიხარული კი ადამიანს აძლევს ჰარმონიულ ელასტურობას, ენერგომოზღვავებას, რაც უხანგრძლივებს სიცოცხლეს (Васильева, 1997:420-429).

დღემდე ჰყავს თავისი მომხრეები ჯანმრთელობის უძველეს განმარტებას – „ჯანმრთელობა არის ურთიერთსაწინააღმდეგო ძალების ჰარმონია“, რომლის ავტორია ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, პირველი ძველბერძნული სამედიცინო ტრაქტატის ავტორი ალკმეონ კროტონელი (V ს. ჩვ. წ.). მის მიერ ჯანმრთელობა განისაზღვრება, როგორც ცხელისა და ცივის, ნესტიანისა და მშრალის, მწარისა და ტკბილის „დემოკრატიული თანასწორობა“; ერთ-ერთი მათგანის „მონარქია“ იწვევს მეორის დაღუპვას და ავადმყოფობის განვითარებას. ადამიანის სხეული ალკმეონ კროტონელს მიკროკოსმოსად მიაჩნია. როგორც ვხედავთ, ძველი ბერძენი ფილოსოფოსი ფიზიკურ კანონზომიერებებს განსხვავებულ სოციალურ ურთიერთობებს უქვემდებარებს, რომელთა ხასიათი სხეულებების საფუძველი ხდება. საერთოდ, ძველ საბერძნეთში განასხვავებდნენ ფიზიკური ვარჯიშების



ორ მეთოდს: გიმნასტიკას, ანუ ზოგადად ფიზიკურ აღზრდას და აგონისტიკას – სპეციალურ მომზადებას შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. აქ, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა, რომ სპორტით სერიოზულად დაკავებულებს, სხვებისაგან განსხვავებით, შეჯიბრებებში, ე. წ. „თამაშებში“ უხდებათ მონაწილეობის მიღება, ხოლო „თამაშების“ ზეგავლენა ადამიანის პიროვნების ფორმირებაზე ჯერჯერობით არ არის საფუძვლიანად შესწავლილი. მაგალითად, ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი, ჰერმენევტიკის მიმართულების წარმომადგენელი – ჰ. გ. გადამერი მიიჩნევს, რომ თამაშის ყოფიერება მოთამაშეების ცნობიერებაში ან ქცევაში კი არ ხორციელდება, არამედ „თამაში“ იზიდავს მათ საკუთარ სფეროში და აძლევს მათ საკუთარ გონს (Гадамер, 1988: 155).

უნდა აღინიშნოს, რომ მაღალი შედეგების მქონე პროფესიონალი სპორტსმენებისა და ჩვეულებრივი ადამიანების ბოლოდროინდელი ფსიქოლოგიური კვლევების თანახმად, პროფესიულ სპორტსმენებს უფრო კარგად განვითარებული კოგნიტური უნარები გააჩნიათ, ამასთან, მათ შორის არ დასტურდება გენდერული სხვაობები მამაკაცების სასარგებლოდ. სპორტსმენები უფრო ადვილად ითვისებენ უნარებს, უფრო სწრაფად ღებულობენ და იმახსოვრებენ ინფორმაციას, უკეთ აფიქსირებენ საგნებს გვერდითი მხედველობით და ამჩნევენ გარემოს უმნიშვნელო ცვლილებებსაც კი. ასე რომ, წლების განმავლობაში გაძლიერებული ფიზიკური მომზადება განაპირობებს აგრეთვე კოგნიტური უნარების გავარჯიშებას (Крамер, 2013). ზუსტად ანალოგიურმა მაგალითებმა განაპირობა ის, რომ ნაშრომის ემპირიული ნაწილი თითქმის მთლიანად ეძღვნება მოსწავლე-სპორტსმენებისა და ჩვეულებრივი მოსწავლეების პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მონაცემების შედარებას. ძველ ბერძენ ფილოსოფოსს – ეპიკურეს (ჩვ. წ. 342-270 ს.) მიაჩნდა, რომ ბედნიერება მორალისა და ფიზიკური ჯანმრთელობის შედეგია. არსებობს სხვა ფორმულირებებიც: ჯანმრთელობა – ადამიანის მიერ თვითმყოფადობის შექმნა, „მე“-ს რეალიზაცია, ადამიანთა საზოგადოებაში სრულფასოვანი და ჰარმონიული შერწყმა (Васильева, 1997: 406-411). ცნობილი ფსიქოლოგი კ. როჯერსი ჯანმრთელ ადამიანს აღიქვამს, როგორც მოძრავს, გახსნილს აქტივობისათვის. ასეთი ადამიანი ყოველ მომენტში ოპტიმალურად არის აქტივიზებული. ის მოძრავია და კარგად ეგუება ცვალებად პირობებს, სხვების მიმართ მომთმენია (Роджерс, 1996:10-26). კ. იუნგის მიხედვით, თანამედროვე პედაგოგიური

იდეალი – „პიროვნების აღზრდა“ (IOHF, 2005:202), რაც, რა თქმა უნდა, ჯანმრთელ ადამიანს გულისხმობს.

ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით, ჯანმრთელობის დაცვის სისტემა ადამიანის ჯანმრთელობას მხოლოდ 10-15%-ით უზრუნველყოფს, 15-20%-ით ადამიანის ჯანმრთელობა განპირობებულია გენეტიკური ფაქტორით, 25% – ეკოლოგიური პირობებით, ხოლო 50-55% - ადამიანის ცხოვრების პირობებითა და სტილით. აქედან გასაგებია, რომ ადამიანის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად უმნიშვნელოვანესია მისი ცხოვრების სტილი, ღირებულებები, შინაგანი სამყაროს ჰარმონიული განვითარება და გარემოსთან შეგუებულობა. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში ადამიანის ჯანმრთელობის (ზალდასტანიშვილი, 2005:178-179) შენარჩუნება დაკავშირებულია ადამიანის მიერ საკუთარი ცხოვრებისეული რესურსების მიზანმიმართულ, გაცნობიერებულ გამოყენებასა და საკუთარი ჯანმრთელობის შენარჩუნებასთან, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებასთან.

აღნიშნავენ, რომ საქართველოში ოლიმპიური და საერთოდ, სპორტული მოძრაობის განხილვა მოითხოვს იმ ძირითადი მოსაზრების გათვალისწინებას, რომ სპორტს საფუძვლად უდევს სოციალური ფუნქცია, მისი მიმართება საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის დაცვის ასპექტებთან; აგრეთვე, მისი მნიშვნელობა საზოგადოებისათვის, პიროვნებისათვის, ქვეყნისათვის (თევზაძე, 2012). ფიზიკურად და სულიერად ჯანმრთელი პიროვნების აღზრდა მიზანმიმართული პროცესია და ამ პროცესში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ოჯახს, სკოლას, სოციალურ გარემოს. კვლევითი პრობლემის შესწავლასთან დაკავშირებით კი სკოლის ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასწავლებლების, სასპორტო სკოლის მწვრთნელების, მათი კვალიფიკაციის, მომზადებულობის, სპორტში ჩართულობის დონის, ურთიერთობათა დამყარების უნარის, მონდომების, საქმისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების შესწავლა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად იქნა მიჩნეული.

## აქტუალობა

1. კვლევის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ თანამედროვე გართულებული ეკოლოგიური, სოციალური, სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების სწრაფი ცვლილებების, ფიზიკური შრომის შემცირებისა და ინტელექტუალური, გონებრივი შრომის სფეროს მზარდი განვითარების პირობებში, სულ

უფრო მეტად ირღვევა ის თანაფარდობა, რომელიც ტრადიციულად არსებობდა ადამიანის ჩამოყალიბებაში მის ფიზიკურ და პიროვნულ განვითარებას შორის. ამჟამად, თანამედროვე განვითარებულ საზოგადოებაში პიროვნების ჰარმონიულ ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მის ინტელექტუალურ ფორმირებას და მისგან გამომდინარე სოციალურ, ესთეტიკურ, მორალურ, რელიგიურ მახასიათებლებს, ხოლო ფიზიკური განვითარება, ადამიანის სხეულის სრულყოფა – ხშირად უგულებელყოფილია, რაც ადამიანის ბუნებრივი განვითარების საწინააღმდეგო მოვლენას წარმოადგენს, ვინაიდან ადამიანის ფიზიკური განვითარება-სრულყოფა, თავისთავად, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში. შრომის ავტომატიზაციამ და კომპიუტერიზაციამ შეზღუდა ადამიანის მოძრაობათა შესაძლებლობების მრავალფეროვნება, რამაც, უპირველეს ყოვლისა, ფიზიკურ განვითარებას მიაყენა ზიანი (ჰიპოდინამია–ორგანიზმის ფუნქციის დარღვევა დაქვეითებული მოძრაობითი აქტიურობის შემთხვევაში – გოგინაძე, 2009:487).

2. კვლევის აქტუალობა იმით არის განპირობებული, რომ არსებობს მდიდარი ლიტერატურა (გორგაძე, 1975; მატყევეი, 1979; Братиш, 2012; Саторин, 2000; Столяров, 1999; Эйхберг, 2009; Черникова, 1978:18-19; Волков, 1994: 21-28; Погадаев, 1998:3-4; და სხვა), რომელიც ეძღვნება კონკრეტულ სფეროში ფიზიკურ ვარჯიშთა თავისებურებებს და მათთან დაკავშირებულ გარკვეულ ფსიქოლოგიურ ცვლილებებს, სოციალური, ზნეობრივი თუ ესთეტიკური განვითარების შედეგებს, მაგრამ რეალურად, ზოგადად სოციალიზაციის პროცესში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პიროვნებაზე ზეგავლენის საკითხები საქართველოში *გამოწველილვით* არ არის შესწავლილი.

3. კვლევის აქტუალობა იმით არის განპირობებული, რომ სამეცნიერო ნაშრომისადმი მოთხოვნების შესაბამისად არ ხდება შემთხვევითი ფაქტების საფუძველზე განზოგადება, პიროვნული გამოცდილების მიხედვით დასკვნების გაკეთება, მოვლენების თანმიმდევრობის მიზეზშედეგობრივ კავშირ-ურთიერთობად მიჩნევა, არსებული ჰიპოთეზის საწინააღმდეგო ფაქტების მასზე მორგება, კვლევის ინტუიციასზე, ხატოვან მსჯელობასზე, თუნდაც პერიოდულ დაკვირვებაზე ორიენტირებულობა.

4. კვლევის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის როლი პიროვნების ფორმირებაში მკაცრი მეცნიერული მიდგომის საფუძველზე არის დაყენებული, როდესაც მოვლენები ძირითადად შეისწავლება

აპრობირებული ტესტებისა და კითხვარების საშუალებით, რომლებიც რესპონდენტთა სანდო რაოდენობის ერთობლიობის გამოკითვას გულისხმობს, ხოლო განზოგადება მონაცემთა შორის მნიშვნელოვანი განსხვავების საფუძველზე კეთდება.

5. **კვლევის აქტუალობას განაპირობებს** ფიზიკური აღზრდისა და სპორტის როლი პიროვნების ჩამოყალიბებაში. ჯერჯერობით, არ არის საფუძველიანად განსაზღვრული ფიზიკური ვარჯიშებისა და სპორტის ერთგვაროვნად პოზიტიური თუ ნეგატიური ზეგავლენა პიროვნების ფორმირებაზე, თუმცა ამ თვალსაზრისით სპორტსმენებისა და არასპორტსმენების შესწავლის მცდელობას ჰქონდა ადგილი საზღვარგარეთ (Кретти, 1978:78-79).

### **კვლევის ობიექტი**

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ზემოქმედებით სასკოლო ასაკის მოსწავლეთა (სპორტსმენთა და არასპორტსმენთა) პიროვნების ფორმირება.

### **კვლევის საგანი**

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სინქრონული და დიაქრონული, პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების თავისებურებები სასკოლო ასაკის მოსწავლეთა (სპორტსმენთა და არასპორტსმენთა) პიროვნების ჩამოყალიბებაზე.

### **კვლევის მიზანი**

პიროვნების ფორმირების პროცესი რთული და მრავალფეროვანია (მაღაზონია, 2001:25-32). ამიტომ კვლევის მიზანი იყო სასკოლო ასაკის მოსწავლეებზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ზეგავლენის პირობებში პიროვნების განვითარების პროცესის შესწავლა. სასკოლო ასაკის მოსწავლეები, სპორტში და ფიზიკურ ვარჯიშებში ჩართულობის თვალსაზრისით, პირობითად დაიყო ორ ნაწილად: პირველი, ერთობლიობა სპორტთან ძლიერ დაკავშირებული მოსწავლეებისა, რომლებიც სპორტულ სკოლებში სისტემატურ ვარჯიშს გადიან და რომელთაც განსასხვავებლად „მოსწავლე-სპორტსმენები“ ეწოდა, და მეორე ჯგუფი, რომელიც სპორტს უკავშირდება მხოლოდ საჯარო სკოლაში არსებული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილებით – მათ პირობითად „სკოლის მოსწავლეები“ ეწოდა. ამრიგად, კვლევა „მოსწავლე-სპორტსმენთა“ და „სკოლის მოსწავლეთა“

ინტელექტუალური, ზნეობრივი, ესთეტიკური, რელიგიური, სპორტული ურთიერთობების, პიროვნების სოციალიზაციის, პიროვნების მახასიათებლებისა და ხასიათის აქცენტუაციის მონაცემების შესწავლას გულისხმობდა.

### **კვლევითი ამოცანები**

კვლევაში დასახული მიზნის მისაღწევად გარკვეული იყო კონკრეტული კვლევითი ამოცანები, რომლებიც ითვალისწინებდა კვლევის თეორიულ და ემპირიულ მიდგომებს, რაც უკავშირდება ლიტერატურის დამუშავებას, შესაფერისი საკვლევი საშუალებების, ტესტების მოძიება-მოდულიზაციას, გამოსაკითხი კონტინგენტის დადგენას, მოპოვებული მასალების პირველად დამუშავებას, ინტერპრეტაციას და სადისერტაციო ნაშრომისადმი არსებული მოთხოვნების შესაბამისად მასალების სტრუქტურირებას.

### **კვლევის ჰიპოთეზა**

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია არაერთი მოსაზრება ადამიანის სულიერ განვითარებაზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ზეგავლენის შესახებ (Кретти Брайнент, 1978: 49-94). ასეთ ვარაუდს ეყრდნობა ჩვენი ჰიპოთეზა, რომლის თანახმად, სპორტით დაკავებულთა პიროვნული თვისებების აღზრდის პროცესი ხელს უნდა უწყობდეს პიროვნების განვითარებას, სოციალიზაციას, ინტელექტუალურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და რელიგიურ სრულფასოვან განვითარებას, პიროვნების მიერ საკუთარი თავის მართვის უკეთეს შესაძლებლობებს, ზომიერებას, პიროვნული და სოციალური ინტერესების ჰარმონიულობას.

### **კვლევის მეთოდები:**

კვლევის მეთოდებად ძირითადად გამოყენებულია შემდეგი სახის კონკრეტული ტესტური მეთოდები:

1. ინტელექტუალური განვითარების შემოწმება განხორციელდა ბინე სიმონისა და აიზენკის (აიზენკი, 2011:72-81; Головин, 1998:538;) ტესტებით;
2. ზნეობრივი განვითარების თვისებურებები შესწავლილი იქნა სოციომორალური ტესტის საფუძველზე (Хвостов, 2001:26-47).
3. ზნეობრივი განვითარება შესწავლილ იქნა, აგრეთვე, პიროვნების ზნეობრივი განვითარების შეფასების ტესტის შესაბამისად, რომელიც ადაპტირებული იყო

რუსულენოვანი (Мащенко, Протыко, Ростовцев, 2012:7-9) შესატყვისი სახელწოდების ტესტის მიხედვით.

4. ესთეტიკური განვითარების სფერო შესწავლილია ტესტის საფუძველზე, რომელიც შედგენილ იქნა ესთეტიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ნაშრომის მიხედვით ((უზნაძე, 1967:525–529; Лосев, 1980; Выготский,1987).

5. რელიგიურობისადმი დამოკიდებულების გამოკითხვის ტესტი. ტესტს საფუძველად დაედო რელიგიურობის საკითხისადმი მიძღვნილ კვლევაში (Мягков, Шерба-тых, Кравцова, 1996: 119-122) დაცული კითხვარი.

6. წვრთნის პროცესის თანმდევ ურთიერთობებს ეძღვნება ორი ტესტი: მწვრთნელთან, მასწავლებელთან ურთიერთობის თვითშეფასების ტესტი და წვრთნის ამადლების ეფექტიანობის პირობების შეფასების სკალა, რომლებიც, ძირითადად, შედგენილი და მოდიფიცირებულია მკვლევარ ივანოვის ნაშრომის მიხედვით (Иванов, 2011); მესამე ტესტში – მწვრთნელი-მასწავლებელი – სპორტსმენი-მოსწავლე, ძირითადად, ვეყრდნობით მკვლევარ ხანინის ნაშრომს (Ханин, 1980:178-180).

7. სოციალიზაციის პრობლემის კვლევა მიმდინარეობდა შემდეგი ტესტებით:

ა) მესრაბიანის მიღწევის მოტივაციის ტესტი მკვლევარ ბრუნერის მიხედვით (Бруннер, 2010);

ბ) მესრაბიანისა და ეგშტეინის ემპათიის ტესტი კონსტანტინოვის მიხედვით (Константинов, 2006: 26-29);

გ) მარტოობის სკალა სუმბაძის მიხედვით (სუმბაძე და სხვ., 2011:12-16);

დ) თვითფლობის ტესტი სნაიდერის თვითფლობის სკალის შესაბამისად, სუმბაძის მიხედვით (სუმბაძე და სხვ., 2011:12-16).

8. პიროვნული ტესტი MMPI ტესტის იდეების საფუძველზე, შედგენილი მკვლევარ ზივერტის მიხედვით (Зиверт, 1998:57-72).

9. ხასიათის აქცენტუაციის გამოკვლევა ჩატარდა კარლ ლეონგარდის მიერ შემოთავაზებული კონცეფციის საფუძველზე, სმიშეკის მიერ შედგენილი კითხვარის მეშვეობით, ა. რ. რეანისისა და ი. ლ. კოლომინსკის მიხედვით (Реан, Коломинский, 1999:76-92).

ტესტების გამოყენების პარალელურად, მასალის დამუშავების დროს გამოყენებული იყო ანალიზის, განზოგადების, კლასიფიცირების, სისტემატიზაციის, სინქრონული, დიაქრონული, შედარებისა და სხვა მეთოდები, რომლებიც ნაშრომის ამოცანიდან გამომდინარეობდა, რადგან შეისწავლებოდა მოსწავლე „სპორტსმენთა“

და „ჩვეულებრივ“ მოსწავლეთა პიროვნების ფორმირების პრობლემები სპორტისა და ფიზიკური აღზრდის ფონზე.

### **მეთოდოლოგია**

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველად მიხნეულია დიმიტრი უზნაძის მთლიან-პიროვნული დინამიკური მდგომარეობის, ანუ ქცევის მიმართულების განმსაზღვრელი შინაგანი მდგომარეობის კონცეფციის პრინციპები (უზნაძე, 1977:269; თეხელიშვილი, 2007: 359), რომლებიც საფუძველად ედება ფსიქიკურ აქტივობას და არსებითად განსაზღვრავს ინდივიდის მოქმედებას და ცნობიერებას (ნადირაშვილი, 1985: 3). ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება სკოლის მოსწავლეების ორი ჯგუფის – „ჩვეულებრივი“ მოსწავლეებისა და მოსწავლე „სპორტსმენების“ პიროვნული მახასიათებლების განვითარებისა და აღზრდის (ბიბილეიშვილი, 2009:86; ბიბილეიშვილი, 2011:50-84) სინქრონულ და დიაქრონულ შესწავლას და განსხვავებების დადგენას. ამავე დროს, კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა აღწერითი ხერხები და საშუალებები, თუმცა ძირითადი აქცენტები გაკეთდა აპრობირებული (უმრავლეს შემთხვევაში) სპეციალური ტესტების საფუძველზე პიროვნების შესწავლაზე.

### **კვლევის სამეცნიერო სიახლე**

პირველად, სინქრონული და დიაქრონული კვლევის მიხედვით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ზეგავლენის პირობებში, შესაძლებელი გახდა „სკოლის მოსწავლეებისა“ და „მოსწავლე-სპორტსმენების“ სამი ასაკობრივი ჯგუფის (უმცროსი სასკოლო ასაკი, საშუალო სასკოლო ასაკი, უფროსი სასკოლო ასაკი) პარალელური შესწავლა პიროვნების განვითარების (სოციალიზაციის) თვალსაზრისით, რომლის ანალოგი ლიტერატურაში არ არის დადასტურებული და რომლის შედეგად დადგინდა, რომ სისტემატური სპორტული საქმიანობა მნიშვნელოვანი პიროვნული ხასიათობრივი აქცენტუაციებისა და მახასიათებელი თვისებების გამომწვევია, რომლებიც, ერთი მხრივ, კონცენტრირდება ისეთი პოზიტიური უნარ-თვისებების ჩამოყალიბებაში, როგორცაა ორგანიზებულობა, საკუთარი პიროვნების მართვის მაღალი დონე, მიზანსწრაფულობა, სიფრთხილე, მეორე მხრივ კი – ადგილი აქვს ისეთი ნეგატიური მდგომარეობების გამოვლენას, როგორცაა დაძაბულობის მაღალი დონე, აგრესიულობა, დეპრესიულობა, წვრთნის პროცესთან

დაკავშირებული პრობლემები და სხვა.

### **ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა**

1. ემპირიული კვლევა-ძიების საფუძველზე შესაძლებელი გახდა წამოგვეყენებინა დებულება, რომლის შესაბამისად, გაძლიერებული სპორტული ვარჯიშები და შეჯიბრებები ზოგჯერ დაძაბულობას, მეტოქეობას, აგრესიულობას იწვევს. ამიტომ მაღალ მიღწევებზე ორიენტირებული სასკოლო ასაკის „მოსწავლე სპორტსმენებისათვის“ განსაკუთრებულად დადებითი ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნა არის საჭირო, რაც მათ საშუალებას მისცემს – ემოციურად განიმუხტონ, სისტემატურად გაიარონ აუცილებელი რელაქსაციის კურსი და მიიღონ პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მხარდაჭერა.

2. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ჯანსაღი ცხოვრების სტილი არ შეიძლება გაივიდეს ინტენსიურ სპორტულ დატვირთვასთან, რომელიც პროფესიული სპორტისათვის არის დამახასიათებელი. ამიტომ სპორტული ვარჯიშების დროს ზომიერების დაცვა და მუდმივი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური კონსულტირება და მხარდაჭერა ნამდვილად უზრუნველყოფს ფიზიკური და სულიერი სრულყოფილების მიღწევას, სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბებას.

### **პრაქტიკული ღირებულება**

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება განისაზღვრება პრაქტიკოსი მწვრთნელების, პედაგოგების, ფსიქოლოგების მიერ კვლევის შედეგების გამოყენების შესაძლებლობით სპეციალიზებულ სპორტულ სკოლებში თუ საჯარო სკოლებში, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილებზე. მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას სპორტთან დაკავშირებული პედაგოგიური კონტინგენტის მიერ, ასევე, საუნივერსიტეტო პედაგოგიური მიმართულების პროგრამებში შესატანად, სპეცკურსების შედგენის საფუძველად, პიროვნული და პროფესიული დახელოვნების მიზნით. მიღებული შედეგები გამოიყენება განხილული პრობლემის კიდევ უფრო გაფართოებული შესწავლის ბაზისად. ამავე დროს, კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ პრაქტიკულ ღონისძიებებში, რომლებიც ჯანსაღი თაობის აღზრდის ეროვნულ ამოცანებთან და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებასთან არის დაკავშირებული.



### დაცვაზე გამოტანილი ძირითადი დებულებები:

ა. „ჩვეულებრივი სკოლის მოსწავლეებისა“ თუ „მოსწავლე სპორსმენების“ ინტელექტუალური განვითარების თავისებურებები.

ბ. პიროვნების ზნეობრივი განვითარების დონის მაჩვენებლები რესპონდენტთა ასაკისა და სპორტისადმი განსხვავებული დამოკიდებულების (სპორტსმენები, არა-სპორტსმენები) მიხედვით.

გ. ესთეტიკური კვლევის მონაცემების მიხედვით, **ესთეტიკურობის განსაზღვრის** თავისებურებები „სკოლის მოსწავლეებსა“ და „მოსწავლე სპორტსმენებს“ შორის, უმცროს, საშუალო და უფროს სასკოლო ასაკში.

დ. შესადარებელი ჯგუფის წარმომადგენლების („სკოლის მოსწავლეები“ და „მოსწავლე სპორტსმენები“) **რელიგიასთან დამოკიდებულების** ამსახველი კომპონენტების შეფასების თავისებურებები.

ე. მწვრთნელთან და მასწავლებელთან **„სპორტული მუშაობის“ აქტიურად** განხორციელების სპეციფიკა.

ვ. **სოციალიზაცია.** განსახილველად წარმოდგენილია: მიღწევის მოტივაცია, ემპათია, მარტოობა, თვითფლობა.

ზ. **პიროვნების მახასიათებლების** დადგენა: ნერვულობა, აგრესიულობა, დეპრესიულობა, აღზნებულობა, კონტაქტურობა, ექსტრავერტულობა-ინტროვერტულობა.

თ. **ხასიათის აქცენტუაციის 7 ტიპის** გარკვევა: ჰიპერთიმიური, პედანტური, ემოციური, შფოთიანი, ციკლოთიმიური, დისტიმიური და დემონსტრაციული.

### კვლევის ბაზა

პიროვნების ფორმირების პროცესში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ასპექტების კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ბათუმის საფეხბურთო სკოლა „ადელის“, საფეხბურთო სკოლა „ბათუმის“, საკალათბურთო კლუბ „ბასკოსა“ და №1 სასპორტო სკოლის აჭარის მოსწავლე ხელბურთელთა ნაკრების სასკოლო ასაკის 77-მა მოსწავლე სპორტსმენმა (10-11 წლის, 13-14 წლის, 17 წლის). ამავე დროს, პარალელურად, კვლევაში მონაწილეობა მიიღო ბათუმის №2 საჯარო სკოლის მე-5 (11 წლის), მე-7 (13-14 წლის) და მე-10 კლასების (17 წლის) 82-მა მოსწავლემ. სულ გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღო 159 რესპონდენტმა.

## მიღებული შედეგების სანდოობა

მიღებული შედეგების სანდოობა განპირობებულია კვლევის აპრობირებული მეთოდების, სანდო და ვალიდური დიაგნოსტიკური საშუალებების გამოყენებით, რესპონდენტთა რეპრეზენტატიური ამონაკრებით, მასალის დამუშავების ადეკვატური მეთოდების გამოყენებით, მიღებული მონაცემებისა და გამოვლენილი ფაქტების ლოგიკური ანალიზით.

## კვლევის აპრობაცია

კვლევის მასალები მოხსენებული და განხილული იყო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე, სადაც წაკითხულ იქნა მოხსენება – „სპორტული თამაშები, როგორც გუნდური მუშაობის კომპეტენციის განვითარების საშუალება ფიზიკური კულტურის გაკვეთილზე“ (ბსუ, 30.06.2009); მეორე მოხსენება: „ფიზიკური კულტურისა და სპორტის სწავლებისადმი თანამედროვე მიდგომები“ წაკითხული იქნა ბსუ-ს განათლების ფაკულტეტის რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე (29.03.2010); მესამე მოხსენება: „ფიზიკური ვარჯიშებით მოძრაობითი ჩვენების გამომუშავება“ წაკითხული იქნა ბსუ-ს დაარსების 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე (28-29.05.2010); აგრეთვე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დეპარტამენტისა (17.10.12) და სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის (10.09.12) სხდომებზე განხილული იქნა სადისერტაციო ნაშრომი. გამოკვლევის თემის შესაბამისად, გამოქვეყნებულია 6 ნაშრომი.

## ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

დისერტაცია შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნის, ლიტერატურის სიისა და დანართისაგან. დისერტაციის ძირითადი ტექსტის მოცულობა შეადგენს 177 გვერდს, 14 ცხრილს. ლიტერატურის სია შეადგენს 197 ნაშრომს, მათ შორის – 149 უცხოენოვანია.

## თავი პირველი ფიზიკური აღზრდა და სპორტი

### ფიზიკური აღზრდის არსი

მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობა ცდილობს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ეფექტური სისტემების (Бундзენ, 1994:14-18) ჩამოყალიბებას, რომელთაც შესწევთ უნარი წარმატებით მოახდინონ ზემოქმედება ადამიანის ჰარმონიულ ფიზიკურ განვითარებაზე და კომპლექსურად გადაჭრან მისი ფიზიკური, ფსიქო-ფიზიოლოგიური, ჯანმრთელობის პრობლემები (ზალდასტანიშვილი, 2005:63-64). საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში შეინიშნება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სოციალური როლის ამაღლების მყარი ტენდენცია (Стивенсон, 1979:58-65).

ფიზიკურ აღზრდაში არჩევენ ორ სპეციფიკურ მხარეს, ანუ „ნაწილს“: მოძრაობათა (მოძრაობითი მოქმედებების) სწავლებასა და ფიზიკური თვისებების (შესაძლებლობების) განვითარებას.

მოძრაობათა სწავლების ძირითადი შინაარსია ფიზიკური განათლება, ე. ი. სპეციალური სწავლების პროცესში ადამიანის მიერ საკუთარი მოძრაობების მართვის რაციონალური ხერხების სისტემური ათვისება და ამ გზით ცხოვრებაში აუცილებელი მოძრაობითი შემძლეობის, ჩვევებისა და მათთან დაკავშირებული ცოდნის შექმნა.

ფიზიკური აღზრდის საგანმანათლებლო მხარე პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა ადამიანის მიერ საკუთარი მოძრაობითი შესაძლებლობების ცხოვრებისეულ პრაქტიკაში რაციონალურად გამოყენებისათვის. ამასთან ერთად, ფიზიკური აღზრდა შეიცავს არანაკლებ მნიშვნელოვან მეორე მხარეს – ადამიანის ორგანიზმის ფიზიკურ თვისებებზე მიკუთვნებულ ბუნებრივ თავისებურებათა კომპლექსზე მიზანდასახულ ზემოქმედებას, მათი განვითარების სტიმულირებასა და რეგულაციას. შეიძლება ითქვას, აგრეთვე, რომ ფიზიკური თვისებების განვითარების არსი მათი განვითარების მართვით გამოიხატება, რაც სპორტული ვარჯიშების სისტემაში ხორციელდება (Кузнецов, 1984:6-23). მართვის უშუალო ობიექტი და იმავდროულად, მართვის ფაქტორია მოძრაობითი მოქმედების პროცესი. სათანადოდ ორგანიზებული მოძრაობითი მოქმედების (ფიზიკური ვარჯიშების) და ფიზიკური აღზრდის სხვა საშუალებების მეშვეობით შეიძლება

ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის ფართო დიაპაზონით შეცვლა, მისი რეგულირება და ამით პროგრესული შეგუებითი ცვლილებების გამოწვევა. ეს ვლინდება ამა თუ იმ მოძრაობითი უნარიანობის (ძალისმიერი, სინქარისა და სხვა) პროგრესულობით, შრომისუნარიანობის საერთო დონის ამაღლებით, ჯანმრთელობის განმტკიცებით და ადამიანის სხვა ბუნებრივი თვისებების მაჩვენებელთა, მათ შორის, აღნაგობის, სრულყოფითაც.

ფიზიკური აღზრდა პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორის მნიშვნელობას იმ შემთხვევაში იღებს, როცა უზრუნველყოფილია ფიზიკური აღზრდის ყველა მხარის (ფიზიკური, ზნეობრივი, ინტელექტუალური, ესთეტიკური) ერთიანობა. ფიზიკური აღზრდის (ელაშვილი, 1989:3-5;12) არსის გაგებისათვის აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ მისი ყველა აღნიშნული ნიშანი და დამოკიდებულებანი. ბუნებრივია, ჩამოყალიბებული საწყისი ცნობები არ ამოწურავს აღწერილი მოვლენების არსს, მაგრამ იძლევა საკმაო საფუძველს მათი საერთო გააზრებისათვის (მატვევეი, ნოვიკოვი, 1979: 20-21).

ფიზიკური აღზრდის განვითარების სოციალურ კანონზომიერებათა, მისი ისტორიისა და საზოგადოებაში ორგანიზაციის, შინაარსისა და საერთო აგების ფორმების შეცნობაზეა მიმართული ის დისციპლინები, რომლებიც ახანალიზებენ ფიზიკური აღზრდის პროცესს და მის ზემოქმედებას ადამიანზე ცალკეულ სოციალურ-პედაგოგიურ, ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ ასპექტებში. ამ ჯგუფს მთლიანად ან ძირითად ნაწილში მაინც მიეკუთვნება ისეთი დისციპლინები, როგორცაა: სოციოლოგია, ფიზიკური კულტურის ისტორია და ორგანიზაცია, ფიზიკური აღზრდის ზოგადი თეორია და მისი მეთოდური დანართები, სპორტის თეორია და მეთოდოლოგია, ფსიქოლოგიის სპეციალიზებული დარგები (ფიზიკური აღზრდის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური საფუძველები, სპორტის ფსიქოლოგია), ფიზიოლოგიის, ბიოფიზიკის, ბიოქიმიის, მედიცინისა და ჰიგიენის სპეციალიზებული დარგები, კერძოდ, დინამიკური ანატომია, ფიზიკური ვარჯიშების ფიზიოლოგია და ბიომექანიკა, საექიმო ფიზკულტურული კონტროლი და ფიზკულტურულ-გამოყენებითი ჰიგიენა. ჰუმანიტარული, ბიოლოგიური და მომიჯნავე საბუნებისმეტყველო მეცნიერული დისციპლინების უმრავლესობა განიხილავს ფიზიკური აღზრდის ცალკეულ მხარეებს, კანონზომიერებებს ან პირობებს, რაც ფრიად მნიშვნელოვანი და აუცილებელია მისი არსის ღრმა გაგებისათვის, მაგრამ როგორი დაწვრილებითი მნიშვნელობისაც უნდა იყოს კერძო მეცნიერებათა მიერ მიღებული ფაქტები, ისინი მაინც ვერ იძლევიან საკმაო და სრულ

წარმოდგენას ფიზიკურ აღზრდაზე. ასეთი მთლიანი გამოხატულება უნდა უზრუნველყოს ფიზიკური აღზრდის ზოგადმა თეორიამ. ამრიგად, ფიზიკური აღზრდის თეორია მასინთეზებელი მეცნიერებაა იმ თვალსაზრისით, რომ იგი აერთიანებს იმ მეცნიერებათა მონაცემებს, რომელთაც მნიშვნელობა აქვს ფიზიკური აღზრდის ზოგად კანონზომიერებათა გარკვევისათვის. მაგრამ სხვა მეცნიერებათა კერძო მონაცემების ინტეგრირებისას, ის არ გაიგივდება მათთან, რადგან კერძო მონაცემები აინტერესებს იმდენად, რამდენადაც ისინი, როგორც ადამიანის სრულყოფისაკენ მიმართული მთლიანი პედაგოგიური პროცესის ზოგად კანონზომიერებათა ერთობლიობა, ხელს უწყობენ ფიზიკურ აღზრდას (მატვეევი, ნოვიკოვი, 1979: 21-23). ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდოლოგია ფიზიკურ აღზრდას სწავლობს, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენას, იკვლევს ფიზიკური აღზრდის მიზანსა და ამოცანებს, მათ ურთიერთკავშირს პიროვნების აღზრდის სხვა მხარეებთან (ზნეობრივ, გონებრივ, ესთეტიკურ და შრომით აღზრდასთან), ფიზიკური აღზრდის სისტემის შინაარსს, ფიზიკური აღზრდის საშუალებებსა და მეთოდებს, ორგანიზაციის ფორმებს, პროგრამულ და ნორმატიულ მოთხოვნებს.

ფიზიკური აღზრდის პროცესისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის შესწავლის, სხვა მეცნიერებათა მონაცემების განვითარებისა და ფიზიკური კულტურის განვითარების მსოფლიო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, ფიზიკური აღზრდის თეორიას შეუძლია გაარკვიოს თავისი განვითარების გზები, გაითვალისწინოს მისი საშუალებების, მეთოდებისა და ფორმების ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე (ხარაბუგა, 1980: 4-5). ამგვარად, ხაზს უსვამენ ფიზიკური აღზრდის კონკრეტულ გამოყენებით როლს, მის პრაქტიკულ მნიშვნელობას ადამიანის მომზადებაში სპეციალურად განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად (მატვეევი, ნოვიკოვი, 1979: 8-9)

პედაგოგიურ მეცნიერებათა სისტემაში ფიზიკურ აღზრდას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როგორც ადამიანის ორგანიზმის ბუნებრივ თვისებებზე მიზანშეწონილი ზემოქმედების სპეციალურ ფაქტორს. თუ ფიზიკური აღზრდა ხორციელდება სისტემატურად ონტოგენეზის ძირითადი ეტაპების მანძილზე, იგი ინდივიდის ფიზიკური განვითარების მთელ პროცესში ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორის როლს ასრულებს (მატვეევი, ნოვიკოვი, 1979: 10-11).

ამრიგად, ფიზიკური აღზრდა – აღზრდის ისეთი სახეა, რომლის სპეციფიკა გამოიხატება მოძრაობების (მოძრაობითი) სწავლებით და ადამიანის ფიზიკური

თვისებების განვითარებით (განვითარების მართვით). გამოყენებითობის თვალსაზრისით, ფიზიკური აღზრდა ადამიანის ფიზიკური მომზადებაა სოციალურად განპირობებული საქმიანობისათვის (შრომითი, სამხედრო და სხვა). აღზრდის სხვა მხარეებთან ერთიანობაში და სათანადო სოციალურ პირობებში ფიზიკურმა აღზრდამ შეიძლება შეიძინოს პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ერთი ძირითადი ფაქტორის მნიშვნელობა (მატვევევი, ნოვიკოვი, 1979:9).

იშვიათობაა ისეთი ადამიანები, რომლებიც სპეციალური მომზადების გარეშე შეძლებენ სპორტში სარეკორდო შედეგების მიღწევას. ეს შესაძლებელია სპორტსმენის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხების მეცნიერული შესწავლისა და თეორიული ასპექტების დამუშავების შედეგად. სპორტსმენის მომზადებისა და, საერთოდ, სპორტულ მოძრაობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი განიხილება სპორტის თეორიის, როგორც მეცნიერების, ფარგლებში. იგი ჩაისახა ფიზიკური აღზრდის წიაღში და შემდგომ გამოეყო მას, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება. სპორტის თეორიის ცალკე დარგად გამოყოფა მეცნიერების განვითარების ბუნებრივი პროცესია. პროფ. ლ. მატვევევის (მატვევევი, ნოვიკოვი, 1979:10) აზრით, ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდის საგნიდან სპორტის თეორიის ცალკე საგნად გამოყოფა მიჩნეული უნდა იქნეს კანონზომიერ მოვლენად. ფიზიკური აღზრდის თეორიის შესწავლისა და კვლევის საგანს შეადგენს ადამიანის ფიზიკური სრულყოფის, მისი ყოველმხრივი ფიზიკური განვითარების პროცესის პედაგოგიური მართვის საერთო კანონზომიერებების შესწავლა, ფიზიკური აღზრდის სხვა მხარეებთან ურთიერთკავშირის დადგენა.

რაც შეეხება სპორტის თეორიას, მისი კვლევის საგანი სხვაა და მოიცავს წვდომას სპორტთან დაკავშირებულ ყველა საკითხში, რომელთა დაყვანა მხოლოდ ფიზიკური აღზრდის კანონზომიერებების ახსნამდე არ შეიძლება.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე სპორტის თეორიის საკითხების გაღრმავებული დამუშავება, პირველ რიგში, განპირობებულია სპორტული მოძრაობის მძლავრი განვითარებით და მისი შინაგანი დიფერენციაციით ორ ძირითად მიმართულებად – ე. წ. „მასობრივ სპორტად“ და „დიდ სპორტად“. თუ მასობრივ სპორტში წვრთნის კანონზომიერებანი ბევრ რამეში ემთხვევა ფიზიკური აღზრდის საერთო კანონზომიერებებს, სრულიად სხვაგვარი ვითარებაა „დიდ სპორტში“ (მატვევევი, ნოვიკოვი, 1979:12).

დიდი სპორტი ხასიათდება მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით – „აბსოლუტური მაქსიმუმის“ მიღწევა სპორტულ შედეგებში, სპორტული შეჯიბრებების განსაკუთრებული სისტემა და მათთვის მომზადება, რაც სპორტსმენისაგან მოითხოვს ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას, გაღრმავებულ სპეციალიზაციას, „გარეშე“ გატაცებების სფეროების შეზღუდვას, რაც განპირობებულია პრესტიჟითა და საზოგადოების ფართო წრისათვის სანახაობითი ინტერესით და ა. შ. ეს და სხვა თავისებურებები, რომლითაც ხასიათდება „დიდი სპორტი“, მძლავრ გავლენას ახდენს სპორტსმენის ცხოვრების საერთო სტატუსზე. ამავე დროს, სპორტული მოღვაწეობა გარკვეულ დონეზე ბევრ რამეში დაძაბული შემოქმედებითი შრომის ანალოგიური ხდება. ყოველივე ამის გამო, როგორც პროფ. ლ. მატვეევი აღნიშნავს (მატვეევი, ნოვიკოვი, 1979:15), „დიდი სპორტის“ სპეციფიკური არსის გაგება ჩვეულებრივი ფიზიკური აღზრდის საზომით, რა თქმა უნდა, არამართებული იქნება. სპორტის თეორიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, ცალკე გამოყოფა სრულიად კანონზომიერად უნდა ჩაითვალოს. სპორტის თეორია განიხილება არა როგორც განყენებული (აბსტრაქტული) მეცნიერება, არამედ იგი ჩამოყალიბდა და ვითარდება სხვა მეცნიერებებთან მჭიდრო კავშირში. სპორტი მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოვლენაა და იგი ყოველმხრივ უნდა იქნეს შესწავლილი. ტერმინი „სპორტი“ ინგლისური წარმოშობისაა და ნიშნავს თამაშს, გართობას, რომელიც შემდგომ ფიზიკური ვარჯიშების სახით ჩამოყალიბდა აღმზრდელობითი, შეჯიბრებისა თუ სხვა მიზნით გამოსაყენებლად. სპორტისათვის ძირითად დამახასიათებელ თავისებურებას საკუთრივ საშეჯიბრო მოღვაწეობა და მისდამი სპეციალური მომზადება წარმოადგენს. სპორტი შეჯიბრების გარეშე არ არსებობს. შეჯიბრება კი გულისხმობს გარკვეულ სფეროში ადამიანთა შორის დაპირისპირებულობას და შედარებას, იგი რეგლამენტირებულია წინასწარ შემუშავებული და შეთანხმებული გარკვეული მოთხოვნებით, წესებით. ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში ვლინდება ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები.

საკუთრივ საშეჯიბრო მოღვაწეობისათვის დამახასიათებელია: შეჯიბრებაში მონაწილეობისა და მაღალი შედეგების მიღწევის სურვილის აღმძვრელი ფაქტორების გააქტიურება, რაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, წახალისების პროგრესული სისტემითაა განპირობებული; შეჯიბრებაში ნებადართულ მოქმედებათა შესრულების პირობებისა და მიღწევათა შეფასების კრიტერიუმების უნიფიკაცია,

რაც განმტკიცებულია ოფიციალური წესებით; შეჯიბრებაში მონაწილეთა ჰუმანურ საფუძველს დამყარებული ქცევის რეგლამენტაცია არაანტაგონისტური კონკურენციის შესაბამისად. ამ თავისებურებების ერთობლიობა დამახასიათებელია მხოლოდ სპორტისთვის, როგორც საკუთრივ საშეჯიბრო მოღვაწეობისთვის და განსაზღვრავს მის რაობას. სპორტი ისტორიულად ჩამოყალიბდა ფიზიკური კულტურის სფეროში, როგორც ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ შესაძლებლობათა გამოვლენისა და უნიფიცირებული შედარების სფერო. შეჯიბრებაში სპორტსმენმა მონაწილეობა რომ მიიღოს, მიაღწიოს გარკვეულ შედეგებს, გახდეს ჩემპიონი, რეკორდსმენი და ა.შ. – ამისათვის საჭიროა ხანგრძლივი, გეგმაზომიერი, სისტემური წვრთნა. სპორტული წვრთნა კი რთული პედაგოგიური პროცესია. იგი თავისთავად უამრავ შემადგენელ ნაწილს მოიცავს, სადაც მოქმედ სუბიექტს სპორტსმენი წარმოადგენს. წვრთნის პროცესში სპორტსმენს უხდება ურთიერთობის დამყარება მწვრთნელთან, ექიმთან, თავისი გუნდის (კოლექტივის) წევრებთან, ფსიქოლოგთან, სპორტულ მოწინააღმდეგესთან, მსაჯებთან და, საერთოდ, საზოგადოების წევრებთან, სულ ერთია, იქნებიან ისინი საკუთარი, თუ უცხო ქვეყნების წარმომადგენლები. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სპორტი საზოგადოებრივი მოვლენაა და საზოგადოებაში მას მრავალმხრივი სოციალური მნიშვნელობა ენიჭება. ამდენად, მხოლოდ საშეჯიბრო მოღვაწეობამდე მისი დაყვანა სწორი არ იქნება.

სპორტის განსაზღვრება შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: სპორტი – ეს არის საშეჯიბრო მოღვაწეობა, რომლის სპეციფიკურ ფორმას შეჯიბრებათა სისტემა წარმოადგენს, სადაც ხდება ადამიანთა (სპორტსმენტთა) ფიზიკურ და ფსიქიკურ შესაძლებლობათა დაპირისპირება, შედარება და, აგრეთვე, ამ მოღვაწეობისათვის მზადების მთელი პროცესი.

ამრიგად, ფიზიკური კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი ძირითადი ნაწილია სპორტი, რომლის მრავალმხრივი საზოგადოებრივი მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდება. სპორტი ფიზიკური აღზრდის ეფექტურ საშუალებათა და მეთოდთა არსენალია. ამასთან ერთად, ფიზიკური აღზრდა არ შემოიფარგლება მხოლოდ სპორტით, ისევე, როგორც სპორტი არ შემოიფარგლება ფიზიკური აღზრდით. ისინი ერთმანეთს იმდენად, რამდენადაც სპორტის საშუალებები და მეთოდები გამოიყენება ფიზიკური აღზრდის პროცესში, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ისინი ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი სპეციალიზებული მიმართულების სპორტული წვრთნის საფუძველს ქმნიან. ამრიგად, ფიზიკური



კულტურისა და სპორტის თანაფარდობას ახასიათებს ერთიანობა და არა იგივეობა.

## სპორტი როგორც ქცევა

დიმიტრი უზნაძის მიხედვით, არსებობს ე. წ. ინტროგენური ქცევის ფორმები, რომლებსაც ამა თუ იმ მომენტში ესა თუ ის მოთხოვნილება კი არ აღძრავს, არამედ ადამიანის განკარგულებაში არსებული სხვა შინაგანი ძალები, რომლებიც ქცევის აღმძვრელად გვევლინებიან. შინაგან ძალას არა მხოლოდ მოთხოვნილების ზემოქმედებით, არამედ ავტონომიურადაც შეუძლია აქტივობის გაშლა. ისინი ადამიანის შინაგან ფუნქციონალურ ტენდენციას შეესატყვისება. სწორედ მათ უწოდებს დ. უზნაძე ინტროგენური ქცევის ფორმებს (უზნაძე, 1967:450). აქ, პირველ რიგში, თამაშს ასახელებენ. არსებობს თამაშის მრავალი თეორია (უზნაძე, 1964:604-616; Элконин, 1978: 65-151), რომლებიც განსაკუთრებით ბავშვის სკოლამდელ ასაკს შეეხება. ამ პერიოდში თამაშისაგან სიამოვნების მიღება თანდათან იცვლება საქმიანობაში მიღწეული წარმატებისგან მიღებული სიხარულით. ამრიგად, მიიღწევა ეგრეთ წოდებული „საქმიანი მომწიფებულობა“ (შ. მიულერის მიხედვით), რომელიც ბავშვის სასკოლო ქცევისათვის მომზადებულობის ნიშანს წარმოადგენს (Фрейд А. 2004: 155). თამაში ინტენსიურად გამოიყენება სასკოლო პედაგოგიურ პროცესში, გონებრივი ტრენინგების (Михалко. 2008:237-342) დროს, ფსიქოთერაპიაში (Карвасарский. 1999:27-29; 53-57; 99-102; 103-118; 279-280; 650-652. Берн. 1996:15-51). სასკოლო ასაკის ბავშვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქცევის ფორმა სწავლაა. ამიტომ მის სწავლას, რასაკვირველია, ძირითადი მნიშვნელობა აქვს. ეს არ ნიშნავს, რომ ქცევის სხვა ფორმებს ამ ასაკში ადგილი არ ჰქონდეს და მათი შესწავლა მნიშვნელობას მოკლებული იყოს. აქ ქცევის მეორე ფორმა – სპორტიც თვალსაჩინო როლს ასრულებს (უზნაძე, 1967:450). როგორც ვიცით, სასკოლო ასაკის ინდივიდის ფიზიკური განვითარების გზა მისი ფიზიკური ენერჯის, ფიზიკური ძაღღონის გაძლიერების მიმართულებით მიმდინარეობს. ბუნებრივია, რომ ეს გარემოება მოზარდს მოძრავ არსებად აქცევს, რომელიც თავისი ფიზიკური ძაღღონის ამოქმედების მძლავრ იმპულსებს გრძნობს. ხტომა, სირბილი, ჭიდაობა, ბურთი და სხვა

ამგვარი გასართობი მისი თავისუფალი დროის მთავარ შინაარსად იქცევა. სასკოლო ასაკის ბავშვი კიდევ უფრო მეტს ცვლქობს, ვიდრე სკოლის წინარე ასაკისა, მაგრამ, თუ ჩავუკვირდებით მისი ცვლქობის აქტებს, ვნახავთ, რომ იგი ახლა სულ სხვანაირად გამოიყურება. როდესაც ბავშვი ხტის და დარბის, ის ამას მარტო თითქმის არასდროს აკეთებს, მას ყოველთვის ჰყავს პარტნიორი, რომელთან ერთადაც ის გარბის. უამპარტნიოროდ მის სირბილს არავითარი აზრი არა აქვს, იმიტომ, რომ ახლა მას სირბილი კი არ აინტერესებს თავის-თავად, არამედ სირბილში თავისი მოწინააღმდეგის გასწრება (უზნაძე, 1967: 450). ასეა სხვა შემთხვევაშიც: ჭიდაობისა და ბურთაობის პროცესის ნაცვლად, ახლა ის შედეგითაც არის დაინტერესებული: იმით, რომ მოწინააღმდეგეს აჯობოს. ამრიგად, სკოლის წინარე ასაკის ბავშვის „ფიზიკური თამაში“ თავის წმინდა პროცესუალურ ხასიათს კარგავს და მიზანდასახული ქცევის ფორმად იქცევა. ახლა ეს უბრალო ცვლქობად ვეღარ ჩაითვლება – ამიერიდან იგი ფიზიკური ძალ-ღონის გამოცდის, ტოლებთან შეჯიბრების აქტად უნდა ჩაითვალოს (უზნაძე, 1967: 453).

მაგრამ შეჯიბრება და ჯობნება, როგორც მიზანი ბავშვის მოტორული აპარატის ამოქმედებისა, მაინც ისეთი მიზანია, რომელიც თვითონ მოტორული ფუნქციების საზღვრებშია მოქცეული; იგი, ასე ვთქვათ, წმინდა ფუნქციონალური ხასიათის მიზანია. სასკოლო ასაკის ბავშვის ბურთაობაში, ჭიდაობაში, სირბილში კი მიზანი თვით მოძრაობათა ვითარებაში მარხია, მათ მოხერხებულობაში, ძალაში, გამძლეობაში. აქ მიზნად რაიმე პროდუქტის შექმნა კი არ არის დასახული, არამედ უფრო მაღალი ხარისხის მოძრაობის შესრულება: ვინ უფრო შორს გადახტება, ვინ უფრო შორს გაიტანს ბურთს, ვინ უფრო ღონიერია და ა. შ. ამრიგად, აქ მოზარდის მოტორული აქტები მისი ფიზიკური ენერჯის უბრალო გამოვლენის აქტებს როდი წარმოადგენენ, როგორც ეს ჩვეულებრივი ცვლქობის შემთხვევაში ხდება, არამედ გარკვეული მიზნით არიან განსაზღვრულნი, მაგრამ ეს მიზანი თვითონ მოძრაობათა ვითარებას, მათ გაუმჯობესებასა და დასრულებას ეხება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოზარდის ფიზიკური ენერჯის განვითარებას არა უბრალო იმპულსი, არამედ რაც შეიძლება მაღალი ხარისხის მოძრაობათა შესრულების იმპულსი გააჩნია (უზნაძე, 1967 :455).

შეჯიბრების პირობებისა და წესების მტკიცე დაცვის გარეშე ქცევის ამ ფორმას არავითარი აზრი არ ექნებოდა და, ცხადია, ამის გამო მას არა შემთხვევითი, თითოეულის ნებაყოფლობაზე დამოკიდებული მიმდინარეობა უნდა

ახასიათებდეს, არამედ სრულიად განსაზღვრული, მიღებული წესებისა და პირობების შესატყვისი. შეჯიბრება ისეთი ბუნების მოვლენაა, რომ მას არსებითად კოლექტიურობის ტენდენცია ახლავს თან. ამიტომაც, რომ სასკოლო ასაკის ბავშვთა „ფიზიკური თამაში“, ჩვეულებრივ, კოლექტიურ ხასიათს ღებულობს. ოღონდ მოთამაშე კოლექტივი ახლა მოპირდაპირე ბანაკებად, ასე ვთქვათ, პარტიებად იყოფა, რომელთა შორისაც ძალთა შეჯახება და შეჯიბრება ხდება. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, რთულ წესებს გულისხმობს, რომელთა შესრულება თითოეული ცალკეული წევრისათვის სავალდებულო ხდება. საგულისხმო მომენტი ახლა ისაა, რომ კოლექტივის თითოეული წევრი თავისთავს თავისი კოლექტივის, თავისი ბანაკის წევრად თვლის და თავის ქცევას, მიღწევებსა და მარცხს სწორედ თავისი კოლექტივის საქმედ განიცდის (უზნაძე, 1967:460). ამრიგად, სასკოლო ასაკის ბავშვის ფიზიკური თამაში სკოლის წინარე ასაკის ბავშვის ცელქობიდან გამომდინარეობს, მაგრამ იმდენად ღრმა ცვლილებებს განიცდის, რომ იგი უეჭველად ქცევის ახალ ფორმად გვევლინება. ფიზიკური ვარჯიშის ელემენტები, რომლებიც 3–4 წლის ბავშვის „ფიზიკური თამაშში“ დასტურდება, თანდათანობით რთულდება და სასკოლო ასაკის მოზარდის ასეთი აქტივობა შეცვლილ, საერთო განწყობის ნიადაგზე სპორტის ქცევის აქტებში გადაიზრდება.

რასაკვირველია, სასკოლო ასაკის ბავშვის ცხოვრებაში თამაშის შემთხვევებსაც აქვს ადგილი, ე. ი ქცევის იმ ფორმას, რომელიც, ჩვეულებრივ, ილუზიის თამაშის სახელწოდებითაა ცნობილი, მაგრამ საინტერესოა და სიმპტომატური, რომ აქ, ამ ასაკობრივ საფეხურზე, ქცევის ამ ფორმას სპორტული ინტერესის მკაფიო დადი ემჩნევა: უფრო ხშირად თამაშის საგნად ისეთი შინაარსი აირჩევა ხოლმე, რომელიც შეჯიბრებისა და შეცილების მოტივებს შეიცავს და, ამრიგად, ასე თუ ისე, მაინც მოზარდის ძირითად განწყობას ეთანხმება.

### **ფიზიკური აღზრდა და სპორტი ისტორიულად**

დღეისათვის მსოფლიოში გამოცემულია უამრავი ლიტერატურა, რომელშიც განხილულია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სხვადასხვა ისტორიული ასპექტი. მრავალი შრომა ეძღვნება როგორც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის,

ისე უძველესი და თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ისტორიას, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სპორტის ცალკეული სახეობის განვითარებას. ათასწლეულების წინ, პირველყოფილი ადამიანის ძირითად საზრუნავს წარმოადგენდა საკვების მოპოვება, ეს კი უფრო ადვილად შეეძლო ფიზიკურად ძლიერ ადამიანს. მიუხედავად იმისა, რომ მას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ფიზიკურ აღზრდაზე, არ გააჩნდა არავითარი იარაღი და შიშველი ხელებით უმკლავდებოდა იმდროინდელ ცხოვრებისეულ პრობლემებს, პირველყოფილმა ადამიანმა იცოდა, რომ „არსებობისათვის ბრძოლაში“ გადარჩებოდნენ მხოლოდ ძლიერნი, რომლებიც სხვასთან შედარებით უფრო მეტი ფიზიკური შესაძლებლობით გამოირჩეოდნენ.

სახელმწიფოებრივი სტრუქტურებისა და ცალკეული ერების ჩამოყალიბების შემდეგ, ყველა ცხოვრებისეულმა სფერომ თავისებური განვითარება ჰპოვა, რაშიც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ფიზიკურ აღზრდას ეჭირა. შემთხვევითი არ არის, რომ სხვადასხვა ეკონომიკურ-პოლიტიკური საზოგადოებრივი წყობილების დროს წარმოიშობა სხვადასხვა ხასიათის ფიზიკურ ვარჯიშთა სახეები, ფიზიკური აღზრდის ორგანიზაციული ფორმები და თეორიები. ძველ ბაბილონში ბევრი სპორტული შეჯიბრება იმართებოდა. ყოველ ახალ წელს ღმერთ მარდუკისადმი მიძღვნილ სპორტულ აღლუმებსა და ასპარეზობებს აწყობდნენ. სირბილი, კრივი, ჭიდაობა, ეტლით სრბოლა, თავისებური ცხენბურთი – აი ძველ ბაბილონელთა საყვარელი სპორტის სახეობები, აღნიშნულია მეფე ჰამურაბის (ძვ. წ. 1792-1750 წ.) კანონებში.

„ეგვიპტე – ნილოსის საჩუქარია“ – ჰეროდოტეს ეს ცნობილი სიტყვები ეხება უძველეს ეგვიპტეს, სადაც დიდ ყურადღებას აქცევდნენ სხეულის სიმშვენიერეს. აკლდამებზე შემონახული ნახატები და წარწერები გვაუწყებენ, რომ ეგვიპტეში მრავალი სპორტული სახეობა იყო დანერგილი და ეგვიპტელები სათანადო დონეზე იყვნენ მომზადებულნი. აქ შეჯიბრებები ტარდებოდა სირბილში, ჭიდაობაში, ფარიკაობაში, ნიხოსნობაში, ნავების ჩაძირვაში (მენავეებს შორის), წყალში ყვინთვაში, ტანვარჯიშში, აკრობატიკაში, ნადირობაში და ა.შ.

პირველი ოფიციალური წყარო სპორტული ასპარეზობის ჩატარების შესახებ გადმოგვცა პომპროსმა, თავის უკვდავ „ილიადაში“, სადაც აღწერილია. რომ პატროკლეს დაკრძალვის შემდეგ აქილევსმა, მის პატივსაცემად, მოაწყო სპორტული ასპარეზობა. ძველ საბერძნეთში მრავალი სახის სპორტული ასპარეზობები იმართებოდა, ყველაზე მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, ოლიმპიური

თამაშები იყო, რომელიც დაიწყო ძვ. წ. 776 წელს და გრძელდებოდა თითქმის 1000 წელს. მის პროგრამაში შედიოდა: რბენა სხვადასხვა მანძილზე, ჭიდაობა, მუშტი-კრივი, პანკრატიონი (ჭიდაობისა და მუშტი-კრივის ნაერთი), პენტატლონი (ხუთჭიდი – რბენა ერთ სტადიაზე, გამორბენით სივრცეზე ხტომა, შუბის ტყორცნა, ბადროს ტყორცნა, ჭიდაობა), ეტლით სრბოლა და სხვა. ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ქალაქიდან იღებდა დიდ ფულად ჯილდოს, მას ეძლეოდა საპატიო ადგილი თეატრში, თავისუფლდებოდა გადასახადებისაგან, სიცოცხლის ბოლომდე საზოგადოებრივ ხარჯზე აცხოვრებდნენ (ქობულაძე 2003:3-6). ოლიმპიურ თამაშებს კულტურული მნიშვნელობაც ჰქონდა (გორგაძე, 1975: 16).

მედიცინის მამამთავარი – ჰიპოკრატე, რომელმაც 104 წელი იცოცხლა, ქადაგებდა ტანვარჯიშს, სპორტში მეცადინეობას, წყლითა და მზით წრთობას, სუფთა ჰაერზე გასეირნებებს, ზომიერ კვებას. ჰიპოკრატე პანათენური თამაშების გამარჯვებული იყო ჭიდაობაში. ცნობილი ბერძენი მწერალი და ისტორიკოსი პლუტარქე ტანვარჯიშს უწოდებდა ცხოვრების მოძრაობით საგანძურს. ფილოსოფოსი პლატონი წერდა: „ტანვარჯიში არის მედიცინის სამკურნალო ნაწილი“. ის მონაწილეობდა პითიურ და ისთმიურ თამაშებში და გამარჯვებებიც მოიპოვა. არისტოტელეს თანახმად, „არაფერი ისე არ აუძლურებს და არღვევს ადამიანს, როგორც ხანგრძლივი ფიზიკური უმოქმედობა“. გეომეტრიის მამამთავარი – პითაგორა თვლიდა, რომ ადამიანის გონებრივ მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი დამხმარეა სპორტი. პითაგორა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი იყო მუშტი-კრივში და მას სიცოცხლეშივე ძველი დაუდგეს (ქობულაძე 2003:11). ძველი საბერძნეთის მრავალ ქალაქში გახსნილი იყო პალესტრები და გიმნაზიები, სადაც ხდებოდა ახალგაზრდა თაობის ფიზიკური აღზრდა. აქ იყენებოდა აღზრდის ცნობილი ფორმა – „სპარტანული აღზრდა“, რომელიც ქალაქ-პოლის სპარტაში ჩამოყალიბდა. სპარტელი ბავშვები 7 წლის ასაკიდან 20 წლამდე პალესტრებში სწავლობდნენ, მათი აღზრდის ხარჯებს სახელმწიფო იღებდა და მომავალშიც უწევდა კონტროლს.

პალესტრებსა და გიმნაზიებში ფიზიკური აღზრდის სისტემა მაღალ დონეზე იყო დაყენებული. ბავშვებს აჩვენებდნენ სიცივესა და სიბნელეში ყოფნას, ტალახსა და წვიმაში მიმდინარეობდა მათი წვრთნა, ღია ცის ქვეშ, ხმელი ტოტებით დაფენილ მიწაზე ეძინათ. ამიტომ ტერმინი „სპარტანული აღზრდა“ დამკვიდრდა, როგორც მკაცრი აღზრდის სინონიმი. იმ დროის საბერძნეთში ფიზიკური აღზრდა მიმართული იყო როგორც სპორტულ შეჯიბრებებზე მაღალი შედეგების

მიღწევასა და სამხედრო ფიზიკურ მომზადებაზე, ისე სხეულის ჰარმონიულ განვითარებაზე. სპორტულ შეჯიბრებებზე სპორტსმენები შიშვლები გამოდიოდნენ, ვარჯიშითაც შიშვლები ვარჯიშობდნენ, რომ სირცხვილის გრძნობა დაეძლიათ.

ფიზიკურ განვითარებას დიდი ყურადღება ექცეოდა ძველ რომში, სადაც სპეციალური სკოლები იყო გახსნილი მომავალი მეომრების აღსაზრდელად. შედეგი შთამბეჭდავი იყო: ძველმა რომმა თითქმის მთელი იმდროინდელი მსოფლიო დაიპყრო თავისი ლეგიონებით, რომლებიც გამოირჩეოდნენ მაღალი დისციპლინით, ამტანობით, ხმლის, შუბისა და მშვილდ-ისრის საუკეთესო ფლობით. რომში შექმნილი იყო გლადიატორთა სკოლები, სადაც მონებიდან საუკეთესო მეომრებს არჩევდნენ, სპეციალურად ავარჯიშებდნენ და ამზადებდნენ ცირკის არენაზე სანახაობრივი გამოსვლისათვის, რომელიც ბევრისთვის სიკვდილით მთავრდებოდა. ცნობილი რომაელი ექიმი გალენა მსუქანი ადამიანების განკურნებისათვის მიმართავდა ფიზიკურ დატვირთვას: ბალახის თიბვას, მიწის ბარვას, შეშის ჭრას, სირბილს, ტანვარჯიშს, წყლის პროცედურებს (ქობულაძე 2003:11).

ძველი ინდური წყაროები გვაწვდიან ცნობებს სხვადასხვა შეჯიბრების შესახებ, რომლებიც ტარდებოდა რიტუალურ ტანვარჯიშში, ცეკვაში, იარაღის გამოუყენებლად თავდაცვის სხვადასხვა ილეთის ფლობაში. ინდოეთი სამშობლოა უნიკალური სავარჯიშო სისტემის – იოგის შექმნისა, რომელიც ასწავლის ადამიანს მიაღწიოს სხეულისა და სულის სრულყოფას. ინდოეთი, ასევე, სამშობლოა ჭადრაკის წინაპრის – „ჩატურანგასი“. ამერიკის აღმოჩენის შემდეგ აღმოჩნდა წყაროები, რომელთა თანახმად, ძველ ინკებს, აცტეკებს და მაიას ტომს შესანიშნავად ჰქონდათ დაყენებული ფიზიკური აღზრდის სწავლების საქმე. მაგალითად, ინკებს ჰქონდათ კალათბურთის მსგავსი გუნდური თამაში, სადაც წაგებული გუნდის წევრებს სიკვდილით სჯიდნენ.

ფიზიკური აღზრდა და ადამიანის განვითარების სისტემა ძველ საქართველოში მაღალ დონეზე იყო დაყენებული. ჯერ კიდევ აპოლონიუს როდოსელი თავის „არგონავტიკაში“ გვაწვდის ცნობებს, რომ კოლხეთის უძველეს და უმთავრეს ქალაქ აიას ჰქონდა მაღალი გალავნით შემოზღუდული იპოდრომი, ცხენთსარბიელი და საასპარეზო მოედნები, სადაც კოლხები „ბრწყინვალე გამირების მოსაგონებლად რბენასა და მხედრულ შეჯიბრებებს აწყობდნენ“. ამიტომაც, არც არის გასაკვირი, რომ იაზონს მისცეს ყველაზე ძნელი დავალება

– ოქროს საწმისის ჩამოტანა კოლხეთიდან, საიდანაც ცოცხალი არავინ დაბრუნდებოდა. იაზონის მიმართ წაყენებულ პირობათაგან ერთ-ერთი იყო ველური ხარის დამორჩილება და მიწის მოხნა, რომელსაც კოლხთა მეფე აიეტი თავისუფლად აკეთებდა, ხოლო იაზონმა ეს მედეას დახმარებით შეძლო.

ქართველთა ფიზიკური თვისებები და ბრძოლისუნარიანობა საკმაოდ ცნობილი იყო ძველ ბერძენთა, რომაელთა და სხვა ხალხთათვის, რომელთაც კავშირი ჰქონდა მათთან. ქართველებს ხშირად ვხვდებით მხედართმთავრებად უცხო და შორეულ ქვეყნებში. აგათია სქოლასტიკოსს მოხსენიებული ჰყავს დახელოვნებული სარდალი თეოდორე, ტომით ქართველი, ფიზიკურად ერთობ ძლიერი, რომელსაც „რომაელ სამხედრო მეთაურთა შორის პირველი ადგილი ეკავა“. ეგკაპი სარდოსელს მოხსენიებული ჰყავს ვინმე სუბარმარხი, რომელი შუბოსნების მეთაური და საუცხოო მსროლელი, რომელიც მეფეთა შთამომავალი ყოფილა, ნამდვილი კოლხი ფაზისიდან. „სეფეწულების“ აღზრდის საქმეში განსაკუთრებული როლი ფიზიკურ აღზრდას ენიჭებოდა. ძალ-ღონის, გამძლეობის, გამბედაობის, მოქნილობის განვითარებას საზოგადოების თვალში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამგვარ ჩვევებს „სეფეწულები“ ბავშვობიდანვე იძენდნენ (გორგაძე, 1959: 24-25). სისტემატურ ფიზიკურ ვარჯიშთა წყალობით მიღწეული მაღალი ოსტატობა მქლავნდებოდა არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ, ხშირად, მრავალრიცხოვან მაყურებელთა წინაშე გამართულ ასპარეზობებზეც, და არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

სამეურნეო ყოფამ, გეოგრაფიულმა მდებარეობამ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებამ, განსაკუთრებით – ამ უკანასკნელმა, განვითარების გარკვეულ დონეზე განსაზღვრა ის, რომ ქართველი მამაკაცის საბრძოლო და ფიზიკურმა აღზრდამ ერთგვარი მხედრული მიმართულება მიიღო (ყეინიშვილი, 2007: 143). საქართველოში ძველთაგანვე არსებობდა საერო (სამხედრო) აღზრდის კარგად ჩამოყალიბებული, ერთიანი სისტემა, რომელიც თითქმის მთლიანად ფიზიკური აღზრდის „ზნეებიდან“ შედგებოდა და ქართველი ხალხის ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა (ელაშვილი, 1989:3-36). ჩვენს ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებში აღწერილია ქართველი ხალხის ჩვეულებები, ფიზიკური მომზადების სურათები და ახალგაზრდების აღზრდის წესები, რომლებიც მკვეთრად გამოხატულ სამხედრო მომზადების ხასიათს ატარებდა.

ფიზიკური აღზრდა საქართველოში მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან. შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, არჩილის, სულხან-საბა

ორბელიანის, თეიმურაზ II-ისა და ვახუშტის ნაწერები, ისტორიული ქრონიკები და მატერიალური ძეგლები გვაუწყებენ, რომ საქართველოს ჰქონდა ფიზიკური აღზრდის შესანიშნავად ჩამოყალიბებული სისტემა. ძველ საქართველოში ბავშვის წვრთნა 7 წლის ასაკიდან იწყებოდა. მას აბარებდნენ მამამძუძეს – გამზრდელს, რომლის მოვალეობასაც წარმოადგენდა გამოემუშაებინა ბავშვში მომავალი მეომრისათვის საჭირო თვისებები და ჩვევები, ე. ი. „ზნენი სამამაცონი“. ყველა „ზნე“ ოთხ მთავარ ჯგუფად განიყოფებოდა: ზნენი „მშვებლისა“ ანუ „სამამაცონი“, „ლაშქრობისა“, „ნადირობისა“ და „საქციელისა და სამსახურისა“. შემდგომი საუკუნეების დოკუმენტები, კერძოდ, არჩილის „ზნეობანი“, გვამცნობენ იმ სისტემებს, რომლებიც ეყრდნობოდა წინა საუკუნეებში მიღებული აღზრდის საფუძვლებს. ჩვენთვის საინტერესოა პირველი და მეოთხე ჯგუფი, რომლებიც სხვა ჯგუფებისაგან განსხვავდებოდა თავისი პედაგოგიური მიმართულებით: პირველი შეიცავდა „თამაშობას“ (სპორტის საწყისი) და მუშაობას (ტანვარჯიშისა და აკრობატიკის საწყისი). თავის მხრივ, თამაშობა მოიცავდა: „ასპარეზობას“, „მღერას“, „ფუნდრუკს“, „როკვასა“ და „შექცევას“, რომლებიც ცალკეულ „ზნეებად“ იყოფოდა. ზნეობათა მეოთხე ჯგუფი უზრუნველყოფდა მმართველი კლასის ერთგულ შვილთა აღზრდას.

მეტად საგულისხმოა ის, რომ აღმზრდელობითი სისტემის ასეთი დაყოფა – დაჯგუფება მისი „ფუნქციისა“ და აღმზრდელობითი დანიშნულების მიხედვით დამახასიათებელი არ იყო იმდროინდელი ევროპისა და აზიის ქვეყნების აღმზრდელობითი სისტემებისათვის და ამ მხრივ საქართველოში ფიზიკური აღზრდის სისტემა გაცილებით მაღლა იდგა. ფიზიკურ აღზრდას განსაკუთრებით დიდი ადგილი ეკავა ლაშქრის მომზადების საქმეში. ფიზიკური ვარჯიშების ისეთ სახეებს, როგორცაა: ბურთაობა, ნადირობა, ცხენოსნობა, რბენა, ტყორცნა, ჭიდაობა, ფარიკაობა და ა. შ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მხედრული თვისებებისა და ჩვევების განსავითარებლად. გამბედაობა, ნებისყოფის სიმტკიცე და წესმორჩილება, ძალა, სისწრაფე, სიმარდე და სხვა, რასაც ახალგაზრდა იძენდა მრავალრიცხოვან სამხედრო გამოყენებითი და სპორტული ჩვევების დაუფლების პროცესში, ძალიან საჭირო იყო თითოეული მებრძოლისათვის რთულ საომარ პირობებში.

ქართველები ყოველთვის გამოირჩეოდნენ შესანიშნავი ფიზიკური მონაცემებით და წარმატებით ასპარეზობდნენ სპორტულ თამაშობებსა თუ ორთაბრძოლებში, რის დამადასტურებელ ცნობებს უხვად გვაწვდის ისტორიული წყაროები.



ივერიის მეფის – ფარსმანისა და მისი შვილის – რადამისტის, აგრეთვე, სხვა დიდებულების დახელოვნება ფიზიკურ ვარჯიშთა სახეობებში ბრწყინვალედ გამოჩნდა რომში გამართულ ასპარეზობაში, სადაც ქართველებს თავიანთი დახელოვნებით გაუოცებიათ რომაელები, ხოლო მეფე ფარსმანს ძეგლიც კი დაუდგეს მარსის ველზე. საქართველოში ბრძოლის წინ, ხშირად იმართებოდა „ბუმბერაზობა“, რომლის დროსაც ორივე მხრიდან საუკეთესო მეომარი ერთმანეთს ერკინებოდა (გავიხსენოთ ვახტანგ გორგასალი).

საქართველოში ოდითგანვე სახალხო დღესასწაულზე სპორტული შეჯიბრებებიც იმართებოდა. ყოველ დღესასწაულს თავისი პროგრამა ჰქონდა. მაგალითად: მცხეთაში იმართებოდა ქართული ჭიდაობა, კახეთში – ჭიდაობა და „ყაბახი“, მთიან მხარეებში – ფარიკაობა და სიმძიმის აწევა (საჯილდაო ქვა), გურიაში – „ლელობურთი“, „დოლი“, სამეგრელოში – „ისინდი“, „ცხენბურთი“ და ა. შ.

მოზარდი თაობის ჰარმონიული განვითარების განმანათლებლურ კონცეფციაში საპატიო ადგილი უჭირავს ფიზიკურ აღზრდას. იგი მიჩნეულია, როგორც ერთ-ერთი აუცილებელი და ხელშემწყობი პირობა ბავშვების გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, რელიგიური და შრომითი აღზრდისათვის, ადამიანის ყოველმხრივი განვითარების ზოგადი პროცესისათვის. სამოციანელთა მოძღვრებაში, მოზარდი თაობის ფიზიკური წრთობის ტრადიციული შეხედულებების გათვალისწინებით, რაც ყოველთვის შრომის პროცესს და სამშობლოს დასაცავად მხედრულ მომზადებას უკავშირდებოდა, ფიზიკური აღზრდის მიზნად დასახულია ბავშვის სხეულის სრულყოფილად განვითარება, მისი სულიერი სიმტკიცის მიღწევა, მებრძოლი, გამირული სულისკვეთების ჩამოყალიბება, ჯანსაღი, ღონიერი, სიძნელეთა ამტანი ორგანიზმის აღზრდა შრომისა და ცხოვრების ურთულესი წინააღმდეგობების დასაძლევად.

ქართველ განმანათლებელთა მემკვიდრეობაში (ასათიანი, 1993:42-76) ფართოდაა გაშუქებული ფიზიკური აღზრდის მრავალმხრივი მნიშვნელობა და მისი განსაკუთრებული როლი ჭეშმარიტი მამულიშვილის აღზრდაში.

ილია ჭავჭავაძე ჰარმონიულად განვითარებული მოზარდი თაობის ჩამოყალიბების ერთ-ერთ უმთავრეს ნაწილად ყმაწვილთა ფიზიკურ აღზრდას აღიარებს. იგი კარგად იცნობს როგორც თანამედროვე, ისე „განახლების“ ეპოქის სასკოლო განათლებას და აქედან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ „ახლანდელი სკოლა ბევრში უკან ჩამორჩენილია უწინდელზე. დღეს ყველაფერი

შეწირული აქვს მარტო გონების გახსნასა და დავიწყებულია, რომ ადამიანს, ჭკვაგონების გარდა, გულიცა აქვს, რომელსაც კაცობრიობისათვის ისეთივე წურთვნა და გახსნა უნდა, როგორც ცოდნისათვის ჭკვა-გონებასა; დავიწყებულია, რომ კაცის ტვინს აგებულობაცა აქვს, რომელიც წურთნითა და ვარჯიშობით უნდა გაღონიერდეს, გაჯანსაღდეს, გამაგრდეს, რადგანაც ჯანმრთელობა უდიდესი მადლია, რომელსაც-კი ღმერთი მიანიჭებს ხოლმე თვისთა რჩეულთა.“

ილია გმობს მისი თანამედროვე სკოლის უდარდელ დამოკიდებულებას მოზარდის ფიზიკური განვითარებისადმი. მისი აზრით, ამ სკოლაში ბავშვი „სულითა და ხორციით იქანცება, არაქათი უწყდება და ბოლოს გამრჯელ, მხნე, სულითა და ხორციით ღონიერ ადამიანის მაგიერ უძღური უღონო და ჯანგალეული კაცი გამოდის სკოლიდან, რადგან სკოლას ბავშვის აღზრდის ფიზიკური მხარე არ აინტერესებს, იგი ცალმხრივ მოქმედებს, ხასიათის წურთნას თითქმის თავს ანებებს და ტანაგებულებას ადამიანისას არამცთუ კშველის, არამედ კლადავს.“

ილია ჭავჭავაძე იწონებს ვიტორინო და ფელტრეს მიერ დაარსებული მანტუის სკოლის სასწავლო გეგმას, რომელმაც, ილიას თქმით, „სათავედ დაიდო ახალი მოძღვრება ჰუმანურობისა... საცა ერთნაირი და თანასწორი ყურადღება იყო მიქცეული, როგორც ყმაწვილის ჭკვაგონების განვითარებისა და გაძლიერებაზედ, ისეც ძვალ-ხორც-ჯანის გამაგრებასა და გაღონიერებაზედ (ასათიანი, 1993: 281-282). ილია ჭავჭავაძეს ჰარმონიულად განვითარებული ახალი თაობის აღზრდის აუცილებელ პირობად „თანაბარი წარმატება სულისა და ხორცისა“ მიაჩნდა. მისი აზრით, ეს ამოცანა უნდა ამოძრავებდეს და ყოველთვის „სახეში კქონდეს“ ოჯახს, სკოლას, საზოგადოებას (ასათიანი, 1993: 283).

ჰარმონიულად განვითარებული მოზარდი თაობის აღზრდის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად აკაკი წერეთელიც ფიზიკურ აღზრდას აღიარებს. ფიზიკურად ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა მას ისეთივე დიდმნიშვნელოვან საზოგადოებრივ საქმედ მიაჩნია, როგორც ყმაწვილთა გონებრივი, ზნეობრივი, სულიერი განვითარება. იგი ფიზიკურ აღზრდას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, რადგან სწამს, რომ სხეულის გამოწრთობა და სილაღე ადამიანს „ჭკვა-გონების გავარჯიშებისა და გამოწვრთნის“, სულიერი ძალების ამადლების, გასპეტაკებისა და სრულყოფილი განვითარების ძლიერი საშუალებაა. აკაკი წერეთელი მოზარდთა ფიზიკური აღზრდის ძირითად საშუალებად მიიჩნევს მოძრავ თამაშობებს (ასათიანი, 1993: 283). პოეტი-განმანათლებელი, რომელიც

კარგად იცნობდა მის თანადროულ სასკოლო სისტემას, კატეგორიულად უარყოფდა მას და მოითხოვდა – მოზარდის აღზრდა ფიზიკური და გონებრივი ძალების ერთობლიობით განხორციელებულიყო (ასათიანი, 1993: 284).

ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდის მრავალი მომენტიდან იაკობ გოგებაშვილი განსაკუთრებულად გამოყოფს ფიზიკური აღზრდის მნიშვნელობას, მის თავისთავადობას და დამოუკიდებელ ხასიათს. იგი სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი ახალგაზრდობის, სრულყოფილ მოღვაწეთა აღზრდისათვის საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს. გოგებაშვილი ეხება თბილისის სასულიერო სემინარიის მრავალ პრობლემას და მათ შორის მწვავედ განიხილავს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის უგულვებლყოფას. ის წერდა: „მოსწავლეთა მატერიალურ კმაყოფილსა და საერთოდ მათ ფიზიკურ ჯანმრთელობაზე არასაკმაო ზრუნვა შეიძლება იქცეს ხელმძღვანელობით უკმაყოფილებისა და გაბორბლების ერთ-ერთ უძლიერეს მიზეზად“. მისი აზრით, სემინარიელთა ნორმალური აღზრდისათვის საჭიროა სემინარიის ხელმძღვანელობამ შექმნას „უვნებელ გართობათა მთელი სისტემა, რომელიც განამტკიცებს სემინარიელებში მხნე განწყობილებას და აღზრდის მათში კეთილშობილურ გრძნობებს“ (ასათიანი, 1993: 285). წერილში – „იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი როგორც პედაგოგი“, იაკობ გოგებაშვილი წერს: „ის თამაშობას თვლიდა აუცილებლად სასარგებლო მეცადინეობად არა მარტო სხეულისათვის, არამედ სულისათვის და ეჭვით უყურებდა აღსაზრდელებს, რომლებიც უქმად ატარებდნენ დროს, როცა მათი ამხანაგები მხიარულად თამაშობენ სემინარიის ეზოში“ (ასათიანი, 1993: 157-158). როგორც ცნობილია, გაბრიელ ეპისკოპოსი სასულიერო სემინარიაში მოღვაწეობის დროს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას, ხოლო ფსიქიკური განვითარების მთავარ საშუალებად აქტივობას მიიჩნევდა (ბასილაძე, 2000:74).

გიორგი წერეთელი ჰარმონიულად განვითარებული მოზარდი თაობის აღზრდის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად ფიზიკურ აღზრდას მიიჩნევს. მისი აზრით, ფიზიკური მოქმედება ადამიანს უვითარებს გამბედაობას, ხელს უწყობს მტკიცე ხასიათის ჩამოყალიბებას, სძენს მხნეობას და სიამოვნებით აღუვსებს გულს. გიორგი წერეთელი მოზარდის ფიზიკური აღზრდისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სპორტულ თამაშებს, რადგან მიიჩნდა, რომ თამაში ავარჯიშებს და წვრთნის არა მარტო ყმაწვილის სხეულს, არამედ ხელს უწყობს სულიერი ძალების განვითარებასაც. გიორგი წერეთლის აზრით, ფიზიკური

აღზრდა ადამიანს უხანგრძლივებს სიცოცხლეს, ნაყოფიერს და უხეშედგვიანს ხდის მის შრომას. ამიტომ მოზარდები ხშირად უნდა მონაწილეობდნენ სხვადასხვა სახის სპორტულ თამაშებში, რომლებსაც შეუძლიათ „გახსნან როგორც გონებისა, ისე სხეულისა“ (ასათიანი, 1993: 287–288).

გიორგი წერეთელი თანამემამულეებს მოძღვრავს, რომ აუცილებელია მივეყვით დიდ წინაპართა მცნებებს, რომლებიც ყოველი ღონისძიებით ცდილობდნენ ადამიანში შეეერთებინათ ძლიერი სული ძლიერ სხეულთან. ის მოითხოვდა, რომ „ჭაბუკში აღიზარდოს როგორც ფიზიკური, ისე სულიერი მხარე და მით იყოს გამზადებული ყოველგვარი ბრძოლისათვის“, რადგან „ნამდვილად განათლებული კაცი ის არის, რომელშიაც იმის ბუნების ყოველი მხარე გახსნილია და ერთმანეთთან ისე არიან შეთანხმებული, რომ არც ერთი მხარე არ დასძლევს მეორეს“.

სერგეი მესხი ჰარმონიულად განვითარებული მოზარდი თაობის აღზრდის ერთ-ერთ აუცილებელ და მნიშვნელოვან მხარედ ფიზიკურ აღზრდას აღიარებს. იგი იზიარებს შეხედულებას ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულის არსებობის შესახებ და გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ქართველი ხალხი ნელ-ნელა, ჩვენგანვე შეუნიშვნელად, მხდალ, ზანტ ხალხად ვხდებით. აღარ არის ჩვენში ძველებური ვაჟკაცობა, მხნეობა, სიმამაცე; აღარა სჩანან ჩვენში ძველებური გამოჩენილი ძალიანი, ღონიერი კაცები, ძველებური მარჯვე ცხენოსნები, მოჭიდავენი, მობურთავენი, მონადირენი და სხვა. სერგეი მესხი მთელი სერიოზულობით აყენებს მოზარდი თაობის ფიზიკური განვითარების საკითხს. მას წარმოუდგენლად მიაჩნია სწავლა-განათლების მოწყობა მოზარდის ფიზიკური აღზრდის გაუთვალისწინებლად. იგი მოითხოვს, რომ სახალხო სკოლამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ახალგაზრდობის ფიზიკურ გამოწრთობას. სერგეი მესხი გვაფრთხილებს, რომ „ხალხი, თავის განსაკუთრებულ ჩვეულებას, ხასიათს, ცხოვრებას, ერთი სიტყვით, თავის ნაციონალურ ხასიათს იცვლის და სტოვებს, ის ხალხი დაღუპულია, ის ერი მალე ამოიხოცება და გალღვება დედამიწის ზურგზედა“ (ასათიანი, 1993: 290).

ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიიჩნევს მოზარდი თაობის ფიზიკურ აღზრდას ნიკო ნიკოლაძეც. იგი ფიზიკურ შრომას და ვარჯიშს განსაკუთრებულად გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებს პიროვნების ყოველმხრივ განვითარებაში. ნიკო ნიკოლაძე მტკიცედაა დარწმუნებული, რომ ფიზიკური შრომა და მისი თანმიმდევრული

შეფარდება გონებრივ შრომასთან ხელს უწყობს ყმაწვილში საკუთარი ძალის შეგნების განმტკიცებას, მორალური კრიტიკიუმების შეცნობას და ცხოვრებისეული მოვლენების სწორად ახსნას. ნიკო ნიკოლაძე კატეგორიულად მოითხოვს, რომ „ბავშვის გონების გახსნისთანავე, კაცმა მის სხეულსაც უნდა უგდოს ყური“. ამ აზრს იგი სისტემატურად ავითარებს თავის მრავალრიცხოვან სტატიებში. მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის განხილვისას, ნიკო ნიკოლაძე ითვალისწინებს და იზიარებს ჟან-ჟაკ რუსოს, ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლიუბოვის შეხედულებებს. იგი მკაცრად აკრიტიკებს ბავშვის „ნარნარად აღზრდის“ არისტოკრატიულ წესს და მოითხოვს ყმაწვილთა ფიზიკური აღზრდის პროგრესული მეთოდების დანერგვას (ასათიანი, 1993: 295-298).

სამართლიანად აღნიშნავს ავთანდილ ციბაძე, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პრესის ფურცლებზე უხვად ვპოულობთ ქართველ განმანათლებელთა მოსაზრებებს იმის თაობაზე, თუ რა გავლენას ახდენს ფიზიკური აღზრდა პიროვნების ინტელექტუალურ აღზრდაზე, ფიზიკურ გამშვენებზე, ესთეტიკური გემოვნების განვითარებაზე, გონებრივ და სულიერ ამაღლებაზე. ისინი მიუთითებენ, თუ რა შინაარსის მომცველია ეროვნული სპორტის ცალკეული სახეობები, მოძრავი თამაშობები, რომელთა დანერგვა-დაუფლება აუცილებლად მოზარდის მაღალი იდეალებისთვის მომზადებას ითვალისწინებს. მათი საშუალებით ვითარდება საზოგადოების აქტიური წევრი, მებრძოლი ადამიანი, რომელსაც ფიზიკური აღზრდის დახმარებით ეძლევა „მაღალი ზნე და მაგარი აგებულება, რომ შემდეგ გახდეს ყოველისფრით სასარგებლო კაცი ქვეყნისათვის“. თუ მოზარდის აღზრდაში ჰარმონია ირღვევა, თუ აღზრდის საერთო სისტემაში ფიზიკური აღზრდა გაუფასურებულია, „მაშინ ამგვარი აღზრდა იქნება მავნებელი და უსარგებლო მისთვისაც და საზოგადოებისთვისაც“ („დროება“, 1870. 8).

ქართველი განმანათლებლები კარგად იცნობდნენ კლასიკური პედაგოგიკის მიღწევებს, ქართულ ტრადიციებს, თავიანთ თანამედროვე სასკოლო სისტემას; ისინი ითვალისწინებდნენ ეროვნულ ხასიათს, მისწრაფებებს, წინ სწევდნენ ფიზიკური განვითარების როლს მოზარდის სულიერ ჩამოყალიბებაში; გამოყოფდნენ სკოლამდელი და სასკოლო ასაკის მოზარდთა ფიზიკური განვითარების საშუალებებს, კანონზომიერებებს, განიხილავდნენ და ასაბუთებდნენ ფიზიკური აღზრდის მრავალმხრივ მნიშვნელობას; აყალიბებდნენ მწყობრ შეხედულებებს მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის სისტემის შესახებ,

ქმნიდნენ მეცნიერულ დონეზე დაფუძნებულ ფიზიკური აღზრდის ქართულ თეორიას (ასათიანი, 1993: 290–292). ფიზიკური აღზრდის ქართული ხალხური სისტემა, მისი მიზნები და ამოცანები, სტრუქტურა, ფიზიკური და სამხედრო გამოყენებითი ამოცანები და სხვა, რა სახითაც იგი ამჟამად ეთნოგრაფიულად არის შესწავლილი, რა თქმა უნდა, მთლიანად იმ შინაარსის არ არის, როგორც ძველად ყოფილა და, მით უფრო, არ შეიძლება წარმოშობის დროინდელს ზედმიწევნით ჰგავდეს. ამ სისტემაზე ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მხოლოდ ცალკეული ელემენტების მიხედვით, რომლებიც გადმონაშთების სახით შემორჩენილია ქართველთა შორის (ასათიანი, 1993: 143).

### ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თავისებურებები

ფიზიკური აღზრდა საზოგადოებრივი მოვლენაა (Григорьев, 1998:60-62). იგი წარმოიშვა საზოგადოებასთან ერთად და ვითარდება საზოგადოებრივი განვითარების კანონების მიხედვით. ფიზიკური აღზრდის სოციალური პრაქტიკის წარმმართველი იდეები და მისი ორგანიზაციის ფორმები ყოველთვის განპირობებული იყო კონკრეტული საზოგადოებრივი პირობებით, რაც თავის გამოხატულებას პოულობს სხვადასხვა საზოგადოებრივი ფორმაციის პირობებში შექმნილი ფიზიკური აღზრდის სისტემის თავისებურებებში (მატვევი, ნოვიკოვი, 1979: 9). ფიზიკური კულტურა ყველაზე მასშტაბური ცნებაა და ნიშნავს საზოგადოების იმ მიღწევათა ერთობლიობას, რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანთა ფიზიკურ განვითარებასა და ფიზიკურ განათლებაზე, ანუ იგივე „ფიზიკურ აღზრდაზე“, რადგან „ფიზიკური აღზრდა“ ადამიანის ფიზიკური განვითარებისა და განათლების მართვის ორგანიზებული პროცესია (ხარაბუგა, 1980:13–14). გამოყოფენ ფიზიკური კულტურის სპეციფიკურ და საერთო ფუნქციებს. სპეციფიკური ფუნქცია მდგომარეობს მის თვისებაში – დააკმაყოფილოს ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილება მოძრაობით აქტივობაში, რომლის საფუძველზე ხორციელდება ადამიანის ორგანიზმის ფიზიკური მდგომარეობის ოპტიმიზაცია და განვითარება ჯანმრთელობის განმტკიცების კანონზომიერებების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სიცოცხლისთვის აუცილებელ ქმედუნარიანობას. მოძრაობითი აქტივობა ყოველთვის იყო და რჩება ადამიანის ორგანიზმის განვითარების, ნორმალური ფუნქციონირებისა და თვით მისი არსებობის აუცი-

ლებელ პირობად. მოძრაობითი აქტივობის სრული გამოთიშვა ან მოძრაობაში მკვეთრი შეზღუდვა დამღუპველად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე. „ადამიანის ორგანიზმს ისე არაფერი ცვეთს და არღვევს, – შენიშნავდა არისტოტელე, – როგორც ხანგრძლივი ფიზიკური უმოქმედობა“ (კახიძე, 2002: 6-7).

ფიზიკური კულტურის სპეციფიკური საგანმანათლებლო ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ იგი ჩართულია განათლების საერთო სისტემაში და გამოიყენება სიცოცხლისთვის მნიშვნელოვანი მოძრაობითი ჩვევების გამომუშავებასა და მათთან დაკავშირებული ცოდნის მიღებისას (კახიძე, 2002:7). ფიზიკური კულტურის სპეციფიკური გამოყენებითი ფუნქცია წარმოადგენს შრომითი მოღვაწეობისათვის მომზადების ფაქტორს. თანამედროვე შრომითი პროცესები საჭიროებს მოცემული პროფესიული საქმიანობისათვის შესაბამისი ფიზიკური მომზადების უზრუნველყოფას (კახიძე, 2002:7). ფიზიკური კულტურის სპეციფიკური რეკრეაციული და სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ ფიზიკური კულტურა უპირატესად გამოიყენება თავისუფალი დროისა და დასვენების ორგანიზაციის ან სპეციალური აღდგენითი ღონისძიებების სისტემაში, სადაც იგი უზრუნველყოფს დაღლილობის დაძლევას, ემოციური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და ორგანიზმის დროებით დაქვეითებული ფუნქციური შესაძლებლობების აღდგენის ქმედით ფაქტორს. სპორტული ფუნქცია ყველაზე უფრო მკაფიოდ არის გამოხატული მაღალ სპორტულ მიღწევათა სფეროში (კახიძე, 2002:7).

ფიზიკური აღზრდის სისტემას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება (მატვევი, ნოვიკოვი 1979: 56). „ფიზიკური აღზრდა“, პირველ რიგში, დარგის პედაგოგიურ პროცესს აღნიშნავს (ელაშვილი, 1989:4). აღზრდის მიზანი, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მიზანი, რომელსაც აღზრდის სფეროში თავის წინაშე სახავს ხალხი და საზოგადოება, შეიცავს იმ შედეგების პროგნოზს, რომლებიც მიღწეული უნდა იყოს ადამიანზე მიმართული პედაგოგიური ზემოქმედების შედეგად, რითაც საჭირო დონით განხორციელდება მისი ფიზიკური და სულიერი განვითარება, სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი ცოდნის, უნართვისებების, ჩვევების შექმნა. ამასთან ერთად, მიზანი ასე თუ ისე ყოველთვის ასახავს საზოგადოების ცხოვრების ობიექტური პირობებით ნაკარნახევ განსაზღვრულ საზოგადოებრივ მოთხოვნებს. იგი არ შეიძლება დავისახოთ ნებისმიერად. აღზრდის მიზნის განსაზღვრისას, მთავარი სწორედ ის არის, რომ სწორად გავიგოთ ობიექტური მოთხოვნები, რომელთაც ცხოვრება წარუდგენს

ადამიანს, როგორც საზოგადოებრივი პროგრესის აქტიურ მონაწილეს (მატკევი, ნოვიკოვი, 1979: 56).

ზოგადად ფიზიკური აღზრდის სისტემა მიზნად ისახავს აღზარდოს ფიზიკურად სრულყოფილი, აქტიური, შემოქმედებითი შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის ყოველმხრივ მომზადებული ადამიანები. აქედან გამომდინარე, „უმცროს სასკოლო ასაკში ფიზიკური აღზრდის მიზანი და ამოცანებია: ჯანმრთელობის განმტკიცება, ბავშვის ჰარმონიული განვითარებისათვის ხელის შეწყობა, გარემო პირობებისადმი შეგუება და ორგანიზმზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორებისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარის აღზრდა. ძალიან მნიშვნელოვანია, აგრეთვე, კოორდინაციის განვითარება, უსაფრთხოების წესების დაცვა, ჰიგიენის შესახებ ელემენტარული ცოდნის შექმნა, უკვე არსებული და შექმნილი უნარ-ჩვევების განმტკიცება, ჯანსაღი ცხოვრების წესის სწავლება და სხვა ფიზიკური და სოციალური უნარების აღზრდა, აგრეთვე, ორგანიზმის გაკაუების წესების დაუფლება, მოძრაობითი აქტივობის დროს აზროვნების, მეხსიერების განვითარების პროცესებისადმი ხელის შეწყობა“ (აფციაური, 2007:15).

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ქვეყანაში დაიწყო ფიზიკური განათლებისა და სპორტის განვითარების დამოუკიდებელი სისტემის ფორმირება. ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე ეს პროცესი მრავალი სიძნელის პირობებში მიმდინარეობდა (თევზაძე, 2011:1). შეიძლება ითქვას, რომ დღესაც კი საქართველოში ფიზიკური აღზრდის ქართული სისტემა ჯერჯერობით ჩამოყალიბებული არ არის (კახიძე, 2002:17). ფიზიკური კულტურის ეროვნული ფორმა გამოიხატება იმით, რომ ის თავისი წარმოშობისა და განვითარების მიხედვით კონკრეტული ეროვნების კუთვნილებაა (ელაშვილი, 1989:4). მნიშვნელოვანია, რომ ფიზიკური განათლებისა და სპორტის პოპულარიზაციას არ აქვს მასობრივი და სისტემური ხასიათი, რაც სათანადოდ აისახება საზოგადოების დამოკიდებულებაზე აღნიშნული სფეროს მიმართ (ფიზიკური აღზრდის კონცეფცია, 2010:4–8). ახალმა სტრატეგიამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა მოტივაციას და გაზარდოს მათი ჩართულობა სპორტულ აქტივობაში. შიდასასკოლო, რაიონულმა და ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულმა სპორტულმა შეჯიბრებებმა მოსწავლეებისთვის უნდა შექმნას მასტიმულირებელი გარემო (ფიზიკური აღზრდის კონცეფცია, 2010:3).

განათლების სისტემაში ახლის ძიება და რეფორმირება ახალი მოვლენა სულაც არაა და უნდა აღინიშნოს, რომ: „თანამედროვე ეპოქაში მდგომარეობა



ძირფესვიანად შეიცვალა ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-იან წლებში, როცა ცნობილი გახდა განათლების ეკონომიკური ეფექტიანობა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის წინსვლასთან, რომ განათლებაში დაბანდებული კაპიტალი არა მარტო სოციალური თვალსაზრისით, არამედ ეკონომიურადაც სასარგებლოა. მაშასადამე, ნათელი გახდა სკოლისა და განათლების მთელი სისტემის გარდაქმნის აუცილებლობა და აი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაიშალა პროცესი, რომელსაც დასავლეთის პედაგოგებმა „სასკოლო რეფორმების ეპიდემია“ უწოდეს. ამ პროცესის გარეშე არ დარჩენილა არც ერთი კაპიტალისტური ქვეყანა. ასე, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში რამდენიმე წლის მანძილზე განათლების იმდენი კანონი მიიღეს, რაც არ ყოფილა მთელი წინა საუკუნის განმავლობაში (ვასაძე, 1988:156).

„მართალია, სხვადასხვა ქვეყანაში რეფორმები სხვადასხვა გზით მიმდინარეობს, მაგრამ ვლინდება საერთო კანონზომიერებანიც; რეფორმათა პროექტების შედგენაში, როგორც წესი, ფართო პედაგოგიური საზოგადოება არ მონაწილეობს, იგი მაღალი რანგის მოხელეების პრივილეგიაა“ (ვასაძე, 1988:157). წესი – წესია, მაგრამ მთავარია, ეს წესი კანონზომიერებად არ ვაქციოთ, თორემ ამგვარი მდგომარეობის შესახებ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში აღნიშნავდა ცნობილი რუსი საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი ნ. ა. დობროლიუბოვი, რომ საჭიროა პრინციპულობა, მყარი ცოდნის საფუძვლები, განსაზღვრული თეორია, რომელიც „არ ამახინჯებს მეცნიერებას ხელისუფლებისადმი მამებლობის გამო“ (ვასაძე, 1988:211).

ამჟამად, „სულ უფრო ერთ მთლიანობად იკვრება მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცე და სრულიად ახალ შინაარსს იძენს ეროვნული განათლების სისტემის ავტონომიურობა. მსოფლიო ბაზარი, რომელიც სულ უფრო ერთიანი ხდება, გლობალურ კონკურენციას ამკვიდრებს. ამ კონკურენციაში წარმატება იმას ხვდება წილად, ვისაც უკეთესი ტექნოლოგია აქვს. აქედან გამომდინარე, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს არა იმდენად ცოდნა, რამდენადაც მისი გამოყენების მეთოდი. ამიტომ აქტუალურია იმის გარკვევაც, თუ როგორ უნდა იყოს ორგანიზებული განათლების სისტემა, ცოდნის გადაცემის მრავალმხრივი კომპლექსური პროცესი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ათვისებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემდგომში რაციონალური გამოყენება“. ჩვენ წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ შედარებითი პედაგოგიკა, რომელიც „მოწოდებულია შესწავლა-ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს რაციონალური რეკომენდაციები,

რომლებიც სასიკეთოდ წაადგება ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის მესვეურებს ცალკეული პრობლემებისადმი სწორი მდგომარეობის შემუშავებისას“ (ცუცქირიძე, 2005:5).

### სპორტული წვრთნის შინაარსი და განმსაზღვრელი ნიშნები

ფიზიკური კულტურა, როგორც საზოგადოებისა და პიროვნების კულტურის ნაწილი, მისი სპეციფიკური შინაარსის საფუძველს წარმოადგენს და გვევლინება ადამიანის მიერ მოძრაობითი მოღვაწეობის რაციონალურ, ცხოვრებისეულ პრაქტიკაში ფიზიკური მომზადების, ფიზიკური მდგომარეობის ოპტიმიზაციისა და განვითარების შემადგენელ ფაქტორად. ფიზიკურ კულტურაში პედაგოგიური პროცესის ძირითადი ფუნქციებია: სწავლება, აღზრდა და მოსწავლეთა განვითარება. დღემდე ამ ფუნქციათა რეალიზაცია მნიშვნელოვანი სიძნელეების წინაშე დგას. მრავალი მოსწავლის მოძრაობითი აქტივობის დონე (Бальсевич, 1997:36-115) არსებული ნორმის შესაბამისი არ არის. ორგანიზმის მიერ ბიოლოგიურად აუცილებელი ფიზიკური დატვირთვის ქრონიკულ უკმარისობას ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებამდე მივყავართ. ასეთი მდგომარეობის მიზეზები შეიძლება იყოს: ფიზიკური კულტურის მნიშვნელობის არასათანადოდ შეფასება; სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; არასაკმარისი დაფინანსება; აუცილებელი სპორტული ინვენტარის, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის არქონა.

სწავლების პროცესი ითვალისწინებს: პირადი ფიზიკური აქტივობის საფუძვლების დაუფლებას; ფიზიკური კულტურის, უნარისა და ჩვევების, ცოდნის შექმნას; კოორდინაციული შემძლეობის განვითარებას; დამოუკიდებელი ფიზიკულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მოღვაწეობის ჩვევების გამომუშავებას; ზნეობრივი თვისებებისა და გონებრივი შესაძლებლობების, ნებელობის განვითარებას. სწავლების პროცესში მოსწავლეთა ეფექტური განვითარებისათვის ფიზიკური კულტურის მასწავლებლები თავის პრაქტიკაში იყენებენ: სწავლების ოპტიმიზაციასა და ინტენსიფიკაციას თანამედროვე პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური და ფსიქოფიზიოლოგიური ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე. ეს ნიშნავს ვერბალური მეთოდებიდან და მზა ინფორმაციის გადაცემის

ფორმიდან გამოსვლას და შემძლეობისა და ჩვევების, ფიზიკური კულტურის მრავალფეროვან ფორმებზე გადასვლას.

ამრიგად, საგანმანათლებლო პროცესზე წაყენებული მოთხოვნები მიმართულია პიროვნების ჰარმონიული განვითარების ფორმირებისაკენ, მათ შორის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის საშუალებებით და მეთოდებით. სკოლის სასწავლო პროცესის ინტენსიფიკაციას, ახალი საგნების შემოღებას, სწავლების კომპიუტერულ სისტემაზე გადაყვანას ხშირად მიეყვართ მოსწავლეთა სასწავლო და დასვენების ჩვეული რიტმების დარღვევებთან, ფსიქიკური და ფიზიკური დატვირთვების ამაღლებასთან. ფიზიკურ კულტურაში ცოდნისა და უნარ-ჩვევების წარმატებით დაუფლება მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს: აითვისონ ცოდნის დიდი მოცულობა სხვა დისციპლინებში; კარგ მდგომარეობაში შეინარჩუნონ ფიზიკური ფორმა; აიმაღლონ აკადემიური მოსწრება დასახული ამოცანების შესაბამისად.

ამგვარად, საგანმანათლებლო სისტემაში ფიზიკური კულტურა მჭიდრო ურთიერთობაშია სხვა სასწავლო დისციპლინებთან, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს საერთო საგანმანათლებლო მიზნის მისაღწევად. მოსწავლეთა ფიზიკური განვითარების საგანმანათლებლო მიზნებს მიეკუთვნება: ადამიანისათვის დამახასიათებელ ფიზიკური თვისებების განვითარების ოპტიმალური დონე; ჯანმრთელობის შენარჩუნება და განმტკიცება, ორგანიზმის წრთობა. საგანმანათლებლო ამოცანებს, რომლებიც სწავლების პროცესში წყდება, განეკუთვნება: ფიზიკური კულტურის მიმართ მოსწავლე ახალგაზრდობის მოტივაციურ-ღირებულებითი დამოკიდებულების წინმსწრები ფორმირება; ფიზიკური ვარჯიშებითა და სპორტით რეგულარულად დაკავებულობა; სასწავლო და პროფესიულ საქმიანობაში შრომისუნარიანობის დაუქვეითებლად ფიზიკური და ფსიქოლოგიური გადაღლის მიმართ წინააღმდეგობის გაწევის უნარის შემუშავება.

ამ წინაპირობის რეალიზაცია ითვალისწინებს: ფიზიკური კულტურისა და სპორტის როლის შეცნობას პიროვნების განვითარებაში; მოსწავლეთა კარგი ჯანმრთელობა და ფიზიკური მდგომარეობა უნდა განვიხილოთ, როგორც ფიზიკულტურული განათლების სპეციფიკური და დინამიკური პროცესის ერთ-ერთი მთავარი შედეგი. სასწავლო კურსის რეალიზაცია გულისხმობს მოსწავლეთა სასიცოცხლოდ აუცილებელი მოძრაობითი უნარ-ჩვევების ფორმირებას ფიზიკური დატვირთვების ზემოქმედებით, აგრეთვე, არჩეული სპორტის სახეობაში მეცადინეობათა ინტენსიფიკაციით (Бальсевич, 1997:15-25).

სასწავლო პროცესის ინფორმაციის ძირითად მოთხოვნილებად ფიზიკურ კულტურასა და სპორტში წარმოადგენს: კავშირი საგანმანათლებლო პროცესის ამოცანებთან; ფიზიკური დატვირთვების თანაბარზომიერი განაწილება; ადგილობრივი პირობების გათვალისწინება.

კავშირი ფიზიკურ სწავლებასა და საგანმანათლებლო პროცესის საერთო ამოცანებთან განპირობებულია იმით, რომ ის ემსახურება პედაგოგთა პროფესიული დონისა და მოსწავლეთა შრომისუნარიანობის ამაღლებას, მათ მიერ სასწავლო დისციპლინების ათვისებას. ამისათვის აუცილებელია: მეცადინეობის ჩატარება არანაკლებ კვირაში ორჯერ; რეკომენდაციები თითოეულ დღეზე დილის ფიზიკური ვარჯიშის ჩასატარებლად; კვირაში ორჯერ სპორტული წვრთნის ჩატარება; სისტემატიურობა რეალიზდება თითოეული მოსწავლის ფიზიკური და სპეციალური თვისებების თანდათანობით გაზრდაში, მათ მიერ გამოყენებითი ჩვევების გამყარებაში; თანაბარზომიერი განაწილება საერთო დატვირთვების მთელი სასწავლო კვირის განმავლობაში უზრუნველყოფილია სხვა სასწავლო დისციპლინებში მეცადინეობის დატვირთვების გათვალისწინებით, რომელიც თანხმდება დროისა და შინაარსის მიხედვით. წვრთნა სექციაში სპორტული სახეობების მიხედვით იგეგმება იმ დღეებში, როცა არ ტარდება სასწავლო მეცადინეობანი. მოსწავლეთა მომზადება ფიზიკურ კულტურასა და სპორტში გვევლინება სასწავლო პროცესის ორგანიზაციის მნიშვნელოვან ასპექტად, მის საფუძველს წარმოადგენს ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური მეცნიერებების დონის მუდმივი ამაღლება და პროფესიული დაოსტატება.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა – ფიზიკულტურასა და სპორტში მეცადინეობის ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ელემენტია. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მეცადინეობათა და სპორტულ დონისძიებათა მაღალი დონე მიიღწევა კარგი სპორტული ბაზების მეშვეობით. მეცადინეობათა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხორციელდება ისე, რომ ყოველ სასწავლო ჯგუფში მაქსიმალურად კეთილგანწყობილი პირობები იყოს შექმნილი. ფიზიკური კულტურის სწავლების პროცესის ძირითადი მიმართულება – ეს არის მოსწავლეთა მიერ სამეცნიერო ცოდნის დაუფლება, მოძრაობითი უნარებისა და ჩვევების, ფიზიკური ნიჭიერებისა და კრეატიულობის განვითარება, ისეთი ქცევის ფორმირება, რომელიც პასუხობს პიროვნების სოციალურ მიმართულებას.

საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და აღზრდის პროცესში ფიზიკური კულტურისა და სპორტის სისტემის ძირითად საერთო ამოცანად

შეიძლება დასახელებული იყოს: მოსწავლეთა ფიზიკური თვისებების განვითარება და სრულყოფა; თითოეული მოსწავლის მიერ ფიზიკური კულტურის ძირითადი გამოყენებითი საფუძვლების დაუფლება.

**ფიზიკური კულტურის კურსის სოციალური ამოცანები.** პირველი ამოცანაა – ფიზიკური თვისებების განვითარება და სრულყოფა; მეორე ამოცანა – ეს არის თითოეული მოსწავლის მიერ ფიზიკური კულტურის ძირითადი გამოყენებითი ჩვევების, ილეთების დაუფლება ვარჯიშების მეშვეობით; მესამე ამოცანა არის მოსწავლეთა სწავლის და აღზრდის პროცესში პიროვნული თვისებების ფორმირება; მეოთხე ამოცანა – სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გამაჯანსაღებელი მიმართულება. ეს, პირველ რიგში, ჯანმრთელობის განმტკიცებას და ორგანიზმის წრთობას, არასასურველი ფაქტორების ზემოქმედების მიმართ მდგრადობის ამაღლებას და პროფესიული მოღვაწეობის პირობას წარმოადგენს. ამ ამოცანების გადაწყვეტა თავის ასახვას პოულობს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სასწავლო აღმზრდელობითი (Бальсевич, 1999:21-26) მუშაობის პრაქტიკაში. ნებისმიერი ამოცანის მიღწევა უზრუნველყოფილი უნდა იყოს არა მოსწავლეთა ჯანმრთელობის ხარჯზე, არამედ ჯანმრთელობის მუდმივი განმტკიცებისა და ორგანიზმის წრთობის აუცილებელი პირობით.

მოძრაობათა სწავლების პროცესი პირობითად შეიძლება დავეყოთ 3 ეტაპად: პირველდაწყებითი ეტაპი (გაცნობა), გაღრმავებული სწავლების ეტაპი, განმტკიცებისა და შემდგომი სრულყოფის ეტაპი. გაცნობა გულისხმობს ვარჯიშის დასახელებას, მის სწორ ჩვენებას, შესრულების ტექნიკის ახსნას და მისი დანიშნულების გაცნობიერებას. ძალზე მნიშვნელოვანია ვარჯიშის სამაგალითოდ ჩვენება, ანუ შესასრულებელი მოძრაობის მხედველობითი გამოსახვა. ეს შეიძლება განახორციელოს როგორც თვით მასწავლებელმა, ისე შედარებით უკეთ მომზადებულმა მოსწავლემ. მოცემული ეტაპის მიზანია – შესასწავლი მოძრაობების ტექნიკის საფუძვლების ჩამოყალიბება და მათი შესრულების მიღწევა. ამ ეტაპზე ძირითადი ამოცანები დაიყვანება შესასრულებელ მოძრაობათა აზრობრივი და მხედველობითი წარმოსახვის ფორმირებამდე.

გაღრმავებული სწავლების ეტაპი გულისხმობს მოძრაობების პრაქტიკულად განხორციელებას, ზედმეტი და ხელისშემშლელი გარეგანი და შინაგანი გამღიზიანებლების გარეშე, ანუ ზედმეტი მოძრაობების გარეშე.

განმტკიცებისა და შემდგომი სრულყოფის ეტაპი გულისხმობს უკვე ათვისებული ვარჯიშის მრავალჯერად განმეორებას, მოძრაობის მყარად ათვისებამდე ანუ მოძრაობითი ჩვევის განმტკიცებას (კახიძე, 2002:92-98).

ფართოდ გამოიყენება სიტყვიერი და თვალსაჩინოების მეთოდები. მოსწავლეთა მომზადებულობისა და ვარჯიშის სირთულის გათვალისწინებით, გამოიყენება შესწავლის შემდეგი მეთოდები:

მთლიანობის – თუკი ვარჯიშში რთული არაა, მისაწვდომია მოსწავლეთათვის, ან თუკი მისი შესრულება დანაწევრებით (ნაწილ-ნაწილ) შეუძლებელია;

დანაწევრების – როცა ვარჯიშში რთულია, შესაძლებელია მისი ელემენტებად დაშლა, მოსამზადებელი (მიმყვანი) ვარჯიშების მეშვეობით – თუკი მთლიანობაში ვარჯიშის სირთულის გამო მისი შესრულება არ შეიძლება, მისი დანაწევრება კი შეუძლებელია;

სწავლება ხორციელდება მხოლოდ მოსწავლეთა სრული ფიზიკური და ფსიქიკური მზადყოფნის შემდეგ. ფიზიკური ვარჯიშების (Charlton, 1997: 345-354) სწავლების მეთოდები – ესაა გზები და ხერხები, რომელთა მეშვეობით მასწავლებელი მოსწავლეებს გადასცემს ცოდნას, უყალიბებს მათ შესაბამის მოძრაობით ჩვევებს და სპეციალურ ფიზიკურ თვისებებს. საერთო პრაქტიკაში არჩევენ სიტყვის, თვალსაჩინოების და პრაქტიკული შესრულების მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება როგორც კომპლექსურად, ისე დიფერენცირებულად. სიტყვიერი მეთოდი ეფუძნება სიტყვის, როგორც მოსწავლეზე ზემოქმედების საშუალების, გამოყენებას და ითვალისწინებს საუბარს, მოყოლას, ახსნას, აღწერას, გარჩევას, დავალებას, ბრძანებებს, შენიშვნებს, მითითებებს, დათვლასა და შეფასებას.

სწავლების თვალსაჩინოების მეთოდი – ეს არის ვიდეოფილმების, კინოპროგრამების, ფოტოსურათების, პლაკატების, სურათებისა და სქემების დემონსტრირება, რომლებიც მოსწავლეს შეუქმნის წარმოსახვით წარმოდგენებს შესასწავლ ვარჯიშებზე, აგრეთვე, ეს არის ხმოვანი და ფერთა ინფორმაცია. ვარჯიშთა ჩვენება უნდა იყოს მკაფიო, სამაგალითო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის უარყოფითად იმოქმედებს მოსწავლეთა ფსიქიკაზე, წაგვიყვანს არასწორ მოქმედებამდე და იღეთებამდე. ჩვენება მნიშვნელოვანია სწავლების პირველ-დაწყებით ეტაპზე, როცა ახსნა ვერ იძლევა სრულ წარმოდგენას შესრულებულ ვარჯიშზე. აუცილებლობის შემთხვევაში ვიყენებთ „სარკისებური“ ჩვენების

ხერხს. სწავლების ამ მეთოდის გამოყენების ერთ-ერთი ფორმაა საჩვენებელი გამოსვლები ( კახიძე, 2002: 60-61; მატვეევი, ნოვიკოვი, 1979:132-134).

მოძრაობითი ჩვენების ფორმირებაში, მოსწავლეთა ფიზიკური და სპეციალური თვისებების განვითარებასა და სრულყოფაში პრაქტიკული მეთოდი გადამწყვეტ როლს თამაშობს. ეს, როგორც წესი, ეხება სწავლებას მთლიანობაში და დანაწევრებით, ვარჯიშთა (ზოგჯერ მრავალჯერად) გამეორებას ფიზიკური დატვირთვების გაზრდითა და პირობების თანდათანობით გართულებით.

სწავლების მეთოდების შერჩევისას, მნიშვნელოვანია მეთოდური ხერხები: ვარჯიშის შესრულების მოსინჯვა ხელმძღვანელის ბრძანებით, ვარჯიშთა დამოუკიდებლად შესრულება, დახმარების აღმოჩენა, წახალისება. ეს ყველაფერი გამოიყენება მიზანთან ურთიერთკავშირში, რათა თითოეულ სასწავლო მეცადინეობაზე მივაღწიოთ მაღალ ეფექტურობას.

**ფიზიკური კულტურის სპეციფიკურ მეთოდებს მიეკუთვნება:** მკაცრად რეგლამენტირებული ვარჯიშების მეთოდები; ვარჯიშების გამოყენება თამაშის ფორმით; აღზრდის მეთოდები განიხილება, როგორც აღმზრდელისა და აღსაზრდელის ურთიერთქმედების ხერხი, რომელიც მიმართულია აღმზრდელობითი მიზნების მისაღწევად. შესასრულებელ ვარჯიშებში ზუსტად დოზირებული ინტერვალები გამორიცხავენ მეცადინეობებზე გადატვირთვის (Верхошанский, 1987:811-818) შემთხვევებს. გარდა ამისა, მოცემული მეთოდები უზრუნველყოფს ფიზიკური თვისებების შერჩევით განვითარებას, მეცადინეობებზე ფიზიკური ვარჯიშების გამოყენებას ნებისმიერ ასაკობრივ კონტინგენტთან, ფიზიკური ვარჯიშების ტექნიკის ეფექტურ ათვისებას.

ფიზიკური კულტურის პრაქტიკაში მკაცრად რეგლამენტირებულ ვარჯიშთა მეთოდებს შორის გამოყოფენ, აგრეთვე, შეწყვილებულ მეთოდს. შეწყვილებული მეთოდი, ძირითადად გამოიყენება შესწავლილი მოძრაობითი მოქმედებების ხარისხობრივი გაუმჯობესების, ანუ შედეგიანობის სრულყოფის პროცესში. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოძრაობითი მოქმედების ტექნიკა სრულყოფილი ხდება ფიზიკური ძალისხმევის გაზრდის მოთხოვნის პირობებში. მაგალითად, წვრთნისას სპორტსმენი ისვრის დამძიმებულ შუბს ან დისკს, ხტება სიგრძეზე დამძიმებული ქამრით, დისტანციაზე დარბის ამორტიზატორებით, რომლებიც ეწინააღმდეგება მოძრაობას და სხვა. ამ შემთხვევაში ერთდროულად ხდება როგორც მოძრაობის ტექნიკის, ასევე, ფიზიკური შესაძლებლობების სრულყოფა. შეწყვილებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში,

საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ შესასრულებელი მოძრაობის ტექნიკა არ დამახინჯდეს და არ დაირღვეს მისი მთლიანობის სტრუქტურა.

მკაცრად რეგლამენტირებული მეთოდები, რომლებიც გამოიყენება ფიზიკურ თვისებათა აღზრდისა და განვითარებისათვის, წარმოადგენს დატვირთვისა და დასვენების სხვადასხვა კომბინაციას. ისინი მიმართულია ორგანიზმში ადაპტაციური გადაწყობების მისაღწევად და გასამყარებლად. ამ ჯგუფის მეთოდები შეიძლება დავეყოთ სტანდარტული და არასტანდარტული (ცვალებადი) დატვირთვების მეთოდებად.

სტანდარტული ვარჯიშების მეთოდები, ძირითადად, მიმართულია ორგანიზმის ადაპტაციური გადაწყობისაკენ. სტანდარტული ვარჯიშები შეიძლება იყოს უწყვეტი და წყვეტილი (ინტერვალებით). ვარჯიშთა უწყვეტი – სტანდარტული მეთოდები წარმოადგენს უწყვეტ კუნთურ მოქმედებას ინტენსივობის ცვლილების გარეშე (როგორც წესი, მოზომილი). მისი გამოვლინების ყველაზე ტიპური მრავალსახეობად გვევლინება:

- თანაბარზომიერი ვარჯიშები (მაგალითად, ხანგრძლივი სირბილი, ცურვა, თხილამურებზე სიარული, ნინბოსნობა და სხვა ციკლური ვარჯიშების სახეობები);

- ზუსტი სტანდარტული ვარჯიშები (მაგალითად, უწყვეტი მრავალჯერადი შესრულება ტანვარჯიშის შემადგენელი ელემენტარული ვარჯიშებისა);

- სტანდარტული – ინტერვალური ვარჯიშების მეთოდი – ეს, როგორც წესი, ვარჯიშის განმეორებაა, როცა ერთი და იგივე დატვირთვა მრავალჯერ მეორდება. ამასთან ერთად, განმეორებებს შორის შეიძლება იყოს დასვენების სხვადასხვა ინტერვალი.

სავარჯიშოებს პროგრესირებადი დატვირთვით ორგანიზმი უშუალოდ მიჰყავს ფუნქციონალური შესაძლებლობების ამაღლებისაკენ. სავარჯიშოები ვარირებადი დატვირთვით მიმართულია ჩქაროსნული, კოორდინაციული და სხვა „ბარიერების“ გასაფრთხილებლად და აღმოსაფხვრელად.

სპორტში დიდი მნიშვნელობა აქვს თამაშის მეთოდებს. ფიზიკური კულტურის სისტემაში თამაში გამოიყენება გამაჯანსაღებელი და აღმზრდელობითი ამოცანების გადასაწყვეტად. თამაშის მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მათთვის, ვინც ამ მოძრაობებით არის დაკავებული, ასევე აუცილებელია თამაშის წესებისა და პირობების შესრულება.

სათამაშო მეთოდის განსაკუთრებულ მახასიათებლებს წარმოადგენს:



– ფიზიკური ღირებულებების მრავალმხრივი, კომპლექსური განვითარება და მოძრაობითი უნარების სრულყოფა, რადგანაც თამაშის პროცესში ისინი გამოვლენდებიან არა იზოლირებულად, არამედ მჭიდრო ურთიერთკავშირში;

– ფიზიკური თვისებების შეერჩევითი განვითარება (შეირჩევა შესაბამისი თამაშები).

მონაწილეთა შორის არსებული მეტოქეობა მოითხოვს მნიშვნელოვან ფიზიკურ ძალისხმევას, ნებისყოფის გამოვლენას და სხვა ფსიქოლოგიურ თვისებებს; ემოციური მომხიბვლელობა და სიამოვნების მიღების ფაქტორი ეხმარება მოსწავლეებს მყარი, დადებითი ინტერესების განვითარებაში ფიზიკური ვარჯიშების მიმართ (კახიძე, 2002: 56).

## თავი მეორე

### ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ზოგადი საფუძვლები

#### ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფიზიოლოგიური საფუძვლები

ადამიანის ორგანიზმის განვითარების პროცესში (კახიძე, 2004:19-30) მისი ორგანოებისა და ქსოვილების სტრუქტურა და ფუნქციები არათანაბრად ვითარდება. ამ განვითარების კანონზომიერებათა ცოდნას არსებითი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ასაკის ადამიანთა ფიზიკური აღზრდის რაციონალური წარმართვისათვის (Волков, 1998:21-23). პედაგოგმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ფუნქციათა ევოლუციური ასაკობრივი საფეხურები და ამა თუ იმ სპორტისადმი მოსწავლე სპორსმენის გენეტიკური მონაცემები (Зациорский, 1973:54-56).

ფიზიკური კულტურის განვითარებაში მნიშვნელოვანია შემდეგი წინაპირობები:

**სიარული.** ბავშვებს ცხოვრების მეორე ნახევარწლეულის განმავლობაში გამოუმუშავდებათ წინალოკომოტორული ჩვევები. დიდი მნიშვნელობა აქვს სიარულში ვარჯიშს დაკავებით, რომელიც ხშირად იწყება 6 თვის ასაკიდან. ამ ასაკში დამოუკიდებელი სიარული (სხვის დაუხმარებლად, წინ წახრილი ტანით, მუხლებში მოხრილი ფეხებით) მნიშვნელოვნად განსხვავდება სასკოლო ასაკის ბავშვების სიარულისაგან.

4 წლის ბავშვის ნაბიჯის სიგრძე 39–40,5 სანტიმეტრია, 7 წლისათვის აღწევს 51,7–53 სმ-ს, ხოლო 14 წლისათვის 64,3–73,9 სმ-ს. ასაკის მატებასთან ერთად, ჩვეულებრივი სიარულის სიჩქარე მატულობს. რვა წლამდე ეს, პირველ რიგში, დაკავშირებულია ნაბიჯის დაგრძელებასთან, ხოლო 8 წლის შემდეგ – მოძრაობის ტემპის მატებასთან ნაბიჯის სიგრძის სტაბილიზაციით.

სიარულის სწავლებისას თავიდანვე ყურადღება უნდა მიაქციონ სწორ ტანადობას, თავისუფალ, შეუზღუდველ ნაბიჯებს ტერფის პარალელური დადგმით, მკვეთრ „გადასვლას“ ქუსლიდან ფეხის წვერზე.

**სირბილი.** ფრენის ელემენტები, რომლებითაც სიარული განსხვავდება სირბილისაგან, შეიმჩნევა 2 წლამდე ბავშვებში, 2-დან 10 წლამდე “ფრენის” ფაზა იზრდება 2,5-ჯერ და უფრო მეტად. ეს ზრდა განსაკუთრებით გამოხატულია 2-დან 5 წლამდე. სირბილის მაქსიმალური სიჩქარე მკვეთრად მატულობს ასაკთან ერთად. ასე მაგალითად, 7 წლამდე ბავშვებში იგი საშუალოდ 4,55 მ/წმ-

ს უდრის, 10–11 წლამდე 5,37 მ/წმ-ს, 12–13 წლამდე – 5,78 მ/წმ-ს, 14-15 წლამდე – 6,07 მ/წმ-ს, 15-16 წლამდე – 7,59 მ/წმ-ს, 17-18 წლამდე – 8 მ/წმ-ს (სპორტის ოსტატები 19-20 წლის ასაკში – 9,77 მ/წმ). სირბილის 8 მ/წმ-ზე მეტი სიჩქარე მიიღწევა მხოლოდ სპეციალური ვარჯიშით სპორტში, ნერვ-კუნთოვან ფუნქციათა ცენტრალური რეგულაციის კოორდინაციული მექანიზმების განვითარების გზით. ასაკისგან დამოუკიდებლად სიჩქარის მაქსიმუმი დისტანციაზე მიიღწევა მე-5–6 წმ-ზე.

**ტყორცნა.** ერთი წლის ბავშვს შეუძლია არა მარტო საგნების წატაცება ერთი ანდა ორი ხელით, არამედ მათი გადაგდებაც კი, 3 წლის ბავშვები ერთი ხელით ისვრიან პატარა ბურთს 1 მ-ზე მეტ მანძილზე. მოძრაობის კოორდინაციისა და კუნთების ძალის, განსაკუთრებით კი მხრის სარტყელისა და ხელის კუნთების დაკავშირებით სასკოლო ასაკისათვის ტყორცნის უნარი სწრაფად მატულობს, განსაკუთრებით, ბიჭებში. ასე, მაგალითად, ვ. ლევი-გორინევესკაიას მონაცემების მიხედვით, 5 წლის ბიჭები ტყორცნიან (მარჯვენა ხელით) 150-200 გრამიან ქვიშის ტომსიკებს 7,73 მ მანძილზე, ხოლო 7 წლისა – 10,80 მ-ზე. გოგონები, შესაბამისად, 4,57 და 5,70 მ-ზე. სასკოლო ასაკში გრძელდება მანძილისა და მიზანში ტყორცნის სიზუსტის ზრდა და უფრო მკვეთრად შეინიშნება განსხვავება გოგონებსა და ბიჭებს შორის.

### **ფიზიკური თვისებების განვითარება**

**ძალა.** ბავშვის ჩონჩხის ინტენსიური განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული კუნთების, მყესებისა და სახსროვანი აპარატის ფორმირებასთან. 8 წლის ბავშვის კუნთების წონა აშკარად ნაკლებია სხეულის წონის 1/3-ზე, 15 წლისათვის აღწევს თითქმის 1/3-ს, ხოლო 17-18 წლისათვის სხეულის წონის ნახევარზე თითქმის ცოტათი ნაკლებია. კუნთების წონის ზრდისა და ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შეცვლასთან ერთად, სრულყოფილი ხდება მათი ფუნქციური თვისებები, მდიდრდება ინერვაციული მიმართებანი. სხვადასხვა კუნთის წონა ერთნაირად არ მატულობს. მაგალითად, სიცოცხლის პირველი ცხრა წლის განმავლობაში მუცლის სწორი კუნთის წონა მატულობს 88,9-ჯერ, ხოლო გარეთა ირიბი კუნთისა – მხოლოდ 66,6-ჯერ. არაერთნაირად იცვლება ხელებისა და ფეხების კუნთების წონაც.

ასაკთან ერთად, კუნთების ძალა მატულობს. ასე მაგალითად, 7 წლის ბიჭების მარჯვენა ხელის ძალა საშუალოდ 4 კგ-ს უდრის, 11-წლის – 10,7 კგ-ს,

16 წლის – 32,5 კგ-ს, ხოლო უფროს სასკოლო ასაკში, როგორც წესი, 8-ჯერ იზრდება. 8 წლის ბიჭების ხელის ძალა საშუალოდ 51 კგ-ია, 11 წლისა – 64 კგ, ხოლო 16 წლისა – 110,2 კგ. სხვადასხვა კუნთის ძალა შერჩევითად მატულობს: სხვადასხვა სპორტული სპეციალიზაციის ბავშვებში ძალის მეტი ზრდა ახასიათებს უფრო მეტად გაგარჯიშებული კუნთების ჯგუფს, რაც ასრულებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს სპორტული შედეგებისათვის.

**სისწრაფე.** სისწრაფის სხვადასხვა გამოვლინების – სხეულის სხვადასხვა ნაწილის გადაადგილების სისწრაფის, დროის ერთეულში განმეორებითი მოძრაობების რაოდენობის (ტემპი), სხვადასხვა სიგნალზე და სივრცეში გადანაცვლების სისწრაფეზე რეაგირების ლატენტიური პერიოდის დრო (მაგალითად, სირბილის, ნიბოსნობის დროს და სხვა) – ფიზიოლოგიური ბუნება ძლიერ რთულია.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნერვული პროცესების ძვრადობას, კუნთების კუმშვადობის თვისებასა და ძალას, მათი მოქმედების კოორდინაციას. საჩვენებელი თითის, ხელის მტევნის, წინამხრის, მხრის, კისრის, ტანის, ბარძაყის, წვივისა და ტერფის ერთჯერადი მოძრაობის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად იზრდება 4-5 წლიდან 13-14 წლამდე პერიოდში და უახლოვდება ზრდასრული ადამიანის ნორმის ფარგლებს, შემდეგ 16-17 წლისათვის ის რამდენადმე მცირდება და 20-30 წლისათვის აღწევს უდიდეს დონეს. ვარჯიშის შედეგად, ერთჯერადი მოძრაობების სისწრაფე 9-11 წლამდე ბავშვებში მცირედ იცვლება, ხოლო მოზარდებში 13-14 წლამდე, ისე, როგორც 20-30 წლის პირებში, შეიმჩნევა მისი მნიშვნელოვანი მომატება.

ერთჯერადი ერთეულის მოძრაობის სისწრაფე დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე. განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს დისტალურ და პროქსიმალურ ნაწილებში სახსრებში მოძრაობის ბიომექანიკურ პირობებს. მხოლოდ ადრეულ ასაკში არ არის განსხვავება სხვადასხვა სახსარში მოძრაობის სისწრაფის მხრივ, შემდგომში კი ორგანიზმის დისტალურ ნაწილთა სახსრებში მოძრაობა უფრო სწრაფია, ვიდრე პროქსიმალურში. ასაკთან ერთად, სახსრებში მოძრაობის სისწრაფის მომატება აიხსნება ნერვ-კუნთოვანი აპარატის ფიზიოლოგიური პროცესების მიმდინარეობის სისწრაფის მომატებით და აგზნების რიტმის შეწყობით კუნთურ აპარატში, რომლითაც ხორციელდება მოძრაობის აქტი.

ერთჯერადი მოძრაობის სისწრაფესთან მჭიდრო კავშირშია მოძრაობის ტემპი, მათი სიხშირე დროის ერთეულში, მოძრაობისას ზღვრული ტემპი დისტა-

ღურ სახსრებში უფრო მაღალია, ვიდრე პროქსიმალურში, რაც ზრდასრული ადამიანის ტემპის მაჩვენებლის ანალოგიურია. მოძრაობის მაქსიმალური სისწორე ასაკთან ერთად არათანაბარზომიერად მატულობს.

მოძრაობის ტემპი განსაკუთრებით მატულობს 7-დან 9 წლამდე. საშუალო წლიური ნამატი წმ-ში 0,3–0,6-ის ტოლია 10–11 წლის ბავშვებს ის რამდენადმე ნაკლები აქვთ – 0,1–0,2 მოძრაობა წმ-ში, 12–13 წლისას კვლავ ემატება – 0,3–0,4 მოძრაობა წმ-ში, 14 წლიდან ზღვრული ტემპის ყოველწლიური ნამატი მცირდება და 16 წლისთვის თითქმის საერთოდ წყდება.

ბავშვებს აღენიშნებათ ინდივიდუალური განსხვავება მოძრაობის მაქსიმალურ ტემპში, ერთი და იმავე ასაკობრივი პერიოდის საზღვრებში. ზოგს შეიძლება ჰქონდეს ძლიერ მაღალი მაჩვენებლები, ზოგს კი დაბალი, მაგრამ მჭიდრო კავშირია ერთი და იგივე ბავშვის სხვადასხვა კუნთის მოძრაობათა მაქსიმალურ ტემპში, რომლის მაჩვენებლები დამოკიდებულია ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციაზე. სხვადასხვა კუნთთა ჯგუფის მოძრაობისას ლატენტური პერიოდები 13-14 წლის ასაკამდე მცირდება, ხოლო შემდეგ სტაბილური ხდება. ფიზიკური ვარჯიშები არსებით გავლენას ახდენს ბავშვის სისწრაფის ელემენტარულ მახასიათებელზე.

**სიმარჯვე** – კომპლექსური თვისებაა, რომლის კომპონენტებს შეადგენს სივრცესა და დროში მოძრაობის სიზუსტე და მოძრაობის კოორდინაციის შეცვლის უნარი გარე პირობების უცბად შეცვლასთან დაკავშირებით. გამოყოფენ სიმარჯვის სამ მხარეს: პირველს ახასიათებს მოძრაობის სივრცითი სიზუსტე, მეორეს – დროის სიზუსტე, მესამეს კი უცაბედი სიგნალების საპასუხოდ მოძრაობის სისწრაფე და სიზუსტე (ვ. ს. ფარფელი). ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უნარი, რომ მოზარდებმა შეძლონ თავისი მოქმედების ადეკვატურად შეგუება სიტუაციის უცვარ ცვლილებასთან. მოძრაობის სივრცითი და დროითი სიზუსტე სიმარჯვის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა.

ხელების გადანაცვლების სიზუსტე, რომელიც განისაზღვრება წინასწარ მიცემული კუთხის აღდგენით, ყველაზე უფრო მატულობს 7 დან 10 წლამდე ასაკობრივ პერიოდში, ყველაზე ნაკლებმნიშვნელოვნად კი – 10 დან 12 წლამდე. შემდგომში არსებითი მარტივი მოძრაობების სიზუსტეში ცვლილებები არ აღინიშნება. უკანასკნელ ხანებში შეინიშნება საშუალო სასკოლო ასაკის ბავშვთა უნარი (რომელიც ტოლს არ უდებს უფროსებს) სინქრონული სიზუსტით შეასრულონ სივრცეში საკუთარი სხეულის გადატანის სიზუსტე. სიმარჯვის

განვითარება გრძელდება სასკოლო ასაკის შემდეგაც, როცა საფუძველი ეყრება ამ უმნიშვნელოვანესი თვისების ძირითად ფუნქციურ მაჩვენებლებს. ადრეულ ასაკში სიმარჯვის განვითარებას ხელს უწყობს თამაშები (პ. ლეზგაფტი).

**გამძლეობა სტატიკური ძალვის დროს.** სასკოლო ასაკის ბავშვებში სხვადასხვა კუნთის გამძლეობა სტატიკური ძალვის მიმართ ბევრად ნაკლებია, ვიდრე უფროსებში. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მატულობს 13-14 წლისათვის. არსებითი მნიშვნელობა აქვს ტანის იმ კუნთების სტატიკურ გამძლეობას, რომლებიც იკავებენ ხერხემლის ღერძს სწორ მდგომარეობაში (ე.წ. „კუნთური კორსეტი“). ამ კუნთების მდგომარეობაზე ბევრადაა დამოკიდებული ბავშვთა კარგი ჩამოყალიბება, ხერხემლის გამრუდება. ტერფის თაღის ჩამოყალიბებაში არსებით როლს ასრულებს ტერფისა და წვივის კუნთების სტატიკური გამძლეობის განვითარება.

**ფიზიკური თვისებები და მოძრაობითი ჩვევები.** მოძრაობის შესრულების შესაძლებლობა ყოველთვის მჭიდროდაა დაკავშირებული ფიზიკური თვისებების განვითარებასთან. ასე მაგალითად, სიარულის, სირბილის, ხტომისა და ტყორცნის დროს მეტ-ნაკლებად ყოველთვის საჭიროა საკმარისად განვითარებული ძალა, სისწრაფე, სიმარჯვე და სტატიკური გამძლეობა. მოძრაობითი ჩვევებისა და ფიზიკური თვისებების მთლიანად გამოვლინება არა მხოლოდ მოძრაობითი მოქმედების ასაკობრივ თავისებურებებს, არამედ სქესობრივ განსხვავებულობასაც წარმოადგენს. ასაკთან ერთად, ბიჭებს უფრო აშკარად გამოეხატებათ ჩვევებისა და ფიზიკური თვისებების განვითარების ტემპის ერთგვარი დაჩქარება, ვიდრე გოგონებს. თუმცა ზოგ შემთხვევაში გოგონები წინ უსწრებენ ბიჭებს განვითარების ზოგიერთ ეტაპზე. მაგალითად, 11-დან 13 წლამდე სმენით სიგნალებზე გოგონების მოძრაობის მაქსიმალური სისწრაფე მეტია, ვიდრე ბიჭებისა. საშუალო სკოლის ასაკში განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება გოგონების მოძრაობითი თავისებურებანი.

**სასკოლო ასაკის ბავშვთა სპორტული წვრთნის ფიზიოლოგიური დასაბუთება:** როგორც ფიზიოლოგიური გამოკვლევები ცხადყოფს, ბავშვთა ფიზიკური აღზრდა ადრეული ასაკიდან უნდა დავიწყოთ. მოძრაობითი აქტივობა, გამაჯანსაღებელ საშუალებებთან ერთად, განამტკიცებს ბავშვთა გამძლეობას გარემოს არახელსაყრელი პირობების ზემოქმედების მიმართ, მოძრაობის კოორდინაცია სრულყოფს და ორგანიზმის ყველა ფუნქციას აუმჯობესებს, ფიზიკური ვარჯიში სკოლამდელ დაწესებულებებსა და სკოლაში ბავშვებს ამზადებს

სპორტში სისტემატური მეცადინეობისათვის და აადვილებს სპორტული სპეციალიზაციის რაციონალურ შერჩევას. ასაკი, რომელშიც იწყება სპორტული სპეციალიზაცია, დამოკიდებულია სპორტის სახეობაზე. ძალიან ადრეულმა სპორტულმა სპეციალიზაციამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ბავშვის ჯანმრთელობასა და ფიზიკურ განვითარებაზე.

**უმცროსი სასკოლო ასაკი.** ამ ასაკში მნიშვნელოვანია მოძრაობის კოორდინაციის სრულყოფა, სისწრაფისა და სიმარჯვის განვითარება და ვეგეტატიური ფუნქციების სტიმულირება, ამასთან დაკავშირებით, სისტემატურ მომზადებასთან ერთად, შეიძლება მეცადინეობის დაწყება ფიგურულ სრიალში, ჩოგბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში, აკრობატიკაში, მხატვრულ ტანვარჯიშში, სათხილამურო სპორტში, კალათბურთში, სპორტულ ტანვარჯიშში, ფრენბურთში, მძლეოსნობაში, ფარიკაობაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახეობაა ცურვა, რომლითაც მიზანშეწონილია ბავშვის დაკავება ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში (2-5 წლიდან). სპორტული ცურვა შეიძლება მოგვიანებით, 9 წლიდან. წყალში მოძრაობითი მოქმედება მიმდინარეობს ისეთ პირობებში, რომლებიც უწონადობის მდგომარეობის მსგავსია, რაც ტანადობისა და ტერფის თაღის სწორ ჩამოყალიბებაზე ეფექტური გავლენის შესაძლებლობას ქმნის. ცურვა ხელს უწყობს ანალიზატორების ფუნქციის ჩამოყალიბებას, ბავშვებში „წყლის გრძნობის“ განვითარებას. წყალში მოძრაობა ასტიმულირებს ნივთიერებათა ცვლის პროცესებს, დადებით გავლენას ახდენს ორგანიზმის ადაპტაციაზე გარემოს ცვლადი ტემპერატურის მიმართ.

**საშუალო სასკოლო ასაკი.** ამ ასაკში, რომელსაც გარდამავალს უწოდებენ, მიმდინარეობს ორგანიზმის სტრუქტურათა და ფუნქციების გარდაქმნის რთული პროცესი, რომელიც გამოწვეულია სქესობრივი მომწიფებით. გარდამავალ ასაკს ახასიათებს სხეულის სიმაღლეში ზრდის დაჩქარების ტემპი, ზოგ შემთხვევაში – სხეულის დისპროპორცია, მაღალი ემოციურობა მოძრაობითი და ვეგეტატიური სისტემების ფუნქციათა არამდგრადობის პირობებში, სქესობრივი განსხვავებულობის აშკარა გამოხატულება. ბიჭები სჯობნიან გოგონებს ძალით, სისწრაფითა და გამძლეობით. გოგონები გამოირჩევიან ნარნარი, გამომხატველი მოძრაობის შესრულების უნარით. რაციონალურ ფიზიკურ ვარჯიშებს დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდთა სქესობრივი მომწიფების ფაზის ნორმალიზაციისათვის.

12 წლის ასაკიდან უკვე შეიძლება მეცადინეობა მძლეოსნობაში (საშუალო დისტანციებზე რბენაშიც კი), თხილამურებით ხტომაში, გიგანტ-სლალომში

(შეზღუდვებით), ხელბურთში, ფეხბურთში, ციგურებზე სირბილში, ბალახის ჰოკეისა და საიალქნო სპორტში; 13 წლიდან – ჭიდაობა სამბოში, ბაიდარებითა და კანოეთი ნიზოსნობასა და აკადემიურ ნიზოსნობაში; 14 წლიდან – ველოსპორტში, ტყვიით სროლასა და კრივში; 15 წლიდან – მძლეოსნობაში. სპორტის სხვადასხვა სახეობაში მკვეთრი სხვაობაა ფიზიკური დატვირთვის დოზირებისა და ხასიათის მიხედვით ბიჭებსა და გოგონებისათვის.

**უფროსი სასკოლო ასაკი.** ამ ასაკიდან მოსწავლეებს შეუძლიათ ვარჯიშში სპორტის უმეტეს სახეობაში. ამ ასაკის დადებითი თავისებურებების გათვალისწინება სწავლის რაციონალური სისტემის, ვარჯიშის ახალი საშუალებების ეფექტური გამოყენების შემთხვევაში ერთობ მაღალი სპორტული შედეგების მიღწევის შესაძლებლობას ქმნის.

### **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები**

თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებაში სამეცნიერო-ტექნიკურმა მიღწევებმა ადამიანები გაათავისუფლა მძიმე ფიზიკური შრომისაგან. საზოგადოების წევრთა დიდ ნაწილს აშკარად დაეტყო ჰიპოდინამია, რაც უარყოფითად მოქმედებს მათ ჯანმრთელობაზე. ამან გამოიწვია ადამიანთა სწრაფვა მოტორული აქტივობისადმი. ისევ იჩინა თავი მოტორული ფუნქციების ამოქმედების მოთხოვნილებამ. ამიტომ ადამიანები თავისუფალ დროს ვარჯიშობენ სპორტულ დარბაზებში, ცურავენ, დარბიან. ცხადია, ეს სპორტი არ არის, თუმცა მოვარჯიშეებისათვის დიდი სარგებელი მოაქვს.

უფრო დიდი სარგებელი მოაქვს მოძრაობით აქტივობას მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, რადგან მათი ორგანიზმი ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაშია და მოძრაობითი აქტივობა მათი ბუნებრივი და უპირველესი მოთხოვნილებაა, რადგან ამგვარი მოქმედება მოსწავლეთათვის გარე სამყაროს შემეცნების ერთ-ერთი მთავარი წყაროა. რაც უფრო მრავალფეროვან მოძრაობებს დაეუფლება მოსწავლე, მით უფრო ფართო იქნება მისი კონტაქტი რეალურ სინამდვილესთან, რაც, თავის მხრივ, ქმნის ხელსაყრელ პირობებს ფსიქიკური განვითარებისათვის. სწორედ ამიტომაც, რომ მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას (სპორტს) ერთ-ერთი



ცენტრალური ადგილი უნდა ეკავოს სასკოლო ასაკის ბავშვთა აღზრდის სისტემაში.

თანამედროვე სკოლის ამოცანაა, ფიზიკური აღზრდის (კახიძე, 2002:155) (სპორტის) მეშვეობით მზარდი ორგანიზმის ფორმებისა და ფუნქციების ჩამოყალიბების ბუნებრივ პროცესს მისცეს ოპტიმალური ხასიათი, უზრუნველყოს შესაძლო ჰარმონიული, ფიზიკური და ფსიქიკური განვითარება, ხელი შეუწყოს ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებას, ჯანმრთელობის განმტკიცებას.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის საფუძველს (Верхошанский, 1988: 21-28) წარმოადგენს პედაგოგიური ურთიერთქმედება, რომელიც გულისხმობს აზროვნებების თვისებების განვითარებას აღმზრდელისა და აღსაზრდელის ერთობლივ ქმედებაში თანასწორობისა და პარტნიურობის საფუძველზე.

პრაქტიკაში ინერგება მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთთანამშრომლობის იდეა, რომელიც ნოვატორი პედაგოგის – შ. ამონაშვილისა (Амонашвили и др., 1990) და სხვათა პრაქტიკულ საქმიანობაში არის განხორციელებული. ამავე დროს, სულ უფრო მეტი ყურადღება ენიჭება სპორტული საქმიანობის ფსიქოლოგიური მხარეების შესწავლას (Неверкович, 1978: 9-12).

**ფიზიკულტურის მასწავლებლის (მწვრთნელის) და მოსწავლის ურთიერთქმედება** (Двали, 2002:11-13) – ეს არის ურთიერთშეთანხმებული მოქმედება საერთო მიზნებისა და შედეგების მისაღწევად, ღირებული ამოცანების გადასაწყვეტად. გამოყოფენ ამ ურთიერთობის შემდეგ თავისებურებებს:

**ზემოქმედება** – ეს არის მოწესრიგებული ქმედებების სისტემა, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს გარანტირებულ შედეგს პედაგოგიური მიზნების მისაღწევად.

**დარწმუნება** – ზემოქმედება მოსწავლეზე, რომელიც უტოვებს მას შესაძლებლობას და უფლებას დამოუკიდებლად და გააზრებულად ამოირჩიოს საკუთარი თავის გამოვლენის გზა.

**შთაგონება** – ზემოქმედება, რომელიც, მოსწავლის სურვილისგან დამოუკიდებლად, იწვევს განსაზღვრულ მდგომარეობას, გრძნობას და დამოკიდებულებას, შეუსაბამოს მის მსოფლმხედველობასთან.

ფიზიკური კულტურის შესწავლის პროცესში მწვრთნელის პირად მაგალითს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, ვინაიდან მასწავლებელმა (მწვრთნელმა) არა მარტო უნდა აუხსნას, არამედ უნდა აჩვენოს კიდევ, როგორ სრულდება ესა

თუ ის საგარჯიშო. პირადი მაგალითით მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს გუნდში ურთიერთობებს.

**წახალისება და დასჯა** – ეს არის მეთოდები, რომელთა გამოყენება დამოკიდებულია კონკრეტულ პედაგოგიურ სიტუაციაზე. ძირითადი წესი ამ მეთოდების დოზირებისა და მიმართულებისა დამოკიდებულია მოსწავლის მიმართ პატივისცემის წესის დაცვაზე. ეს მეთოდები გამოიყენება როგორც ზემოქმედების პროცესში, ასევე მოსწავლისა და მასწავლებლის ერთობლივი ურთერთქმედებისას, ფიზიკური აღზრდის/განათლების მიღების პროცესში.

**პედაგოგიური ურთიერთობა** – ეს არის მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობის პროცესი, რომლის ამოცანაა წარმატებული სწავლება და აღზრდა, ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა, სასიამოვნო, კეთილგანწყობილი ფსიქოლოგიური კლიმატისა და ემოციური კონტაქტების შექმნა. ამავე დროს, აუცილებელია ქმედებათა შედეგების მუდმივი კონტროლი.

**ურთიერთობა** – ეს არის კონტაქტის დამყარება და განვითარება ადამიანებს შორის, რის პროცესშიც ხდება აზრთა და გრძნობათა ურთიერთგაცვლა. ურთიერთობა წარმოადგენს ერთიანობას სამი პროცესისა: გამოსახულება, ურთიერთობა და ქცევა. სასწავლო გაკვეთილები წრეებში, სპორტდარბაზებში, სახელოსნოში, ლაშქრობები, გამოცდები – ეს, უპირველეს ყოვლისა, არის ურთიერთობა. პედაგოგიური ურთიერთობა (Душевно, 1989:25-31) ხორციელდება მასწავლებლის პიროვნებისაგან გამომდინარე. სწორედ ურთიერთობაში მქლავდება მისი შეხედულებები, სამყაროსთან, ადამიანებთან და საკუთარ თავთან დამოკიდებულება. მოსწავლესთან ურთიერთობისას მასწავლებელი (მწვრთნელი) შეისწავლის მის ინდივიდუალურ თვისებებს, ღებულობს ინფორმაციას ღირებულებებზე, ამა თუ იმ ქმედების მიზეზზე. ურთიერთობა არეგულირებს ერთობლივ საქმიანობას მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის, უზრუნველყოფს მათ კავშირს, ხელს უწყობს პედაგოგიურ პროცესს. ურთიერთობა ახდენს გავლენას შემეცნებითი ინტერესების ფორმირებაზე. მოსწავლისადმი ნდობა, მისი შემეცნებითი შესაძლებლობების აღიარება, თანადგომა დამოუკიდებლად ძიებაში, „წარმატების სიტუაციის“ შექმნა სტიმულს აძლევს მოსწავლეს სწავლების პროცესში.

ურთიერთობა დიდ ზეგავლენას ახდენს მოსწავლეების შემეცნებითი ინტერესების გაძლიერებაზე. მოსწავლეები დღის უმეტეს ნაწილს ატარებენ გაკვეთილებზე, შეზღუდული მოქმედების პირობებში, ნაკლებად განიავებულ საკლასო

ოთახებში, მუდმივი დაძაბულობის ქვეშ, რაც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ზოგადად ადამიანის ჯანმრთელობაზე. მათი ნეიტრალიზებისათვის, აუცილებელია, რომ მასწავლებელმა თვალყური ადევნოს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ფსიქიკურ მდგომარეობას.

**მოსწავლის ფსიქიკური მდგომარეობა** – ეს არის ფსიქიკაში დროებითი ცვლილება, რომელიც განპირობებულია შინაგანი ან გარეგანი ზემოქმედებებით. ის შეიძლება გამოწვეული იყოს ფსიქიკური ზემოქმედებების დინამიკით: დადლილობით, ემოციური დაძაბულობებით და ა. შ. მაგალითად: თუ ვლინდება დადლილობა, ემოციური დაძაბულობა – სრულდება ისეთი ვარჯიშები, რომლებიც ახდენენ არასაკმარისი აქტიურობის კომპენსაციას, ხსნიან უარყოფით ემოციებს, სწრაფად აღადგენენ შრომისუნარიანობას და ამადლებენ განწყობას. საჭიროა გვახსოვდეს, რომ დადლილობა – ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფაქტორია, რომელიც ზემოქმედებს სპორტული და სასწავლო პროცესის ეფექტურობაზე მოსწავლეებში.

**ფსიქიკური დაძაბულობა** (ზალდასტანიშვილი, 2005:207-211) – გართულების ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მაჩვენებელია მოსწავლის ფსიქიკურ მდგომარეობაში. ის გამოვლინდება სწავლის რთულ პირობებში და შეიძლება იყოს ზომიერი ან მომატებული.

**პედაგოგიური ტაქტი** – ეს არის კულტურის ძირითადი მაჩვენებელი პედაგოგის მოსწავლეებთან ურთიერთობისა. მასწავლებლის (მწვრთნელის) პროფესიული ტაქტიანობის პროცესი – ეს არის საფუძველი, ბაზისი, რომელიც განსაზღვრავს ნებისმიერ სხვა დონეს და საბოლოო ჯამში, ყველა ურთიერთობასა და ქმედებას, რომლებსაც ადგილი აქვს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში. მაგალითად, მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გასცემს სიტყვიერ მითითებებს და აკონტროლებს, რამდენად სწორად სრულდება ისინი. მოსწავლეები აღიქვამენ და ასრულებენ დავალებებს. პედაგოგი აფასებს მათ ქმედებებს: აქვს კარგი შესრულებისათვის ან აძლევს შენიშვნებს. თუ მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ შეჯიბრებებში, მაშინ, კარგი შედეგების შემთხვევაში, შეფასებას ღებულობენ მაყურებლისაგან (ოვაციები), ცუდი შედეგების შემთხვევაში კი – სიტყვიერ შენიშვნებს.

ურთიერთობის ძირითად საშუალებას პედაგოგსა და მოსწავლეს შორის წარმოადგენს მეტყველება. ცოცხალი, უშუალო ურთიერთობა – საფუძველია

მოსწავლეებთან ფსიქოლოგიური კავშირისა. ირიბი ურთიერთობა ხდება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

არაფორმალური ურთიერთობები ყალიბდება სასწავლო პროცესის დროს ურთიერთსიმპათიისა და მეგობრობის პრინციპით. მაგრამ მასწავლებელს (მწვრთნელს) არ უნდა დაავიწყდეს, რომ აუცილებელია ერთმანეთს შეუსადაგოს მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა. მასწავლებელმა (მწვრთნელმა) სწავლების პროცესში უნდა გაითვალისწინოს ისეთი პრობლემა, როგორცაა არაფორმალური ლიდერობა, ცოდნის ურთიერთგაცვლა და ემოციური რეაქციები. პედაგოგიური ურთიერთობისას გამოიყენება მონოლოგიური და დიალოგიური მეტყველება. მეტყველების მონოლოგიურ ფორმას პედაგოგი მიმართავს რთული მასალის ასახსნელად და გადმოსაცემად, ეს ფორმა მასწავლებლისაგან მოითხოვს ლოგიკურ აზროვნებას, დამაჯერებელ დასაბუთებას, დასკვნებს.

**დიალოგი** – ეს არის ინფორმაციის მონაცვლეობითი ურთიერთგაცვლა, ინიციატივის გადასვლა პედაგოგიდან მოსწავლეზე და პირიქით. დიალოგიური ურთიერთობა – ეს არა უბრალოდ კითხვა-პასუხია, არამედ, ორიენტირებულია სასწავლო-აღმზრდელობითი მიზნების გადაჭრაზე. ის გულისხმობს საუბარში, დისკუსიებში, დებატებში განსახილავ პრობლემასთან მიმართებაში მოსწავლეთა დამოკიდებულების გამოვლენას.

### **მოსწავლეების ფსიქოლოგიური თვისებები**

მოსწავლეების ფსიქოლოგიური თავისებურებების შესწავლა დაკავშირებულია მათი თვისებების შესწავლასთან. პიროვნება ფიზიკური აღზრდის ფსიქოლოგიაში – ეს არის ერთობლიობა ინდივიდუალური ფსიქიკის თავისებურებებისა (Cratty, 1973:1-304). ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს მოსწავლეთა ფიზიკურ აქტიურობას, მჭიდროდ უკავშირდება სასწავლო პროცესის ხასიათსა და შინაარსს. ყოველი მასწავლებლის (მწვრთნელის) უმთავრესი მოვალეობაა ყოველმხრივ გააანალიზოს და გაითვალისწინოს ისინი მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისას. პედაგოგი ვალდებულია იცოდეს მოსწავლის შესაძლებლობები, მისი ფსიქოლოგიური თავისებურებები. ნებისმიერი ადამიანი საზოგადოებასთან არის დაკავშირებული, შესაბამისად, ის დამოკიდებულია სოციალურ პირობებზე (ეკონომიური, პოლიტიკური, კულტურული).

**პიროვნული თვისებების კლასიფიკაციის მიხედვით, პირველ ჯგუფში** შედის ადამიანის ბუნებრივი თვისებები, რომლებიც განსაზღვრავენ ფიზიკური ქმედებების დინამიკას (აუღელგებლობა და იმპულსურობა).

**მეორე ჯგუფს** ქმნის ადამიანის ზნეობრივი თვისებები (პატიოსნება, სამართლიანობა, სიცრუე).

**მესამე ჯგუფში** შედის პიროვნების ისეთი თვისებები, რომლებიც მქლავნდება ურთიერთობებში (სიკეთე, მგრძობიარობა, ტაქტიანობა, ნდობა).

**მეოთხე ჯგუფს მიეკუთვნება** პიროვნების ისეთი თვისებები, რომლებიც უშუალოდ მოსწავლის კუთვნილებაა. ეს არის: მოთხოვნილება, თვითკრიტიკულობა, სიამაყე, თვითდაჯერებულობა, ყოყონობა.

**მეხუთე ჯგუფში** შედის დამოკიდებულება საგნებთან, საზოგადოებრივი მოღვაწეობის პროდუქტებთან, მატერიალურ ღირებულებებთან (გულუხვობა, სიძუნწე, აკურატულობა, მოწესრიგებულობა, უსუფთაობა, მოფრთხილება და სხვ.).

**მექვსე ჯგუფი აერთიანებს** პიროვნების თვისებებსა და ხასიათს, მოსწავლის დამოკიდებულებას მასწავლებლისადმი, ფიზიკური კულტურისა და სპორტისადმი.

**ტემპერამენტის ტიპების** ცოდნა გამოცდილ პედაგოგს ეხმარება მოხერხებულად მართოს საქმიანობა მოსწავლის უარყოფითი თვისებების დასაძლევად ან პირიქით, მასში დადებითი თვისებების განსავითარებლად. გასათვალისწინებელია, რომ მასწავლებელი (მწვრთნელი) არ უნდა შეეცადოს შეცვალოს მოსწავლის ტემპერამენტის ტიპი, რადგან იგი პირდაპირ კავშირშია მის ფსიქიკურ მდგომარეობასთან.

ფსიქიკურმა მდგომარეობამ შეიძლება იქონიოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფით გავლენა მოსწავლის ყოფაქცევაზე და სწავლაში მიღწევებზე. სასწავლო-სავარჯიშო პროცესში ყველაზე ხშირად ვლინდება ისეთი მდგომარეობები, როგორცაა დადლილობა, მონოტონურობა და ფიზიკური დაძაბულობა. დადლილობა ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორია, რომელიც ხელს უშლის სასწავლო და სავარჯიშო პროცესის ეფექტურობას. ის გამოიხატება შრომისუნარიანობის დაქვეითებაში, რაც გამოწვეულია ხანგრძლივი სასწავლო დატვირთვით და მოწმობს ორგანიზმის შინაგანი რესურსების დაცლაზე.

**მონოტონურობა, როგორც ფსიქიკური მდგომარეობა,** არის შედეგი რომელიმე საქმიანობის ერთფეროვნებისა, მაგალითად: ნაკლებად რთული სტერეოტიპული

ვარჯიშები, ინფორმაციის სიმწირე. მონოტონია ხელს უწყობს დაღლას. მისი მოქმედების ხარისხი დამოკიდებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე. დადებით მოტივაციას, პასუხისმგებლობის ძლიერ გრძნობას შეუძლია კომპენსირება გაუწიოს მის განვითარებას. მონოტონია ვლინდება, როგორც წესი, ნაკლებად აქტიურ მოსწავლეებში, გოგონები უფრო მომთმენნი არიან მონოტონური სამუშაოს შესრულებისას, ვიდრე ბიჭები. მონოტონიის ნეგატიური გამოვლინების კომპენსირებისათვის მასწავლებელი ცვლის ფიზიკური ვარჯიშების რიტმსა და ხასიათს.

**მასწავლებლის მუშაობის ძირითადი შემადგენელი ნაწილები.** მასწავლებლის პედაგოგიური მუშაობის საფუძველს წარმოადგენს მისი პედაგოგიური მოღვაწეობა (Динер, 1980:91-97). პედაგოგიური მოღვაწეობა მიმართულია სწავლების მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციისაკენ, ამა თუ იმ პედაგოგიური ამოცანების გადაწყვეტისას. პედაგოგიური მოღვაწეობის მთავარი მიზანია მოსწავლეების პიროვნების ფორმირება და იგი მიზანმიმართულია მათი სრულყოფისაკენ სწავლების პროცესში.

**სწავლება** – ეს არის ურთიერთქმედების და ურთიერთზეგავლენის პროცესი მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. სწავლება განუყოფლად არის დაკავშირებული აღზრდასთან. სწავლება, როგორც მოსწავლის პიროვნული თვისებების ფორმირების, ჩამოყალიბების საშუალება, იგივეა, რაც აღზრდა. ფაქტობრივად, სწავლება არის საშუალება აღმზრდელობითი მიზნების მისაღწევად. პედაგოგიური მოღვაწეობის მიზანი – ეს არის სასწავლო პროცესში განმავითარებელი მოთხოვნების ერთობლიობა, მოსწავლეების სულიერი მოთხოვნილებებისა და ბუნებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

პედაგოგიური მოღვაწეობის შედეგს წარმოადგენს მოსწავლეში ჩამოყალიბებული, ფორმირებული ინდივიდუალური გამოცდილება, რომელშიც თავმოყრილი და გაერთიანებულია მისი ეთიკური, ემოციური, აზრობრივი ხასიათი.

მოსწავლის აღზრდილობის დონის ცნების ქვეშ იგულისხმება მისი ქცევის ხასიათი, სტილი, რომელიც შეესაბამება არსებული ქცევისა და ურთიერთობის ნორმებსა და წესებს.

**იმისათვის, რომ წარმატებით განხორციელდეს პედაგოგიური პროცესი, მასწავლებელს უნდა შეეძლოს:** დაგეგმოს თავისი საქმიანობა, განსაზღვროს მისი ობიექტი და საგანი მოსწავლეების ასაკობრივი და ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინებით. ფიზიკური აღზრდისა და სწავლების პროცესში

მოსწავლეები ითვისებენ ხერხებს თავიანთი მოქმედების დასარეგულირებლად მხედველობითი, შეხებითი, კუნთოვან-მოძრაობითი, ვესტიბულარული შეგრძნებებისა და ალქმის საფუძველზე. ამ პერიოდში მოზარდებს უვითარდებათ მეხსიერება, აზროვნება, ნებისყოფა და უნარი – თავად დაარეგულირონ თავიანთი ფსიქიკური მდგომარეობა. ეს მათ ეხმარება ფიზიკური თვისებებისა და მოქმედებების გაუმჯობესებაში სისტემატური ვარჯიშისა და მუდმივი დატვირთვის დროს. ძლიერი ნებისყოფა (დაჟინებულობა, სიმამაცე, გაბედულება) უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ყველაზე რთული მოქმედებების დაუფლებისათვის და სიძნელეების გადასალახად.

სწავლებასა და აღზრდაში ერთ-ერთი საკვანძო პრობლემაა ვარჯიშის ტექნიკის დაუფლება. ეს პროცესი დიდად არის დამოკიდებული ფსიქიკური განვითარების დონეზე (ფსიქომოტორული რეაქციები, მხედველობითი, სმენითი, ტაქტილური და განსაკუთრებით, კუნთოვან-მოძრაობითი შეგრძნებები, ალქმა, აზროვნება და ყურადღება), რომელიც არეგულირებს მოძრაობებს კონკრეტული სახის სავარჯიშოების შესრულებისას. ამასთან, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პერცეპტული თვისებები, რომლებიც უზრუნველყოფს ყველა ოპერაციას, ინფორმაციის მოპოვებაზე დამოკიდებულს და, აგრეთვე, ფსიქომოტორული თვისებები (სენსომოტორული რეაქციის სიზუსტე და მოქმედებების სისწრაფე), რომლებზეც დამოკიდებულია მოსწავლის მოქმედებების ეფექტურობა. ფსიქომოტორული ფუნქციებისა და შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების სრულყოფა შესაძლებელია (პროგრამის ჩარჩოებში) სხვადასხვაგვარი სავარჯიშოების შესრულებით, ასევე, წამყვანი მამოძრავებელი თვისებების სპეციალური განვითარებით. ინტენსიური ვარჯიშებისა და შეჯიბრებების პერიოდში განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება ფიზიკური მომზადების შედეგების დამოკიდებულება ფსიქიკურ პროცესებზე.

პრაქტიკაში არსებობს ფსიქოლოგიური მომზადების ცნება: სპორტსმენის წარმატებას უკავშირებენ კარგ ფსიქოლოგიურ მომზადებას, წარუმატებელს კი არასაკმარისს. მოსწავლეები წინასწარ ფსიქოლოგიურად ემზადებიან ნორმატივების ჩასაბარებლად – ეს არის საერთო ფსიქოლოგიური მომზადება.

სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი ადგილია უკავია წყვილს –მოსწავლესა და პედაგოგს. მასწავლებელს მოეთხოვება განსაკუთრებული დამოკიდებულების გამოვლენა მოსწავლესთან ურთიერთობისას, რაც მოსწავლის ფსიქიკაში სწავ-

ლისადმი დადებითი დამოკიდებულების შემუშავების სტიმულირებაში გამოიხატება.

**სასწავლო ჯგუფი** – რთული ორგანიზმია, რომელშიც სოციალურ-ფსიქოლოგიური მოვლენები, რომლებიც ჩნდება უშუალო ურთიერთობის დროს, მუდმივ მოძრაობასა და ურთიერთქმედებაშია. ჯგუფის მონაწილეებს შორის დამოკიდებულება ყოველთვის რთული ხასიათისაა და გამორჩეული თავისებურებებით ხასიათდება. ერთი მხრივ, შეჯიბრებების დროს ისინი ერთმანეთის მეტოქეები არიან, მეორე მხრივ კი – ერთად სწავლობენ, იზიარებენ სასწავლო პროცესის ყველა სირთულეს და ამგვარად, ერთმანეთთან თანამშრომლობის პროცესში იმყოფებიან. სასწავლო ჯგუფებში შესაძლებელია ცალკეული მიკროჯგუფების გამოყოფა, რომლებიც აყალიბებენ ფსიქოლოგიურ გარემოს კოლექტივში. ამ გარემოებების გათვალისწინება მასწავლებლისათვის აუცილებელია თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში.

**მასწავლებლის მოღვაწეობა დაკავშირებულია გარკვეულ სიძნელეებთან:** მუდმივ ცვლილებებთან სპორტულ დარბაზში, აუზზე, სტადიონზე. ასევე, სხვადასხვა სპორტული ინვენტარის გამოყენებისას, რომელთა არასწორად სარგებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ტრავმები. მასწავლებელმა უფრო მეტი იცის, ვიდრე მოსწავლეებმა, მაგრამ ყოველთვის არ შეუძლია აჩვენოს ესა თუ ის ვარჯიში, რომელსაც იოლად ასრულებს მოსწავლე.

პედაგოგიური მოღვაწეობის შინაარსი წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით: კონსტრუქციული, კომუნიკაციური, ორგანიზაციული და გნოსტიკურ-შემეცნებითი.

**მოღვაწეობის კონსტრუქციული სახეობა.** ფიზიკური აღზრდისა და განსწავლის სფეროში ეს არის მასწავლებლის უნარი – დაგეგმოს და წინასწარ გათვალის სასწავლო-აღზრდელობითი პროცესი, მიმართული მოსწავლის ფიზიკურ აღზრდასა და მისი პიროვნული თვისებების ფორმირებაზე, რომლებიც ხელს უწყობს მათ ფიზიკურ სრულყოფას.

**მოღვაწეობის კომუნიკაციური სახეობა** – ეს არის მასწავლებლის უნარი, მოსწავლეების მომზადებულობის გათვალისწინებით, მიიტანოს მათთან სასწავლო მასალა. მოღვაწეობის კომუნიკაციური სახეობა განსაზღვრავს გარემომყოფებთან ურთიერთობის სტილსა და ხარისხს. პედაგოგიურ მოღვაწეობაში გულწრფელობა, კეთილგანწყობა, მოთმინება და ტაქტიანობა დადებითად მოქმედებს მოსწავლეთა დისციპლინაზე. ისინი უკეთესად არიან განწყობილნი გაკვეთილი-



სადმი, დამოუკიდებელი მომზადებისადმი, ადვილად ითვისებენ ცოდნას და აყალიბებენ უნარებს.

**მოდვაწეობის ორგანიზატორული სახეობა** გამოიხატება მასწავლებლის უნარით – შექმნას მეგობრული ატმოსფერო მოსწავლეებთან, მოამზადოს და ჩაატაროს სასწავლო-აღმზრდელობითი ღონისძიებები მაღალ პროფესიულ დონეზე.

**მოდვაწეობის გნოსტიკური სახეობა** – უკავშირდება პედაგოგიური თეორიული ცოდნის პრაქტიკულ მოდვაწეობაში განხორციელებას. შემეცნებისას განსაკუთრებულ როლს თამაშობს: საკუთარი პედაგოგიური მოდვაწეობის, მოსწავლეთა ფიზიკური მომზადების თავისებურებების, მათი ინტერესების, მიდრეკილებების, ცხოვრებისეული იდეალების ანალიზი.

**სწავლების პროფესიონალიზმი** – ეს არის საერთო პროფესიონალური ცოდნის მაღალი დონე, მოწინავე პედაგოგიური ტექნოლოგიების ფლობა, სპეციალობის შესაბამისად სასწავლო პროცესში არსებული მიზნებისა და ამოცანების რეალიზება.

**პედაგოგიური ტექნიკა** – ეს არის მასწავლებლის მიერ საკუთარი პიროვნული თვისებების გამოყენება სასწავლო პედაგოგიური პროცესის წარმართვისას. ფიზიკურული განათლების პირობებში, პედაგოგიური ტექნიკა გამოიხატება სასწავლო პროცესების ორგანიზება-წარმართვაში, სპორტის სხვადასხვა სახეობებში ვარჯიშებსა და შეჯიბრებებში, რაც გვევლინება ძირითად მაჩვენებლად მასწავლებლის მეთოდურ განათლებულობასა და ოსტატობაში. მასწავლებლის მეთოდური ოსტატობა მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია პედაგოგიური ოსტატობისა – ის გამოიხატება შემდეგ უნარებში:

- გააკეთილზე გამოყენებულ იქნეს სწავლების ყველაზე ეფექტური მეთოდები;
- უზრუნველყოს სასწავლო პროცესის შეთავსებულობა აღმზრდელობითთან;
- მოსწავლეების დამოუკიდებელი მომზადების ორგანიზება.

**პედაგოგიური კულტურა** – ეს არის სპეციფიკური პროფესიონალური კატეგორია, რომელიც აღნიშნავს მასწავლებლის მიერ პედაგოგიური გამოცდილების ფლობის გარკვეულ ხარისხს. პედაგოგიური კულტურა გულისხმობს ისეთ პიროვნულ თვისებებს, როგორცაა: ერუდიცია, ინტელიგენტურობა და მაღალი ზნეობა. მასწავლებელი ყოველთვის თვალსაჩინო ადვილზე დგას აუდიტორიის წინაშე. ის ყოველთვის არის ავტორიტეტი და მისი ქცევა ხშირად

გამოიყენება სამაგალითოდ. მაღალი კულტურის მქონე მასწავლებლისათვის დამახასიათებელია: თანმიმდევრულობა, ქმედების გააზრებული ანალიზი, მოსწავლის მდგომარეობის გათავისების უნარი. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, პედაგოგიური ტაქტი – ეს არის ზომიერების გრძნობის გამოხატვა, პედაგოგიური ზემოქმედების საუკეთესო ფორმების შერჩევა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში. ის ეფუძნება თავშეკავებას, ყურადღებას, მომთხონელობას, მოსწავლის მიმართ პატივისცემას. პედაგოგიური კულტურის ერთ-ერთ გამოვლინებად ითვლება მეტყველების კულტურა. სპორტულ მოღვაწეობას გააჩნია ურთიერთობის საკუთარი ენა: განსაკუთრებული სპორტული სიტყვები, გამონათქვამები, ჟესტები, მიმიკა და ა.შ. ამ ურთიერთობის არსი იმაშია, რომ ეს ენა ყველასათვის მისაღები უნდა იყოს და მისი გაგება შეეძლოს მასწავლებელსაც და მოსწავლესაც. მთავარია არა მარტო სიტყვის არსი, არამედ ტონი, რომლითაც ის წარმოითქმის. ზოგჯერ ტონი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე შინაარსი. მეტყველების კომუნიკაციური ფუნქცია იყოფა: ინფორმაციულ-გამომსახველობით და ნება-სურვილის გამომხატველ ნაწილებად, რომლებსაც მასწავლებელი იყენებს მოსწავლეებთან მუშაობისას. ინფორმაციული მეტყველება – ინფორმაციის ვერბალური გადმოცემაა. ამ სახის მეტყველება გამოიყენება სწავლების პროცესში – ახსნის, თხრობის და კონსულტაციისას. გამომსახველობითი მეტყველება დაკავშირებულია გადმოსაცემი ინფორმაციების აქტუალიზაციასთან. მისი გამოყენება აუცილებელია იმ შემთხვევებში, როდესაც მასწავლებელს სურს გააძლიეროს მოთხრობილის მნიშვნელობა. ნება-სურვილის გამომსახველი მეტყველება – ეს არის მეტყველება, რომელიც ითვალისწინებს მასში გაჟღერებული მოთხონების აუცილებელ შესრულებას.

ამრიგად, პროფესიონალი მასწავლებლის (მწვრთნელის) ავტორიტეტი (Нереп-кович, 2010:247-255) ეფუძნება ერთმანეთთან პრაქტიკულად შერწყმულ საკმაოდ მაღალ წარმატებას სპეციალობაში და შინაგანი სურვილს – მიაღწიოს სრულყოფას თავის პროფესიაში.

### **ფიზიკულტურულ-სპორტული აღზრდის საფუძვლები ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში**

ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში სწავლების მიზანი დაკავშირებულია: მოსწავლეებისთვის ისეთი ცოდნის მიწოდებასა და იმ უნარების ჩამოყალიბებასთან, რომლებიც პოზიტიური პიროვნული თვისებების ფორმირებას

შეუწყობს ხელს; მოსწავლეებში ფიზიკური განვითარების კერძო კანონზომიერების დადგენასა და პედაგოგიურ პროცესში საერთო ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური კანონზომიერებების რეალიზებასთან; დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპორტულ სკოლებში ერთობლივი ჯგუფების ორგანიზებას, სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას, კოოპერაციულ ურთიერთობებს.

**სპორტული გუნდი, როგორც პედაგოგიური ურთიერთქმედების სუბიექტი, ითვალისწინებს** სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დახვეწას ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში. აქ იგულისხმება სპორტული მომზადების ღონის ამაღლება, მონაწილეების სპორტულ გუნდებში ერთობლივი მოღვაწეობის ორგანიზება, მათში სპორტული სოლიდარობისა და მეგობრობის სულისკვეთების გამომუშავება, გამარჯვებისაკენ სწრაფვა, ურთიერთთანადგომა. გუნდური მუშაობის საფუძველია ეფექტური ურთიერთქმედება მასწავლებელ-მწვრთნელსა და მოსწავლეებს შორის, როგორც ვარჯიშის, ისე შეჯიბრების პროცესში.

### **პროდუქტიული სპორტული გუნდი**

აღამიანური ურთიერთობის იდეალური მოდელი დაფუძნებულია ურთიერთნდობაზე, ურთიერთპატივისცემაზე და ურთიერთდახმარებაზე. სპორტული გუნდების თავისებურება - ეს არის მისი წევრების ურთიერთქმედება, ურთიერთკონტროლი და ურთიერთდახმარება, გადაწყვეტილების ერთობლივად მიღება, წარმატების მიღწევისა და გამარჯვებაზე ორიენტირებულობა.

### **პიროვნების განვითარება სპორტულ გუნდში**

სპორტულ გუნდებში მონაწილეთა პიროვნული თვისებების განვითარება (მალაზონია, 2001:31-33) დამოკიდებულია სპორტული დატვირთვების მიმართ ფსიქოლოგიურ და სოციალურ ადაპტაციაზე და ასევე გუნდის კოლექტივთან ურთიერთობებზე.

**მოტივაცია.** გუნდს უნდა გააჩნდეს საერთო მნიშვნელობის მოტივი, რომელიც თავისი ძალით აღემატება პირად ინტერესებსა და მიზნებს. ყოველი სპორტსმენი სპორტის გუნდურ სახეობაში თავის შედეგს აიგივებს გუნდის შედეგთან. სპორტსმენისათვის მნიშვნელოვანია გუნდის სახელი, გუნდის წარმატება, გუნდის პრესტიჟი. აქედან მომდინარეობს საერთო ჯილდო, საერთო პრიზი და საერთო ჩემპიონის ტიტული. უმეტესობა სპორტული გუნდებისა მოტივირებულნი არიან ჯილდოს გადაცემის პროცესით.

**კომუნიკაციები და საერთო ენა.** შეთამაშებულ გუნდებს აქვთ ურთიერთობის საკუთარი ენა. კომუნიკაციები არის მკვეთრი და ეფექტური, თამაშის დაწყების წინ დგება ნათელი ამოცანა, თამაშის დასრულების შემდეგ კი ხდება დეტალური ანალიზი და შეცდომების განხილვა. კომუნიკაციები სპორტში შეზღუდულია, მაგრამ ეფექტური.

**შეთავსებადობა.** ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში გამოყოფენ ფიზიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ შეთავსებადობას. დასახული შედეგის მისაღწევად გუნდმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეს პარამეტრი.

**ერთგვაროვნება.** ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში სპორტულ გუნდებს ახასიათებს ერთგვაროვნება, ჩამოყალიბებული სპორტის სახეობათა მიხედვით და შესაბამისი სპორტული მომზადების მიხედვით.

**თანასწორობა.** თუ ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაში იქმნება გუნდი, რომლის წევრებიც განსხვავებულნი არიან ასაკით, განათლებითა და სპორტული გამოცდილებით, ყოველი მათგანისათვის უნდა შეიქმნას მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა და მათი შესაძლებლობების რეალიზაციის საშუალება.

**მწვრთნელის არსი.** სპორტულ გუნდს ჰყავს მწვრთნელი, რომელიც ასრულებს გუნდის კაპიტნის როლისაგან განსხვავებულ როლს. სპორტის ისტორია იცნობს ბევრ მაგალითს, სადაც გადამწყვეტი როლი გამარჯვების მიღწევაში აკისრია მწვრთნელს.

**სპეციალიზაცია.** სპორტული გუნდებისათვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება გუნდის წევრების სპეციალიზაციას.

**ლიდერობა.** ითვლება, რომ კაპიტანს არ შეუძლია ჰქონდეს გუნდისაგან განსხვავებული მიზანი. სპორტულ გუნდში იმის გამო, რომ სუფევს ერთსულოვნება, გუნდის კაპიტანსა და წევრებს შორის დისტანცია მინიმუმამდეა დაყვანილი.

**უკუკავშირი.** შედეგების ასამაღლებლად და მაღალი მიზნების მისაღწევად უკუკავშირს გააჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობა. სპეციალისტები თვლიან, რომ შეცდომებისა და ქმედებების ანალიზს შეუძლია 80%-ით ახსნას დაშვებული შეცდომებისა და ქმედების მიზეზები და გასაგები გახადოს შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

**ვარჯიშების სისტემა.** ეს თვისება გამომუშავდება, იქმნება ვარჯიშის პროცესში. ვარჯიშისას სპორტსმენები უშვებენ ან შესაძლოა დაუშვან შეცდომები, მაგრამ მათ ამ შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობებიც ეძლევათ.

**ექსტრემალური პირობები.** გუნდმა მობილიზაცია უნდა გაუწიოს ძალებს და ამ შემთხვევაში მის წევრებს უკვე აღარ აქვთ შეცდომების დაშვების უფლება. გუნდის წევრები მუდმივად იმყოფებიან ურთიერთქმედებაში და განსაკუთრებულ დაძაბულობას განიცდიან შეჯიბრების პერიოდში (Иванова, 1982: 10-13). ასეთ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია საკუთარი ქცევის რეგულაციისა და ფსიქოლოგიური პრობლემების დაძლევის გამომუშავებული უნარის გამოყენება.

**მადალკვალიფიცირებულ სპორტსმენებს** შეუძლიათ შეიკავონ და აკონტროლონ ემოციები. ასეთ სიტუაციებში გუნდის წევრები უკეთ იცნობენ ერთმანეთს. კარგია, თუკი გუნდის წევრები ერთმანეთს ექსტრემალურ სიტუაციებში გაიცნობენ. სასარგებლოა სპეციალურად „ექსტრემალურ სიტუაციებში“ სპორტული ქცევის იმიტაციის სისტემატური ორგანიზება, რაც, რეალური ექსტრემალური სიტუაციის შემთხვევაში გამომუშავებული უნარის გამოყენების საფუძველზე, მიზანშეწონილი მოქმედების საშუალებას მისცემს მოსწავლეებს.

**ნორმები და ტრადიციები.** ისინი მნიშვნელოვანია განსაკუთრებული სტატუსის, სოციალური მდგომარეობისა და ასაკობრივი ჯგუფის წევრებისათვის. დილის ტრადიციული ფრაზების გამეორება, მაგ. „ერთი ყველასთვის, ყველა ერთისათვის“ არის მნიშვნელოვანი, რადგან ეს არის გუნდის გამაერთიანებელი ძალა.

### **ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლები, როგორც განათლების სპეციფიკური სისტემა**

სპორტი მკაცრ მოთხოვნებს უყენებს სპორტსმენებს, ამგვარად, მაღალი შედეგის მიღწევა განპირობებულია არა მარტო ფიზიკური ვარჯიშით, არამედ მომავალი სპორტსმენის ფსიქოლოგიური მომზადებით. ამ მიმართულებით განათლების მიზნების განვითარებას ხელს უწყობს შესაბამისი სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამის შედგენა.

პროგრამის შინაარსი სპორტულ სკოლებში ითვალისწინებს:

- სპორტულ საქმიანობასთან დაკავშირებულ პიროვნული მოტივაციის განვითარებას;
- პირადი კულტურისა და კომუნიკაბელურობის განვითარებას;

– მოსწავლეების ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის ხელის შეწყობას;

– ბავშვთა და მოზარდთა ასოციალური ქმედებების პროფილაქტიკას.

სპორტული მომზადების თავისებურება სპორტულ სკოლებში მდგომარეობს იმაში, რომ ყველა თეორიული ცოდნა აპრობირებულია სპორტულ პრაქტიკაში. ამჟამად სპორტსმენების მომზადების პრაქტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება გასართობ პროგრამებს, რომელთა ორგანიზება შესაძლებელია მასობრივი საბავშვო ზემის სახით. გასართობი პროგრამის შინაარსისა და მასშტაბის გათვალისწინებით, მასში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ ცალკეულმა მწვრთნელებმა და პედაგოგებმა. ბავშვები ამ პროგრამაში ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას დებულობენ. ასევე, მათ შეიძლება მოირგონ ორგანიზატორების როლიც. გასართობი პროგრამები უფრო მეტად, ვიდრე განმავითარებელი პროგრამები, ახდენენ ფიზიკური, ემოციური, ინტელექტუალური, ადამიანური შესაძლებლობების დემონსტრაციას.

თუ საგანმანათლებელ პროგრამაში წამყვანად ითვლება შემეცნებითი მოღვაწეობა, გასართობ პროგრამაში წამყვანია თამაში. თამაშები გასართობ პროგრამაში საკმაოდ მრავალფეროვანია. ეს შეიძლება იყოს სიუჟეტურ-როლური, თამაშობით-იმიტაციური მოდელირება, დემონსტრაციული, თეატრალური თამაშები, თამაში-კონკურსები.

გასართობ პროგრამაში გამოიყენება თანამედროვე თამაშების ძირითადი სახეობები, მათ შორის:

- ფიზიკური და ფსიქოლოგიური თამაშები და ტრენინგები;
- ინტელექტუალურ-შემოქმედებითი თამაშები.

დამატებითი განათლების პრაქტიკა სპორტულ სკოლებში ასახავს უმდიდრეს გამოცდილებას გასართობი პროგრამების რეალიზაციის თვალსაზრისით.

## თავი მესამე ემპირიული კვლევა

### §1. ინტელექტუალური განვითარება

ერთ-ერთი გავრცელებული განსაზღვრის მიხედვით (კახიძე, 2007:147-148), ინტელექტი კულტურისა და გარემოსადმი წარმატებული ადაპტაციისათვის აუცილებელ უნარ-თვისებებს მოიცავს. თავდაპირველად ინტელექტი განიხილებოდა, როგორც ზოგადი კომპეტენტურობა, რომელიც ფართო წრის ამოცანების გადაწყვეტაში ვლინდება. შემდგომში ეს დებულება ეჭვის ქვეშ დადგა, თუმცა საკითხი დღემდე არ არის გადაწყვეტილი. ფსიქოლოგთა უმრავლესობა თვლის, რომ ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ცალკეული ინტელექტუალური უნარების მიხედვით. ზოგიერთს კარგად აქვს გამოხატული ვერბალური ინტელექტი, ზოგიერთს – სივრცისეული აზროვნება, სხვებს – მათემატიკური უნარები (Ньюкомн, 2003:312).

არსებობს ე. წ. კრისტალიზებული ინტელექტი, რომელიც ცოდნის დაგროვებას ასახავს. ჰოვარდ გარდნერი ვარაუდობს, რომ არსებობს მრავალი ინტელექტუალური უნარი. მისი თვალსაზრისი ეფუძნება იმ მონაცემებს, რომ პრაქტიკულად, ინტელექტის განსხვავებული ფორმები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვითარდებიან. მაგალითად, ის ბავშვები, რომლებსაც აქვთ მეტყველების დარღვევები, ზოგჯერ მნიშვნელოვან ნიჭიერებას ავლენენ სხვა სფეროებში. მაგალითად, აუტისტ ბავშვს შეიძლება ჰქონდეს განსაკუთრებული მხატვრული ნიჭი. გარდნერი გამოყოფს ინტელექტის 6 ტიპს: ლინგვისტური, მუსიკალური, ლოგიკური, მათემატიკური, სივრცისეული, სხეულებრივი, კინისტეტიკური და პიროვნული. პიროვნულს გარდნერი კვლავ ჰყოფს ორ ნაწილად – ერთი მხრივ, საკუთარ ემოციებთან და ფსიქიკურ პროცესებთან დაკავშირებული უნარები და მეორე მხრივ, სოციალური ინტელექტი, რომელიც სხვა ადამიანების მოთხოვნებსა და გრძნობების მიმართ დამოკიდებულებას ასახავს.

**ინტელექტი, როგორც ადაპტაცია.** ეს მოდელი სტერნბერგს ეკუთვნის, რომლის მიხედვით, ინტელექტი მოიცავს არა მხოლოდ კოგნიტურ ნიჭიერებებს, არამედ, აგრეთვე, ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ადაპტაციის უნარს. სტერნბერგი გამოყოფს 3 ფაქტორს: 1. კოგნიტური ჩვევები და ცოდნა. მაგალითად, ტესტის შესრულების დროს თქვენ ექვთ პრინციპულ განსხვავებას შესაძლებელ

პასუხებს შორის და მისთ.; 2. რამდენად ადვილად და სწრაფად ამუშავებს ადამიანი ახალ ინფორმაციას, ე. ი. რამდენად სწრაფად შეუძლია მას ისწავლოს (Harwood, 2000:5-6); 3. სოციალური და კულტურული გარემოსადმი ადაპტირება. ადაპტაცია გულისხმობს არა მხოლოდ საკუთარი თავისა და აზროვნების საშუალებების ცვლილებას, არამედ, აგრეთვე, საკუთარი თავისათვის ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც პიროვნული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასა და ახალი პირობების არჩევასთანაა დაკავშირებული (Ньюкомб, 2003:315).

**ინტელექტუალობის გაზომვა.** ინტელექტუალური ტესტების, IQ-ს (თეხელი-შვილი, 2007:257) მაჩვენებლების შესახებ ბევრ ჩვენგანს გაზვიადებული წარმოდგენა აქვს (Бн, 2004:309). ინტელექტის პირველი ტესტი გამოქვეყნებული იყო 1905 წელს ფრანგი მეცნიერების – ალფრედ ბინესა და თეოდორ სიმონის მიერ. ტესტს იმთავითვე პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა: მას სკოლაში პრობლემების მქონე ბავშვები უნდა გამოეფლინა. ამ მიზეზით, ტესტის შინაარსი სასკოლო დავალების მსგავსი იყო. მაგალითად, შეუძლია თუ არა ბავშვს გამოავლინოს განსხვავება ხესა და მინას შორის; შეუძლია თუ არა ბავშვს მიეკაროს საკუთარ ცხვირს, ყურს ან თავს? შეუძლია თუ არა თქვას, რომელი ობიექტი არის უფრო მძიმე? ლევის ტერმანმა და მისმა კოლეგებმა სტენფორდის უნივერსიტეტიდან მოდიფიცირება გაუკეთეს ბინე–სიმონის ტესტებს და მათ ტესტებს სტენფორდ–ბინეს ტესტები ეწოდა.

ამჟამად მიაჩნიათ, რომ „ინტელექტის“ განვითარების შესწავლის დროს უნდა გვახსოვდეს, რომ IQ ავლენს ინტელექტუალური ძალის ინდივიდუალურ განსხვავებას; ყველა თანამედროვე IQ ტესტი ადარებს ბავშვის შედეგებს იგივე ასაკის სხვა ბავშვების შედეგებს. 100 ბალზე უფრო მაღალი შედეგი შეესატყვისება საშუალოზე მაღალ ინტელექტუალურ განვითარებას, ხოლო 100 ბალზე უფრო ნაკლები მონაცემები ასახავს საშუალოზე დაბალ დონეს. IQ ტესტების მიხედვით, სქესობრივი განსხვავებები არ იძლევა რაიმე მნიშვნელოვან ზოგად განსხვავებას (Ежова, 2011: 131-141; Ежова (А), 2011:56-66).

### **ფიზიკური აღზრდა, სპორტი და ინტელექტუალური განვითარება**

გონებრივ განვითარებაზე ფიზიკური განვითარების დადებითი ზემოქმედების შესახებ (ნიორაძე, 1974: 63; კახიძე, 2002:158-159) კარგად იცოდნენ ჯერ კიდევ ძველ ჩინეთში, კონფუციუს დროს, ასევე, ძველ საბერძნეთში, ინდოეთსა და იაპონიაში. ტიბეტისა და შაო-ლინის მონასტრებში ფიზიკურ ვარჯიშებს და



შრომას ასწავლიდნენ თეორიული დისციპლინების დონეზე (Кузнецов, 2001). არსებობს კანონზომიერება: რაც უფრო მეტად უვითარდება ბავშვს საკუთარი სხეულის მართვის უნარი, მით უფრო სწრაფად და უკეთესად ითვისებს ის თეორიულ ცოდნას, რაც უფრო სიმეტრიული, მრავალფეროვანი და ზუსტია მოძრაობები, მით უფრო თანაბარზომიერად ვითარდება ადამიანის თავის ტვინის ორივე ნახევარსფერო (Доброхотова, Брагина, 1977:7-68). სპორტის სხვადასხვა სახეობა განსხვავებულად მოქმედებს გონებრივ განვითარებაზე. მაგალითად, ცურვა ძლიერ მოქმედებს ფიზიკურ განვითარებაზე, ტანვარჯიში – დამატებით მოითხოვს მოქმედებათა მაღალ კოორდინაციას, რაც გონებრივ განვითარებასაც აჩქარებს. ზუსტი თვალზომა, კუნთური ძალისხმევის გაანგარიშება, მოძრაობათა რთული კოორდინაცია ქმნის ისეთ გამოცდილებას, რომელიც აუცილებელია ყოველდღიურ ცხოვრებაში. ფრენბურთი და კალათბურთი სტიმულს აძლევს ბავშვის სიმაღლეში ზრდას, ავითარებს მოტორულ რეაქციას, ფეხის კუნთებს, სიფრთხილეს, აჩქარებს გონებრივ განვითარებას. სირბილი და მსუბუქი ათლეტიკა, ისევე, როგორც სპორტის სათამაშო სახეები, განკუთვნილია 12–13 წლის ბავშვებისათვის და განვითარების წმინდა ფიზიკური მხარის გარდა, ავითარებს გადაწყვეტილების მყისიერ მიღების უნარს, სწრაფ გონებრივ შეფასებას, ორიენტაციას. წყალთან დაკავშირებული სპორტის სახეობები, მაგალითად, ნიხოსნობა, აფროსნობა – ხელს უწყობს როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ განვითარებას. აქ ყოველ წამს საჭიროა ფიზიკური მოქმედების ურთიერთკავშირის უზრუნველყოფა გონებრივ შეფასებასთან, განზრახულობასთან. აღმოსავლური ორთაბრძოლები კარგად მოქმედებს ბავშვის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე: უზრუნველყოფილი ხდება მოქმედებათა ძლიერი კოორდინაცია და სიზუსტე, ყველა ჯგუფის კუნთების განვითარება, მოწინააღმდეგის მოძრაობაზე მოტორული რეაქცია, სიფრთხილე, გააზრებულობა, წინდახედულობა, მოქმედების ტაქტიკისა და სტრატეგიის სწრაფი გონებრივი განსაზღვრა, სიტუაციის მომენტალური შეფასება, მისი პოზიტიური და ნეგატიური მხარეებით. ამავე დროს, დაუშვებელია ბავშვობის ასაკში კონტაქტური ორთაბრძოლები, რადგან ყოველ დარტყმას შეუძლია ძალიან დიდი ზიანი მიაყენოს ბავშვის ჯანმრთელობას. განსაკუთრებით დაუშვებელია თავის არეში დარტყმა, როცა დამცავი საშუალებებიც არ შევლის. სპორტული მეცადინეობების დროს ხორციელდება ინტელექტუალური აღზრდა, რომელიც ზოგჯერ „სათამაშო ინტელექტში“ (Демин, 1971: 15-22) ან „ოპერატიულ აზროვნებაში“ (Жоров, 1985: 53-61)

გამოიხატება. აქ არსებობს ორნაირი კავშირი: უშუალო და გაშუალდებული. უშუალო კავშირი ხორციელდება ფიზიკური აღზრდის პირდაპირი ზემოქმედებით ინტელექტუალური თვისებების განვითარებაზე. სპორტული ვარჯიშების პროცესში უწყვეტივ წარმოიქმნება მოძრაობითი სიტუაციები, რომელთა გადაწყვეტა მნიშვნელოვან გონებრივ დაძაბულობას მოითხოვს. გონებრივი საქმიანობის სპეციფიკურობა სპორტში მეცადინეობის პროცესში გულისხმობს მჭიდრო ურთიერთქმედებას სხეულის მოძრაობასა და გონებრივ ოპერაციებს შორის: ვარჯიშების შესრულებისას სპორტსმენები განუწყვეტილ არკვევენ მოძრაობათა პროგრამისა და მის ფაქტობრივ შესრულებას შორის შეფარდებას. ამის შედეგად, განმტკიცდება გაცნობიერებული კავშირები კუნთურ შეგრძნებებს, მოძრაობით ამოცანასა და მისი გადაწყვეტის საშუალებებს შორის. ამგვარად, მოძრაობა ხდება გარე სამყაროს შემეცნებისა და ათვისების საშუალება.

### **გონებრივი განვითარების ემპირიული კვლევა**

პიროვნების გონებრივ განვითარებასთან სპორტის გაშუალდებული კავშირი იმაში გამოიხატება, რომ ფიზიკური ვარჯიშების შესრულება ქმნის აუცილებელ ფუნდამენტს მყარი ჯანმრთელობისათვის. სპორტი ხშირად გამოიყენება გონებრივი დაძაბულობის მოსახსნელად და ინტელექტუალური საქმიანობის სტიმულაციისათვის.

აზროვნების განვითარება ხორციელდება იმ ცნებების წრის გაფართოებით, რომლებიც ჩართულია ფიზიკური აქტივობის პროცესთან დაკავშირებულ გონებრივ ოპერაციებთან. ანალიზის, სინთეზის, შედარების, მსგავსება-განსხვავების მოძიების, კლასიფიკაციის ოპერაციები აუცილებელია ნებისმიერი ფიზიკური ვარჯიშის, შეჯიბრებისა თუ თამაშების დროს. აღნიშნავენ, რომ ინტელექტის საზომი მეთოდები იმისათვის გამოიყენება, რათა განმეორებითი გამოყენების შემთხვევაში დადასტურდეს, თუ როგორი ცვლილებები განიცადა ადამიანის შინაგანმა სამყარომ (Истратова, Широкова, Эксакуето, 2008: 455-470).

„სკოლის მოსწავლეებისა“ და „მოსწავლე სპორტსმენების“ გონებრივი განვითარების შედარებითი შესწავლა განხორციელდა შემდეგნაირად: უმცროსი სასკოლო ასაკის „სკოლის მოსწავლეები“ და „მოსწავლე სპორტსმენები“ შესწავლილ იქნენ ბინე-სიმონის ტესტის საფუძველზე, ხოლო საშუალო და უფროსი ასაკის „სკოლის მოსწავლეები“ და „მოსწავლე სპორტსმენები“ – ბინე-

სიმონისა (Головин, 1998: 538) და აიზენკის (აიზენკი, 2011:72-81) ტესტების შესაბამისად.

№1 ცხრილში (იხილე დანართი №1) მოყვანილია ჩვენ მიერ გამოკითხული „სკოლის მოსწავლეებისა“ და „მოსწავლე სპორტსმენების“ გონებრივი განვითარების შედარებითი შესწავლის შედეგები.

ტესტირების შედეგად დადგინდა, რომ გონებრივი განვითარების უმაღლესი დონის მიხედვით უმცროს და საშუალო ასაკის სკოლის მოსწავლეებში რაიმე მნიშვნელოვან სხვაობაზე საუბარი შეუძლებელია. მაგრამ, უფროს სასკოლო ასაკში გონებრივი განვითარების უმაღლესი დონის მაჩვენებლების (130 ქულაზე ზემოთ) მიხედვით, 17 წლის „სკოლის მოსწავლეებს“ (14 მოსწავლე – 61%) აშკარა უპირატესობა აქვთ იმავე ასაკის „მოსწავლე სპორტსმენტთან“ შედარებით (0 მოსწავლე – 0 %). უფროს სასკოლო ასაკში გონებრივი განვითარების მაღალი დონის მაჩვენებლების (111-130) მიხედვით, უპირატესობა ეკუთვნის „მოსწავლე სპორტსმენტებს“ (5 მოსწავლე – 19%) „სკოლის მოსწავლეებთან“ შედარებით (2 მოსწავლე – 9%).

უფროს სასკოლო ასაკში გონებრივი განვითარების საშუალო მაჩვენებლების (91 – 110) მიხედვით, გონებრივი განვითარების საშუალო დონის მაჩვენებლით, უპირატესობა ეკუთვნის „მოსწავლე სპორტსმენტებს“ (11 მოსწავლე – 42%). უმცროს სასკოლო ასაკში გონებრივი განვითარების მაღალი დონის (111 – 130 ქულა) მიხედვით შედარებით მნიშვნელოვანი განსხვავება „მოსწავლე სპორტსმენტებს“ (8 მოსწავლე – 32 %) ეკუთვნით „სკოლის მოსწავლეებთან“ შედარებით (3 მოსწავლე – 10 %). სხვა შემთხვევებში ამ ორ შესადარებელ ჯგუფს შორის რაიმე მნიშვნელოვანი სხვაობა არ დასტურდება. გონებრივი განვითარების დაბალი დონის მიხედვით, შესადარებელ ჯგუფებს შორის არსებითი განსხვავება არ ჩანს. მიღებული შედეგების შესამოწმებლად გადავწყვიტეთ პარალელურად „სკოლის მოსწავლეებისა“ და „მოსწავლე სპორტსმენტების“ სასკოლო აკადემიური მოსწრება შეგვესწავლა. ამისათვის შეკრებილი და გაანალიზებული იქნა 2012-2013 სასწავლო წლის პირველი ნახევრის აკადემიური მოსწრების სასკოლო მონაცემები. მიღებული შედეგები იხილეთ ცხრილში №2 (დანართი). არსებული მაჩვენებლების მიხედვით, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ აკადემიური მოსწრების მონაცემების შესაბამისად, უმცროს სასკოლო ასაკში არსებით განსხვავებას არ აქვს ადგილი, რადგან ორივე შესადარებელი ჯგუფის აკადემიური მონაცემები თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა ოდნავი

უპირატესობა მაინც „სკოლის მოსწავლეებს“ გააჩნიათ (8.61) „მოსწავლე სპორტსმენებთან“ (8.48) შედარებით. თუ უმცროსი სასკოლო ასაკის გონებრივი განვითარების ყველა მონაცემს (გარდა დაბალი დონისა) შევაჯამებთ, მაშინ გამოდის, რომ „სკოლის მოსწავლეებისა“ (65) და „მოსწავლე სპორტსმენების“ (70.0) მონაცემები არსებითად არ განსხვავდება, რეალურად „სკოლის მოსწავლეების“ ოდნავი უპირატესობის მიუხედავად. საშუალო სასკოლო ასაკში, „სკოლის მოსწავლეებს“ (8.39) აკადემიური მაჩვენებლების მიხედვით 1.18 ერთეულით უპირატესობა გააჩნიათ „მოსწავლე სპორტსმენებთან“ (7.30) შედარებით. თუ შევაჯამებთ საშუალო სასკოლო ასაკის გონებრივი განვითარების ყველა მონაცემს (გარდა დაბალი დონისა), მაშინ გამოდის, რომ „სკოლის მოსწავლეებს“ (86) „მოსწავლე სპორტსმენებთან“ (65) შედარებით რეალურად მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნიათ.

უფროს სასკოლო ასაკში „სკოლის მოსწავლეებს“ (8.94) „მოსწავლე სპორტსმენებთან“ (6.92) შედარებით 1.12 ერთეულით უკეთესი აკადემიური მაჩვენებლები გააჩნიათ. ამრიგად, ირკვევა, რომ, თუ შესადარებელ ჯგუფებს შორის უმცროს სასკოლო ასაკში გონებრივი განვითარების მაჩვენებლები ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ასაკის ზრდასთან ერთად, მდგომარეობა იცვლება საკმაოდ განსხვავებულობამდე საშუალო და უფროს სასკოლო ასაკში „სკოლის მოსწავლეების“ სასარგებლოდ.

ვფიქრობთ, რომ ასეთი მონაცემები განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

1. ჩვენი დაკვირვებით, სასპორტო სკოლებში მშობლებს ბავშვები შეყავთ ერთი მიზნით – რათა ფიზიკურმა აქტივობამ ხელი შეუწყოს ბავშვის ნორმალურ განვითარებას;

2. იმ შემთხვევაში, როდესაც საუბარია მაღალი სპორტული შედეგების მიღწევაზე, მშობლების უმრავლესობა უარს აცხადებს სპორტული წვრთნის გაგრძელებაზე ორი მიზეზით: ა. დიდი სპორტული შედეგების მიღწევისათვის საჭიროა უზარმაზარი ენერჯის ხარჯვა, რომელიც ბავშვთა ჯანმრთელობას საშიშროებას უქმნის. ამიტომ მშობლების უმრავლესობას გამოჰყავს ბავშვი სასპორტო სკოლებიდან; ბ. უფროს სასკოლო ასაკში სკოლის ასაკის მოსწავლეთა უმრავლესობისათვის, კარგი სპორტული მონაცემების შემთხვევაშიც კი, ნაკლები შანსია, რომ წარმატებას მიაღწევენ სპორტულ კარიერაში. საქართველოში სპორტის ინვესტირების დონე დაბალია, სპორტში მომუშავეთა ხელფასი მინიმალურია, ხოლო მოზარდი სპორტსმენებისათვის, ჯანმრთელობისათვის

რისკის ზრდასთან ერთად, სპორტში დარჩენის შესაბამისი მოტივაცია ძალიან მცირდება. ამის გამო მაღალი გონებრივი და ფიზიკური მონაცემების მოსწავლე სპორტსმენები მიდიან სასპორტო სკოლებიდან, რადგან სხვა სპეციალობაზე ორიენტირებულობა შესაბამის აკადემიურ მომზადებას მოითხოვს.

## §2. ზნეობრივი განვითარება

ასაკის მომატებასთან ერთად, ბავშვების უმრავლესობა სწავლობს კარგი და ცუდი ქცევების დიფერენცირებას (მაღაზონია, 2001:267-273). მსჯელობა სოციალური წესებისა და პირობითობების მექანიკურ დასწავლას კი არ გულისხმობს, არამედ ამ შემთხვევაში ბავშვი ეჩვევა ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომლის შესაბამისად განსაზღვრავს, რა არის სამართლიანი და რა – არა. არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება იმის თაობაზე, თუ როგორ ხდება ზნეობის განვითარება ბავშვობის პერიოდში. სოციალური დასწავლის თეორიის (ბალიაშვილი, 2010:35–36) მომხრენი თვლიან, რომ ბავშვები მორალს ითვისებენ სხვადასხვა ქცევის შესაბამისად, წახალისებისა თუ დასჯის, აგრეთვე, როლური მოდელებისადმი მიბაძვის შედეგად. ფსიქოდინამიკური თეორიის (Майерс, 2002:566-580) მომხრე ფსიქოლოგები თვლიან, რომ მორალი ვითარდება, როგორც შფოთიანობის საწინააღმდეგო დაცვა (Мак-Вильямс Н., 2010:190), რომელიც დაკავშირებულია მშობლების სიყვარულის დაკარგვასთან. კოგნიტური თეორიის (ბალიაშვილი, 2010:36–39; Майерс, 2002:601-611) მხარდამჭერები თვლიან, რომ ზნეობრივი განვითარება, ისევე, როგორც გონებრივი განვითარება, ატარებს პროგრესირებად, სტადიალურ ხასიათს.

აგრესიული ქცევა, პიროვნებათაშორისი იქნება ის თუ ჯგუფთაშორისი, ისევე, როგორც სოციალური ქცევის სხვა ფორმები, რეგულირდებიან სოციუმში მიღებული და სიტუაციისადმი რელევანტური ნორმებით. ამიტომ საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმ პირობებს, რომლებიც, სუბიექტის თვალსაზრისით, აიძულებს მას აღიქვას ზიანი, რომელსაც, როგორც გამართლებულსა და დროულს, ის განზრახ აყენებს სხვა პირს, (Хьюстон, Штребе, 2004:330-331). არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, მორალური და ეთიკური შეხედულებები ოჯახში აითვისება ბავშვის მიერ. ერთი მხრივ, ისინი მშობელი პიროვნების მნიშვნელოვანი ნაწილია. ასე რომ, ბავშვს შეუძლია ეს შეხედულებები საკუთ-

რად აქციოს მშობლისადმი სიყვარულისა და მასთან იდენტიფიკაციის შედეგად. მეორე მხრივ, ეს შეხედულებები გამოიყენება მშობლების მიერ ინდივიდუალურად ბავშვის სპეციფიკური თავისებურებების მხედველობაში მიღების საფუძველზე. ზოგიერთი ბავშვი მოელის, რომ ასეთ ყურადღებიან დამოკიდებულებას ის შეხედება ოჯახის გარეთ და ამიტომ ძლიერ განიცდის, თუ მოლოდინები არ მართლდება (Фрейд А., 2004:253). უ. პიაჟე ზნეობას განსაზღვრავდა შემდეგნაირად: ზნეობა – ეს არის „საზოგადოებრივი წესწყობილების ნორმებისადმი ინდივიდუუმის პატივისცემა და მისი სამართლიანობის გრძნობა“, სადაც „სამართლიანობა გაიგება, როგორც ადამიანთაშორის ურთიერთგაცვლაზე და თანასწორობაზე ზრუნვა“. პიაჟეს მიხედვით, ბავშვებში მორალური გრძნობა ვითარდება მათი აზრობრივი სტრუქტურების განვითარების, ურთიერთქმედების საფუძველზე, ბავშვების სოციალური გამოცდილების თანდათანობით გაფართოებასთან ერთად.

პიაჟეს თანახმად, მორალური გრძნობის განვითარება ორ სტადიას მოიცავს (კახიძე, 2002:155-157). ზნეობრივი რეალიზმის სტადიაზე (4–6 წელი) ბავშვები ფიქრობენ, რომ აუცილებელია ყველა წესის დაცვა, რადგან ისინი რეალური, ურღვევი პირობებია და არა აბსტრაქტული პრინციპები. ამ სტადიაზე ზნეობრივი ქცევის შესახებ ისინი მსჯელობენ ქცევის შედეგების საფუძველზე და არ შეუძლიათ შეაფასონ განზრახვები. მაგალითად, ბავშვი ჩათვლის, რომ ის გოგო, რომელმაც შემთხვევით დაამტვრია 12 თევზი, უფრო მეტად არის დამნაშავე, ვიდრე ის გოგო, რომელმაც განზრახ დაამტვრია 2 თევზი თავის დაზე გაბრაზების გამო. უფრო გვიან (7 წელი და მეტი) ბავშვები აღწევენ ზნეობრივი რელატივიზმის სტადიას. ახლა უკვე მათ ესმით, რომ წესები ადამიანების მიერ იქმნება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და რომ აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია მათი შეცვლა. ასეთი დასკვნის საფუძველზე ისინი აცნობიერებენ, რომ არ არსებობს რაიმე აბსოლუტურად სწორი ან არასწორი და რომ ქცევის ზნეობრიობა დამოკიდებულია არა მის შედეგებზე, არამედ განსაზღვრაზე (Крайг, 2002:533).

პიაჟეს თეორია განავითარა ლოურენს კოლბერგმა. კოლბერგი ცდისპირებს (ბავშვებს, მოზარდებს, ზრდასრულ ადამიანებს) სთავაზობდა მორალური ხასიათის რამდენიმე მოკლე მოთხრობას და შემდეგ აძლევდა მათ შეკითხვებს, რომელთა მიხედვით, მოთხრობის ყოველი პერსონაჟი ხვდებოდა მორალური დილემის წინაშე და ცდისპირებს სთავაზობდნენ გადაეწყვიტათ ეს დილემა.

კოლბერგს აინტერესებდა არა იმდენად ცდისპირების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რამდენად ამ გადაწყვეტილების დასაბუთება. დილემის შესაბამისად, კიბოთი დაავადებული ქალის განსაკურნავად მეუღლე სთხოვს აფთიაქარს, რომელმაც გამოიგონა კიბოს წამალი და შედეგად უნდა გამდიდრდეს, დაწიოს წამლის ფასი (2000 დოლარი, თუმცა აფთიაქარის დანახარჯები არ არის 200 დოლარზე მეტი), ან მოგვიანებით ის გადაუხდის ფარმაცევტს მთელ თანხას (ახლა მას მხოლოდ 1000 დოლარი აქვს). მაგრამ აფთიაქარი არ თანხმდება. დამით ქალის მეუღლე შედის აფთიაქში და იპარავს წამალს. ცდისპირებს ეკითხებოდნენ: „უნდა მოეპარა თუ არა ქალის მეუღლეს წამალი? რატომ? სწორი იყო აფთიაქარი თუ არა, რომ ბევრჯერ მეტად შეაფასა წამალი? რატომ? „რა არის უარესი – არ დავეხმაროთ ადამიანს და მოკვდეს ის, თუ მოვიპაროთ წამალი, სიცოცხლის გადასარჩენად? რატომ?“

კოლბერგის მიხედვით, არსებობს მორალური განვითარების 6 სტადია, მარტივ პირველ სტადიაზე ბავშვი ორიენტირებულია დასჯის განრიდებასა და მორჩილების უზრუნველყოფაზე; მეორე სტადიაზე მას ახასიათებს მიაშიტური ინსტრუმენტალური ჰედონიზმი, რომლის თანახმად, ის წესებს იმიტომ ექვემდებარება, რომ ჯილდო დაიმსახუროს (ბალიაშვილი, 2002; 36–38); მესამე სტადიაზე ბავშვი ორიენტირებულია იმაზე, რომ სხვებისაგან მისდამი კარგი დამოკიდებულება უზრუნველყოს; მეოთხე სტადიაზე ზნეობა მიიღება, როგორც ხელისუფლებით და კანონით განმტკიცებული; მესამე სტადიაზე ზნეობა განიხილება საზოგადოებრივი ხელშეკრულების სახით და ის უნდა იყოს დაცული ამ საზოგადოების წევრების კეთილდღეობის გათვალისწინებით, მეექვსე სტადიაზე – ზნეობა ორიენტირებულია თავისუფალი სინდისის კანონებზე, რაც, უნივერსალური ეთიკური პრინციპების შესაბამისად, განსაზღვრავს მოქმედებას და არა კონკრეტული წესებისა თუ კანონების შესაბამისად მოქმედებას. ამ თეორიამ მრავალი კრიტიკული შენიშვნა დაიმსახურა (Крайг, 2002:533-535), მაგრამ ფაქტია, რომ ის საშუალებას იძლევა ზნეობის თანდათანობით განვითარებას ვადევნოთ თვალი: საყურადღებო იყო კერიელ გილიგანის შენიშვნები. მისი თვალსაზრისით, კოლბერგმა მხოლოდ მამაკაცები შეისწავლა და ამიტომ არ იყო ნაჩვენები, თუ რა განსხვავებაა მამაკაცურ და ქალურ პოზიციაში. მამაკაცები უფრო მეტად სამართლიანობის პოზიციიდან უდგებიან საქმეს, იმ დროს, როდესაც ქალებს უფრო მეტად ახასიათებთ სხვებზე ზრუნვა. ზოგადად კი აღნიშნავენ, რომ თან-

დათანობით ბავშვი მიდის იმ დასკვნამდე, რომ სინდისის შესაბამისად მოქმედება არის უმთავრესი.

ფსიქოლოგიაში არსებობს ორი მიდგომა ბავშვის ეთიკური განვითარების თაობაზე და აქედან გამომდინარე მისი ზნეობრივი აღზრდისადმი (ფალავანდი-შვილი, 1999:40-52). პირველი ეფუძნება ქცევის მორალური ნორმებისა და წესების შეთვისებას, მეორე კი – ბავშვის ემოციურ განვითარებას და სოციალური გრძნობების ჩამოყალიბებას. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი ავტორი (Смирнова E.O.) მიიჩნევს, რომ მორალურ და ზნეობრივ ქცევას აქვს განსხვავებული ფსიქოლოგიური საფუძველი. ზნეობრივი ქცევა სხვაზე არის მიმართული და გამოხატავს მისდამი, როგორც დამოუკიდებელი და უნიკალური პიროვნებისადმი, განსაკუთრებულ დამოკიდებულებას. ასეთი ქცევა უანგაროა (ადამიანი არაფერს ელოდება სამაგიეროდ, ეს უნივერსალურია – არ არის დამოკიდებული კონკრეტულ სიტუაციაზე). ზნეობისაგან განსხვავებით, მორალური ქცევა სტიმულირდება რაღაც ნიმუშთან შესატყვისობით და მიმართულია საკუთარი პიროვნული მეობის მორალური თვითშეფასების განმტკიცებისკენ (ადამიანს სურს კარგად და დადებითად იყოს შეფასებული). ამ შემთხვევაში, სხვა გამოდის, როგორც ღირსებების განმამტკიცებელი საშუალება, მაგრამ, მთლიანობაში, მორალისა და ზნეობრიობის წინააღმდეგობის მიუხედავად, ისინი აღწერენ ადამიანის ერთიან ეთიკურ საწყისს. მორალური ქცევის ფორმირების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან მეთოდად მიჩნეულია მორალური თვითრეგულაციის განვითარება, რომელიც ხორციელდება ბავშვის მიერ მორალური ეტალონებისა და საკუთარი ქცევის მორალური შეფასების უნარის შესახებ წარმოდგენების მეშვეობით. ამ შემთხვევაში მთავარია ქცევა შეესაბამებოდეს მორალურ ნიმუშებს და საკუთარი თვითშეფასების ამაღლებისადმი სწრაფვას. მორალური ქცევა, რომელიც ზნეობრივ გრძნობებს ემყარება (ე.ი. თანაგანცდას, ემპათიას) არის უშუალო. მისი მოტივი ხდება სხვა ადამიანის განცდები, რომლებიც აღიქმება უშუალო ემოციური თანაგანცდის საშუალებით. ამ შემთხვევაში, სხვა ბავშვი საკუთარი მორალური ღირსებების განხორციელების საშუალება კი არ არის (როგორც წინამდებარე შემთხვევაში), არამედ ბავშვის უშუალო მიზნად (Смирнова, 2009:275) განიხილება.

ბუნებრივია, რომ ფიზიკური აღზრდა (მაღაზონია, 2001:332-338) და სპორტი, როგორც სპეციფიკური ქცევის განმსაზღვრელი, მრავალ კონკრეტულ თავისებურებას ითვალისწინებს, რომელთა მხედველობაში მიდება აუცილებელია



მორალურ-ზნეობრივი აღზრდის პროცესში. ფიზიკური აღზრდის პროცესში განმტკიცდება ადამიანის ნებისყოფა, ხასიათი, სრულყოფილი ხდება საკუთარი თავის მართვა, სწრაფი და მიზანშეწონილი ორიენტირების უნარი. ფიზიკური აღზრდა და სპორტი მნიშვნელოვანწილად ორიენტირებულია შეჯიბრებაზე, ეს კი თავისთავად ნიშნავს მეტოქეობას. თუმცა ეს არ არის ანტაგონისტური მეტოქეობა, რადგან შეჯიბრების მონაწილეთა ურთიერთქმედების მკაცრი რეგლამენტირება და მიღწევების შეფასების უნიფიკაცია თანაბრად უწყობს ხელს (ან ზღუდავს) სპორტსმენტა მოქმედებას და ამდენად, სპორტული თამაშების მეტოქეობისადმი გარკვეული ორიენტირებულობა სულაც არ უშლის ადამიანს ხელს მისი ზნეობრივი თვისებების გამოვლენაში. პირიქით, ზუსტად შეჯიბრების სიტუაცია არის ბუნებრივი ტესტი ადამიანის ზნეობრიობისა. ამიტომაცაა, რომ პატიოსანი თამაში შეჯიბრების პროცესში – ეს არის იდეალური მდგომარეობა სპორტულ ცხოვრებაში (Биндер, 1997:110-114). ძველი ბერძენი ფილოსოფოსები აღნიშნავდნენ, რომ ქალები და მამაკაცები არა მხოლოდ ფიზიკურ სილამაზეს, ძალასა და ჯანმრთელობას უნდა ფლობდნენ, არამედ, მორალური და სულიერი თვისებების შერწყმით, შეუძლიათ ჩამოაყალიბონ ჰარმონიულად სრულყოფილი პიროვნება (Биндер, 1997:110-114). ცნობილია, რომ ოლიმპიური თამაშების აღორძინების ინიციატორი პიერ დე კუბერტენი თვლიდა, რომ ფიზიკური აღზრდა და სპორტი არა მხოლოდ აუმჯობესებს ჯანმრთელობას და ახალგაზრდობის ძალას, არამედ ისინი, რაც უფრო მნიშვნელოვანია, უკეთესი, ოპტიმისტურად განწყობილი მოქალაქეები ხდებიან.

ოლიმპიური მოძრაობების დაარსებით კუბერტენს სურდა სოციალური, პედაგოგიური და მორალური ღირსებების განვითარებისათვის ხელის შეწყობა. ზოგიერთი თვალსაზრისით, ზუსტად უნდა იქნეს განსაზღვრული ოლიმპიური თამაშების თავისებურებები (Эйхнер, 2009:58-81).

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უპირველეს ამოცანად მიჩნეულია სპორტში ეთიკის გავრცელება და ხელშეწყობა, აგრეთვე, ახალგაზრდობის ისეთი აღზრდა, რომ სპორტში გაბატონებული იქნეს პატიოსანი თამაში და დაძლეულ იქნეს ძალადობა. XX საუკუნის 70-იანი წლების დასასრულსა და 80-იანის დასაწყისში გაძლიერდა მოძრაობა სპორტში ძალადობისა და სიცრუის აღმოსაფხვრელად. ამავე დროს, სულ უფრო მეტად იწვევს წუხილს ის განსხვავება, რომელიც არსებობს იდეალსა და

რეალობას შორის, რამაც საფუძველი დაუდო კამპანიას სახელწოდებით – „პატიოსანი თამაშები“.

სპორტის ფსიქოლოგებმა წარმოადგინეს საინტერესო დაკვირვება ეთიკასა და სპორტს შორის ურთიერთკავშირზე.

1. აღინიშნება აგრესიულობის დაკავშირება სპორტულ თამაშებთან (Биндер, 1997:110-114) (Bredemeier et al., 1988:304-318).

2. ქალები უფრო მეტად, ვიდრე მამაკაცები, მხარს უჭერენ პატიოსან თამაშს და ნაკლებად არიან ორიენტირებულნი ნებისმიერი საშუალებით გამარჯვების მიღწევაზე (Regnier, 1984; Sanderson, 1988).

3. დადგენილი იყო ნეგატიური კორელაცია სპორტით ხანგრძლივ ვარჯიშობებსა და მორალური მსჯელობებს შორის მეხუთე კლასის მოსწავლეების მაგალითზე (Romance, 1988).

4. კალათბურთელები გამოთქვამდნენ გაცილებით დაბალი დონის ზნეობრივი ხასიათის მსჯელობებს, ვიდრე არასპორტსმენები (Bredemeier et al., 1988:304-318).

5. მაღალი კონტაქტობის სპორტის სახეობების მიერ გამოწვეულმა სოციალურმა ურთიერთქმედებებმა შესაძლოა არ მისცენ სტიმული მორალურ განვითარებას, უფრო მეტიც, ხელი შეუშალოს მას (Bredemeier et al., 1988:304-318).

რეალობაში ზნეობრივ აღზრდასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა საფუძველი დაუდო მრავალი მიმართულებით კვლევა-ძიებას, რომლებიც მიექდვნა სპორტს, ფიზიკურ აღზრდასა და ზნეობრივ განვითარებას შორის ურთიერთობებს (Биндер, 1997:110-114). ამ მასალების საფუძველზე ჩამოყალიბდა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში ყურადღებამისაქცევი მოვლენების რიგი, რომლებიც ბავშვთა სპორტში პატიოსან თამაშთანაა დაკავშირებული:

1. მაღალი დონის მეტოქეობის პირობებში საბავშვო სპორტში ძალადობის ფენომენი;

2. ნებისმიერი საშუალებით გამარჯვების სინდრომი, რომელიც ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს ბავშვთა ემოციურ განვითარებასა და მათი დაოსტატების სრულყოფაზე;

3. ბავშვებზე იმ ღირებულებებისა და წესების გავრცელება, რომლებიც არღვევს ბავშვთა სპორტში თანამშრომლობის მოტივაციას;

4. მრავალ მწვრთნელსა და მშობელს არა აქვს ბავშვების განვითარების თაობაზე შესაბამისი ცოდნა, რაც იწვევს ბავშვთა მიმართ არარეალისტურ მოლოდინებს;

5. ძალადობის, უხეში თამაშისა და შურიანობის პროპაგანდა ინფორმაციის მასობრივ საშუალებებში;

6. ბავშვთა სპორტის მრავალ სფეროში სპორტული სულისკვეთების არარსებობა.

7. შეჯიბრებაში მონაწილე ბავშვებისათვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემები.

ამრიგად, მეცნიერული კვლევები და პრაქტიკა განამტკიცებს იმ დასკვნას, რომ საგანმანათლებლო და სხვა „პატიოსანი თამაშის“ სტრატეგიებსა და პიროვნული განვითარების გარეშე, სპორტმა შეიძლება ნეგატიურად იმოქმედოს და ხელი შეუწყოს ძალადობას, სიცრუეს, აგრესიულობას. აგრესიული ქცევა, პიროვნებათაშორისი იქნება ის თუ ჯგუფთაშორისი, ისევე, როგორც სოციალური ქცევის სხვა ფორმები, რეგულირდება სოციუმში მიღებული და სიტუაციისადმი რელევანტური ნორმებით. ამიტომ საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმ პირობებს, რომლებიც, სუბიექტის თვალსაზრისით, აიძულებს მას აღიქვას ზიანი როგორც გამართლებული, რომელსაც ის განზრახ აყენებს სხვა პირს (Хьюстон, Штрენე, 2004:330-331). მეორე მხრივ, შეიძლება შემუშავებულ იქნას ეფექტიანი პროგრამები ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში, რომლებიც ხელს შეუწყობს „ზნეობრივი მსჯელობებისა“ და „პატიოსანი თამაშის“ განვითარებას.

სპორტში არსებობს მნიშვნელოვანი ზნეობრივი პოტენციალი, რომლის შესაბამისად, საჭიროა ზნეობრივი ნორმებისა და პრინციპების დაცვა შეჯიბრების სიტუაციებში, კონკურენტულ ბრძოლაში. თუ გამარჯვება მიღწეულია პატიოსან შეჯიბრებაში, ზნეობრივი ნორმებისა და პრინციპების დაცვით, მაშინ ის ხელს უწყობს ისეთი ზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას, როგორცაა პატიოსნება, ღირსება, სამართლიანობა, პასუხისმგებლობა და სხვ. სპორტული მეცადინეობები, როგორც წესი, სპორტულ ჯგუფში მიმდინარეობს და ისინი უზრუნველყოფს ურთიერთდახმარების, მომთხონელობის, დისციპლინირებულობის ფორმირებას, ჯგუფის ინტერესებისა და პიროვნულის შეთანწყობას, შრომისმოყვარეობის ჩამოყალიბებას. სპორტულ საქმიანობაში ჩართულობა ადამიანში იწვევს სიხარულის ძლიერ გრძნობას, ანიჭებს ემოციურ სიამოვნებას. სპორტში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კოლექტივიზმს. კოლექ-

ტივიზმად ითვლება კონცეფცია, რომლის მიხედვით, პრიორიტეტი ენიჭება ამა თუ იმ გუნდის, ოჯახის, სამუშაო ჯგუფის მიზნებს პირად მიზნებთან შედარებით (Майерс, 2000:250). დიდი ხნის განმავლობაში კოლექტივიზმი განიხილებოდა, როგორც დამოკიდებულება. სინამდვილეში კი აქ პიროვნული დამოუკიდებლობის ნაცვლად, მნიშვნელოვანია ურთიერთდამოკიდებულება. ეს ნიშნავს ახლო ურთიერთობების ღირებულების აღიარებას, სხვების მიმართ პასუხისმგებლურ და ყურადღებიან დამოკიდებულებას, დახმარების გაწევას და დახმარების მიღებას. ყველაფერი ეს კი საშუალებას აძლევს ადამიანს საკუთარი თავი უნიკალურ პიროვნებად მიიჩნიოს და ამავე დროს, საკუთარი თავი „მნიშვნელოვანი სხვა“ ადამიანების ლოიალურ მოკავშირედ განიხილოს (Майерс, 2000:250-254). სპორტსმენს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავზე გამარჯვების გამო (Коробейников, 1995: 81 -86), მაღალი სპორტული და სიჯანსაღის დონის მიღწევის გამო, სპორტში მუდმივად ექმნება ისეთი სიტუაციები, რომლებიც მოითხოვს ზნეობრივი შეფასებისა და ზნეობრივი არჩევანის გაკეთებას, რაც სტიმულს აძლევს მას განსხვავებულ ზნეობრივ ურთიერთობებში შევიდეს მეგობრებთან, მეტოქეებთან, მწვრთნელებთან, მსაჯებთან, გულშემატკივრებთან და ამასთან, ორიენტირებული იყოს ზნეობრივი ქცევის შესასრულებლად. სპორტის სამყარო, სპორტული საქმიანობის სწორი ორგანიზების შემთხვევაში, შეიძლება იქცეს ბავშვებისა და ახალგაზრდობის ჯანმრთელობის, სოციალური აქტივობისა და ცხოვრების ჯანსაღი სტილის სერიოზულ და რეალურ საშუალებად. უფრო მეტიც, ფიზიკური აღზრდა და სპორტი შეიძლება გახდეს მშვიდობის, ჰუმანიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება (Gulden phenning, 1984: 43-57; Heinila, 1988:256-264).

აქ შეიძლება მოვიყვანოთ სპორტისადმი მიძღვნილი პ. დე კუბერტენის ოდის პერიფრაზი, რომლის მიხედვით, სპორტი აყალიბებს კარგ, მეგობრულ ურთიერთობებს ხალხებს შორის, ის არის შემათანხმებელი, ადამიანთა დამაახლოებელი და ერთიანობის უზრუნველმყოფი. ქცევის იდეური საფუძვლების, ეთიკური ნორმებისა და ჩვევების ფორმირება ითვალისწინებს:

- \* ზნეობრივი შეგნების ფორმირებას, იდეურ დარწმუნებლობას და მოღვაწეობის მოტივებს, მაღალი მორალის იდეალებთან თანხმობაში.
- \* მორალური გრძნობების აღზრდას, რომლებიც დამახასიათებელია საზოგადოების მოწინავე წევრებისათვის.
- \* ზნეობრივი შეგნების ფორმირებას.

\* მორალური გრძნობების აღზრდას.

\* ზნეობრივი გამოცდილების ფორმირებას.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ზემოქმედება ზნეობრიობაზე მრავალ ფაქტორთან არის დაკავშირებული. არსებობს ერთმანეთის საწინააღმდეგო მრავალი მოსაზრება ზნეობრიობასთან სპორტის კავშირ-ურთიერთობების შესახებ და სწორედ ამიტომ გვქონდა გაცნობიერებული ამ საკითხის შესწავლის აუცილებლობა.

ზნეობრიობის შესწავლის მიზნით, ჩავატარეთ ორი ტესტირება. პირველი – სოციომორალური ტესტი, რომელიც ნასესხები იყო მკვლევარ ხვოსტოვის მიერ გამოქვეყნებული სტატიიდან (ХВОСТОВ, 2001:26-47). შედეგები მოყვანილია ცხრილში №3 (იხილეთ დანართი).

ზნეობრიობის ტესტის კითხვარი 10-პუნქტიანია. განვიხილოთ თითოეულ კითხვაზე მიღებული პასუხების თავისებურებები.

პირველი – „იფიქრეთ იმაზე, როგორ აძლევდით დაპირებას თქვენს მეგობარს, რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანებისათვის, შეასრულონ ამხანაგისათვის მიცემული სიტყვის შესრულება?“. ამ კითხვის პასუხებში საყურადღებოა ის, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობის მინიჭების თვალსაზრისით, უმცროს სასკოლო ასაკში, მაჩვენებლებს შორის განსხვავება ძალიან მცირეა („სკოლის მოსწავლეები“ – 68%; „მოსწავლე სპორტსმენები“ – 64%). საშუალო სასკოლო ასაკში ეს მაჩვენებლები „მოსწავლე სპორტსმენების“ სასარგებლოდ იცვლება - 81%, ხოლო „სკოლის მოსწავლეებში“ – 68%. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ უფროს სასკოლო ასაკში „სკოლის მოსწავლეების“ მაჩვენებლები (65%) გაცილებით მეტია, ვიდრე „მოსწავლე სპორტსმენებისა“ (38%). აქ ყურადღებას იქცევს ის განსხვავება, რომელიც საშუალო და უფროსი ასაკის „მოსწავლე სპორტსმენების“ მონაცემებს შორის არსებობს. ასეთი მკვეთრი სხვაობა, ჩვენი თვალსაზრისით, იმით შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ უფროს სასკოლო ასაკში მრავალი კარგი მონაცემების მქონე „მოსწავლე სპორტსმენი“ ხშირად ანებებს თავს სპორტში მეცადინეობასა და ვარჯიშს, რადგან მათი დიდი ნაწილი დამატებით იწყებს მეცადინეობას და მზადებას უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩასაბარებლად და ამიტომ დრო არ რჩებათ სპორტულ სკოლაში სასიარულოდ. ამავე დროს, „სკოლის მოსწავლეებში“ შემადგენლობის ასეთ ცვლილებას არ აქვს ადგილი და ამიტომ, ისინი ყველა ასაკობრივ ჯგუფში, როგორც ეს ცხრილიდან ჩანს, თითქმის თანაბრად ანიჭებენ უპირატესობას იმ

დებულებას, რომელიც პირველ კითხვაში არის ჩამოყალიბებული. კითხვარის ტექსტი არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ჩვენ გვემსჯელა მიღებული პასუხების მოტივებზე, რაც საშუალებას მოგვცემდა აგვეხსნა ის მნიშვნელოვანი განსხვავება, რომლის თანახმადაც „სკოლის მოსწავლეებს“ აქვთ უპირატესობა 17-წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში. ამიტომ ეს საკითხი შემდგომში დამატებით კვლევას საჭიროებს.

**ტესტის მეორე კითხვა** ასე იყო ფორმულირებული: „რას ფიქრობთ ნებისმიერი ადამიანის მიმართ დაპირების შესრულებაზე? რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანებისათვის დადებული (მიცემული) დანაპირების შესრულება მცირედ ნაცნობის (ან თითქმის უცნობის) მიმართ?) აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ უფროს სასკოლო ასაკში, ორივე შესადარებელი ერთობლიობის მიერ, უპირატესად მნიშვნელოვნად მიიჩნევა თითქმის უცხო, ან მცირედ ნაცნობი ადამიანის მიმართ მიცემული დანაპირების შესრულება („სკოლის მოსწავლეები“ – 52%, „მოსწავლე სპორტსმენები“ – 58%). შესაბამისად.

**მესამე კითხვა** შემდგენიარად იყო ჩამოყალიბებული ტესტში: „რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანისათვის, მიუტევოს (აპატიოს) იმას, ვინც მას მიაყენა რაღაც სახის ზიანი?“. ამ შემთხვევაში ინტერპრეტაციისათვის ჩვენ ავირჩიეთ პასუხთაგან ის მონაცემები, რომლებიც კონცენტრირებულია სოციომორალური თვალსაზრისით, ანუ შეფასების მესამე ვარიანტში – „არ არის მნიშვნელოვანი“. ამ კუთხით, ყველა ასაკობრივ ჯგუფში „უპირატესობა გააჩნია“ „მოსწავლე სპორტსმენებს“. თანაც, უფროს სასკოლო ასაკში ეს „უპირატესობა“ 23%-ს აღწევს, „სკოლის მოსწავლეების“ 4%-თან შედარებით. ყველა ასაკობრივ ჯგუფში, „მოსწავლე სპორტსმენებთან“ შედარებით, „სკოლის მოსწავლეებს“ მიღებული აქვთ უფრო მაღალი პროცენტული მაჩვენებელი. ასეთი განსხვავება შესაძლებელია იმით იყოს განპირობებული, რომ სქესობრივი შემადგენლობის თვალსაზრისით, თუ „მოსწავლე სპორტსმენების“ შემადგენლობა თითქმის მთლიანად ვაჟებისაგან შედგება, „სკოლის მოსწავლეების“ ჯგუფები შერეული იყო და მათში გოგონები სჭარბობდნენ კიდევ. ეს იმ დროს, როდესაც კარგად არის ცნობილი, რომ სოციალურ ფსიქოლოგიაში მამაკაცები ზოგადად უფრო აგრესიულები არიან, ვიდრე ქალები. ისინი უფრო მეტ ფიზიკურ აგრესიულობას ავლენენ ლაბორატორიულ ექსპერიმენტში. ასეთ განსხვავებულობას, გარკვეულწილად, კულტურაც განაპირობებს, რომლის შესაბამისად, მამაკაცები უფრო

მოუხეშავეები არიან, ქალები კი უფრო ნაზები და თანაგრძნობაზე მომართულნი (Майерс, 2000:234, 263; Семечкин, 2004:169; Мартенс, 1979:106-123).

ამრიგად, ვფიქრობთ, მიტევების პროცესის მიმართ „სკოლის მოსწავლეების“ მხრიდან შედარებით უფრო მაღალი შეფასება განპირობებულია იმით, რომ „სკოლის მოსწავლეთა“ შემადგენლობაში უფრო მეტი იყო მდებარეობითი სქესის წარმომადგენელი, რომლებიც უფრო მიმტევებლები არიან, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენლები.

**ტესტის მეოთხე პუნქტი** ითვალისწინებს კითხვას: „მთლიანობაში რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანებისათვის სიმართლის თქმა?“ ყველა ასაკობრივ ჯგუფში, შესასწავლი ერთობლიობის მიუხედავად („სკოლის მოსწავლეები“ თუ „მოსწავლე სპორტსმენები“), მივიღეთ უმაღლესი შეფასების („ძალიან მნიშვნელოვანია“) აღნიშვნის ჭარბი შედეგი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ თვალსაზრისით არ არსებობს განსხვავება „სკოლის მოსწავლეთა“ და „მოსწავლე სპორტსმენტა“ შორის.

**მეხუთე შეკითხვა:** „დაფიქრდით იმაზე, როგორ ეხმარებოდით დედას ან მამას, რამდენად მნიშვნელოვანია შვილებისათვის – დაეხმარონ საკუთარ მშობლებს?“ – აქ, ისევე, როგორც წინა კითხვის პასუხებში, ასაკობრივი განსხვავებულობისა და შესასწავლ ჯგუფთა სხვადასხვაობის მიუხედავად („სკოლის მოსწავლეები“, „მოსწავლე სპორტსმენები“), ყველგან მიღებული იქნა უპირატესად მშობლების დახმარების მზაობაზე ძალიან მაღალი მაჩვენებელი. ეს ნიშნავს, რომ რაიმე ხელშესახები განსხვავება ამ პუნქტის მიხედვით არ იქნა დადასტურებული.

**მეექვსე პუნქტის მიხედვით:** „დავუშვათ თქვენს მეგობარს ესაჭიროება დახმარება და ის შეიძლება გარდაიცვალოს კიდევ, თქვენ კი ხართ ერთადერთი, ვისაც შეგიძლიათ მისი გადარჩენა. რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანისათვის (საკუთარი სიცოცხლისათვის რისკის გარეშე), გადაარჩინოს მეგობრის სიცოცხლე?“ – ამ კითხვაზე პასუხებშიც, რეალურად, იგივე შედეგი მეორდება, რაც მეოთხე და მეხუთე კითხვების დროს გვაქვს მიღებული, ანუ ასაკობრივი განსხვავებულობის მიუხედავად, ორივე შესადარებელი ერთობლიობა „ძალიან დიდ მნიშვნელობას“ ანიჭებს გადარჩენას.

**მეშვიდე კითხვა შემდგენაირად** არის ჩამოყალიბებული: „რას ფიქრობთ ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენაზე? რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანისათვის (საკუთარი სიცოცხლისათვის რისკის გარეშე) – გადაარჩინოს

უცნობის სიცოცხლე?“. აქ უკვე მიღებული გვაქვს საინტერესო შედეგები. თუ უმცროს და საშუალო სასკოლო ასაკში თითქმის ერთნაირად, უპირატესად „ძალიან დიდ მნიშვნელობას“ ანიჭებენ უცნობი ადამიანის გადარჩენის ფაქტს (ორივე შესადარებელი ჯგუფის წარმომადგენლები), უფროს სასკოლო ასაკში „მოსწავლე სპორტსმენები“ (77%), როგორც ჩანს, უფრო არიან უცნობი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენაზე ორიენტირებულნი, ვიდრე „სკოლის მოსწავლეები“ (44%). ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ „მოსწავლე სპორტსმენებს“ თითქმის ისეთივე შედეგი აქვთ (77%), როგორც მეექვსე პუნქტში, სადაც საუბარია მეგობრის სიცოცხლის გადარჩენაზე (73%). ამრიგად, გამოდის, რომ უცხო ადამიანის გადარჩენას „მოსწავლე სპორტსმენები“ ისეთივე გულისხმიერებით უყურებენ, როგორც მეგობრის სიცოცხლის გადარჩენას. ვფიქრობთ, ამის საფუძველი უნდა იყოს ის, რომ „მოსწავლე სპორტსმენებს“ გაცილებით უფრო მეტი კონტაქტი გააჩნიათ უცხო ადამიანებთან (ვარჯიშების, შეჯიბრებების, შეხვედრების პერიოდში), სკოლის ასაკის მოსწავლეთა ამ კატეგორიას გაცილებით მეტი კონტაქტის შესაძლებლობები აქვთ, რაც მათ საშუალებას აძლევს ზნეობრიობის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა – სხვებისათვის დახმარების გაწევა – განავრცონ არცთუ ძალიან ახლობელ ადამიანთა წრეზე.

**მეორე პუნქტის მიხედვით:** „რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანისათვის სიცოცხლე, მაშინაც კი, როცა ეს მას არ უნდა?“. ყველა ასაკობრივ ჯგუფში უმაღლესი ხარისხის მაჩვენებელი შეფასება – „ძალიან მნიშვნელოვანია“ – უპირატესად აღნიშნული აქვთ „სკოლის მოსწავლეებს“ და არა „მოსწავლე სპორტსმენებს“. უფროს სასკოლო ასაკში სხვაობა მაქსიმუმს აღწევს, რადგან „სკოლის მოსწავლეების“ 87% მიუთითებს მაღალხარისხობრივ შეფასებას, ხოლო „მოსწავლე სპორტსმენები“ 38%-თ კმაყოფილდებიან. აქ უნდა აღინიშნოს, რომ უფროსი ასაკის „მოსწავლე სპორტსმენების“ მიერ გამოვლენილი დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის მიმართ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევისათვის, რადგან მათ აქვთ დიდი ხნის განმავლობაში სპორტთან ურთიერთკავშირი, სისტემატურად ვარჯიშობენ და გარკვეულწილად, ისინი სხვა „მოსწავლე სპორტსმენებისათვის“ ეტალონურ ჯგუფს წარმოადგენენ. ამიტომ მათ მიერ გამოვლენილი დამოკიდებულება, ერთგვარად, სპორტში დაკავებული „მოსწავლეების“ განცდებსა და დამოკიდებულებებს ასახავს. მიღებული შედეგი, უპირველეს ყოვლისა, აშკარად მიუთითებს „მოსწავლე სპორტსმენებისთვის“ დამახასიათებელ რეალურ თავისებურებაზე, „სკოლის მოსწავლეებთან“ შედარებით.



როგორც ცნობილია, სპორტული საქმიანობა დაკავშირებულია ძალასთან, გამძლეობასთან, ამტანობასთან, ქცევის ძლიერ მოტივირებულობასთან, შფოთიანობასთან, მეტოქეობასთან, აგრესიასთან, სტრესთან. გასაგებია, რომ სისტემატურ სტრესულ მდგომარეობასთან გარკვეულწილად ადაპტირებული უფროსი ასაკის „მოსწავლე სპორტსმენებს“ გაცნობიერებული აქვთ საშიშროება, რომელიც, უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება სიცოცხლისადმი საშიშროებად იქნეს განცდილი და უეჭველია, რომ მნიშვნელოვანი რისკიანობა სპორტულ საქმიანობასთან უფრო მეტად არის დაკავშირებული, ვიდრე ეს ჩვეულებრივი სკოლის მოსწავლეებს ახასიათებს. ვფიქრობთ, რომ გარკვეულწილად, სწორედ რისკისადმი შეგუებულობა ასახავს „მოსწავლე სპორტსმენების“ მხრიდან სიცოცხლისათვის საშიში სიტუაციებისადმი გარკვეულწილად ადაპტირების, შეგუების მდგომარეობას.

**კითხვარის მეცხრე პუნქტი** ითვალისწინებს შემდეგ კითხვას: „რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანისათვის – არ აიღოს ნივთები, რომლებიც სხვა ადამიანებს ეკუთვნით?“ ამ კითხვაზე საპასუხოდ ორივე შესაძარებელი ერთობლიობის („სკოლის მოსწავლეები“, „მოსწავლე სპორტსმენები“) პასუხები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. უმცროს სასკოლო ასაკში, ორივე შესასწავლი ჯგუფის რესპონდენტებს (შესაბამისად, 62% და 60%) ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნიათ სხვისი ნივთების ხელშეუხებლობა. თითქმის იგივე შეფარდება გვაქვს საშუალო სასკოლო ასაკში. გარკვეულ დისონანსად გვევლინება უფროსი სასკოლო ასაკის „მოსწავლეების“ შედეგები, აქ სხვისი ნივთების ხელშეუხებლობას „სკოლის მოსწავლეების“ მხოლოდ 26% ადასტურებს. ასევე, შედარებით მცირე პროცენტი (თუმცა უფრო მეტი, ვიდრე „სკოლის მოსწავლეები“) „მოსწავლე სპორტსმენებისა“ – 38% მიიჩნევს, რომ სხვების ნივთების ხელშეუხებლობა ძალიან მნიშვნელოვანია. ზნეობრივად ესოდენ მიუღებელმა შედეგებმა ჩვენი გაოცება გამოიწვია და ამის გამო ჩვენ ხელმეორედ ვეწვიეთ უფროსი სასკოლო ასაკის როგორც „სკოლის მოსწავლეებს“, ისე „მოსწავლე სპორტსმენებს“ და ვთხოვეთ განემარტათ ჩვენთვის, თუ როგორ გაიგეს მათ მეცხრე კითხვარის შინაარსი:

1. ორივე ჯგუფის წარმომადგენლებმა, კითხვის დასმისთანავე, აღნიშნეს, რომ ისინი ყოველთვის გულისხმობდნენ ფიზიკურ ვარჯიშებთან, სპორტის გაკვეთილებთან ანდა სპორტულ სკოლაში ვარჯიშებთან და შეჯიბრებებთან დაკავშირებულ გარემოებებს. ამავე დროს, საყურადღებოა, რომ ეს ზოგადი

ხასიათის სოციომორალური ტესტი ჩართული იყო სპორტთან დაკავშირებულ სხვა მრავალ ტესტთან ერთად, ტესტების ერთ, ზოგად ერთობლიობაში და ისინი ამ ტესტებს ერთდროულად პასუხობდნენ.

2. ჩვენ სარწმუნოდ მიგვაჩნია მათი განმარტება, რომლის თანახმად, მათ მეგობართა და თანაგუნდელთა პირად სპორტულ აღჭურვილობასა და ინვენტარზე გააკეთეს აქცენტი, რომელსაც, მართლაც, საჭიროების შემთხვევაში, ისინი ზოგჯერ დაუკითხავადაც იღებენ. მათ აღნიშნეს ისიც, რომ კითხვა გულისხმობს ალბათობას, რომლის განხორციელების შესაძლებლობაა მინიშნებული და არა აუცილებლობა. ალბათ, ამიტომაც არის, რომ სხვა ადამიანის კუთვნილი ნივთების აღების ნაკლებ მნიშვნელობაზე მიუთითებენ არა მხოლოდ უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეები, არამედ უმცროსი და საშუალო სასკოლო ასაკის მოსწავლეებიც. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ გამოვლინდა გამოყენებული სოციომორალური ტესტის ამ პუნქტის ორაზროვნება, რადგან ორივე სასწავლო ჯგუფის წარმომადგენლებმა მეცხრე პუნქტში მითითებული სიტყვა „აიღო“ არ გააიგივა სიტყვა „ქურდობასთან“. როგორც თავად მოსწავლეები აღნიშნავდნენ ძირითადი გამოკითხვის ჩატარების შემდეგ, სიტყვა „აიღო“ „ქურდობის“ მნიშვნელობით რომ ყოფილიყო გააზრებული, მაშინ ისინი, გარეგნულად მაინც, სხვების ნივთების „არადებას“ მიაჩნებდნენ დიდ მნიშვნელობას. რესპონდენტების ასეთმა ინტერპრეტაციამ დაგვარწმუნა, რომ შემდგომში საჭირო იქნება, კვლავ დავუბრუნდეთ ზნეობრივი პოსტულატების – „არ აიღოს“ და „არ მოიპაროს“ – შესწავლას.

**მეათე კითხვის** საპასუხოდ – „რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანებისთვის დაემორჩილონ კანონებს?“ – მივიღეთ საინტერესო შედეგები. როგორც უმცროს, ისე საშუალო სასკოლო ასაკში, ორივე შესაძარბეველი ჯგუფის წარმომადგენლები უპირატესად აღნიშნავენ, რომ კანონებისადმი დამორჩილება „ძალიან მნიშვნელოვანია“, მაგრამ უფროსი სასკოლო ასაკის ორივე ჯგუფის უმრავლესობა კანონებისადმი მორჩილებას მხოლოდ „მნიშვნელოვნად“ თვლიან. ვფიქრობთ, რომ უფროს სასკოლო ასაკში მონაცემების ასეთი სტრუქტურა გარკვეულწილად უნდა ასახავდეს საზოგადოების ზოგიერთ წრეში კანონების უგულვებელყოფის ტენდენციას.

**ზნეობრიობის მეორე ტესტირება** ჩატარდა პიროვნების ზნეობრივი განვითარების შეფასების ტესტის შესაბამისად, რომელიც ადაპტირებული იყო

მაშჩენკოს (Мащенко, Протько, Ростовцев, 2012:7-9) რუსულენოვანი ტექსტის შესაბამისად. მონაცემები მოყვანილია ცხრილში №4 (იხ. დანართი).

დადგინდა, რომ პიროვნების ზნეობრივი განვითარების შეფასების ტექსტის მიხედვით, უფროს სასკოლო ასაკში, „სკოლის მოსწავლეების“ მაჩვენებელია 83%, რაც უფრო მეტია, ვიდრე „მოსწავლე სპორტსმენებისა“ – 65%. შეგვიძლია ვიმსჯელოთ ზნეობრივი განვითარების შეფასების თვალსაზრისით იმ რეალურად არსებულ განსხვავებაზე, რომელიც უფროს სასკოლო ასაკში დაფიქსირდა. ვვარაუდობთ, რომ „ძალიან მაღალი დონის“ ზნეობრიობის დაფიქსირებაში ის უპირატესობა, რომელიც უფროსი სასკოლო ასაკის „სკოლის მოსწავლეებს“ გააჩნიათ „მოსწავლე სპორტსმენებთან“ შედარებით, გამოწვეული უნდა იყოს სპორტულ საქმიანობაში რეალურად არსებული და სპორტული სიტუაციისათვის გამართლებული, მაგრამ ჩვეულებრივი ზნეობრივი სტანდარტებისთვის მიუღებელი ან ნაკლებად მისაღები მოქმედებების შეფასებით, რომლებიც, მკაცრი ზნეობრივი განსაზღვრით, ორივე შესადარებელი ჯგუფის თვალსაზრისით, არ შეესაბამება ძალიან მაღალი დონის ზნეობრიობას.

ვფიქრობთ, რომ ნაკლებად მისაღებ თვისებებს, უპირველეს ყოვლისა, უნდა მივაკუთვნოთ აგრესიულობა, რომელიც, ჩვენივე გამოკვლევის საფუძველზე, უფრო მეტად ახასიათებთ „მოსწავლე სპორტსმენებს“, ვიდრე „ჩვეულებრივი სკოლის მოსწავლეებს“, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ აგრესიულობას, რიგ შემთხვევებში, სპორტში დადებითი ელფერი აქვს მიკუთვნებული, მას მხარს უჭერენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ზოგადად თვითონ „მოსწავლე სპორტსმენები“ ასეთ თვისებას „ძალიან მაღალი დონის“ ზნეობრიობად უნდა თვლიდნენ. ვფიქრობთ, რომ იგივე ითქმის მეტოქეობის მხარდაჭერაზე, რომელიც ზოგადად არ შეიძლება ძალიან მაღალ ზნეობრიობას მივაკუთვნოთ. ამავე დროს, როგორც ჩანს, საჭიროა შემდგომში ზნეობრიობის გამოვლენის რეალურად არსებული განსხვავების შესწავლა, რომელიც, ერთი მხრივ, საშუალებას აძლევს „მოსწავლე სპორტსმენებს“ „მაღალ ზნეობრიობას“ გაუსვან ხაზი საკუთარ განვითარებაში, მაგრამ თავს იკავებენ „ძალიან მაღალი ზნეობრიობის“ აღნიშვნისაგან.

### §3. ესთეტიკური თვისებების ფორმირების თავისებურებანი

ესთეტიკური აღზრდის (ტყემალაძე, 1986:127-155; მაღაზონია, 2001:321-332) როლი პიროვნების ფორმირებაში ძალიან დიდია. ჯერ კიდევ უძველეს პერიოდში აინტერესებდათ ადამიანებს ესთეტიკის ელემენტები. ეს კარგად ჩანს პლუტარქეს მიერ მოყვანილ მაგალითში, სადაც ფილოსოფოსის შეკითხვაზე – სად მიჰქონდათ ქვები, მუშა პასუხობს: „მშვენიერი სამლოცველოს ასაგებად“. ხელოვნება და ესთეტიკური აღზრდა დიდ როლს თამაშობს ზნეობის ფორმირებაში. საყურადღებოა, რომ არისტოტელე თავის „პოეტიკაში“ (უფრო სწორად, „პოეზიის ხელოვნებაში“) გეთავაზობს მხატვრული შემოქმედების კანონებს (Петровский, 1957:9) და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, კათარსისის (განწმედის) ცნებას (Аристотель, 1957:56), დაკავშირებულს ეთიკურ, ესთეტიკურ-ეთიკურ, სამედიცინო, რელიგიურ თემებთან (Петровский. 1957:30–31), ფსიქოლოგიურ თეორიებთან (Карпенко, 1985:137). საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ არისტოტელე, ზნეობისა და აღზრდისადმი ხელოვნების მიმართებაზე საუბრისას, ახსენებს „კათარსისს“ (დანელია, 1978:176). მნიშვნელოვანია, რომ კათარსისის ცნებამ გარკვეული როლი შეასრულა ისეთი ფსიქოთერაპიული თეორიის ფორმირებაში, როგორც არის ფსიქონალიზი. ზ. ფროიდი წერდა: „ჩვენს მეთოდს ბროიერი უწოდებდა კათარსისულს; ... პრაქტიკული შედეგი კათარზული პროცედურისა ჩინებული იყო. ნაკლოვანებანი, რომლებიც მოგვიანებით გამოვლინდა, იყო ნაკლოვანება ყოველი ჰიპნოზური მკურნალობისა (ფროიდი, 2010:176).

გასაგებია, რომ ხელოვნების ზემოქმედება ადამიანის აღზრდაზე გარკვეულწილად დამოკიდებულია მის მხატვრულ-ესთეტიკურ განვითარებაზე. დ. უზნაძე წერს, რომ 8–12 წლამდე ესთეტიკური ინტერესი თითქმის სრულიად დაჩრდილულია, ოღონდ უკანასკნელ წლებში, იმ მნიშვნელოვანი ცვლილებების გამო, რომლებიც ბავშვის ინტელექტუალური განვითარების ხაზზე იჩენს თავს, მდგომარეობა იცვლება და სიჭაბუკის ხანაში ესთეტიკური ინტერესის მძლავრი აღორძინების ნიადაგს ამზადებს. დ. უზნაძის მიხედვით, ამ ასაკში ბავშვის ყურადღებას მხატვრული სურათის შინაარსი იტაცებს, უმრავლესობა უძღურია შინაარსის აბსტრაქცია მოახდინოს და სურათის ესთეტიკური მხარე თავისი შეფასების საგნად აქციოს, ის მზამზარეული ესთეტიკური სქემების სარგებლობს, სურათში ეძებს ისეთ ნაწილებს ან მომენტებს, რომელთაც მიჩვეული ღამაზი უწოდოს და მთელ სურათს ამის მიხედვით აფასებს. დ. უზნაძეს

მოჰყავს ვალენტაინის ექსპერიმენტი, სადაც მკვლევარმა ორი სურათი მისცა ბავშვებს ესთეტიკური თვალსაზრისით შესადარებლად; ერთი სურათი ცუდად იყო შესრულებული, მაგრამ ლამაზ კაცს გამოხატავდა, ხოლო მეორე მახინჯს, მაგრამ მხატვრული შესრულების მხრივ მაღალ დონეზე იდგა. სასკოლო ასაკის პირველ წლებში (8–10 წელი) ბავშვებმა, თითქმის უკლებლივ, უპირატესობა პირველს მიანიჭეს, ხოლო უფრო მაღალ ასაკობრივ საფეხურზე აღმოჩნდა რამდენიმე ისეთი ბავშვი, რომელიც სურათის შეფასებისას ფერით, ფორმით და ზოგჯერ, თუმცა უფრო იშვიათად, საერთო შთაბეჭდილებითაც ხელმძღვანელობდა. როგორც ჩანს, გაბატონებული საგნობრივი, შემეცნებითი ინტერესი, რომელიც ამ ასაკისათვისაა დამახასიათებელი, ესთეტიკური შეფასების წმინდა სახით გამოვლენის შესაძლებლობებს ჰგავს. ჩატარებული იყო ექსპერიმენტი, სადაც სურათების შინაარსი არანაირად არ იყო ბავშვის საგნობრივი შემეცნებითი ინტერესებისათვის საგულისხმო. ცდისპირებს რამდენიმე სურათი მათი ესთეტიკური ღირებულების მიხედვით უნდა განეთავსათ. აღმოჩნდა, რომ გარე ესთეტიკურმა თვალსაზრისმა აქაც იჩინა თავი, მაგრამ ბავშვებმა უმეტესად შეძლეს წმინდა ესთეტიკური შეფასების ისეთი კრიტერიუმების გამოყენება, რომლებიც ზრდასრული ადამიანებისათვის არის დამახასიათებელი. ისინი იყენებდნენ ფერის, ფორმის, განლაგების, პერსპექტივის, ბუნებრიობისა და მთლიანი მხატვრული შთაბეჭდილების თვალსაზრისს, მაგრამ არა მთლიანად, როგორც ზრდასრული ადამიანების შემთხვევაში, არამედ ცალ-ცალკე. 10–11 წლიდან მდგომარეობა იცვლება: საგნობრივი შინაარსი ადრინდელივით აღარ ატყვევებს ბავშვის ყურადღებას. ამ მხრივ, ესთეტიკური განცდის აღმოცენება იმდენად „გაბედული“ აღარაა, როგორც წინათ, ბავშვის გულისყური სურათის შინაარსის საგნობრივ მხარეს კი არა, მისი მნიშვნელობისაკენ მიმართება. მაგრამ 11–12 წლის ბავშვი ჯერ კიდევ არ აღმოჩნდა ესთეტიკური ღირებულებისათვის მომწიფებული. სამაგიეროდ, ნაცვლად საგნობრივი და შინაარსობრივი მხარისა, სურათის მიმზიდველ ღირებულებას აქცევს ყურადღებას: როდესაც ცდის პირს ეკითხებიან, რომელი სურათი უფრო მოსწონს, იგი იმაზე მიუთითებს, რომელიც ბავშვის უფრო სიმპათიურ სახეს გამოხატავს, გარდა ამისა, განვითარების ფაქტი იმაშიც იჩენს თავს, რომ შეფასების კრიტერიუმები (ფერი, ფორმა, შინაარსი) ახლა უფრო სწრაფად ცვლიან ერთმანეთს და, მაშასადამე, სურათის გათვალისწინებისა და შეფასების სრულ შესაძლებლობებს იძლევიან. კონკრეტულად, გამოირკვა, რომ 11–12 წლის ასაკში ფერი განსაკუთრებით მეტ

ყურადღებას იქცევს და ესთეტიკური განცდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს. აქ უკვე შეფასება უფრო დანაწევრებული შთაბეჭდილების შედეგია და უფრო მრავალმხრივი. დ. უზნაძე აგრეთვე აღნიშნავს განსაკუთრებულ ესთეტიკურ გრძნობას ამ ასაკში რითმისა და სიმეტრიის მიმართ.

საყურადღებოა, რომ ბუნების მშვენიერების ესთეტიკური განცდა ამ ასაკში გაძნელებულია, რადგან ბუნება, სინამდვილის რომელიმე სხვა სფეროსთან შედარებით, გვაწვდის გაცილებით მეტ რიცხვს ობიექტებისა, რომლებიც პირდაპირ საგნობრივ ინტერესს აღვივებენ; ყოველგარი სხვა ღირებულების ცნობიერება აქ განსაკუთრებით მკვეთრ კონკურენციას უწევს ესთეტიკურობას. ბავშვი, რომელიც ბუნების სურათებს სჭერეტს, მის ბუნებრივ თვალშისაცემ საგნობრივ შინაარსზე ჩერდება, ხოლო რაც შეეხება მშვენიერებას, იგი ბავშვის ყურადღების მიღმა რჩება. მხოლოდ სასკოლო ასაკის უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით – სიჭაბუკის ხანაში იქცევა ბუნების მშვენიერების გაგება ადამიანის ესთეტიკური განცდის ერთ-ერთ ძირითად ნაკადად (უზნაძე, 1967: 525–529). ბუნებრივია, ესთეტიკურ აღზრდას აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგან საინტერესო მოთხრობამაც კი შეიძლება არ გამოიწვიოს ბავშვში ესთეტიკური სიამოვნება, თუ მას შემუშავებული არ აქვს, მაგალითად, მხატვრული კითხვის ტექნიკა. ამიტომ აუცილებელია უზრუნველყოფილი იქნეს სკოლაში მოსწავლეთა ესთეტიკური მომზადება (ხარლამოვი, 1999). ძალიან ხშირად სილამაზე (მშვენიერება) დაკავშირებულია ჰარმონიულობასთან (ბერძნ. „ჰარმონია“ – თანაზომიერი კავშირი, აღნაგობა), რომელიც გულისხმობს შეთანაწყობას, შეთანხმებულობას, შეწყობილებას, სხვადასხვა თვისების, საგნების, მოვლენების, მთლიანის ნაწილების ურთიერთშეფარდებას; ზოგჯერ ამ თვალსაზრისით მოიაზრება მთელის იდეალური შეფასება, სიმეტრიულობა, პროპორციულობა, „ოქროსკვეთა“ და სხვა. სინამდვილეში სილამაზე (მშვენიერება), მათ შორის, სპორტში (Arnold, 1979: 45-63), უპირველეს ყოვლისა, ეს არის სრულყოფილი ფორმა, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს შინაარსს, ხელს უწყობს პოზიტიური და სოციალური მნიშვნელობის გარკვეული ფუნქციების ეფექტურ შესარულებას. ამ თვალსაზრისით სპორტსმენის მაღალი ტექნიკური ოსტატობა არის მნიშვნელოვანი, მაგრამ ეს არაერთადერთი პირობაა მისი მოქმედებების ესთეტიკური შეფასებისათვის. იმისათვის, რომ ვილაპარაკოთ მოქმედებათა სილამაზეზე, ისინი აუცილებლად უნდა იყვნენ შეთანაწყობილნი იმ ამოცანებთან, რომელთა გამოც სრულდებიან. სპორტსმენის ტექნიკური ოსტატობა უშუალოდ უნდა იყოს დაკავ-

შირებული მათ მიზანშეწონილობასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ირღვევა მნიშვნელოვანი ესთეტიკური პრინციპი ფორმისა და შინაარსის ერთიანობისა და „ლამაზ თამაშს“ კი არა, არამედ „სილამაზეზე თამაშს“ ვღებულობთ. მშვენიერების კონკრეტული გამოვლენა სპორტში დაკავშირებულია სპორტის სახეობაზე, შეჯიბრების მიზნებსა და პირობებზე. ამ სიტყვების დამადასტურებელია ის, რომ ისეთ ფაქტორს, როგორცაა სპორტსმენის სხეულის სილამაზე, არცთუ დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტის სათამაშო სახეობებში. მაგალითად, ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი, რომელიც კოჭლი იყო, მისი ამ ფიზიკური ნაკლის გამო, ისეთ ლამაზ თამაშს აჩვენებდა მაყურებლებს, რომ ამით ათასობით გულშემმატკივარს იზიდავდა სტადიონზე. რა თქმა უნდა, სპორტსმენის მოძრაობას, განსაკუთრებით – ცურვაში, მსუბუქ ათლეტიკაში, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სილამაზის გამოვლენის თვალსაზრისით, მაგრამ სათამაშო სახეობებში შეიძლება გამოიყოს ფიზიკური და ინტელექტუალური აქტივობა, რაც ტექნიკურ და ტაქტიკურ ოსტატობაში გამოიხატება. ამიტომ აქ შეიძლება განვიხილოთ ცალკეული სპორტსმენების მოქმედებათა სილამაზე და მთლიანად თამაშის სილამაზე. უმაღლესი მიღწევების სპორტში ჩვეულებრივ ადგილი აქვს სპორტული მოძრაობების სრულყოფილების განცდას, მაგალითად, ცურვაში ამას წყლის გრძნობას უწოდებენ, ფეხბურთში – ბურთის გრძნობას და ა. შ. მაგრამ არასწორი იქნება იმაზე საუბარი, რომ სპორტსმენს მხოლოდ კუნთურ სიამოვნებასთან დაკავშირებული ესთეტიკური გრძნობა უვითარდება, არა სპორტულ საქმიანობაში განხორციელებული ლამაზი მოქმედება, მასთან დაკავშირებული გრძნობები და განცდები სპორტსმენს უყალიბებს ესთეტიკურ გრძნობებს და განცდებს; სპორტსმენისათვის, ისევე, როგორც მსახიობისათვის საჭიროა მაყურებელთა სულიერი კონტაქტი, მათი გულწრფელი მხარდაჭერა, რაც გადაეცემა სპორტსმენს და მისი ესთეტიკური განცდების ფორმირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, ამიტომ მაყურებელთა თანამონაწილეობის, თანაგანცდის ეფექტი ძალიან მნიშვნელოვანია სპორტული შეჯიბრების სილამაზის აღსაქმელად. ამერიკელი ფილოსოფოსის პ. ვაისის თვალსაზრისით, სპორტული სანახაობების მიზიდულობა განპირობებულია სრულყოფილებების აღქმის მოთხოვნილებებით, რომელიც კმაყოფილდება ასეთ სიტუაციაში. ალბათ, ამის გამო არსებობს თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ სპორტი ხელოვნების ნაწილია.

ჩვენი ემპირიული კვლევების მიზანი იყო იმის გაგება, თუ როგორ ესმით სპორტში დაკავებულებს და ჩვეულებრივ სკოლის მოსწავლეებს ის ცნებები,

რომლებიც დაკავშირებულია ესთეტიკასთან, და რომელთა საფუძველზე ჩვენ შესაძლებლობა გვექნებოდა გაგვერკვია ამ თვალსაზრისით ის განსხვავება, რომელიც ამ ორ ჯგუფს (მოსწავლე სპორტსმენები და ჩვეულებრივი სკოლის მოსწავლეები) ესთეტიკურ გრძნობებთან და განცდებთან დაკავშირებული ცნებების აღქმაში. ჩვენი ინტერესის სფეროს, აგრეთვე, წარმოადგენდა ამ თვალსაზრისით (ე. ი. ესთეტიკური ცნებების გაგება) რა ასაკობრივი განსხვავება დასტურდება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში (როგორც მოსწავლე სპორტსმენებში, ისე ჩვეულებრივ სკოლის მოსწავლეებში). ასეთი ამოცანის შესრულების მიზნით შედგენილი სპეციალური კითხვარი გამოყენებული იყო ესთეტიკური (ჭავჭავაძე, 2009:50-61) ცნებების დაუფლებულობის შესასწავლად. მიღებული შედეგები მოყვანილია ცხრილი 5-ში, რომელიც განთავსებულია დანართში.

კვლევის შედეგად დადგინდა: ესთეტიკური კვლევის მონაცემების განხილვამ აჩვენა, რომ როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც არსებობს განსხვავებები „სკოლის მოსწავლეებსა“ და „მოსწავლე სპორტსმენებს“ შორის. ორივე შესაძარბელი ჯგუფის წარმომადგენლები, როგორც უმცროს, ისე საშუალო და უფროს სასკოლო ასაკში, ესთეტიკურობის განსაზღვრისას მიუთითებენ მშვენიერებაზე. აქ საინტერესო ფაქტს აქვს ადგილი, რომლის მიხედვით, უმცროს სასკოლო ასაკში ჩვეულებრივი მოსწავლეების 77% მიუთითებს მშვენიერებაზე, როგორც ესთეტიკურობის მაჩვენებელზე. ამ მონაცემებისაგან ნაკლებად განსხვავდება „მოსწავლე სპორტსმენების“ მონაცემები (72%). ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ უფროს სასკოლო ასაკში როგორც არასპორტსმენი, ისე სპორტსმენი მოსწავლეების დიდ ნაწილს არ ჰქონდა გაცნობიერებული მშვენიერებისა და ესთეტიკურობის კავშირ-ურთიერთობა და ისინი ცდილობდნენ ექსპერიმენტის პროცესში გაეგოთ ასეთი კავშირ-ურთიერთობები. ამიტომ, საფიქრებელია, რომ მაღალი მონაცემები (77% და 72%) მშვენიერების ესთეტიკურობასთან დაკავშირების თვალსაზრისით, არ ასახავდა ბავშვების რეალურ ცოდნას. ეს იმითაც დადასტურდა, რომ საშუალო და უფროს სასკოლო ასაკის მოსწავლეებს შორის ჩატარებული კვლევის შედეგები კონტრასტულია. უმცროს სასკოლო ასაკის ბავშვთა შორის ჩატარებული კვლევის შედეგებთან შედარების თვალსაზრისით. ეს იმით დასტურდება, რომ საშუალო სასკოლო ასაკში „სკოლის მოსწავლეების“ მხოლოდ 42% უკავშირებს მშვენიერებას ესთეტიკურს, ხოლო უფროსი სასკოლო ასაკის „მოსწავლეების“ – მხოლოდ 47% და ეს იმ ფონზე, როდესაც ორივე შემთხვევაში „მოსწავლე სპორტსმენები“ აკავშირებენ მშვენიერებას



ესთეტიკურობასთან და ეს გამოვლინდა როგორც საშუალო ასაკის „მოსწავლე სპორტსმენების“ შემთხვევაში (76%), ისე უფროსი სასკოლო ასაკის „მოსწავლე სპორტსმენების“ შემთხვევაში (65%). ამ შემთხვევაში არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასეთი შედეგი განპირობებული იყო რესპონდენტების შეკითხვებით მშვენიერების ესთეტიკურობასთან კავშირის შესახებ, როგორც ეს იყო უმცროს სასკოლო ასაკში იმ დროს, როდესაც ესთეტიკურობის ისეთ მაჩვენებელს, როგორცაა ამაღლებულობა, ძალიან ცოტა მიუთითებს ამ ასაკის ორივე შესადარებელ ჯგუფში. ამ თვალსაზრისით, საშუალო სასკოლო ასაკში „სკოლის მოსწავლეები“ ბევრად უფრო მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევიან (32%), იმ დროს, როდესაც „მოსწავლე სპორტსმენებს“ მხოლოდ 3% გააჩნიათ. ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად იცვლება უფროს სასკოლო ასაკში, სადაც ამაღლებულობას/ესთეტიკურობის, გრძნობას „სკოლის მოსწავლეთა“ 39% მიუთითებს, ხოლო „მოსწავლე სპორტსმენების“ – 23%. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში, ამაღლებულობის ესთეტიკურობასთან დაკავშირების ცნობიერება იზრდება ორივე ჯგუფის წარმომადგენლებში.

საყურადღებო მონაცემები მივიღეთ სილამაზის განსაზღვრის დროს, რომელსაც გრაციოზულობა შეესაბამებოდა კითხვაში. აქ თუ უფროსი ასაკის „სკოლის მოსწავლეებსა“ და „მოსწავლე სპორტსმენებს“ შორის განსხვავება მცირეა (შესაბამისად, 65% და 57%), ამავე დროს, უმცროს და საშუალო სასკოლო ასაკში გრაციოზულობის სილამაზესთან დაკავშირების თვალსაზრისით უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ „მოსწავლე სპორტსმენებს“ (შესაბამისად, 52%–65%). მართალია, გრაციოზულობის ცნება უფრო ხშირად მხატვრულ ტანვარჯიშში გამოიყენება, სპორტული სახეობის სხვა წარმომადგენლებსაც ესმით მისი შინაარსი, კარგად აქვთ გათავისებული და შესაბამისად, უფრო მეტად აკავშირებენ მას სილამაზესთან.

მშვენიერება – „სილამაზის უმაღლესი ხარისხი“ – ამ ორი ცნების დაკავშირების თვალსაზრისით, ორივე ჯგუფში ერთნაირად იყო ნაჩვენები სწორი კავშირ-ურთიერთობა, ეს კი ნიშნავს, რომ ასეთი განსაზღვრა ბავშვებს სწორად ესმით.

სილამაზის აღქმასთან დაკავშირებით, სადაც პასუხებში წამყვანი ადგილი ეკავა ჰარმონიულობას, ჩვენი აზრით, ამ ორ ცნებას ერთმანეთთან გაცილებით წარმატებულად აკავშირებდნენ უმცროსი სასკოლო ასაკის „მოსწავლე სპორტსმენები“ (68%), იმ დროს, როდესაც „სკოლის მოსწავლეებთან“ ეს მაჩვენებელი

მხოლოდ 38%-ს უახლოვდებოდა. რაც შეეხება საშუალო და უფროს სასკოლო ასაკს, – აქ მათი მაჩვენებელი დიდად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ჩვენი აზრით, ეს იმით აიხსნება, რომ ტერმინი არ არის მაინცდამაინც სპორტთან დაკავშირებული და ესთეტიკური ცნებების გამოყენების მზარდ ზოგად ტენდენციასე მიუთითებს.

სილამაზის განსაზღვრის შემთხვევაში, ორივე შესადარებელი ჯგუფის წარმომადგენლები თითქმის თანაბრად მიუთითებენ პროპორციულობასა და სინქრონულობაზე. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს საშუალო და უფროს ასაკში. ამრიგად, მიგვაჩნია, რომ: ზოგიერთ შემთხვევაში, ესთეტიკური ცნებების სწორად გამოყენებისა და აღქმის თვალსაზრისით, „მოსწავლე სპორტსმენებს“ აქვთ გარკვეული უპირატესობა, მაგრამ მთლიანობაში არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ აქ არსებით განსხვავებასთან გვაქვს საქმე. ეს დასკვნა დასტურდება სინატიფის, სილიადის, პოეტურობის და მხატვრული აზროვნების განსაზღვრისას, სადაც მნიშვნელოვანი, თანმიმდევრული განსხვავება არ გვაქვს მიღებული. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ზოგადად მშვენიერების განსაზღვრისა და აღქმის თვალსაზრისით, გარკვეული უპირატესობა „მოსწავლე სპორტსმენებს“ გააჩნიათ, რადგან ეს ტერმინი, მის სინონიმებთან ერთად (კარგია, ლამაზია), უფრო ხშირად გამოიყენება მეტყველებაში მწვერთნელების, მშობლების და სპორტის მოყვარულების მიერ. მთლიანობაში კი შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სპორტული ვარჯიშების დროს სიტყვა „მშვენიერება“ უფრო ხშირად გამოიყენება კარგად შესრულებული სპორტული ვარჯიშის, ილეთვის, ან მთლიანად თამაშის შეფასებისას, რაც აისახა კიდევ მიღებულ შედეგებში. ამასთან, მხატვრულ ტანვარჯიშში და სპორტის მსგავს სახეობებში უფრო ხშირად გამოიყენება სიტყვა „მშვენიერია“, რაც ერთგვარი შექების ტოლფასია, ხოლო ფეხბურთში, კალათბურთში, ხელბურთში, ჭიდაობაში შექების შესატყვისია სიტყვა – „კარგია“. შესაძლებელია, რომ ამან განსაზღვრა ის ფაქტი, რომ მშვენიერებას საშუალო და უფროსი ასაკის სპორტსმენები უფრო ხშირად უკავშირებენ ესთეტიკურობას.

შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ესთეტიკური აღზრდა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით (Мелик-Пашаев, 1989: 15-23) მრავალწახნაგოვანი მოვლენაა, ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას კინოსთან, თეატრთან, მხატვრობასა და ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად, სპორტიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს.

#### §4. რელიგიური განვითარება

კაცობრიობის სულიერი ცხოვრების უმთავრესი საფეხური – მეცნიერება, რელიგია (მთიბელაშვილი, 2009:59-77) და განათლება, განიცდის ხანგრძლივ კრიზისს, რაც დამანგრეველი ზემოქმედების საფუძველზე აღრმავებს სხვაობას ცოდნასა და ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებს შორის. დღეს მთელ მსოფლიოში ცდილობენ გააფართოვონ და გააღრმავონ მოზარდი თაობის ჰუმანიტარული კულტურა, უზრუნველყონ სულიერი ძალების აღორძინება (ზენკოვსკი, 2012: 31; Власова. 2002: 166-175). ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში სულიერი კრიზისი გართულებული იყო ტოტალიტარული აზროვნებით. სულიერი აღზრდის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო საშობაო კონფერენციების მასალების თანახმად, მრავალი მეცნიერი (Филиппов, 1999: 5-7) თვლის, რომ საჭიროა ტრადიციული რელიგიების და, უპირველეს ყოვლისა, მართლმადიდებლობის აღორძინება. არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ საზოგადოების გაჯანსაღებისათვის ბევრი რამის გაკეთება შეუძლია რელიგიას (მეგრელაძე, 2003:109-140), რაც არ არის საფუძველს მოკლებული (Аскарова, 2005:37-45; Глейзер, 200:13-45; Метлик., 2003: 71-78).

ჩატარებული იყო რელიგიურობისადმი დამოკიდებულების გამოკითხვა ტესტირების მეშვეობით. ტესტი ეყრდნობოდა ფსიქოლოგიურ ჟურნალში გამოქვეყნებულ რელიგიურობის კვლევას (Мягков, Шербатых, Кравцова, 1996: 119-122). კითხვარი ნაწილობრივ იყო მოდიფიცირებული, ის არ ითვალისწინებდა რომელიმე კონკრეტულ რელიგიისადმი კუთვნილებას და ამ თვალსაზრისით, მისაღები უნდა ყოფილიყო ნებისმიერი რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლისათვის (კითხვარის ტესტი თან ერთვის ნაშრომს დანართში). ტესტის დამუშავებისას გამოყენებული იყო იგივე მეთოდები, რომლებსაც ავტორები ეყრდნობოდნენ თავიანთ ნაშრომებში. მიღებული მონაცემები ნაჩვენებია დანართში მოყვანილ ცხრილში №6.

როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც, ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ მოგვცა თავისებური შედეგები. ეს თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ ზოგადად რელიგიურობისადმი ინტერესი გამოკითხულ ბსოლუტურად ყველა რესპოდენტს გააჩნდა, მაგრამ მიღებული მონაცვლეობის საფუძველზე არ შეგვიძლია იმის მტკიცება, რომ თავის დროზე ავტორების მიერ რელიგიისადმი დამოკიდებულების თავისებურებების რომელიმე ჯგუფს აბსოლუტურად ჭარბი უპირატესობა

გააჩნია. ეს შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ თითქმის ყველა კითხვა რელიგიურობასთან იყო დაკავშირებული და ძალიან განსხვავებული სფერო არ იყო წარმოდგენილი. ამიტომ რესპონდენტები არჩევანს აკეთებდნენ ძირითადად არა რელიგიურ რწმენასა და ურწმუნეობას შორის, არამედ რელიგიური თავისებურებების მიმართ. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ჭარბად დომინანტური მაჩვენებელი რომელიმე შესადარებელი ჯგუფის (სპორტსმენები, არასპორტსმენები) პასუხებში არც უნდა მიგვეღო. განსაზღვრული იყო შემდეგი 7 კომპონენტი: ა) ცდისპირის მაგიასთან დამოკიდებულება; ბ) ადამიანის ტენდენცია – იპოვოს რელიგიაში მხარდაჭერა და სიმშვიდე; გ) რელიგიურობის შინაგანი ნიშნების გამოვლენა; დ) ეგრეთ წოდებული „ფსევდომეცნიერების“ – გამოუცნობი და იდუმალი მოვლენების მიმართ ინტერესის გამოვლინება, რაშიც რწმენა გაცილებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ვიდრე ცოდნა; ე) ცდისპირის ტენდენცია – სწამდეს შემოქმედის არსებობა და აღიაროს უმაღლესი ძალა, რომელმაც შექმნა სამყარო; ვ) რელიგიური თვითრწმენის არსებობა, ანუ რელიგიური რწმენის მოთხოვნილება; ზ) ცდისპირის დამოკიდებულება რელიგიასთან, როგორც მორალური ქცევების მაგალითთან.

ამის მიუხედავად, საკვლევი ჯგუფებში – „სკოლის მოსწავლეებსა“ და „მოსწავლე სპორტსმენებში“ ჩატარებული კვლევის მონაცემებმა მაინც აჩვენა რელიგიური კომპონენტებისადმი განსხვავებული დამოკიდებულება. ჩვენი ყურადღება მიიქცია იმან, რომ შედარებით მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩეოდა ე. წ. რელიგიურობის შინაგანი ნიშნები, რომლებიც მოიცავს პასუხებს კითხვებზე: გაქვთ თუ არა სახლში საღვთო (რელიგიური) წიგნები; თვლით თუ არა, რომ სასურველია ბავშვის მონათვლა; თვლით თუ არა, რომ ლოცვის დროს უფრო მეტი შანსი არსებობს ღმერთის მიერ ვედრების შესმენისა. მიღებული შედეგების თანახმად, „სკოლის მოსწავლეებსა“ და „მოსწავლე სპორტსმენებს“ შორის არც ერთ ასაკობრივ ჯგუფში (10-11 წ., 13-14 წ., 17 წ.) არ დადასტურდა მნიშვნელოვანი განსხვავება. როგორც ეს კვლევა ადასტურებს, რელიგიურობის თვალსაზრისით დიდი განსხვავება „სკოლის მოსწავლეთა“ და „მოსწავლე სპორტსმენთა“ შორის არ არსებობს. ვფიქრობთ, ეს საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან ზემოთ მოყვანილი გარკვეული მონაცემების მიხედვით, რელიგიურობა ხელს უწყობს ზოგიერთ სპორტსმენს მის საქმიანობაში. ამასთან, როგორც ჩანს, რელიგიურობის თვალსაზრისით არც არასპორტსმენი ჩამორჩება სპორტსმენს. გავრცელებული აზრია, რომ „სპორტსმენები ხშირად არაფრად დაგიდევნ

ზნეობრივ კანონებს“, მაგრამ ის ფაქტი, რომ „სკოლის მოსწავლე“ და „მოსწავლე სპორტსმენი“ თითქმის ერთნაირად რელიგიურები არიან, გვაძლევს იმის მტკიცების საშუალებას, რომ ზნეობრივი კრიტერიუმების თვალსაზრისით, მათ შორის არ არსებობს არსებითი განსხვავება. აქედან გამომდინარე, მივიჩნევთ, რომ ზნეობაზე რელიგიურობის წარმოსახვითი გავლენისა და რეალურ სიტუაციაში მოქმედების დროს ზნეობრიობის საკითხი არ შეიძლება მივიჩნიოთ ბოლომდე შესწავლილად, რადგან დადებითი რწმენა-წარმოდგენების რეალიზება პრაქტიკულ საქმიანობაში ყოველთვის არ ან ვერ ხორციელდება. ამიტომ, რელიგიური რწმენა-წარმოდგენებიდან და სპორტსმენის რეალური სიტუაციიდან გამომდინარე ურთიერთობების კვლევა ჩვენი შემდგომი მუშაობის აუცილებელ მიზნად მიგვაჩნია.

## §5. ურთიერთობები წვრთნის პროცესში

ფიზიკური აღზრდის პროცესი და სპორტი ურთიერთობების თავისებური სფეროა, სადაც პედაგოგიური და ფსიქოლოგიური ზემოქმედება (Gould, 1983:88-93) მრავალ ფაქტორთან არის დაკავშირებული. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა წვრთნის პროცესი (Холодов, 2003:333), რომელსაც მრავალი წინააღმდეგობა ახლავს. ეს ყველაფერი მოითხოვს ურთიერთგაგებას, გონივრულ მომართულებას, სირთულეების დაძლევას, მხარდაჭერას, და მწვრთნელისა და სპორტსმენის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლისა და მოსწავლის მხრიდან ერთი მიზნის მიღწევაზე ორიენტირებულობას, თავდადებას, ერთმანეთის მხარდაჭერას, თანაგრძნობას. ასეთი ურთიერთობები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ისინი ხშირად განსაზღვრავს სპორტულ საქმიანობაში წარმატება-წარუმატებლობას.

სპორტში, განსაკუთრებით, **მაღალი მიღწევების სფეროში** მომზადება – არის რთული, მრავალფუნქციონალური და მრავალპარამეტრიანი სისტემა, მისი რეალიზაცია მოითხოვს შემოქმედებითი აზროვნების მქონე სპეციალისტებს (Неверкович, 2010:4). პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სპორტში მწვრთნელს/პედაგოგს და მოსწავლეებს შორის ურთიერთგაგების დეფიციტმა შეიძლება გართულება გამოიწვიოს ზოგადად სპორტულ საქმიანობაში (Неверкович, 2010:6). ამ ურთიერ-

თობებს სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა და გამოყოფენ ისეთ აუცილებელ კომპონენტებს, როგორცაა:

**სიახლოვე.** სპორტსმენსა და მწვრთნელს ახლო ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან, მათ შორის უნდა არსებობდეს ერთგვარი სუბორდინაცია, პატივისცემა და, რა თქმა უნდა, სიმპათია.

**ინტერესების ერთობლიობა** მნიშვნელოვან როლს ასრულებს წარმატებულ ურთიერთობაში. სპორტსმენი და მწვრთნელი „ერთ ტალღაზე“ უნდა იყვნენ მომართული, მათ საერთო მიზანი და აბსოლუტური ურთიერთგაგება უნდა ჰქონდეთ.

**ურთიერთშემავსებლობა** – ის აუცილებელი კომპონენტია, რომელსაც ნებისმიერ საფეხურზე საჭიროებს პედაგოგ-მწვრთნელისა და მოსწავლე-სპორტსმენის ურთიერთობა. მნიშვნელოვანია, რომ მათ იგრძნონ ერთად ყოფნის ძალა, სწორად გააცნობიერონ, რა დახმარების გაწევა შეუძლიათ ერთმანეთისათვის. ურთიერთობები სპორტში განსაზღვრავენ როგორც წარმატებას, ისე წარუმატებლობასაც. შესაბამისად, სპორტში ურთიერთობები ისევე საჭიროებენ განვითარებას, როგორც ძალა, ფიზიკური ფორმა და ტექნიკა.

მწვრთნელისა და სპორტსმენის ურთიერთობა ძალიან ახლოს დგას მშობლისა და შვილის ურთიერთობასთან და სწორედ ეს სიახლოვე განაპირობებს სწავლების, ცოდნის გადაცემის, სპორტსმენის აღზრდის ეფექტიანობას. გუნდთან მუშაობის დროს მწვრთნელი აუცილებლად ყველა სპორტსმენის მიმართ უნდა იყოს ყურადღებიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში, სპორტსმენს ექმნება იზოლირებულობის, მარტოსულობის განცდა, რამაც თამაშის/შეჯიბრების პროცესში შეიძლება გამოიწვიოს სხვა სპორტსმენებისადმი გაუცხოება და კონფლიქტიც კი. მწვრთნელი არა მხოლოდ თვითონ ამყარებს სპორტსმენებთან ურთიერთობებს, არამედ მოითხოვს სპორტსმენებისაგან საპასუხო დადებითი ურთიერთობების დამყარებას.

სპორტული მუშაობის ეფექტიანობა დამყარებულია სიტუაციაზე. მშვიდ ვითარებაში ურთიერთობების წარმართვა უფრო ადვილია, ვიდრე დაძაბულ და სარისკო სიტუაციაში, სადაც მწვრთნელი შეიძლება პირისპირ შეეჯახოს სპორტსმენის გაღიზიანებას, ამ დროს კი ლოგიკა ნაკლებად მოქმედებს. მნიშვნელოვანია სპორტსმენის სოციალური სტატუსი სპორტულ გუნდში. ასევე მნიშვნელოვანია ის სტატუსური დიფერენცირება, რაც მწვრთნელს, როგორც სპორტული საქმიანობის წამყვანს, ხელმძღვანელს და სპორტსმენს, ახასიათებს.

არცთუ იშვიათად, მწვრთნელის აღმზრდელით ზემოქმედებას სპორტული გუნდის ლიდერები უფრო ეწინააღმდეგებიან, ვიდრე დამწყები სპორტსმენები. მოზარდობის პერიოდი შეიძლება ხასიათდებოდეს „გახსნილობით“ ან „დახურულობით“. „დახურულობის“ პერიოდში ისინი ცდილობენ დაიცვან თავი გარე ზემოქმედებისაგან, „გახსნილობის“ დროს კი, პირიქით, საჭიროებენ სხვათა აზრს თავიანთი პრობლემების გადასაწყვეტად. მწვრთნელის ურთიერთობები მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული: მის გარეგნობაზე, თავის დატერის მანერაზე, აკურატულობაზე. მწვრთნელმა არ უნდა აჩვენოს, რომ არის რაღაცის გამო გაღიზიანებული, დაღონებული. პირიქით, ყოველთვის უნდა გამოსატყვევდეს მიზანსწრაფულობას, კონცენტრირებულობას, თვითდაჯერებულობას. არ ტოვებს კარგ შთაბეჭდილებას, როდესაც მწვრთნელი ჩქარ-ჩქარა დადის აქეთ-იქით, ან „ტკეპნის“ ერთ ადგილს. ეს აბნევს სპორტსმენ ბავშვებს, მათ ესმით, რომ მწვრთნელი ნერვულობს და ეს ნერვულობა ფსიქოლოგიურად გადამდებია. მკერდზე დადებული ხელები, ფართოდ გაშლილი ფეხები, ზემოთ აწეული ნიკაპი სპორტსმენის მხრიდან შეიძლება გაიგივდეს გამომწვევ უპირატესობასთან. მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური ტაქტი, კეთილგანწყობა, გულითადობა, გულ-ღიაობა, ემოციების გაზიარება. ძალიან მნიშვნელოვანია მეტყველების კულტურის ნორმების დაცვა, ინტონაციისა და ტონალობის მართვაც. მაგალითად, დაძაბულობით მიცემული განკარგულება სპორტსმენში იგივე დაძაბულობას გამოიწვევს. მწვრთნელის მეტყველების ტონალობა უნდა იყოს მშვიდი, დარწმუნებული და ამ დროს თვითონ მწვრთნელი უნდა იყოს თავის სიტყვებში დარწმუნებული. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მწვრთნელის მეტყველების დიქციას, რომელიც სიცხადით და გამოკვეთილობით უნდა ხასიათდებოდეს. ბუნებრივია, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მწვრთნელის მეტყველებაში სპეციალური ტერმინოლოგიის გამოყენებას, ახსნა-განმარტებას, შეთვისებულის შემოწმებას. ყოველად დაუშვებელია მწვრთნელის მხრიდან შეურაცხყოფელი სიტყვების გამოყენება. ურთიერთობათა სტილების მრავალფეროვნება (ავტორიტარული, დემოკრატიული, ავტორიტატორულ-დემოკრატიული) სიტუაციურად გამოიყენება – მაგალითად, ინსტრუქტაჟი, განკარგულება, ბრძანება, მათი კატეგორიულობიდან გამომდინარე, ავტორიტარულ სტილს შეესატყვისება, ხოლო წინადადებაების მიცემა, ჩართვა, განხილვა, რჩევა, მეგობრული დამოკიდებულება – დემოკრატიულს. მიჩნეულია, რომ ავტორიტარულ-დემოკრატიული სტილი სიტუა-

ციების შესაბამისად იყენებს აღნიშნული ურთიერთობების კონკრეტულ უპირატესობებს.

იმ ურთიერთობების შესასწავლად, რომელიც სპორტული ვარჯიშებით მეცადინეობების პროცესში წარმოიშობა, გამოყენებული იქნა რამდენიმე ტესტი (მწვრთნელთან, მასწავლებელთან ურთიერთობის თვითშეფასება; წვრთნის ამალგების ეფექტიანობის პირობების შეფასების შკალა [Иванов, 2011]; მწვრთნელი-მასწავლებელი – სპორტსმენი-მოსწავლე [Ханин, 1980:178-180]). როგორც სხვა შემთხვევებში, აქაც ტესტირება ჩატარდა სამივე ასაკობრივ ჯგუფს (უმცროსი, საშუალო, უფროსი სასკოლო ასაკი) და ორივე კატეგორიას (პირობითად, „სკოლის მოსწავლეები“ და „მოსწავლე სპორტსმენები“). შედარებითი კვლევა ორიენტირებული იყო იმ განსხვავებულობის დასადგენად, რომელიც შეიძლება დადასტურებულიყო „მოსწავლე სპორტსმენებსა“ თუ „სკოლის მოსწავლეებს“ შორის.

**მწვრთნელთან, მასწავლებელთან ურთიერთობის თვითშეფასება.** გამოკითხვა ტარდებოდა სტანდარტული ტესტის საფუძველზე, რომელსაც, პარალელურად, უნდა შეესწავლა „სკოლის მოსწავლეებისა“ და „მოსწავლე სპორტსმენების“ ურთიერთობები, ახალი ურთიერთობები მწვრთნელთან ან მასწავლებელთან, სასკოლო სიტუაციაში და სასპორტო სკოლაში. ეს კითხვარი, ისევე, როგორც სხვა კითხვარები, მოიცავდა ყველა „სკოლის მოსწავლისა“ და „მოსწავლე სპორტსმენთა“ სამ ასაკობრივ ჯგუფს (10-11 წ.; 13-14 წ.; 17 წ.). მიღებული მონაცემები მოყვანილია დანართში წარმოდგენილ ცხრილში №7.

განვიხილოთ ტესტირების შედეგები: ტესტის პირველი ნაწილი ეხებოდა მწვრთნელთან და მასწავლებელთან ისეთ ურთიერთობებს, რომელიც განაპირობებდა „სპორტულ მუშაობას“ გაცილებით აქტიურად, ვიდრე ჩვეულებრივ. ამ თვალსაზრისით, უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვების ორივე ჯგუფის წარმომადგენლები დადებითად აფასებენ მწვრთნელთან თუ მასწავლებელთან მუშაობას, რაც შესაძარბელი ჯგუფებთან, ერთ შემთხვევაში, „სკოლის მოსწავლეებთან“ – 84%-ს შეადგენს, ხოლო მეორე შემთხვევაში, „მოსწავლე სპორტსმენებთან“ 88%-ს უტოლდება. ამდენად, აქ არ შეიძლება რაიმე მნიშვნელოვან განსხვავებაზე ვისაუბროთ, რადგან, როგორც ჩანს, ორივე შემთხვევაში, ბავშვებს მწვრთნელთან/კვლევაგოთან ურთიერთობისთვის მცირე პერიოდი აქვთ. ამით უნდა იყოს განპირობებული, რომ საშუალო ასაკის „სკოლის მოსწავლეებსა“ და „მოსწავლე სპორტსმენებს“ შორის განსხვავება მაღალია და „მოსწავლე სპორტს-



მენებში“ ის შეადგენს 92%-ს, „სკოლის მოსწავლეებში“ კი 20 ერთეულით ნაკლებს – 71%-ს. ეს ტენდენცია, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ მწვრთნელის გაძლიერებულ ზემოქმედებად უფრო „მოსწავლე სპორტსმენებზე“, ვიდრე „სკოლის მოსწავლეებზე“, შემდგომშიც დასტურდება უფროს სასკოლო ასაკში, სადაც სხვაობა ამ მონაცემების თვალსაზრისით კიდევ უფრო იზრდება. აქ „სკოლის მოსწავლეების“ მაჩვენებელი 75%-მდე ჩამოდის, ხოლო „მოსწავლე სპორტსმენების“ მაჩვენებელი ისევ 92%-ია. ეს მონაცემები აშკარად აჩვენებს „მოსწავლე სპორტსმენტათვის“ მწვრთნელის განსაკუთრებულ როლს, რაც თავისთავად გულისხმობს სპორტული უნარ-ჩვევების დაუფლებაში მწვრთნელის უდიდესი როლის აღიარებას. მწვრთნელის ან მასწავლებლის დიდ ზეგავლენას არ უნდა ჰქონდეს ადგილი, ამიტომ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მონაცემები როგორც უმცროს, ისე საშუალო სასკოლო ასაკში დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ზოგიერთ შემთხვევაში კი სხვაობა არის ძალიან მცირედი, ოღონდ დადებითი პასუხის თვალსაზრისით უპირატესობა ოდნავ მაინც „სკოლის მოსწავლეებს“ გააჩნიათ. ეს, შესაძლოა, იმითაა განპირობებული, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, მწვრთნელებს, მასწავლებლებთან შედარებით, ზეგავლენის უფრო მეტი საშუალებები გააჩნიათ „მოსწავლე სპორტსმენებზე“. ამიტომ ისინი შედარებით უფრო ნაკლები სიხშირით აღნიშნავენ, რომ „ჩვეულებრივად მოქმედებენ“. აქ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ უფროსი სასკოლო ასაკის წარმომადგენლებში „მოსწავლე სპორტსმენების“ 81% აღნიშნავს, რომ „ჩვეულებრივად მოქმედებს“, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე „სკოლის მოსწავლეებისა“ – 52%. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ აქ ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის მონაცემთა შედეგები, რომელთა მიხედვით, იგივე „მოსწავლე სპორტსმენები“ აღიარებენ, რომ აქტიურად მოქმედებენ მწვრთნელთან ურთიერთობის შედეგად. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ რაიმე წინააღმდეგობასთან არ გვაქვს საქმე – უბრალოდ, „მოსწავლე სპორტსმენები“ უკვე 17 წელს მიღწეულები არიან და იმდენად დახელოვნდნენ სპორტის იმ სახეობაში, რომლებსაც მისდევენ, რომ შეუძლიათ აღნიშნონ მწვრთნელის ზემოქმედება სპორტული აქტიურობის თვალსაზრისით (Ogilvie, 1968:780-786).

კითხვარში შესწავლილია ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორიცაა მწვრთნელთან თუ მასწავლებელთან ურთიერთობა. ასეთი ურთიერთობები ტექსტში გამოიხატება ისეთი სიტყვებით, როგორიცაა: მეხმარება მობილიზებაში;

მიშლის თამაშში ხელს, მეხმარება ვიყო ყურადღებიანი; მთრგუნავს მე; მააქტიურებს; ყურადღებას მიფანტავს; მაგდებს კალაპოტიდან.

თუ ფაქტორთა ამ ერთობლიობიდან განვიხილავთ მწვრთნელისა თუ მასწავლებლის უარყოფითი ზემოქმედების მაჩვენებლებს, სახელდობრ: „მიშლის თამაშში“, „მთრგუნავს“, „ყურადღებას მიფანტავს“, „მაგდებს კალაპოტიდან“, – მაშინ გამოვა, რომ „მოსწავლე სპორტსმენებისა“ და „სკოლის მოსწავლეების“ ასაკობრივი ჯგუფისადმი კუთვნილების მიუხედავად, ძირითადად, ყველგან უარყოფენ მწვრთნელთან თუ მასწავლებელთან ურთიერთობაში წარმოქმნილ უარყოფით გავლენებს. ხოლო დადებითი ტესტური მასალიდან, სახელდობრ: „მეხმარება მობილიზებაში“, „მეხმარება ვიყო ყურადღებიანი“, „მააქტიურებს“, – როგორც „სკოლის მოსწავლეები“, ისე „მოსწავლე სპორტსმენები“, ყველა ასაკობრივ ჯგუფში ერთნაირად, მაღალი სიხშირით აღნიშნავენ მწვრთნელისა თუ მასწავლებლის დადებით ზემოქმედებას მათ სპორტულ საქმიანობაზე.

იმავე ცხრილის მესამე პუნქტი მოიცავს ექვს დებულებას, რომელიც ისევ მწვრთნელთან თუ მასწავლებელთან ურთიერთობით არის განპირობებული. აქ დასტურდება, რომ როდესაც საუბარია დებულების მიხედვით რაღაც აქტივობის შემცირებაზე, მოღუწებაზე, ან თამაშისაგან გამოთიშვაზე, ორივე ჯგუფის, ანუ როგორც „სკოლის მოსწავლეების“, ისე „მოსწავლე სპორტსმენების“ სამივე ასაკობრივი ჯგუფის მაჩვენებლების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი უარყოფენ მწვრთნელთან და მასწავლებელთან ურთიერთობაში მათი მხრივ ნეგატიურ ზემოქმედებაზე, ამავე დროს, ასევე ყველა ასაკობრივ ჯგუფში, ორივე შესაძარბელები ჯგუფის მონაცემების შესაბამისად, აღინიშნება, რომ მწვრთნელთან და მასწავლებლებთან ურთიერთობის შედეგად, თამაშობენ უფრო აქტიურად, იოლად მშვიდდებიან, მობილიზებული და ყურადღებიანი არიან, დიდი პასუხისმგებლობით მუშაობენ, და აქ რაიმე მნიშვნელოვან განსხვავებაზე „სკოლის მოსწავლეებსა“ და „მოსწავლე სპორტსმენებს“ შორის არ შეიძლება ლაპარაკი.

მეოთხე ჯგუფი მოიცავს ხუთ დებულებას: აქედან ერთი უარყოფითი შინაარსისაა: „სკოლის მოსწავლეებს“ უნდა შეეფასებინათ, მწვრთნელის ან მასწავლებლისაგან მომდინარე ზემოქმედება ხომ არ იწვევს მათ შედარებით ცუდ აქტიურობას. ასეთ მოვლენას უარყოფენ როგორც განსხვავებული ასაკობრივი, ისე საკვლევი ჯგუფების წარმომადგენლები, ხოლო ისეთი მაჩვენებლის მიხედვით, როგორცაა: ვმოქმედებ შედარებით აქტიურად, მობილიზებულად, გააზრე-

ბუღაღ, ყურადღებით, – „სკოლის მოსწავლეთა“ და „მოსწავლე სპორტსმენთა“ ყველა ჯგუფი უპირატესად დადებითად აფასებენ თავიანთ ურთიერთობებს მწვრთნელთან თუ მასწავლებელთან. აქ შეიძლება აღვნიშნოთ მხოლოდ ის, რომ იმ პუნქტში, სადაც საუბარი არის 17-წლიანთა შედარებით მაღალი აქტიურობის ხარისხზე, მართალია, ორივე შესადარებელი ჯგუფის წარმომადგენლები აღიარებენ მწვრთნელთან თუ მასწავლებელთან ურთიერთობაში გაძლიერებულ აქტიურობას, მაგრამ აშკარაა ისიც, რომ ამ თვალსაზრისით „მოსწავლე სპორტსმენების“ 81% თვლის, რომ მათ აქტიურობაზე ზეგავლენას ახდენს მწვრთნელი, „სკოლის მოსწავლეების“ შემთხვევაში კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ 61%-ს შეადგენს.

დებულების მეხუთე ჯგუფში გაერთიანებულია სამი დებულება: „ვთამაშობ გაცილებით უკეთ“; „ჩვეულებრივად“, „როგორც ყოველთვის“; „არც ცუდად და არც უკეთ“. აქ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ყველა ასაკობრივი ჯგუფისა და ორივე შესადარებელი ერთობლიობის ის წარმომადგენლები, ვინც მიუთითა პუნქტი – „ვთამაშობ გაცილებით უკეთ“, დადებითად აფასებენ მწვრთნელთან თუ მასწავლებელთან ურთიერთობას. დებულებათა ამ სამეულში განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას დებულება „არც ცუდად და არც უკეთ“; ჩვენ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ის ასახავს მწვრთნელისა თუ მასწავლებლის მხრიდან შედარებით ნაკლებ ზემოქმედებას. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა მესამე დებულების მაჩვენებლები, სადაც ლაპარაკია იმაზე, თუ რა ზემოქმედებას ახდენს მწვრთნელთა თუ მასწავლებელთა მხრიდან საუბრები „სკოლის მოსწავლეებისა“ და „მოსწავლე სპორტსმენების“ აქტიურობაზე. ეს განსაკუთრებით კარგად ვლინდება 17-წლიანების შესადარებელ ჯგუფებში, სადაც როგორც „სკოლის მოსწავლეები“ (30%), ისე „მოსწავლე სპორტსმენები“ (42%) აცხადებენ თანხმობას, რომ ისინი არც ცუდად და არც უკეთ აქტიურობენ მწვრთნელთან თუ მასწავლებელთან ურთიერთობის პროცესში. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ადგილი აქვს საკუთარ ძალებში გადამეტებულ დარწმუნებულობას და ამიტომ ორივე ჯგუფის წარმომადგენელი ცდილობს საკმაოდ სუბიექტურად შეაფასოს როგორც საკუთარი წვლილი სპორტულ აქტიურობაში, ისე მწვრთნელისა თუ მასწავლებლის ზემოქმედება, თუმცა, ამ თვალსაზრისით, „მოსწავლე სპორტსმენები“ (სავარაუდოდ, სპორტულ საქმიანობაში უფრო მეტი ჩართულობის გამო) შედარებით უფრო მეტი სისხირით

მიუთითებენ (42%) ამ დებულებებს, ვიდრე ჩვეულებრივი „სკოლის მოსწავლეები“ (30%).

**წვრთნის ამაღლების ეფექტიანობის შეფასება.** მონაცემები ნაჩვენებია ცხრილში №8 (ცხრილი წარმოდგენილია დანართში). ცხრილის შესაბამისად, შესადარებელი ორივე ერთობლიობის ყველა ასაკობრივი ჯგუფი, 90%-ზე მეტ შემთხვევაში აღნიშნავენ, რომ აქვთ აქტიური წვრთნის შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში, საყურადღებოა, რომ დადებითი დამოკიდებულების თვალსაზრისით, ორივე ჯგუფის შედარებითი უპირატესობანი ასევე ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისაგან და ორივე შემთხვევაში მაღალი პროცენტული მაჩვენებლებით ხასიათდება.

მესამე დებულება – თანაგუნდელების მხრიდან შექება ისევ მაღალ, დადებით, ჭარბ მაჩვენებელს გვაძლევს შესადარებელი ერთობლიობების ყველა ასაკობრივ ჯგუფში. იგივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე მეოთხე დებულების შემთხვევაში, რომელიც გულისხმობს მწვრთნელის/მასწავლებლის პირად მხარდაჭერას და ყურადღებას. ამრიგად, ამ ცხრილის მონაცემები არ გვაძლევს რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავების დადასტურების შესაძლებლობებს, რაც, ჩვენი აზრით, იმით არის განპირობებული, რომ წვრთნის ამაღლების ეფექტიანობის თვალსაზრისით, „სკოლის მოსწავლეებიცა“ და „მოსწავლე სპორტსმენბიც“ თითქმის თანაბრად აღნიშნავენ ასეთი შესაძლებლობების არსებობას. ბუნებრივია, ასეთი თანაბარი შედეგი სინამდვილეში იმის გამოა მიღებული, რომ ის მოთხოვნები, რომლებიც „სკოლის მოსწავლეების“ წინაშეა დასახული, სავსებით კმაყოფილდება წვრთნისათვის არსებული პირობებით, ხოლო სპორტული სკოლებისთვის დამახასიათებელი პირობები უკეთ შეესატყვისება იმ შედარებით მაღალ მოთხოვნებს, რომლებიც „მოსწავლე სპორტსმენების“ ვარჯიშებსა და ეფექტიანობას წარედგინება. ვფიქრობთ, ამიტომ, ამ შემთხვევაში განსხვავებული დატვირთვისა და განსხვავებული მიზნების შესაბამისად, ორივე ჯგუფის ერთობლიობას აკმაყოფილებს ის პირობები, რომლებშიც უხდება საქმიანობა: ჩვეულებრივ სკოლაში მეტი აქცენტი კეთდება ფიზიკურ ვარჯიშებზე, შედარებით ნაკლები კი – ინტენსიურ ვარჯიშებსა და უშუალოდ სპორტულ შედეგებზე, თავის მხრივ, ეს საკითხები სპორტულ სკოლებში წინა პლანზეა წამოწეული. ამრიგად, ვფიქრობთ, რომ მიღებული შედეგები სრულებით კანონზომიერია.

**შესწავლილ იქნა მწვრთნელი/მასწავლებელი – მოსწავლე/სპორტსმენის ურთიერთობები.** მიღებული შედეგები მოყვანილია ცხრილში №9 (ცხრილი

წარმოდგენილია დანართში), საიდანაც ჩანს, თუ როგორ შეფასებას აძლევენ „სკოლის მოსწავლეები“ და „მოსწავლე სპორტსმენები“ ერთ შემთხვევაში მწვრთნელის კომპეტენტურობას, მეორე შემთხვევაში კი მწვრთნელის მიმართ სიმპათია-ანტიპათიას. პირველი მაჩვენებლის მიხედვით, რომელიც ეხება მწვრთნელის კომპეტენტურობას ყველა ასაკობრივ ჯგუფში, ჩვეულებრივი მოსწავლეები უფრო მეტად მაღალ შეფასებას აძლევენ მწვრთნელის კომპეტენტურობას და ეს იმ დროს, როდესაც მოსწავლე „სპორტსმენები“, ასაკის მატებასთან ერთად, სულ უფრო და უფრო იშვიათად აძლევენ მაღალ შეფასებას მწვრთნელის კომპეტენტურობას. ასე მაგალითად, უმცროს სასკოლო ასაკში მწვრთნელის კომპეტენტურობის მაღალი დონეს აღნიშნავს „მოსწავლე სპორტსმენების“ 48%, საშუალო ასაკში – 42%, ხოლო უფროს სასკოლო ასაკში ეს მაჩვენებელი 27%-ს შეესატყვისება.

ამრიგად, როგორც ჩანს, რაც უფრო მეტად დახელოვნებულები არიან „მოსწავლე სპორტსმენები“ და უფრო მეტად იციან სპორტის, ვარჯიშის ზემოქმედების ფაქტორები წვრთნების ჩატარების შესახებ, მით უფრო ნაკლებ კომპეტენტურად თვლიან მწვრთნელებს. განსხვავება განსაკუთრებით თვალშისაცემია უფროს სასკოლო ასაკში, სადაც მწვრთნელების დაბალ კომპეტენტურობაზე მიუთითებს „მოსწავლე სპორტსმენების“ 31%, ხოლო ჩვეულებრივი მოსწავლეების მხოლოდ – 17%. საყურადღებოა ის, რომ ასეთი განსხვავების მიუხედავად, მწვრთნელის პიროვნებისადმი სიმპათია და შეფასების მაღალი დონე (81%) აღინიშნება უფროსი სასკოლო ასაკის „სპორტსმენებში“. როგორც ჩანს, მათ კარგი ურთიერთობები აქვთ მწვრთნელებთან, მაგრამ რადგან ისინი სპორტით განსაკუთრებულად არიან დაკავებულნი, მწვრთნელების კომპეტენტურობის დონე არ აკმაყოფილებთ.

## **§6. სპორტის ზეგავლენა პიროვნების სოციალიზაციაზე**

**სოციალიზაცია** – არის პროცესი, რომლის მეშვეობით ადამიანი ითვისებს ქცევის წესებს, აგრეთვე, შეხედულებათა და განწყობათა სისტემებს, რომლებიც ინდივიდს, როგორც საზოგადოების წევრს, ეფექტიანად ფუნქციონირების საშუალებას აძლევს (კევინ დარკინი – Kevin Durkin) [Хьюстон, Штребе, 2004:48]. ზოგჯერ მიაჩნიათ, რომ სოციალიზაციის მოდელი გულისხმობს გარემოდან

ინდივიდში შემოტანილ ცვლილებებსა და კონტროლს (Watson, 1928). იმ დროს, როდესაც ფროიდის მიხედვით (Freud, 1933) სამყაროში ბავშვი შემოდის თავისი ინსტიქტებითა და სურვილებით, რომელთა დემონსტრირებით და დაკმაყოფილებით არის პირველად ის დაკავებული და ძალიან არ წუხს სხვების გრძობებსა და სურვილებზე. მაგრამ ბოლო დროს წინ წამოიწია ურთიერთზეგავლენის მოდელი (mutuality model), რომლის მიხედვით, ბავშვი და მასზე მზრუნველი ადამიანი ახდენენ ზეგავლენას ერთმანეთის ქცევაზე.

მკვლევრები ვერ თანხმდებიან, თუ როგორი წვლილი შეაქვთ სოციალიზაციის პროცესში ზრდასრულ ადამიანებს და ბავშვებს (Kochanska, 1977; Schaffer, 1996), მაგრამ ყველა ავტორი აღიარებს, რომ განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ერთობლივი აქტივობის გარკვეული დონე. ორმხრივი ჩართულობა დამახასიათებელია მთელი ბავშვობის განმავლობაში სოციალური სამყაროს შესახებ ცოდნის შექმნისათვის.

პატარა ბავშვის სოციალური განვითარების კვლევამ მეცნიერები მიიყვანა აზრამდე, რომ პირველი კონტაქტები ადამიანებთან, რომლებიც ზრუნავენ ბავშვზე, განაპირობებს შემდგომში ურთიერთობათა ხასიათს მეგობრებთან ან საერთოდ სხვა ადამიანებთან.

არსებობს სოციალიზაციის პროცესის მრავალი თეორია, რომლებიც ამავე დროს ასაკობრივი პერიოდიზაციის თავისებურებებს ასახავს (ჭრელაშვილი, 1964: 59-82; Аршавский, 1975:5-67).

**ფსიქოანალიტიკური ფსიქოსექსუალური განვითარება** – ამ მიმართულების ფუძემდებელია ზიგმუნდ ფროიდი. ზ. ფროიდმა საფუძველი დაუდო ფსიქოსექსუალური განვითარების თეორიას, რომელიც განავითარეს მისმა მიმდევრებმა (Узеп, 2008:12-62).

### **პრეგენიტალური სტადიები**

**ორალური** (ფრანგ. oral ლათ. oris - პირი) **სტადია**. კლასიკურ ვარიანტში (ზ. ფროიდთან) „ორალური სტადია“ მოცემულია ლიბიდოზური (ლათ. ლიბიდო - სურვილი, მისწრაფება, ლტოლვა, ჟინი), ფსიქოანალიზის მიხედვით – სექსუალური ჟინი, უპირატესად, არაცნობიერი ლიბიდოზური ორგანიზაციის ფაზის მიხედვით, რომელიც იწყება დაბადებიდან და დედის მკერდს მოცილებამდე გრძელდება. **ფსიქოსექსუალური განვითარების თავისებურებების** გასაგებად უნდა ვიცოდეთ, რომ ბავშვის სექსუალობა ზრდასრული ადამიანის სექსუალობისაგან შემდეგი სამი ფაქტორით განსხვავდება: 1. სხეულის ყველაზე მგრძნო-

ბიარე ნაწილები არ არის აუცილებელი გენიტალურ სფეროებს ეკუთვნოდეს. დომინირებენ სხვა ეროგენული (eros–ი [ბერძნ. erosös] სიყვარული) ზონები, რომლებიც სექსუალურ სიამოვნებას იწვევენ; 2. ბავშვის სექსუალობა (სიამოვნების მიღება) არ იწვევს სექსუალურ ურთიერთობებს, მაგრამ მოგვიანებით მას ექნება „წინასწარი“ სიამოვნების როლი; ეს ინფანტული (ლათ. infantilis-საბავშვო –ადამიანის ქცევაში ბავშვური ელემენტების გამოვლენა) სექსუალობა უფრო მეტად ხასიათდება **აუტოეროტულობით**, ვიდრე ობიექტზე ორიენტირებულობით. ორალური სტადია არის პირის სფეროს დომინირება ეროგენული ზონის, ანუ სხეულებრივი ლტოლვის წყაროს ფუნქციებით. **მკერდს მოცილება:** მკერდს მოცილება ყოველთვის ტრავმის განცდასთან არის დაკავშირებული და განიცდება, როგორც აგრესიულობის გამო სასჯელი და შურისძიება.

**ანალური სტადია.** მეორე და მესამე წლის განმავლობაში ბავშვი ეუფლება სიარულის, ლაპარაკის, აზროვნებისა და სხვა უნარებს. თანდათანობით უვითარდება **დამოუკიდებლობის** გრძნობა. **ფსიქოსექსუალური განვითარება:** ანალური სიამოვნება ცხოვრების დასაწყისიდან არსებობს, მაგრამ ის არ არის ლიბიდოზური განმუხტვისა და კონფლიქტურად ანალიზებული. ეს არ ხდება მანამ, სანამ ბავშვი არ ამყარებს კონტროლს სფინქტერებზე ([ბერძნ. sphinter, sphingo-ვუჭერ] – რგოლისებრი კუნთი შეკუმშვის შედეგად ავიწროებს, მაგალითად, სწორ ნაწლავს), როდესაც დეფეკაცია ისეთ აქტად ხდება, რომლის დაუფლების გამო, მასთან დაკავშირებული სიამოვნება და სპეციფიკური კონფლიქტები პრივილეგირებულ მდგომარეობას აღნიშვნის საფუძველი ხდება.

**ფალოტური სტადია.** ცხოვრების მესამე წლის დასასრულისათვის ფალოტურ სტადიაში მყარდება პარციალური ლტოლვების შედარებითი გაერთიანება გენიტალური ორგანოების **გარკვეული პრიმატით**, თუმცა ჯერ კიდევ საუბარი არ შეიძლება ჭეშმარიტი გენიტალური ლიბიდოს შესახებ. **ფალოტური სტადიის პრობლემა:** ერთი მხრივ, ეს მომენტი დაკავშირებულია პრეგენიტალობასთან და ნარცისიზმთან, მეორე მხრივ, ის გარკვეული აზრით არის ოიდიპოსის სტადიის კონტრაპუნქტია. ფროიდის ნაშრომების მიხედვით, ის არადიფერენცირებულად იყენებდა ტერმინებს „პენისი“ და „ფალოსი“, რამაც ორაზროვნება წარმოშვა. აქ კი სიზუსტე უნდა დავიცვათ: პენისი არის მამაკაცური სქესობრივი ორგანო და ანატომიური რეალობა, იმ დროს, როდესაც **ფალოსი** – აღნიშნავს სიმბოლურ ფუნქციას, რომელიც ამაოდ მიეწერება პენისს. „**კასტრაციის შიშის**“ გამოთქმა მიმართულია აფექტური რეაქციის აღსაწერად, რომელიც არის გოგონების

სხეულში პენისის არარსებობის კონსტატაციის შედეგი, კონსტატაციისა, რომელიც ვაჟებში იწვევს პენისის დაკარგვის ფანტასმურ შიშს, ხოლო გოგონაში – პენისის მიღების სურვილს. ეს არასრულობის (ნაკლულობის), ან უკმარისობის შიში განაპირობებს სიკვდილის შიშს, რომლის წინააღმდეგ ყოფით დაცვას წარმოადგენს ბავშვის ყოლის (საკუთარი თავის გაორმაგებულობა) ტენდენცია. ფალოტური და ოიდიპოს ფაზები ახლოს არიან ერთმანეთთან. ერთ მათგანს აქვს ნარცისული ბუნება, ხოლო მეორე დაკავშირებულია ობიექტურ ლიბიდოსთან.

### **გენიტალური სტადია: ოიდიპოსის კომპლექსი**

ფსიქოანალიზში ოიდიპოს კომპლექსი პიროვნების ცენტრალურ მათრგანიზებულ ელემენტად ითვლება. ეს არის ძირითადი კონფლიქტი (სამსა და ხუთ წელს შორის), რომელიც ახლა უკვე ხდება, სპეციფიკურად სექსუალური კონფლიქტი, რომელიც ჩაწერილია სამი პიროვნების პრობლემატიკაში: მამა, დედა, ბავშვი.

### **ოიდიპოსის კომპლექსის აღმოჩენა**

ფროიდმა საკუთარი პიროვნების ანალიზის საფუძველზე აღმოაჩინა ოიდიპოსის კომპლექსი, რამაც მას მისცა საშუალება გაეგო, რომ მისი ადრეული ბავშვობის გარკვეულ ეტაპზე მისი „ლიბიდო იყო მიმართული matrem-ზე (ფროიდი აქ იყენებს დედის აღსანიშნავად ლათინურ სიტყვას), იმ დროს, როდესაც მამის მიმართ ის იმავე დროს განიცდის ეჭვიანობას, სიყვარულის საპირისპიროდ. ასეთია მარტივი თვალსაზრისით ოიდიპოსის სიტუაცია, რომელშიც, ჩვეულებრივ, ვაჟი იგულისხმება. მამის მიმართ ნეგატიური ასპექტი დიდი ხნის განმავლობაში არ აღიქმებოდა, როგორც ამბივალენტობის, რომლებსაც შეუძლიათ შენიღბონ ეს ნეგატიური ასპექტი. ინცესტის აკრძალვა – ეს კანონი ყოველთვის და ყველგან – ავლენს უნივერსალობას და მინიმალურ პირობას, რომლითაც განსხვავდება „კულტურა“ და „ბუნება“ (დევი სტროსი).

### **ოიდიპოსის ისტორია**

ოიდიპოსის ისტორია წარმოდგენილია სოფოკლეს ტრაგედიაში (მეფე ოიდიპოსი – ახ. წ. 430 წ.). შემდეგ კი სოფოკლემ დაწერა აგრეთვე „ოიდიპოსი კოლონიში“ (ახ. წ. 460 წ.), სადაც დაბერებული ოიდიპოსი, ისევ ბრმა, ანტიგონეს თანხლებით, თავისი მდგომარეობის მიუხედავად, იღებს საკუთარი ბედის



უშფოთველ და მშვიდ წინასწარმეტყველებას, რაც მას საშუალებას აძლევს ატაროს ის (თავისი ბედი) ღირსებით და სულიერი სიმტკიცით. ზუსტად მაშინ, როდესაც მამაზე და დედაზე ძლიერ დატვირთული არქაული ფიქსაციები აღწარმოებდება სხვა მამაკაცის ან სხვა ქალის მიმართ, საუბარი უნდა გეკონდეს **ნევროზის** შესახებ. სხვა სიტყვებით, ოდიპოსის ტენდენციების დაძლევა არის წინასწარი პირობა, ნორმალური ზრდასრული ადამიანის სექსუალობაზე გადასასვლელად, იმ დროს, როდესაც არაცნობიერი ფიქსაცია აფუნებს ნევროზს.

**ოდიპოსის ფაზის** შემდეგ (5–6 წლიდან პუბერტატამდე) განვითარება კლასიკურად განიხილება, როგორც მიღწეული მდგომარეობის სიმშვიდისა და კონსოლიდაციის პერიოდი. საუბარია სექსუალური განვითარების შეჩერებაზე და არა იმაზე, რომ ამ პერიოდში შეუძლებელია აღიწეროს სექსუალობის ახალი „ორგანიზაცია“. ამიტომ, ჩვეულებრივ, საუბრობენ ლატენციის „პერიოდზე“ და არა „სტადიაზე“. მძაფრი სექსუალური ინსტინქტები ნაწილობრივ უმოქმედოა, ქცევა ემორჩილება ნაწილობრივ სუბლიმაციას და რეაქტიულ წარმონაქმნებს. ბავშვი იმ სფეროებშია, რომლებიც არ არის დაკავშირებული სექსუალობასთან – სკოლა, მეგობრებთან თამაში, წიგნები, კომპიუტერი, რეალური სამყაროს სხვა ობიექტები, – თუმცა, თითოეული ინტერესის მკვებავი ენერგია ყოველთვის სექსუალური ინტერესებიდან არის ნაწარმოები.

**პუბერტატი.** ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა სტადიასთან ან პერიოდთან, არამედ კრიზისთან (მოზარდობის კრიზისი), რომელიც საკმაოდ მოულოდნელად წყვეტს წინამორბედ ლატენტურ პერიოდს. აღსანიშნავია, რომ სულ უფრო მეტად ძლიერდება ტენდენცია, რომლის მიხედვით ცდილობენ განასხვავონ პუბერტატი (სომატური) და ყმაწვილობა (აფექტური და პიროვნებათაშორისი).

**ფსიქოსექსუალური განვითარება.** უპირველეს ყოვლისა, ის ხასიათდება აგრესიული და ლიბიდოზური ღტოლვების მძლავრი, მკვეთრი, დრამატული გამოცოცხლებით. მეორადული სქესობრივი ნიშნების ფორმირებისას (თმების გაზრდა, ხმის შეცვლა და სხვა),

**პუბერტატი გავლილია.** პუბერტატი გავლილია მაშინ, როდესაც სექსუალობა ჩართულია პიროვნებაში, როდესაც სუბიექტს შეუძლია მიიღოს სრული ორგანიზმი, – წერს ფენიჰელი.

## ჟან პიაჟეს გენეტიკური ფსიქოლოგია

ჟან პიაჟე ყველაზე უფრო მეტად ცნობილია, როგორც გენეტიკური ფსიქოლოგიის სპეციალისტი (Флейшман, 1967:15), მაგრამ ის, იმავდროულად, იყო ფილოსოფოსი, ლოგიკის სპეციალისტი და პედაგოგი. **პიაჟეს მიხედვით**, სასარგებლო ნივთიერებები გადამუშავდება ორგანიზმის მიერ და თანდათანობით ორგანიზმის სტრუქტურის ნაწილი ხდება. გარემოს სიტუაციის ელემენტების ცვლილების პროცესს, შემდგომში მათი ორგანიზმის სტრუქტურაში ჩართვის მიზნით, **ასიმილაცია** ეწოდება; ამრიგად, ელემენტები სისტემას **ემსგავსებიან**. ნივთიერება არასდროს გახდება სისტემის ნაწილი, თუ ინდივიდი არ გააღებს პირს, თუ ნივთიერება არ იქნება დადგენილი, თუ ორგანიზმი ვერ შეძლებს ნივთიერების გადამუშავებას. თუ საგნები შეგუების ნებისმიერ აქტში ისე უნდა გადასხვაფერდნენ, რომ შესატყვისი იყვნენ ორგანიზმის სტრუქტურის თავისებურებებთან, მაშინ ორგანიზმმა აგრეთვე თავის მხრივ უნდა უპასუხოს საგნების იდოსინკრაზიულ (თავისებურ-ბერძნ. idios-საკუთარი, თავისებური, მორაპკეფორმა) მოთხოვნებს. ადაპტაციის (შეგუების) პირველ ასპექტს დაერქვა **ასიმილაცია**, მეორე ასპექტს კი – ობიექტურ შეგუებას – პიაჟემ **აკომოდაცია** უწოდა. მაგრამ შეგუებითი აქტი გულისხმობს **ორგანიზაციის** არსებობას. ცალკეული მოქმედებები ერთმანეთთან **კოორდინაციაში** იმყოფება და მათ მართავს მთლიანობის კანონი (ჰოლიზმი – პიაჟეს ყოველთვის აინტერესებდა ნაწილისა და მთელის ურთიერთობა). შეგუებით მიზანმიმართულ ქცევას წყაროდ არ შეიძლება ჰქონდეს რაღაც ქაოტური და სრულებით არადიფერენცირებული. არსებობს მთელი რიგი ურთიერთდამოკიდებული, დაქვემდებარებული სტრუქტურებისა.

**შემეცნებითი ადაპტაცია: ასიმილაცია და აკომოდაცია.** ინტელექტის ნებისმიერი მოქმედება, ყველაზე პრიმიტიული და კონკრეტული, გულისხმობს რეალური სამყაროს რაღაც ნაწილის ინტერპრეტაციას, ანუ **ასიმილაციას**, მისი სუბიექტის შემეცნებით ორგანიზაციაში შემავალ მნიშვნელობათა რაღაც **სისტემასთან** დამსგავსებას. თუ გამოვიყენებთ კელის (Kelly, 1955) მოხერხებულ გამოთქმას, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ გარემო სინამდვილისადმი ინტელექტუალური შეგუება ნიშნავს ამ რეალობის კონსტრუირებას ისეთი მყარი კონსტრუქციის ცნებაში, როგორც აქვს სუბიექტს. პიაჟეს პოზიცია ემთხვევა ზემოთ მოყვანილს. ამისათვის საკმარისია სიტყვა **კონსტრუირება** შევცვალოთ სიტყვით – **ასიმილაცია**, ხოლო სიტყვა **კონსტრუქცია** –**ორგანიზაციით**. პიაჟე

ამტკიცებს, რომ ინტელექტუალური ასიმილაცია არსებითად არ განსხვავდება უფრო მარტივი ბიოლოგიური ასიმილაციისაგან: ორივე შემთხვევაში, პროცესის ძირითადი შინაარსი დაიყვანება რეალური მოვლენის დაახლოებამდე იმ სტრუქტურის შაბლონთან, რომელიც უკვე აქვს ინდივიდს მოცემულ მომენტში. თუ ინტელექტუალური შეგუება არსებითად ყოველთვის არის ასიმილაციური აქტი, ის, ამის მიუხედავად, არის აგრეთვე აკომოდაცია. ყველაზე ელემენტარულ შემეცნებით პროცესებში უნდა მონაწილეობდეს ინდივიდის უნარი – დაეუფლოს შემეცნებითი ობიექტის განსხვავებულ თვისებებს. რეალობა არ შეიძლება იყოს უსაზღვროდ დამყოლი, როგორც აუტისტურიც არ იქნება შემეცნებითი სუბიექტის პოზიცია და უეჭველია, რომ ინტელექტუალური განვითარება საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა, თუ ორგანიზმი როგორმე არ შეაგუებდა თავის ინტელექტუალურ რეცეპტორებს მის პირისპირ არსებულ რეალურ ფორმებს.

საყურადღებოა, რომ ახალშობილი ცდილობს მოახდინოს იმ საგნის ასიმილაცია, რომელიც მის პირში არის განთავსებული, წონის ნელა ფორმირების სქემის საფუძველზე, როდესაც, ამ დროს, ხორციელდება აკომოდაციის უხეში მცდელობა. პიაჟეს მიხედვით, ამ ადრეული პერიოდისათვის დამახასიათებელია ასიმილაციისა და აკომოდაციის არადიფერენცირებულობა, რადგან ამ ასაკში ობიექტი და მოქმედება, რომლის საფუძველზე ასიმილირდება ობიექტი, ბავშვისათვის ერთიან განცდას წარმოადგენს (Флейвелл, 1967:86). პიაჟე განვითარების ოთხ სტადიას გამოყოფს:

1. სენსორტორული – დაბადებიდან დაახლოებით 18 თვემდე;
2. ოპერაციამდელი სტადია –18 თვიდან დაახლოებით 6 წლამდე;
3. კონკრეტული ოპერაციების სტადია – 6 წლიდან 12 წლამდე;
4. ფორმალური ოპერაციების სტადია –12 წლიდან და ზემოთ (Би, 2004:265-308).

#### 1. სენსორტორული სტადია

პიაჟეს მიხედვით, ბავშვი ასიმილირებს შემომსვლელ ინფორმაციას დაბადებიდან 18–24 თვემდე იმ შეზღუდული სენსორული და მტორული სქემების შესაბამისად, რომლებიც მას გააჩნია, – ანუ მხედველობის, სმენის, წოვის, ტაცების სქემებში. პიაჟე თვლიდა, რომ ეს მომენტი კოგნიტური განვითარების საწყისი წერტილია. პიაჟე ამ სტადიაზე გამოყოფს 6 ქვესტადიას.

1. 0–1 თვის ასაკი, რეფლექსები: ხასიათდებიან თანდაყოლილი სქემების ან ისეთი რეფლექსების გამოყენებით, როგორცაა წოვითი, მხედველობითი რეფლექსები. არ არის მიბაძულობა, რამდენიმე გრძნობის ორგანოდან მიღებული ინფორმაციის ინტეგრირების უნარი.

2. 1–4 თვის ასაკი, პირველადი ცირკულარული რეაქციები, ანუ უბრალო განმეორებადი მოქმედებები, რომლებიც საკუთარ სხეულზე არიან კონცენტრირებული. ბავშვი შემთხვევით წოვს საკუთარ თითს, ამას სასიამოვნოდ მიიჩნევს და შემდგომშიც იმეორებს. აქ ხდება ძირითადი სქემების აკომოდაცია: ტაცების, მხედველობისა და წოვის სქემების უსასრულოდ გამოყენება.

3. 4–8 თვის ასაკი. მეორადული ცირკულარული რეაქციები. ამ დონეზე ბავშვი იმეორებს ზოგიერთ მოქმედებას იმისათვის, რათა დაიწყოს რეაქცია მისი სხეულის მიღმა. ბავშვი ღიღინებს და დედა იღიმება; ამიტომ ბავშვი ისევ ღიღინებს, რათა დედამ ისევ გაიღიმოს, ბავშვი შემთხვევით ხელს ურტყამს სათამაშოს მისი ლოგინის ზემოთ, ისინი მოძრაობენ, მაშინ ბავშვი ისევ იმეორებს ხელის მოქმედებას, რათა აიძულოს სათამაშო იმოძრაოს. აქ ის პირველად აკავშირებს სხეულის მოქმედებასა და გარე შედეგს, თუმცა ეს ყველაფერი ინსტინქტურად ხდება.

4. 8–12 თვის ასაკი. მეორადული სქემების კოორდინაცია. აღინიშნება მიზეზობრივი კავშირების გაცნობიერება. ამ ეტაპზე ბავშვი ნამდვილად იწყებს სამყაროს დეტალურ შესწავლას. ხასიათდება კარგად გამოკვეთილი ქცევით – „მოქმედება–შედეგი“. ბავშვი არა მხოლოდ გაიწევს იმისკენ, რაც აინტერესებს, არამედ მას უკვე შეუძლია ორი სქემის გამოყენება, მაგალითად, ააგდებს პატარა ბალიშს, რათა მიწვდეს სათამაშოს. აღინიშნება ახალი ქცევის იმიტაცია.

5. 12–18 თვის ასაკი. მესამედული ცირკულარული რეაქციები. ამ შემთხვევაში ბავშვი არა მხოლოდ იმეორებს პირველად ქცევას, არამედ ცდილობს მასში ცვლილებების შეტანას. ბავშვი ცვლის რამდენიმე ბგერას ან სახის გამომეტყველებას, რათა დაინახოს, გამოიწვევენ თუ არა ისინი დედის ღიმილს, ან ცდილობს იმოქმედოს ხელით ახალი მიმართულებით, რათა აიძულოს სათამაშო ახლებურად იმოძრაოს.

6. 18–24 თვის ასაკი. რეპრეზენტატული აზროვნების გამოჩენა. ობიექტებისა და მოვლენების ნაცვლად სიმბოლოების გამოყენების უნარის განვითარება. ბავშვი ხვდება, რომ სიმბოლო გამოყოფილია ობიექტისაგან, პირველად დასტურდება დროში გადატანილი იმიტაცია.

## **ოპერაციამდელი სტადია (18–24 თვიდან – დაახლოებით 6 წლამდე)**

2–6 წლამდე შუალედში პიაჟემ ბავშვის ქცევის მრავალ ასპექტში გამოავლინა სიმბოლოების გამოყენების მტკიცებულებები. ამ ასაკში თამაშის დროს ბავშვი იწყებს სიმბოლურად აზროვნებას, მაგალითად, ცოცხი შეიძლება გახადოს ცხენი, კუბიკი – მატარებელი. ამავე დროს, პიაჟე სკოლამდელი ბავშვის აზროვნების რიგიდულად მიიჩნევდა, გარეშე ნიშნებით შებოჭილს, შეუთავსებლობებისადმი უგრძობელს და საკუთარი თვალსაზრისით შეზღუდულს – ამ თვისებას პიაჟემ ეგოცენტრიზმი უწოდა. ბავშვი არ არის ეგოისტი, ის უბრალოდ ფიქრობს, რომ ყველა ისე ხედავს სამყაროს, როგორც ის. ამ ეტაპზე ბავშვი ვერ ახერხებს მტკიცებულებების დადგენას, მსჯელობას. ამის მაგალითებია ე.წ. პიაჟეს ფენომენები: სკოლამდელს უჩვენებენ ორ თიხის ბურთულას, და როდესაც ექსპერიმენტატორი დარწმუნებულია, რომ ბავშვი ამ ბურთულებს ერთნაირად აღიქვამდა, ის ბავშვის თვალწინ ერთ ბურთულას უცვლიდა ფორმას – მას დააგრძელებდა ძეხვივით. ბავშვს ეკითხებოდნენ არის თუ არა ერთნაირი თიხის რაოდენობა ბურთულაში და ძეხვივით დაგრძელებულ თიხის საგანში. ბავშვი პასუხობდა, რომ ძეხვივით დაგრძელებულ თიხის საგანში თიხა მეტია, რადგან ის გრძელია. ე. პიაჟემ ამ მოვლენას **რეალიზმი** უწოდა. სკოლამდელი ნელა გადადის **რეალიზმიდან ობიექტურობაზე**, სხვების თვალსაზრისის მხედველობაში მიღებაზე და შეფასებათა შეფარდებითობაზე. უკანასკნელი იმაში გამოიხატება, რომ ბავშვი, რომელიც თელის – ყველა დიდი საგანი მძიმეა, ხოლო პატარა კი მსუბუქი, – იძენს ახალ წარმოდგენას, როდესაც აკვირდება, რომ მისთვის მსუბუქი პატარა ქვა, წყლისთვის მძიმე აღმოჩნდება და ამიტომ იძირება. ოპერაციამდელ დონეზე მყოფი ბავშვი ვერ ამჩნევს წინააღმდეგობებს. მოყვანილი მაგალითი შეეხება სკოლამდელებს, მაგრამ ეგოცენტრიზმი ბავშვის აზროვნების ზოგადი მახასიათებელია, რომელიც განვითარების ყველა პერიოდში ვლინდება. ეგოცენტრიზმი ძლიერდება, როდესაც ბავშვი განვითარების პერიოდში შემეცნების ახალ სფეროში ხვდება და სუსტდება იმის მიხედვით, როდესაც ის თანდათან ითვისებს ამ ახალ სფეროს.

## **კონკრეტული ოპერაციების სტადია (6 წლიდან–12 წლამდე)**

ახალი უნარები, რომლებიც 6–7 წლის ასაკში ვითარდება, ემყარება სკოლამდელ ასაკში ჩამოყალიბებულ ცვლილებებს, მაგრამ ე. პიაჟეს აზრით, არსებითად ნახტომს მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ბავშვი აღმოაჩენს ან

ჩამოაყალიბებს გარემოსთან საურთიეროდ განსაკუთრებით მნიშვნელოვან, აბსტრაქტულ ზოგად „წესებს“ ან „სტრატეგიებს“. ამ ახალ უნარებს პიაჟე კონკრეტულ ოპერაციებს უწოდებს. ოპერაციების ქვეშ ის გულისხმობს ისეთ მნიშვნელოვან აბსტრაქტულ შინაგან სქემებს, როგორცაა უკუქმედება, მიმატება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა. სერიებში მოთავსება. ამ ოპერაციებიდან, პიაჟეს მიხედვით, ყველაზე მნიშვნელოვანია **უკუქმედება** – იმის გაგება, რომ ფიზიკურ მოქმედებას და მენტალურ (გონებრივ) ოპერაციებს შეიძლება ჰქონდეს უკუქმედება. მაგალითად, თიხის ძეხვი შეიძლება ისევ ბურთულა გახდეს, წყალი მაღალი ჭიქიდან შეიძლება ისევ გადავასხათ პატარა ჭიქაში (ანუ დასტურდება ნივთიერებათა **შენახვის** კანონი). პიაჟე თვლიდა, რომ მესამე სტადიაზე ბავშვი აყალიბებს **ინდუქციური ლოგიკის** გამოყენების უნარს. მაგალითად, მას შეუძლია **დაკვირვების** შედეგად მივიდეს ზოგად კანონზომიერებამდე. თუ ის სათამაშოებს კიდევ ერთს მიუმატებს და შემდეგ გადაითვლის, უფრო მეტი სათამაშოები აღმოჩნდება, ანუ მიმატება ყოველთვის იწვევს ზრდას – დაასკვნის ბავშვი. პიაჟე თვლიდა, რომ მესამე სტადიაზე ბავშვი აყალიბებს ინდუქციური ლოგიკის გამოყენების უნარს. მაგალითად, მას შეუძლია დაკვირვების შედეგად მივიდეს ზოგად კანონზომიერებამდე.

### **ფორმალური ოპერაციების სტადია (12 წლიდან და ზემოთ)**

მოზარდი ამ ასაკში თავისუფლდება ობიექტებისადმი მიჯაჭვულობისაგან, რაც მას აღქმაში ეძლევა და ითვისებს უნარს იაზროვნოს როგორც ზრდასრულმა ადამიანმა. ფორმალური ოპერაციები პიაჟეს მიხედვით ყალიბდება საკმაოდ სწრაფად – 12-სა და 16 წელს შორის და რამდენიმე საკვანძო ასპექტს მოიცავს:

**1. რეალურისაგან შესაძლებლობამდე.** ამ ეტაპზე ბავშვი ავრცელებს კონკრეტული აზროვნების საკუთარ უნარს იმ ობიექტებსა და სიტუაციებზე, რომლებიც მას არ დაუნახავს და არ განუცდია, აგრეთვე იმათზე, რომელთა დანახვა ან რომლებითაც უშუალოდ მანიპულირება შეუძლებელია. სკოლამდელი ასაკის ბავშვი თამაშობს „ჩაცმობანას“ რეალური ტანისამოსით. მოზარდი კი **ფიქრობს** შესაძლებლობებზე და არჩევანზე, წარმოიდგენს საკუთარ თავს განსხვავებულ როლებში, მაგალითად, კოლეჯის სტუდენტად, ქორწინებაში ყოფნას და ა. შ. მას შეუძლია წარმოისახოს, თუ რა შედეგებს მიიღებს მომავალში იმ მოქმედებებისაგან, რომლებსაც დღეს ახორციელებს.

2. **სისტემური ამოცანების გადაწყვეტა:** მოზარდი სისტემურად და თანმიმდევრულად ეძებს პრობლემის გადაწყვეტის გზებს. ამ თავისებურების შესასწავლად პიაჟე სთავაზობდა მოზარდებს რთულ ამოცანებს ფიზიკის კურსიდან. ცდისპირებს სთავაზობდნენ განსხვავებული სიგრძის ზონარს და განსხვავებული წონის საგნებს, რომელთა მიზმა შეიძლებოდა ზონარზე და ამგვარად გაკეთებოდა ქანქარა. ცდისპირს უნდა განესაზღვრა, რა განაპირობებდა ქანქარას მოძრაობის პერიოდს – ზონარის სიგრძე, ზონარის სიგრძისა და ობიექტის წონის კომბინაცია, გამოყენებული ძალა თუ მოძრაობის სიმაღლე (სწორი პასუხია ზონარის სიგრძე). კონკრეტული ოპერაციების დონეზე მყოფი ბავშვი მოსინჯავს რამდენიმე განსხვავებულ კომბინაციას სიგრძის, წონის, ძალის და სიმაღლის არაეფექტიანი გზით. ფორმალური ოპერაციების დონეზე მყოფი ადამიანი კი უფრო ორგანიზებულად მოქმედებს, ის ვარიანტებს მხოლოდ ერთი ფაქტორით ოთხიდან. მას შეუძლია მძიმე ობიექტი მიაბას ჯერ მოკლე ზონარს, შემდეგ – საშუალო სიგრძის ზონარს, შემდეგ კი – გრძელ ზონარს. ამის შემდეგ ის შეამოწმებს მსუბუქ ობიექტს სამი სიგრძის ზონარზე მიზნით და ასე შემდეგ.

3. **ლოგიკა.** ბავშვის რეპერტუარში ჩნდება ის თავისებურება, რომელსაც პიაჟე **ჰიპოთეზურ-დედუქციურ** აზროვნებას უწოდებდა. დედაქციური ლოგიკა რთულია, რადგან გულისხმობს ჰიპოთეზების განხილვას, რომელთა საფუძველზე ყალიბდება ლოგიკური შედეგები. მაგალითად, ამ ტიპის დებულებაა - თუ ყველა ადამიანი თანასწორია, მაშინ შენ და მე თანასწორნი უნდა ვიყოთ“. ზოგიერთ დედუქციურ მიმართებებს 4-5 წლის ბავშვებიც კი ხვდებიან, თუ საწყისი დებულებები სანდოა, მაგრამ მხოლოდ მოზარდებს შეუძლიათ გაიგონ და გამოიყენონ ბაზისური **ლოგიკური** მიმართებები.

საყურადღებოა, რომ XX საუკუნის 20-იან წლებში პიაჟე ბავშვის ინტელექტის განვითარებას განიხილავდა როგორც **აუტიზმის, ეგოცენტრიზმისა და სოციალიზაციის** სტადიების ცვლას. შესაძლებელია, რომ აუტისტური აზრი ქვეცნობიერად მივიჩნიოთ, ის ხელს არ უწყობს ბავშვის შეგუებას გარემო სიტუაციასთან. აქ იქმნება წარმოსახული სამყარო. აუტისტური აზრი ცდილობს არა ჭეშმარიტების დადგენას, არამედ სურვილების დაკმაყოფილებას, გამოიხატება ხატებში, წარმოდგენებში და არა მეტყველებაში, ასეთი აზრის სხვებისთვის გადაცემა კი რთულია. **სოციალიზებული** აზრი, პირიქით, გაცნობიერებულია, ისახავს ცხად მიზნებს, ხელს უწყობს ადამიანის შეგუებას გარე-

მოსთან, გამოიხატება მეტყველებაში და მოიცავს ჭეშმარიტებას ან შეცდომას (დაბნეულობას). ეგოცენტრული აზრი – მთავარი შუალედური ფორმაა აუტიზმსა და გონების ლოგიკას შორის. ამიტომ მას ახასიათებს აუტიზმის თავისებურებები, კერძოდ, მისი მიმართულება სურვილების შესრულებაზე. ეგოცენტრიზმი საფუძველია ბავშვის ასოციალობისა, რომელიც 7–8 წლამდე გრძელდება.

**სოციალიზაციის პროცესში სპორტი და ცხოვრებაში აქტიური მოქმედება** ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია ნეგატიური განცდების დასაძლევად და საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილების მისაღწევად. ამიტომ პიროვნების ფორმირების პროცესში ცხოვრების ჯანსაღი წესი, სრულყოფილი პიროვნების მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა, რომელიც განაპირობებს ჯანსაღი ფსიქიკური მდგომარეობის მიღწევას. სპორტი პიროვნების განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში თან ახლავს მას. ფიზიკური აღზრდა სპორტული ვარჯიში არა მხოლოდ სხეულის ზოგადი სრულყოფის საშუალებაა ფიზიკური ჰარმონიის მისაღწევად, არამედ მრავალმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი საშუალებაც. სპორტი და ფიზიკური აღზრდა ბუნებრივად უზრუნველყოფს ჯანმრთელობას, ძალას, გამძლეობას, მოქნილობას, საკუთარ თავში დარწმუნებულობას, საკუთარი თავის მართვის უნარ-თვისებას.

აუცილებელია იმ უდავო გარემოების მხედველობაში მიღება, რომ სპორტში, განსაკუთრებით, სამოყვარულო სპორტში ჩართულობა, ჩვენი აქტიური ცხოვრების სტილის უძლიერესი განმაპირობებელი მოვლენაა. ბუნებრივია, რომ ჩვეულებრივ, საჭიროა ზომიერი ფიზიკური ვარჯიშები, რაც საერთოდ პიროვნული განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა ჩავთვალოთ, რადგან ის რეალურად აღტერნატივია ცხოვრების პასიური სტილისა და ძლიერი, ენერგიული საკუთარი თავის, აგრეთვე, სხვების პატივისმცემელი პიროვნების ჩამოყალიბებისა. თუ ჩვენი მიზანია, საერთოდ, ზოგადად პიროვნების განვითარება და თვითშემეცნება, სპორტი აბსოლუტურად აუცილებელია იმისათვის, რათა ჩვენი სხეული საყრდენი გახდეს პიროვნების მრავალმხრივი განვითარებისა.

ჯანმრთელობა შეუფასებელი სიმდიდრეა არა მხოლოდ ცალკეული ადამიანისათვის, არამედ მთლიანად საზოგადოებისათვის. სწორედ ჯანმრთელობაა სრულფასოვანი და ბედნიერი ცხოვრების ძირითადი პირობა. ჯანმრთელობა გვეხმარება ჩვენ მიზნების შესრულებაში, დასახული ამოცანებისა და სირთუ-



ლეების დაძლევაში, აუცილებლობის შემთხვევაში კი იმ ფიზიკური და სულიერი დატვირთვის ატანაში, რომელიც ჩვენ ხშირად გვხვდება ჩვენს ცხოვრებაში.

თანამედროვე მედიცინის მიღწევების, დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ფონზე იზრდება სნეულებათა მრავალგვარობა. ამიტომ ასეთი კონტრასტული მდგომარეობა მრავალი მეცნიერისა და სპეციალისტის წუხილს იწვევს (Васильева, 1997:406-411; Кураев и др. 1996:7-17; Понедельник, 1994:132-133; Семенова, 1988:56-61). მიხნეულია, რომ უნდა მოიძებნოს ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის უფრო ეფექტური ხერხები და საშუალებები. ცნობილია, რომ ადამიანის ჯანმრთელობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული (მემკვიდრეობა, სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური პირობები, ჯანმრთელობის დაცვის სისტემა). სპორტულ გარემოში მიმდინარე სოციალიზაციის პრობლემებისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ სპორტი მრავალ საზოგადოებრივ ურთიერთობასთან არის დაკავშირებული და ის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ. სპორტი გვაძლევს საშუალებას გამოვავლინოთ ადამიანური რესურსის ახალი ასპექტები, რამეთუ იგი ქმნის პირობებს და წარმოადგენს შესაძლებლობებს მოღვაწეობისათვის, რომლის მეშვეობითაც ვითარდება პიროვნების სოციალიზაციის პროცესი. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სპორტს უკავია ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასე მაგალითად, გასული საუკუნის 70-80-იანი წლებიდან სპორტი გვევლინება „მეორე რელიგიად“, რომლისაც სწამს ამერიკელების უმრავლესობას. ცხოვრების ჯანსაღი წესი თითოეული ამერიკელისათვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ის, უპირველეს ყოვლისა, კარიერაა, პირადი ბედნიერება და ნათელი მომავალია. თავისი სპორტული კარიერის პირველ ეტაპზე ახალგაზრდა სპორტსმენს ურთიერთობა აქვს მწვრთნელთან, მსაჯებთან, მოწინააღმდეგეებთან, თავისი გუნდის წევრებთან. ეს კონკრეტული ადამიანები (სოციალიზაციის ახალი აგენტები), პასუხისმგებელი არიან აღზრდასა და განათლებაზე, ქცევის ნიმუშზე, კულტურული ნორმების სწავლებაზე, ახალი სოციალური როლების ეფექტური ათვისების უზრუნველყოფაზე, რომელშიც აღმოჩნდება ახალგაზრდა სპორტსმენი. ასეთ პროცესში მწვრთნელი თამაშობს ერთ-ერთ წამყვან როლს. მეორადი სოციალიზაციის აგენტები შეიძლება იყვნენ სპორტული კლუბის ხელმძღვანელები, მსაჯები. სპორტსმენის კონტაქტი ასეთ აგენტებთან ხდება უფრო იშვიათად და, როგორც წესი, მათი ზემოქმედება ნაკლებად ღრმაა, ვიდრე პირველი აგენტებისა. სპორტსმენის პირველადი სოცია-

ლიზაცია – ეს პიროვნებათა შორისი დამოკიდებულების სფეროა (მაგალითად, სპორტსმენი – მწვრთნელი), მეორადი სოციალიზაცია – სოციალურ ურთიერთობების სფეროა (მაგალითად, სპორტსმენი – სპორტის სახეობის ფედერაცია). პირველადი სოციალიზაციის თითოეული აგენტი უამრავ ფუნქციას ასრულებს (მაგალითად, მწვრთნელი-ადმინისტრატორი, აღმზრდელი, მასწავლებელი), მეორე კი – ერთ ან ორ ფუნქციას. თუკი განვიხილავთ სოციალიზაციის ეტაპებს სოციალური მეცნიერების პოზიციიდან, მაშინ შესაძლებელია გამოყოფა სოციალიზაციის სამი ძირითადი ეტაპისა: შრომამდელი, შრომისა და შრომისშემდგომი.

შრომამდელი ეტაპი მოიცავს ადამიანის სიცოცხლის პერიოდს შრომითი მოღვაწეობის დაწყებამდე და იყოფა ადრეული სოციალიზაციის და სწავლების სტადიად. ადრეული სოციალიზაცია მოიცავს დროს ბავშვის დაბადებიდან სკოლაში წასვლამდე, ანუ იმ პერიოდს, რომელიც ასაკობრივ ფსიქოლოგიაში ადრეული ბავშვობის ხანად იწოდება. სწავლების სტადია მოიცავს ახალგაზრდობის მთელ პერიოდს, ამ ტერმინის ფართო გაგებით, რომელსაც უმაღლეს სასწავლებელში სწავლაც მიეკუთვნება. სოციალიზაციის შრომითი ეტაპი მოიცავს ადამიანის სიმწიფის პერიოდს, თუმცა დემოგრაფიული საზღვრები „სიმწიფის“ ასაკისა პირობითია. ამ ეტაპზე პიროვნება არა მარტო ითვისებს სოციალურ გამოცდილებას, არამედ აწარმოებს კიდევ მას, რაც ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას შრომით ეტაპს, რომლის აღიარებაც ლოგიკურად გამომდინარეობს პიროვნების განვითარებისათვის შრომითი მოღვაწეობის წამყვანი მნიშვნელობის აღიარებიდან. შრომის შემდგომი ეტაპის სოციალიზაციის პრობლემა ბოლომდე არაა შესწავლილი, ისევე, როგორც ხანშიშესულთა ასაკის პრობლემები, რომლებიც დღესდღეობით განსაკუთრებით აქტუალური ხდება. ერთი მხრივ, სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდას მიყვავართ იქამდე, რომ მოსახლეობის სტრუქტურაში ხანშიშესულთა ასაკი იწყებს მნიშვნელოვანი ადგილის დაკავებას.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის სოციოლოგიაში სპორტსმენის სოციალიზაციის ეტაპს, როგორც წესი, უკავშირებენ მისი კარიერის ფორმირების პროცესს. ამ პოსტულატიდან გამომდინარე, აკონკრეტებენ სოციალიზაციის შემდეგ ეტაპებს: სპორტულ მოღვაწეობაში სუბიექტის შესვლა; სპორტში მეცადინეობას საბავშვო და ახალგაზრდულ ასაკში; სამოყვარულო სპორტიდან პროფესიულ სპორტში გადასვლა; სპორტული კარიერის დასასრული და მოღვაწეობის სხვა სფეროში გადასვლა. სოციალიზაციის პირველი ეტაპი

ხასიათდება სპორტში აქტიური მეცადინეობის დაწყებით, ხდება ინტერესის ფორმირება, სპორტულ საქმიანობასთან ღირებულებითი ურთიერთობების დამყარება. ეს პერიოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდა სპორტსმენისათვის, რამეთუ აქ ეყრება საფუძველი ურთიერთობის ახალ წესს, ხდება ძალების პირველი მოსინჯვა, პირველი გამარჯვებები და მათი თანმდევი წარუმატებლობები, იწყება „სპორტული ხასიათის“ ჩამოყალიბება.

სპორტული საქმიანობის გამოცდას ყველა ვერ უძლებს. ერთ მესამედზე მეტი წყვეტს სპორტში მეცადინეობას ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკში, მაგრამ სპორტში დარჩენილი ახალგაზრდა სპორტსმენები პროფესიონალურ ოსტატობაში რეალიზდებიან, შედიან სოციალური, სპორტული ურთიერთობების ახალ ფაზაში. სხვადასხვა ქვეყანასა და ქალაქში შეჯიბრებებში მონაწილეობა, პირველი ჰონორარების მიღება, მაღალი სპორტული შედეგების მიღწევა და გამარჯვებები ახალგაზრდა სპორტსმენებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ინტეგრირების, ქცევის ნორმებისა და ნიმუშების ათვისების საშუალებებს აძლევენ.

სპორტში შემდგომ აქტიურ მეცადინეობას უკავშირებენ სოციალიზაციის მეორე ეტაპს, რომლისთვისაც დამახასიათებელია შეჯიბრებათა რაოდენობისა და შესაბამისად, წვრთნების რიცხვის ზრდა. გამოსვლები, შეკრებები, ახალი სპორტული ბაზები და საწვრთნელი პროცესი, რომლებიც საკუთარი სახლიდან შორს არის, ორგანიზებული აყალიბებენ ახალ სოციალურ გამოცდილებას, ქმნიან ახალ ღირებულებებს და ორიენტირებს. სოციალიზაციის ამ ეტაპზე დიდ როლს თამაშობს ურთიერთობები, რომლებიც მყარდება სპორტსმენსა და მწვრთნელს შორის. რუსეთის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტის შ. ტარპიშევის აზრით, ჩოგბურთელი, რომელიც შედის ორას საუკეთესო მოთამაშეთა რიცხვში, წერლიწადში „სუფთად“ იღებს 300 ათას აშშ დოლარს, ამასთან, საკუთარ მომზადებაზე ის დაახლოებით 50 ათას დოლარს ხარჯავს.

სოციალიზაციის მესამე ეტაპი დაკავშირებულია სპორტული კარიერის გაფურჩქნასთან. ამ პერიოდში სპორტსმენის ცხოვრების რაგვარობა მთლიანად დამოკიდებულია სპორტული კლუბის ინტერესზე, გუნდზე, კოლექტივზე, რომელიც უზრუნველყოფს მის ეფექტიან სპორტულ მომზადებას. მწვრთნელის მხარდამხარ მის ცხოვრებაში არსებით როლს თამაშობენ მასაჟისტები, ექიმები, მენეჯერები.

სოციალიზაციის მეოთხე ეტაპი ხასიათდება სპორტული კარიერის დასრულებით და პროფესიული მოღვაწეობის სხვა სფეროში გადასვლით. ბევრი სპორტსმენისათვის ეს ცხოვრების ერთ-ერთი რთული პერიოდია. როგორც წესი, სპორტული კარიერის დასრულების გადაწყვეტილებას უკავშირებენ სპორტული შედეგების დაქვეითებას, ნაკრები გუნდის ძირითად შემადგენლობაში „ვერმოხვედრას“, ასაკს და, არცთუ იშვიათად, სპორტულ ტრავმასაც. მოყვანილმა გარემოებებმა შეიძლება მოახდინონ სპორტსმენის ფსიქოლოგიური კრიზისის პროვოცირება. ამ მომენტში სპორტსმენის ცხოვრებაში ნეგატიური პროცესის დაძლევისათვის მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს სპორტული კლუბის ხელმძღვანელმა, მწვრთნელმა, ახლობელმა ადამიანმა. მთლიანობაში, სპორტსმენის სოციალიზაციამ უნდა უზრუნველყოს მისი არა მხოლოდ სპორტულ ცხოვრებაში, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობებშიც სრულფასოვანი ჩართულობა.

#### **თანამედროვე საზოგადოებაში სპორტის სოციოკულტურული დახასიათება**

სპორტს, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენას, ახასიათებს როგორც სპეციფიკური კულტურული, ასევე, საერთო-კულტურული ფუნქციები. ისინი მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული. პირველს შეიძლება მივაკუთვნოთ ისეთი ფუნქციები, როგორიცაა ფიზიკური გამძლეობის განვითარება, ხელოვნური და ჩვეულებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მოძრაობით აქტივობაში და ამის საფუძველზე – ფიზიკური მდგომარეობის ოპტიმიზაცია, ანუ აღნაგობის, ტანადობის განვითარება, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებაში. ადამიანის ჯანმრთელობა განპირობებულია როგორც ბიოლოგიური, ისე სოციალური ფაქტორებით და შეიძლება ითქვას, ადგილი აქვს „ორმაგ დეტერმინაციას“.

სპორტის საერთო-კულტურული ფუნქციები სხვა საზოგადოებრივ მოვლენებთან მისი მრავალმხრივი კავშირების შედეგად ყალიბდება. ეს კავშირები ყოველთვის აშკარა არაა, სინამდვილეში, თუკი, მაგალითად, შემოვიფარგლებით სპორტულ შეჯიბრებათა წესებით, ტექნიკისა და ტაქტიკის განსაკუთრებულობით, რომელიც სპორტის ამა თუ იმ სახეობაში გამოიყენება, საწვრთნელი პროცესის კანონზომიერებით, მაშინ ძალიან ძნელი იქნება აღმოვაჩინოთ სპორტის სოციალურ გარემოზე (სფეროზე), საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაზე დამოკიდებულება. სწორედ ეს ქმნის ილუზიებს სპორტის სრულ

ავტონომიაზე. მაგრამ ეს ილუზია ქრება, როცა მივმართავთ სპორტის ისეთ განსაკუთრებულობას, რომელიც ადამიანზე და კაცობრიობაზე მის პოზიტიური ზემოქმედებაში გამოიხატება. სპორტი გვევლინება ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად. ადამიანის ფიზიკური განვითარება და სრულყოფილება საგრძნობ პოზიტიურ ზემოქმედებას ახდენს მის სულიერ სამყაროზე, მის მსოფლშეგრძნებაზე, ემოციებზე, მორალურ პრინციპებზე, ესთეტიკურ გემოვნებაზე, ხელს უწყობს პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას. სპორტულ მოღვაწეობას აქვს ღრმა შემოქმედებითი ხასიათი, ზრდის იმპროვიზაციულ საშუალებებს, ის თითოეულ ადამიანს ანიჭებს თვითგამოხატვის, თვითსრულყოფისა და თვითდამკვიდრების უდიდეს შესაძლებლობებს, ადამიანებში თანაგანცდებისა და თანაზიარების ურთიერთობებით განპირობებულ სიხარულს იწვევს.

თანამედროვე სპორტს აქვს აგრეთვე დიდი მნიშვნელობა ადამიანებს შორის კონტაქტების განვითარებისათვის, არა მარტო ერთი ქვეყნის ფარგლებში, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. ის არსებით როლს თამაშობს ხალხებს შორის ურთიერთგაგების გაღრმავებაში, მათ დაახლოებაში, ხელს უწყობს ნდობის ჩამოყალიბებას, პოზიტიური კლიმატის ფორმირებას და საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცებას. ამიტომ სპორტი მჭიდროდაა დაკავშირებული ფსიქოლოგიურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ, კომუნიკაციურ და კულტურის სხვა სფეროებთან და მათ შემადგენელ კომპონენტად გვევლინება.

გამოყოფენ სპეციფიკურ სოციოკულტურულ ფუნქციებს. ჯერ ერთი, შეიძლება დავასახელოთ შეჯიბრების ფუნქცია, რომელშიც ასახულია სპორტის ძირითადი სოციოკულტურული არსი. შეჯიბრების სოციალური ფენომენი სპორტის ბირთვად გვევლინება, როგორც სპორტის ინტენსიური სოციალური აქტივობის ფორმა. სპორტული ურთიერთობის შეჯიბრების ფორმა ასახავს ადამიანისათვის დამახასიათებელ შეჯიბრების პროცესს, რაც, ამავე დროს, ბრძოლასთან არის გაიგივებული, რომელიც ადამიანისაგან მისი ყველა ძალის და უნარ-შესაძლებლობების ზღვრულ დაძაბულობას მოითხოვს. ამასთან ერთად, ადამიანის შესაძლებლობების ზღვარის ძებნა უცილობლად განაპირობებს სპორტსმენის ფიზიკური და სულიერი ძალების მუდმივ განვითარებას და სრულყოფას. შეჯიბრების პროცესში ხდება ყველაზე მრავალფეროვანი სპორტული მიღწევებისა და შედეგების დემონსტრირება და წარმოჩენა, ცალკეული სპორტსმენებისა და გუნდების საზოგადოებრივი აღიარება. სპორტის შეჯიბრე-

ბითი ფუნქციის განხილვისას, თანამედროვე საზოგადოებაში საჭიროა გამოიყოს მისი ისეთი ასპექტი, როგორცაა რეკრეაციულ-გასართობი და კომპენსატორული. საუბარია იმაზე, რომ სხვადასხვა ხარისხის ინტენსიურობის სპორტული და სხვა ფიზიკური ვარჯიშები ითვალისწინებენ მრავალი ადამიანის მოძრაობითი აქტიურობის მხრივ შეზღუდულობის კომპენსაციას. ასეთ შემთხვევაში, საუბრობენ, აგრეთვე, „სპორტულ-ფიზიკულტურული ვარჯიშებით“ ეგრეთ წოდებული „კუნთების სიხარულის“ შეგრძნების მიღებას, სპორტულ ღონისძიებებზე დასწრების საშუალებით, ხატოვნად რომ ვთქვათ, „ემოციური შიმშილის“ დაცხრომას. შეჯიბრებითი ფუნქციის სხვა მნიშვნელოვანი ასპექტი სპორტსმენთა და სპორტული გუნდების ნებელობით მომზადებაში მდგომარეობს. სინამდვილეში, სპორტში მეცადინეობის პროცესი ადამიანს უვითარებს ისეთ სოციალურად მნიშვნელოვან თვისებებს, როგორცაა მიზანსწრაფულობა, დაუინებულობა, გამბედაობა, სიმამაცე, მდგრადობა-გამძლეობა, ინიციატივობა, დამოუკიდებლობა და თვითფლობა.

**ა. ვოლმა და ე. პუდელკევიჩმა** ერთობლივად დაწერეს საინტერესო ნაშრომი „სპორტში ჩართულები“, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ გარდაისახებიან სპორტში დაკავებულები მათი სოციალიზაციის პროცესში. „სპორტში ჩართულობა“ ნიშნავს საკუთარ თავზე რაღაც განსაზღვრული როლის აღებას. ეს როლი შეიძლება იყოს აქტიური (შეჯიბრების მონაწილე, მოთამაშე, ფიზიკური ვარჯიშებით მონაწილე, მწვრთნელი, მსაჯი, სპორტული დაწესებულების მომსახურე, მეცნიერი მუშაკი, პრესის მომსახურე). ამასთან პასიურობა ატარებს შეფარდებით ხასიათს, რადგან მაყურებელი ანდა მკითხველი გარკვეული ოდენობით სპორტული შემოქმედებითი კულტურის „თანაავტორად“ გვევლინება.

განვითარებულ ქვეყნებში სპორტი იმდენად თვალხილული სოციალური ფუნქციების შემსრულებელი გახდა, რომ ისეთი გავლენიანი საზოგადოებრივი ინსტიტუტები, როგორცაა სკოლა, პოლიტიკური პარტიები და ა.შ., სპორტულ მოძრაობას იყენებენ სოციალური მიზნების მისაღწევად. რაც უფრო მაღალია სპორტში ჩართულობა, მით უფრო მეტია თვითსოციალიზაციის სხვადასხვა ფორმა. რაც უფრო მნიშვნელოვანია სპორტული სოციალიზაციის მასშტაბები, მით უფრო დიდ ზემოქმედებას ახდენს სოციალიზაციის პროცესები სპორტის პოპულარობაზე, „რადგან ის უკუკავშირშია ერთიან, მთლიან სოცოკულტურულ სისტემასთან“.

ჩვენ შევეცადეთ თვალი გაგვედევნებინა იმ თავისებურებებზე, რომლებიც საერთოდ სოციალიზაციას და კერძოდ – სპორტულ სოციალიზაციას ახასიათებს. ქვემოთ კი მოყვანილია ის მონაცემები, რომლებიც ემპირიული კვლევის გზით არის მიღებული და რომლებიც ასახავს „მოსწავლე სპორტსმენთა“ და „სკოლის მოსწავლეთა“ სოციალიზაციის თავისებურებებს სასკოლო ასაკის ყველა ასაკობრივ ჯგუფში. შესწავლილი იყო ისეთი მახასიათებლები, როგორცაა: **მიღწევის მოტივაცია; ემპათია, მარტოობა, თვითფლობა.**

**მიღწევის მოტივაციის გაზომვა (Бруннер, 2010).** მიღწევის მოტივაციის გაზომვა ჩატარდა მესრაბიანის ტესტის შესაბამისად (ცხრილი №10 – იხ. დანართი), რომლის მიხედვით მნიშვნელოვანია ის, რომ ორივე ჯგუფის წარმომადგენლებს გაძლიერებული აქცენტი აქვთ წარუმატებლობის თავიდან აცილებაზე და თუმცა „სკოლის მოსწავლეებს“, ისევე, როგორც „მოსწავლე სპორტსმენებს“, მაღალი მაჩვენებლები აქვთ ამ თვალსაზრისით (89%), ორივე შესადარებელი ჯგუფის წარმომადგენლებს გაძლიერებული აქცენტი აქვთ წარუმატებლობის თავიდან აცილებაზე. თუმცა „მოსწავლე სპორტსმენები“ მაინც უფრო მეტად გამოირჩევიან ასეთი ტენდენციით. ეს მაჩვენებლები რეალურად ასახავს იმ ფაქტს, რომ „სკოლის მოსწავლეთათვის“ ვარჯიში თუ შეჯიბრება არ არის თვითმიზანი და ამიტომ სპორტულ სფეროში წარმატებას ისინი ნაკლებ მნიშვნელოვნად აღიქვამენ. „მოსწავლე სპორტსმენების“ შემთხვევაში კი მათი სპორტზე უფრო მეტი ორიენტირებულობის, სპორტულ გარემოში მეტოქეობის გაძლიერებული მუხტის არსებობის შედეგად, ისინი წარუმატებლობის თავიდან არიდებას უფრო აქტიურად ცდილობენ. ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი კიდევ უფრო საფუძვლიან შესწავლას საჭიროებს, რადგან ის რეალურად ასახავს იმ პრინციპულ მდგომარეობას, რომელიც მოყვარული სპორტის წარმომადგენლებს განასხვავებს სპორტისადმი სერიოზულ დამოკიდებულების მქონე პიროვნებებისაგან.

**მესრაბიანისა და ეპშტეინის ემპათიის საზომი (Константинов, 2006: 26-29).** ჩატარებული ტესტირების შედეგები მოყვანილია ცხრილში №11 (იხ. დანართი). ემპათიის განცდას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა ურთიერთობებში და ამ თვალსაზრისით შესაძლებელია ვისაუბროთ, რომ ამ გრძნობის არსებობის შესაბამისად, შეიძლება სოციალურ ურთიერთობათა მაღალ დონეზე ვისაუბროთ. ემპათიის საშუალო დონე უმცროს და საშუალო სასკოლო ასაკში, „მოსწავლე სპორტსმენებს“ უფრო მეტად ახასიათებთ. ამავე დროს, უფროს სასკოლო ასაკ-

ში საშუალო დონის ემპათიურობა უფრო მეტია „სკოლის მოსწავლეებში“. რაც შეეხება მაღალი დონის ემპათიურობას, უმცროს და საშუალო ასაკში ის უფრო მეტად „სკოლის მოსწავლეებს“ ახასიათებს. პირველ შემთხვევაში – 39%, მეორე შემთხვევაში – 50%, ხოლო უფროს სასკოლო ასაკში „მოსწავლე სპორტსმენების“ ემპათიურობის მაღალი მაჩვენებელი – 54% არათუ არ ჩამორჩება, არამედ ჭარბობს „სკოლის მოსწავლეების“ ემპათიურობის დონეს (52%). თუმცა აქ უფრო მეტად შეიძლება ვილაპარაკოთ თანაბრად მაღალ ემპათიურობაზე ორივე შესაძარებელი ჯგუფების მიხედვით. რაც შეეხება უმცროს და საშუალო სასკოლო ასაკს, „მოსწავლე სპორტსმენებში“ შედარებით ნაკლები რაოდენობით მაღალი ემპათიურობის აღნიშვნას და ეს იმ დროს, როდესაც საშუალო დონის ემპათიურობით, როგორც უმცროს სასკოლო ასაკში, ასევე, უფროს სასკოლო ასაკში უფრო მაღალ ემპათიურობას აღნიშნავენ „მოსწავლე სპორტსმენები“, ვიდრე „სკოლის მოსწავლეები,“ ვფიქრობთ, რომ ეს მდგომარეობა სპეციალურ კვლევას მოითხოვს რომელიც დამატებით მასალას მოგვცემს იმის თაობაზე, რომ მაღალი ემპათიურობის დონის თვალსაზრისით, „მოსწავლე სპორტსმენები“ უმცროს და საშუალო სასკოლო ასაკში ჩამორჩებიან „სკოლის მოსწავლეებს“. ვფიქრობთ, რომ ასეთი ჩამორჩენის ერთ-ერთ საფუძველად უნდა მივიღოთ ის, რომ ორივე ამ ასაკობრივ ჯგუფში „მოსწავლე სპორტსმენები“, როგორც ჩანს, უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ სპორტში არსებულ მეტოქეობას, რომელიც მათი ემოციურობის გამო, შეიძლება ასუსტებს ემპათიის გრძნობას, რომელიც ამავე დროს გააზრების მაღალ დონეზე წარმოიქმნება.

**მარტოობის შესწავლამ** (მარტოობის სკალა [სუმბაძე და სხვა, 2011:12-16]) „სკოლის მოსწავლეებსა“ და „მოსწავლე სპორტსმენებში“ აჩვენა (მონაცემები მოყვანილია ცხრილში №12, იხილეთ დანართი), რომ მარტოობის მაქსიმალური დონე 60-80 ქულა და მარტოობის მაღალი დონე 40-59 ქულა საერთოდ არ იყო ნაჩვენები ცდისპირთა მიერ. ასევე, არ იყო ნაჩვენები მარტოობის დაბალი დონე – 1-19 ქულა. ყველა მონაცემმა, რომლებიც კვლევის შედეგად მივიღეთ, მთლიანად მარტოობის საშუალო დონეში (20-39 ქულა) მოიყარა თავი. ყველა ასაკობრივ ჯგუფში (უმცროსი, საშუალო და უფროსი სასკოლო ასაკი) აბსოლუტურად ყველა რესპონდენტმა მიუთითა მარტოობის საშუალო დონეზე და ამ თვალსაზრისით, არავითარი განსხვავება არ გვაქვს მიღებული არც ასაკობრივ ჯგუფებში და არც „სკოლის მოსწავლეებისა“ და „მოსწავლე სპორტსმენების“ მონაცემების შედარების საფუძველზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში,



აღბათ, მოქმედებს ის სტერეოტიპი, რომლის საფუძველზე მარტოობა სახარბიელო მდგომარეობად არ აღიქმება არა მარტო სკოლის მოსწავლეების, არამედ ზრდასრული ადამიანების მიერაც (Корсини, Авербах, 2002,783). ფსიქოლოგიური ენციკლოპედიის (Корсини, Авербах, 2002,783) მიხედვით, მარტოობა საკუთარი თავის აღქმის დესტრუქციულ ფორმას წარმოადგენს. ადამიანი ამ შემთხვევაში საკუთარ თავს დავიწყებულად და არასაჭიროდ თვლის. როგორც ჩანს, ასეთი დამოკიდებულება მარტოობის მიმართ, თავისთავად განაპირობებს იმ შედეგს, რომელიც ჩვენ მივიღეთ, როდესაც უარყოფილია მარტოობის როგორც მაქსიმალური, ისე მაღალი დონე და მხოლოდ საშუალო დონე დასტურდება. მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ საშუალო დონის მარტოობას რესპონდენტები დასაშვებად მიიჩნევენ, იმით უნდა აიხსნას, რომ საერთოდ საშუალო დონე ადამიანის მიერ შედარებით უფრო მისაღებ დონედ ითვლება, რომელიც აცილებს მას უკიდურესობებს. ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ რესპონდენტთა ორივე შესადარებელი ერთობლიობა („სკოლის მოსწავლეები“ და „მოსწავლე სპორტსმენები“) არიან თავს უკიდურესი დონის მარტოობის აღნიშვნას.

**თვითფლობა სნაიდერის თვითფლობის სკალის შესაბამისად (სუმბაძე და სხვა, 2011:12-16).** გამოკითხვის მონაცემები მოყვანილია ცხრილი №13-ში (იხ. დანართი). შესწავლილი იყო „სკოლის მოსწავლეთა“ და „მოსწავლე სპორტსმენების“ საკუთარი თავის ფლობის შესაძლებლობები. აღმოჩნდა, რომ თვითფლობის დაბალი დონე უმცროს სასკოლო ასაკში, უპირატესად, „მოსწავლე სპორტსმენებს“ დაუდასტურდათ, ხოლო თვითფლობის მაღალი დონე კი იმავე ასაკობრივ პერიოდში, უფრო მეტად (45%) „სკოლის მოსწავლეებს“ აღმოაჩნდათ.

საშუალო სასკოლო ასაკში თვითფლობის დონე „სკოლის მოსწავლეებსა“ (50%) და „მოსწავლე სპორტსმენებში“ (54%) დაახლოებით თანაბარია. თვითფლობის მაღალი დონე ამ ასაკობრივ ჯგუფში ისევ „სკოლის მოსწავლეებს“ დაუდასტურდათ (50%).

კარდინალური განსხვავების მაჩვენებლები „მოსწავლე სპორტსმენების“ სასარგებლოდ დადასტურდა უფროს სასკოლო ასაკში, სადაც თვითფლობის მაღალ დონეს „სკოლის მოსწავლეების“ 26%, ხოლო „მოსწავლე სპორტსმენების“ 50% აჩვენებენ.

მიღებული შედეგები მეტყველებს, რომ უმცროს სასკოლო ასაკში არსებული უპირატესობა, რომელსაც ფლობენ „სკოლის მოსწავლეები“ „მოსწავლე

სპორტსმენებთან” შედარებით, შემდგომ ასაკობრივ ჯგუფებში არათუ მცირდება, არამედ, პირიქით, უფროს სასკოლო ასაკში „მოსწავლე სპორტსმენები” საკუთარი თავის ფლობის თვალსაზრისით, როგორც ზემოთ აღინიშნა, მნიშვნელოვან უპირატესობას აღწევენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი შედეგი კანონზომიერი უნდა იყოს, რადგან სპორტული ვარჯიშების, შეჯიბრების, ძლიერი კონცენტრაციის, მეტოქეობისა და დაძაბულობის მდგომარეობის სისტემატური ხასიათი აიძულებს მოსწავლე „სპორტსმენებს“, იყვნენ უფრო ორგანიზებულნი, მოწესრიგებულნი, წინდახედულნი და, შესაძლებლობის ფარგლებში, მიზანმიმართულად წარმართონ საკუთარი მოქმედება. თვითფლობის განვითარების ასაკობრივი სხვაობები ადასტურებენ, რომ შეიძლება ვილაპარაკოთ პიროვნების სტრუქტურაში გარკვეულ თვისებრივ ცვლილებებზე, რადგან ეს თვისება არ ასახავს სიტუაციურ მდგომარეობას რომელიმე კონკრეტულ ვარჯიშსა თუ შეჯიბრების პროცესში, არამედ, ზოგადად, თვითფლობის შესწავლაზე იყო ორიენტირებული და ამიტომ ჩვენ უფრო მეტად მივიღეთ პიროვნული თვისების ასახვის შედეგები თვითფლობის თვალსაზრისით და არა სიტუაციური თვითფლობის მაჩვენებლები.

მერვე პუნქტის მიხედვით: “რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანისათვის სიცოცხლე, მაშინაც კი, როცა ეს მას არ უნდა?”. ყველა ასაკობრივ ჯგუფში უმაღლესი ხარისხის მაჩვენებელი შეფასება – „ძალიან მნიშვნელოვანია“ – უპირატესად აღნიშნული აქვთ „სკოლის მოსწავლეებს” და არა მოსწავლე „სპორტსმენებს”, ხოლო უფროს სასკოლო ასაკში სხვაობა მაქსიმუმს აღწევს, რადგან „სკოლის მოსწავლეების” 87% მიუთითებს მაღალ ხარისხობრივ შეფასებას, ხოლო „მოსწავლე სპორტსმენები” 38%-ით კმაყოფილდებიან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უფროსი ასაკის „მოსწავლე სპორტსმენების” მიერ გამოვლენილი დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის მიმართ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევისათვის, რადგან მათ დიდი ხნის განმავლობაში აქვთ სპორტთან ურთიერთკავშირი, სისტემატურად ვარჯიშობენ და, გარკვეულწილად, სხვა „მოსწავლე სპორტსმენებისათვის” ეტალონურ ჯგუფს წარმოადგენენ, ამიტომ მათ მიერ გამოვლენილი დამოკიდებულება გარკვეულ წილად ასახავს სპორტში დაკავებული „მოსწავლე სპორტსმენების” განცდებს და დამოკიდებულებებს. მიღებული შედეგი, უპირველესად, მიუთითებს „მოსწავლე სპორტსმენების” პიროვნების რეალურ თავისებურებებზე, „სკოლის მოსწავლეებთან” შედარებით. ეს კონკრეტული მონაცემები ზუსტად ასეთი დამაფიქრებელი სხვაობის

მაჩვენებელია. მართლაც, ისმის კითხვა, რატომ არ არის ძალიან მნიშვნელოვანი უფროსი ასაკის „მოსწავლე სპორტსმენებისათვის“ სიცოცხლე, როდესაც ეს მას არ უნდა (თუმცა „მოსწავლე სპორტსმენების“ 50% აღნიშნავს, რომ ეს საკითხი მათთვის მნიშვნელოვანია). აქ ჩვენ მიერ წამოყენებული საკითხის ინტერპრეტაცია ჩვენვე შემდეგნაირად გვინდა წარმოგვიდგინოთ. როგორც ცნობილია, სპორტული საქმიანობა დაკავშირებულია ძალასთან, გამძლეობასთან, ამტანობასთან, ქცევის ძლიერ მოტივირებულობასთან, შფოთიანობასთან (Кретти, 1978:27-35), მეტოქეობასთან, აგრესიასთან, სტრესთან (Мартенс, 1979:106-124). საქმე იმაშია, რომ სტრესი დაკავშირებულია ცხოვრების ისეთ მოვლენებთან, რომლებსაც თან ახლავს არა მხოლოდ მოკლევადიანი ემოციები, არამედ მყარი აფექტური რეაქციები. შესაბამისად, საჭირო ხდება უფრო ხანგრძლივი დრო გარემოსთან ადაპტაციისათვის. სტრესის კავშირი ისეთ კრიტიკულ ცხოვრებისეულ მოვლენებთან, როგორცაა შფოთიანობის აშლილობები (Спилберг, 1983: 12-24), დიდი ხანია ინტენსიურად შეისწავლება. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან არსებობს დამოუკიდებელი კვლევითი მიმართულება, რომელიც დაკავებულია ექსტრემალური გადატვირთვებით, მათი დაძლევით და შედეგებით, რომელთა შესწავლის საფუძველზე ჩამოყალიბდა ისეთი ცნებები, როგორცაა: მატრამვირებელი დატვირთვები, მატრამვირებელი სტრესი ანდა უბრალოდ ფსიქოლოგიური ტრამვა. ამრიგად, ტრავმატული სტრესი შეიძლება განსაზღვრული იყოს, როგორც ცხოვრების კრიტიკულად სპეციფიკური ჯგუფების შემცველი მოვლენები, რომლებსაც აქვს შემდეგი მახასიათებლები: ისინი არასასურველია, გააჩნიათ უკიდურესად ნეგატიური ზემოქმედების შესაძლებლობა ადამიანის ცხოვრებისათვის, სერიოზული საფრთხითა და მაღალი ინტენსივობით ხასიათდება. მათი კონტროლირება ძნელია, ზოგჯერ – სრულ შეუძლებლობამდე. ისინი ხშირად არ ექვემდებარებიან წინასწარ განჭვრეტას და მათ მყისიერი ბუნება გააჩნიათ (Дмитриева, 1999:240-249). ამდენად, გასაგებია, რომ სისტემატურ-სტრესულ მდგომარეობასთან გარკვეულწილად ადაპტირებული უფროსი ასაკის „მოსწავლე სპორტსმენებს“ გაცნობიერებული აქვთ საშიშროება, რომელიც, უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება სიცოცხლისადმი საშიშროებად იქნეს განცდილი და უეჭველია, რომ მნიშვნელოვანი რისკიანობა სპორტულ საქმიანობასთან უფრო მეტად არის დაკავშირებული, ვიდრე ჩვეულებრივ სასკოლო სიტუაციასთან და ამის გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ გარკვეულწილად, ზუსტად რისკისადმი შეგუებულობა ასახავს „მოსწავლე სპორტსმენების“ მხრივ სიცოცხ-

ლისათვის ზიანის მიყენებისადმი გარკვეული ადაპტირების, შეგუების მდგომარეობას. ამრიგად, როგორც ჩანს, „მოსწავლე სპორტსმენებს” უფრო მეტად აქვთ თავიანთ საქმიანობაში საფრთხის წარმოქმნისა და მისი შედეგების მოლოდინი.

## **§7. პიროვნების ფსიქოლოგიური ფაქტორებისა და ხასიათის აქცენტუაციის თავისებურებები**

### **ა. პიროვნული ფსიქოლოგიური ფაქტორების შესწავლა**

პიროვნების შესწავლა ფსიქოლოგიური კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა. პიროვნების შესწავლამ ისტორიულად რამდენიმე ეტაპი გაიარა. პირველ ეტაპზე ხორციელდებოდა ლიტერატურული შესწავლა. ამ პერიოდში დიდი ყურადღება ეთმობოდა საკუთარ თავის შემეცნებას და საკუთარ თავში ჩაღრმავებას. ამ პერიოდს ზოგჯერ პიროვნების მეცნიერამდელ პერიოდად თვლიან (Зиверт, 1998:55). თვითშემეცნებისადმი მიდრეკილება საერთოდ ახასიათებდა ადამიანს მთელი კულტურის ისტორიის განმავლობაში. პიროვნების შესწავლის მოწესრიგებული და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული შესწავლა, ძირითად, კლინიკურ შესწავლაზე იყო კონცენტრირებული. ამ ეტაპზე ცდილობდნენ პიროვნების ყოვლისმომცველი თეორიებისა და მეთოდების შემუშავებას, მაგრამ, ძირითადად, პიროვნების ფსიქიკის დარღვევები შეისწავლებოდა. ამ სფეროში განსაკუთრებით ცნობილია ფროიდის ფსიქონალიზის ფუძემდებლის (Фрейд, 2003:5-178; Фрейд, 2004:150-185), პიროვნების ტიპოლოგიის შემქმნელის – კრეჩმერის (Кречмер, 2012:8-183), იუნგის (Юнг, 2005:19-229), როჯერსის (Роджерс, 2006: 8-60) და სხვა ავტორების ნამუშევრები.

ამჟამად მიღებულია პიროვნების ფაქტორების ექსპერიმენტული შესწავლა, რაც ტესტირების ზუსტ ფსიქოლოგიურ სტანდარტებს შეესაბამება. ასეთი სტანდარტების დამაკმაყოფილებელი პირველი ტესტი იყო ე.წ. MMPI (მინესოტის მრავალფაზიანი პიროვნული კატალოგი) (Ахмеджанов, 1995:38-47). ჩვენ მიერ გამოყენებული პიროვნული ტესტი (Зиверт, 1998:57-72) ზუსტად MMPI ტესტის იდეების საფუძველზე არის შედგენილი. ის ითვალისწინებს ნერვულობის, აგრესიულობის, დეპრესიულობის, აგზნებადობის, კონტაქტურობის, ექსტრავერსიან-ინტროვერსიის შესწავლას. ტესტირების შედეგები მოყვანილია ცხრილში №7.

ტესტირების შედეგს განვიხილავთ შესწავლილი პიროვნული ფსიქოლოგიური ფაქტორების შესაბამისად, ცხრილში მათი განლაგების მიხედვით:

**ნერვულობა** – ცხრილის მიხედვით, „ნერვულობის“ დაბალი მაჩვენებლები (გაწონასწორებული და წყნარი, რთულ სიტუაციებში საკუთარი ფსიქიკის კარგი მართვა, ადვილი შეგუებლობა, 10–24 ქულა) შედარებით იშვიათად დადასტურდა საკლავო ჯგუფების („სკოლის მოსწავლეები“, „მოსწავლე სპორტსმენები“) ორივე ერთობლიობაში. თუმცა მთლიანობაში ნერვულობის დაბალი დონე მაინც უფრო მეტად „სკოლის მოსწავლეებს“ (10-11 წლის – 23%; 17 წლის – 13%) ახასიათებს, ვიდრე „მოსწავლე სპორტსმენებს“ (10-11 წლის – 12%; 17 წლის – 4%). საშუალო მაჩვენებლები (გუნება-განწყობილება ძალიან ცვალებადია, არსებობს წყნარი და ჰარმონიული ფაზები, მაგრამ სხვა შემთხვევებში წარმოდგენილია სულის ხუთვა, დათრგუნულობა. ამიტომ საჭიროა წყნარი ფაზების გაგრძელება, დაძაბულობის მოხსნა და ზოგჯერ ყოველდღიურობაზე ამაღლება (25–39 ქულა). დაახლოებით ერთნაირად არის წარმოდგენილი ყველა ასაკობრივ ჯგუფში. ეს კი ნიშნავს, რომ სკოლის პერიოდის მოსწავლეების ყველა კატეგორიის მოსწავლეებს („სკოლის მოსწავლეები“, „მოსწავლე სპორტსმენები“) საკმაოდ შემაწუხებელი და ყურადღებაამისაქცევი ნერვულობა ახასიათებთ (იხ. ცხრილი). ამიტომ არის, რომ ასეთი კატეგორიის რესპონდენტებთან, ისინი კი უმრავლესობაა, „სერიოზული ფსიქოსომატური დარღვევების განვითარების“ შესაძლებლობა (Зиверт, 1998:66) არ არის გამორიცხული.

ზივერტი ასეთი მაჩვენებლების რესპონდენტებს საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვას ურჩევს (Зиверт, 1998:66).

მთლიანობაში საკმაოდ სერიოზული საშუალო ნერვულობის დონის გაგრძელებულობა ყველა ასაკობრივ ჯგუფში (იხილეთ დანართში წარმოდგენილი ცხრილი №14) უკვე გამოდის ჩვენი კვლევის ფარგლების საზღვრებიდან, რადგან მისი მასობრივი ხასიათი გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ აქ ადგილი უნდა ჰქონდეს ზოგადად იმ **ნერვული ატმოსფეროს ასახვასთან**, რომელშიც უწევთ სკოლის მოსწავლეებს მოქმედება და ეს მოქმედების სივრცე არ გვგონია მხოლოდ საჯარო სკოლით ან სპორტული სკოლით იყოს შემოფარგლული. ამავე დროს, ფაქტია, რომ მთლიანობაში ნერვულობის მაქსიმუმი „მოსწავლე სპორტსმენებში“ უფრო მეტი სიხშირით დასტურდება. აქ, ჩვენი ვარაუდით, ორ ფაქტორს უნდა ჰქონდეს ადგილი. პირველი: მთლიანად ორივე შესაძარბეელი ჯგუფის ნერვულობის დონე საკმაოდ სერიოზულია (თუმცა – საშუალო

დონისა). იმ შემთხვევაში კი, როდესაც სპორტული საქმიანობა მნიშვნელოვან-წილად ძლიერ კონკურენციასთან, დაპირისპირებასთან, მეტოქეობასთან, ძალების თავმოყრასთან, ორგანიზებულობასთან, თვითიძულებასთან, ძალისხმევასთან არის დაკავშირებული, ასეთი მდგომარეობა სტრესის, დაძაბულობის წარმოქმნის გარემოებად უნდა მივიჩნიოთ. ის თავისთავად გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ სპორტული საქმიანობის სტრესული სიტუაცია გზას უხსნის იმ „დომინირებულ რეაქციას“ (Майерс,2001:), რომელიც ამ სიტუაციას შეესატყვისება, ე. ი. ნერვულობას, რომლის წინაპირობები ისედაც არსებობენ საერთოდ სკოლის მოსწავლეებში, ხოლო სპორტით დაკავებულებში ის კიდევ უფრო ძლიერდება და „დომინირებული რეაქციის“ სახით გვევლინება. გასაგებია, ამგვარი ფაქტის დადასტურება სულაც არ არის საკმარისი. ის აუცილებლობით მოითხოვს, რომ საერთოდ უნდა გაძლიერდეს სკოლის მოსწავლეებთან სისტემატური სამედიცინო, პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მუშაობა, ხოლო სპორტში დაკავებული ბავშვები და ახალგაზრდები აუცილებელ სამედიცინო, პედაგოგიურ ფსიქოლოგიურ მეთვალყურეობას და დახმარებას საჭიროებენ.

**აგრესიულობა.** ნერვულობის მაჩვენებლების განხილვის შემდეგ, არ არის მოულოდნელი, რომ დაბალი აგრესიულობა, მშვიდობისმოყვარეობა, იძულებაზე უარის თქმა, ზოგჯერ უკანდახევა, საკუთარი თავის თვითფლობის უნარი და აგრესიულობისადმი მცირედ მიდრეკილება (Зиверт, 1998:67) დაბალი ქულებით (10-24) აღინიშნება. ცხრილის მიხედვით, დაბალი აგრესიულობის მაჩვენებლები ჭარბობენ „სკოლის მოსწავლეების“ ჯგუფებში, როგორც 10-11 წლის (16%), ისე უფროსი ასაკის „სკოლის მოსწავლეებში“ (17%). როგორც მოსალოდნელი იყო, ნერვულობის მონაცემების განხილვის შემდეგ, აგრესიულობის საშუალო დონის ქულები (25-39) დაახლოებით თანაბრად ახასიათებს „სკოლის მოსწავლეებს“ და „მოსწავლე სპორტსმენებს“ 10-11 წლის ასაკში. აგრესიულობის ეს დონე ფასდება გონივრულობის საზღვრებში არსებულ აგრესიულობად, რაც თავდაცვით აგრესიულობასთან გაიგივდება (Зиверт, 1998:67). გარდატეხის ასაკში (13-14 წელი) „სკოლის მოსწავლეებს“ შედარებით უფო მეტი სიხშირით აღენიშნებათ აგრესიულობა (89%), რაც, ვფიქრობთ, ასაკობრივი თავისებურებებით უნდა ავსხნათ, თუმცა „მოსწავლე სპორტსმენებიც“ ძალიან არ ჩამორჩებიან მათ (73%), სხვაობა მაინც 16 ერთეულს შეადგენს. ასეთი შედეგის ფონზე, თითქოს არ უნდა იყოს კანონზომიერი ის მაჩვენებელი, რომელიც 17 წლის „მოსწავლე სპორტსმენებში“ მივიღეთ, რომელთა საშუალო აგრესიულობა 85%-ს აღწევს „სკოლის

მოსწავლეების“ მონაცემებთან (66%) შედარებით. ვფიქრობთ, რომ ეს მონაცემები არ არის შემთხვევითი. კარგად არის ცნობილი, რომ სპორტულ ენერჯიულობას, შემტევობას, ანუ ზოგადად აგრესიულობას (ბუნებრივია, სპორტული წესების ფარგლებში) მწვრთნელები და, ხშირად, მაცურებელიც, არ თუ არ კრძალავენ, არამედ კიდევაც ასტიმულირებენ მას, რაც არ არის უცხო სპორტისათვის და განსაკუთრებით – სპორტული თამაშებისათვის (თუმცა, როგორც ვიცით, აქ არის უკიდურესობები).

აგრესიულობის მაღალი დონე (40–60 ქულა) უპირატესად ახასიათებს „მოსწავლე სპორტსმენებს“ (10–11 წლის ასაკში – 12%). იმ დროს, როდესაც „სკოლის მოსწავლეებს“ მხოლოდ 3% აქვთ, მოზარდობის პერიოდში (13–14 წლის ასაკი) მაღალი აგრესიულობა აღწევს 15%-ს „მოსწავლე სპორტსმენებში“, ხოლო „სკოლის მოსწავლეებში“ ეს დონე საერთოდ არ დასტურდება. მიუხედავად იმისა, რომ 17-წლიანებში „სკოლის მოსწავლეების“ მონაცემი (17%) უფრო მაღალია, ვიდრე „მოსწავლე სპორტსმენებისა“ – 12% (თუმცა არც ისე მნიშვნელოვნად), მაინც შეიძლება ვამტკიცოთ, რომ „მოსწავლე სპორტსმენებს“ უფრო მეტად ახასიათებს აგრესიულობა, რადგან მთლიანობაში აბსოლუტური რიცხვების შედარება აქ გვაძლევს ყველა ასაკობრივი დონის მიხედვით „მაღალი აგრესიულობის“ 10 შემთხვევას, როდესაც „სკოლის მოსწავლეებში“ ანალოგიური მაჩვენებელი 5 შემთხვევას არ აღემატება. სპორტული შეჯიბრების სიტუაცია, მეტოქეობა გარკვეულწილად ხელს უწყობს აგრესიულობის გაძლიერებას და ამიტომ საჭიროა, რომ სპორტში ჩამოყალიბებული და წესების საზღვრებში გამოყენებული აგრესიულობა საერთოდ ჩვევად არ გადაიქცეს ცხოვრების სხვა სფეროებში მოღვაწეობის დროს, რადგან არსებული ინტეგრაციით, აგრესიულობის მაღალი მაჩვენებლები (40–60 ქულა) საკმაოდ რთული ფსიქოლოგიური პრობლემების ამსახველი უნდა იყოს, რაც აგრესიული მოქმედებისადმი მიდრეკილებაში გამოიხატება. ამიტომ ზივერტი (Зиверт) იძლევა რჩევას, რომ ასეთი მაღალი აგრესიულობის მქონე პირები, კარგი იქნება, რომ დაკავდნენ სპორტის საბრძოლო სახეობებში, რათა მათ შეუმცირდეთ აგრესიულობა. შესაძლებელია, აგრეთვე, რომ ასეთი ადამიანები ფიქრობენ, თითქოს გარემო არის მათ მიმართ აგრესიულად განწყობილი, რისთვისაც, საკუთარ თავში დარწმუნებულობის გაზრდის მიზნით, სპეციალური სავარჯიშოები იქნება სასარგებლო (Зиверт, 1998:67).

**დეპრესიულობა.** დეპრესიულობის (ჩუგოშვილი და სხვა, 2006:83–90; Виленский, 2000:138-146; Соколова, 2001:113-116) უმცირესი მაჩვენებლები – 10–24 ქულა ყველა ასაკობრივ ჯგუფში დაფიქსირდა, მაგრამ უფრო მეტი სიხშირით დაფიქსირდა „სკოლის მოსწავლეებში“ და არა „მოსწავლე სპორტსმენებში“. ამრიგად, როგორც ჩანს, „მოსწავლე სპორტსმენებს“ გაცილებით ნაკლებად ახასიათებთ არადეპრესიულობა. ეს პროცენტული მონაცემების გარეშეც დასტურდება, რადგან ამ დონეზე ყველა ასაკობრივ ჯგუფში არის ნაჩვენები 10 „სკოლის მოსწავლე“ და მხოლოდ 5 „მოსწავლე სპორტსმენი“. სავსებით კანონზომიერია ისიც, რომ მაღალი დეპრესიულობის მაჩვენებლები (35–60 ქულა) ყველა ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით, უფრო მეტად ახასიათებს „მოსწავლე სპორტსმენებს“, ვიდრე „სკოლის მოსწავლეებს“ და ეს იმ დროს, როდესაც მაღალი დეპრესიულობა განისაზღვრება შემდეგი მახასიათებლებით: „ადამიანს პერიოდულად ტანჯავს ცხოვრებისადმი ზიზღი და საშინელი გუნება–განწყობილება, შეტევები უმიზეზოდ უჩნდება და ადამიანი არ ფიქრობს საიდან წარმოიშვებიან ისინი. ნუ ეძებთ მიზეზს ვიღაც სხვაში, მოძებნეთ საკუთარ თავში, შესაძლებელია, თქვენ მეტ-ნაკლებად გორგუნავთ არასრულფასოვნების კომპლექსი, რომელიც თქვენ თვითონ შთააგონეთ საკუთარ თავს. ამიტომ აუცილებელია რაც შეიძლება სწრაფად გაერკვეთ ამ პრობლემაში“ (Зиверт, 1998:68). ასეთი ვითარება შეიძლება საგანგებო ხასიათის მქონედ მივიჩნიოთ, რადგან აშკარად ჩანს, რომ „მოსწავლე სპორტსმენებთან“ ნაკლები ყურადღება ექცევა მათთან ფსიქოსოციალურ მუშაობას, ფსიქოლოგიურ დახმარებას. ამგვარად, ვფიქრობთ, რომ სასწრაფოდ აუცილებელია ყველა სპორტულ სკოლაში, ჯგუფებში ფსიქოლოგიური შემოწმების ჩატარება და ბავშვებისათვის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის უზრუნველყოფა, რადგან, ამ შემთხვევაში, უეჭველია მაღალი სტრესული დაძაბულობა, რომელიც არ არის ახალი ამბავი სპორტში, რასაც მოწმობს რიგი სტატიებისა, რომლებიც სპორტში სტრესისა და შფოთიანობის პრობლემებს ეძღვნება (Вяткин, 1983:56-63; Мальчиков, 1983:87-98; Суинн, 1983:204-215).

**აგზნებულობა.** საყურადღებოა, რომ ცხრილის მიხედვით, აგზნებულობის დაბალი მაჩვენებელი (10–24 ქულა) განისაზღვრება, როგორც წყნარი, მშვიდი და ჩაკეტილი ადამიანთა ერთობლიობის დამახასიათებელი ფაქტორი. ამ თვალსაზრისით, უმცროსი და საშუალო სასკოლო ასაკის ორივე ჯგუფის მონაცემების მიხედვით, უპირატესობა „სკოლის მოსწავლეებს“ გააჩნიათ, რაც თითქმის ორჯერ უფრო მეტი რაოდენობის წყნარი რესპოდენტების დაფიქსირებაში გამოი-



ხატება. მაგალითად, უმცროს სასკოლო ასაკში ასეთი „სკოლის მოსწავლეები“ 23%-ს შეადგენენ, ხოლო „მოსწავლე სპორტსმენები“ – 12%-ს. საშუალო ასაკის „სკოლის მოსწავლეები“ იგივე მაჩვენებლის მიხედვით 18%-ს შეადგენენ, ხოლო „მოსწავლე სპორტსმენები“ კი 8%-ს. უფროსი ასაკის მოსწავლეებში კი ოდნავ მეტია „მოსწავლე სპორტსმენების“ პროცენტული მაჩვენებელი – 7%, იმ დროს, როდესაც „სკოლის მოსწავლეები“ – 5%-ს შეადგენენ. ამრიგად, მთლიანობაში, წყნარი, გულმშვიდი მოსწავლეები უფრო მეტი რაოდენობით ფიქსირდება „სკოლის მოსწავლეებში“. ასეთი შედეგი თავისთავად აისახა მაღალი აგზნებულობის (40–60 ქულა) მაჩვენებლებში, სადაც უმცროს სასკოლო და საშუალო სასკოლო ასაკობრივ ჯგუფში უფრო მეტი აგზნებულობით „მოსწავლე სპორტსმენები“ ხასიათდებიან, ხოლო უფროს სასკოლო ასაკობრივ ჯგუფებში არსებითი განსხვავება მონაცემებში არ უნდა იყოს (იხ. ცხრილი). აქ საინტერესოა, თუ როგორ ინტერპრეტაციას აძლევს ზივერტი მაღალი აგზნებულობის მონაცემების მქონე რესპონდენტებს. ის წერს: „თქვენ ადვილად ექვემდებარებით პროვოკაციებს სხვა ადამიანების მხრიდან და მათ საშუალებას აძლევთ, რომ გაგაღიზიანონ თქვენ. შეეცადეთ, არ მოახდინოთ ასე მწვავედ ყველაფერზე რეაგირება. ნუ აქცევთ ყურადღებას „ჩხვლეტებს“ (Зиверт, 1998:69). ამრიგად, კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ „მოსწავლე სპორტსმენები“ უფრო მეტი აგზნებადობით ხასიათდებიან, ვიდრე ჩვეულებრივი „სკოლის მოსწავლეები“.

**კონტაქტურობა.** კონტაქტურობის დაბალი მაჩვენებელი (10–24 ქულა), რომელიც ასახავს კონტაქტურობის გარკვეულ სიმცირეს, სულ არ არის დაფიქსირებული უმცროსი სასკოლო ასაკის ჯგუფებში. საშუალო ასაკობრივ ჯგუფში შედარებით მეტია „სკოლის მოსწავლეების“ მაჩვენებლები, რომლებიც 18%-ს შეადგენენ, ხოლო „მოსწავლე სპორტსმენებში“ კი ეს მაჩვენებელი 4%-ს უდრის. ვფიქრობთ, რომ ამ ასაკობრივ ჯგუფში, მონაცემების ასეთი სხვაობა განპირობებულია მოზარდების ასაკობრივი თავისებურებებით. ფსიქო-ფიზიოლოგიური გარდატეხის საფუძველზე, ზოგიერთ შემთხვევებში. მოზარდები უფრო თავშეკავებულნი არიან სხვებთან ურთიერთობებში. ხოლო ის ფაქტი, რომ ასეთი თავშეკავებულობა უფრო ნაკლებად ახასიათებთ „მოსწავლე სპორტსმენებს“, შეიძლება იმით აგხსნათ, რომ მათ უფრო მეტი კონტაქტები აქვთ, მხოლოდ სასკოლო ურთიერთობებით არ არიან შემოსაზღვრულები, მაშასადამე, სპორტულ სკოლაში მეცადინეობა ბუნებრივად იწვევს მეტ გახსნილობას.

კონტაქტურობის მაღალი მაჩვენებლები, ანუ, ზივერტის სიტყვებით, „ადამიანებთან კარგად ყოფნის მდგომარეობა“, თითქმის თანაბრად ახასიათებს უმცროსი და საშუალო სასკოლო ასაკის „სკოლის მოსწავლეებსა“ და „მოსწავლე სპორტსმენებს“ (იხ. ცხრილი). თუმცა უფროს სასკოლო ასაკში მიღებული, გაცილებით უფრო მაღალი მაჩვენებლები, რომლებიც აქვთ მოსწავლე „სპორტსმენებს“ (54%), ადასტურებს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ სიტუაციურად, კონტაქტების უფრო მეტი სიხშირე განაპირობებს იმ მონაცემებს, რომ კონტაქტურობის თვალსაზრისით, „მოსწავლე სპორტსმენებს“ უფრო მაღალი მაჩვენებლები გააჩნიათ „სკოლის მოსწავლეებთან“ (39%) შედარებით.

**ექსტრავერტულობა – ინტროვერტულობა.** ცხრილის მიხედვით, დაბალი მაჩვენებლები დიდად არ განსხვავდებიან შესადარებელი ჯგუფების ასაკობრივი მონაცემების მიხედვით. მაგრამ თუ დავაკვირდებით მონაცემებს, ცხადი ხდება, რომ ორივე ჯგუფის წარმომადგენლებში ჭარბობს საშუალო ექსტრავერტულობა – ინტროვერტულობა, რაც, ზივერტის მიხედვით, შესანიშნავ კომბინაციას ასახავს, როდესაც ადამიანები, ერთი მხრივ, გახსნილნი არიან გარე სამყაროსადმი, ხოლო მეორე მხრივ არ სურთ უგულვებელყონ ოჯახის ინტერესები (Зиверт, 1998:70–71).

ამრიგად, შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით, სპორტული საქმიანობა სკოლის ასაკის მოსწავლეებში, საკმაოდ დიდი დაბაბულობის გამო, ჩვეულებრივი „სკოლის მოსწავლეებთან“ შედარებით, უფრო მეტად გამოიხატება ნერვულობაში, აგრესიულობაში, დეპრესიულობაში და აგზნებულობაში. ეს ფაქტორები კი თავისთავად ძალიან საგანგაშოა და ვთვლით, რომ სპორტში დაკავებული სკოლის ასაკის მოსწავლეები განსაკუთრებულ სამედიცინო, პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერასა და ყურადღებას მოითხოვენ.

### ხასიათის აქცენტუაცია

აქცენტუაციის ცნება პირველად შემოტანილი იქნა მეცნიერებაში გერმანელი ფსიქიატრისა და ფსიქოლოგის, ბერლინის უნივერსიტეტის ნევროლოგიური კლინიკის პროფესორის კარლ ლეონჰარდის (K. Leonhard) მიერ. რუსულ ფსიქოპათოლოგიასა და ფსიქოლოგიაში ხასიათის აქცენტუაცია, უპირველეს ყოვლისა, პ. ბ. განუშკინის სახელთან არის დაკავშირებული (Мелкина-Пых, 2008; 127). როგორც მიიჩნევენ (Личко, 1983:8), ამ ტერმინის აუცილებლობა იმით იყო განპირო-

ბებუდი, რომ თავის დროზე ფსიქოპათიებზე (ფსიქოპათია – ხასიათის ისეთი ანომალიაა, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდის მთელ ფსიქიკურ სახეს, განაპირობებს მის სულიერ ნაირგვარობას ცხოვრების განმავლობაში და ძირითადად, არ ექვემდებარება რამდენადმე მკვეთრ ცვლილებებს, რაც ხელს უშლის მას გარემოსთან შეგუებას (Ганнушкин, 1964:121-122). მოძღვრების შემუშავების დროს წარმოიქმნა პრაქტიკულად მნიშვნელოვანი პრობლემა – როგორ იქნეს დიფერენცირებული ფსიქოპათიები, როგორც ხასიათის პათოლოგიური ანომალიები, ნორმის უკიდურესი ვარიანტებისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს ტერმინი „ფსიქოპათია“ გახდა არა კლინიკური დიაგნოზის ამსახველი, არამედ სუბექტის ასოციაციის სინონიმი და ამჟამად ის შეცვლილია ტერმინით „პიროვნების აშლილობები“ (Дмитриева, 1999:269). ჯერ კიდევ 1894 წელს (ციტირებულია ა. ლიჩკოს მიხედვით) ბელგიურმა ფსიქიატრმა Dalemagne-მ გამოყო, Desequilibres-თან, ე.ი. „გაუწონასწორებლებთან“ ერთად (ფსიქოპათიის მაგვარი ტერმინი ფრანგულ ფსიქიატრიაში) კიდევ „desequilibrants“ ე.ი. „წონასწორობის ადვილად დამკარგველები“. ანალოგიური შემთხვევები Ekahn-მა (1928) აღნიშნა, როგორც „დისკორდანტო-ნორმალურები“. იყო წამოყენებული მრავალი სხვა სახელწოდება, მაგრამ ყველაზე მოსახერხებელი აღმოჩნდა კ. ლეონჰარდის ტერმინი „აქცენტირებული პიროვნება“ (Личко, 1983:8). ეს სახელწოდება ხაზს უსვამს, რომ საუბარია ზუსტად ნორმის უკიდურესი ვარიანტების შესახებ და არა პათოლოგიის ნასახებზე, და რომ ეს უკიდურესებები ვლინდება ცალკეული თვისებების გაძლიერებაში, აქცენტუაციაში. მაგრამ უფრო სწორი იქნება, ვისაუბროთ არა პიროვნების აქცენტუაციაზე, არამედ ხასიათის აქცენტუაციაზე. პიროვნება უფრო ფართო ცნებაა, ის მოიცავს ინტელექტს, ნიჭიერებას, მსოფლმხედველობას და ა.შ. ზუსტად ხასიათის ტიპებს აღწერს კ. ლეონჰარდი და არა პიროვნებებს და ზუსტად ხასიათის თავისებურებები განასხვავებს მის აღწერილობაში ერთ ტიპს მეორესაგან (Личко, 1983:8–9). კ. ლეონჰარდის მიხედვით, გამოყოფილი იყო ხასიათის აქცენტუაციის (ტემპერამენტის ტიპების – ციტირებულია ილინის მიხედვით) ექვსი ტიპი – ჰიპერთიმიული, დისტიმიური, აფექტურ-ლაბილური, აფექტურ-გზალტირებული, ემოციური, შფოთიანი (Ильин, 2004:53-94), თუმცა სხვა ვარიანტში მოცემულია 10 ტიპი (Ахмеджанов, 1977:47).

მიიხნევენ, რომ ხასიათის აქცენტუაცია – ეს არის ხასიათის ცალკეული თვისებების გაზვიადებული განვითარება სხვა თვისებების საზიანოდ, რის გამოც

უარესდება გარშემო მყოფ ადამიანებთან ურთიერთობა (Столяренко, 1999:317). ფსიქოპათიებისაგან განსხვავებით, ხასიათის აქცენტუაცია მუდმივად არ ვლინდება და შესაძლებელია ნორმას მიუახლოვდეს მოგვიანებით. ხასიათის აქცენტუაცია ხშირად გვხვდება მოზარდებისა და სიყმაწვილის პერიოდებში (50–80%) (Столяренко, 1999:317).

კ. ლეონჰარდის ნამუშევრებში პარალელურად გამოიყენება სიტყვათა შეთანხმება „აქცენტირებული პიროვნება“ და აგრეთვე, „ხასიათის აქცენტირებული თვისებები“. ზემოთ აღინიშნა, რომ ა. ი. ლიჩკო უპირატესობას ანიჭებს „ხასიათის აქცენტუაციის“ სიტყვათა შეთანხმებას. ალბათ, მიზანშეწონილია ორივე სიტყვათა შეთანხმების გამოყენება. საქმე იმაშია, რომ დასავლეთის ფსიქოლოგიაში პიროვნების ცნება და „ხასიათის“ ცნება ხშირად ერთმანეთთანაა გაიგივებული. ამას აქვს გარკვეული საფუძველი, რადგან ხასიათი არ არის პიროვნების მხოლოდ ბაზისი, ის, უპირველეს ყოვლისა, ინტეგრაციული წარმონაქმნია. ხასიათში პოულობს გამოხატულებას პიროვნების ურთიერთობების სისტემა, მისი განწყობები, ორიენტაციები და ა.შ. (Реан, Коломинский, 1999:76-77). ერთ-ერთი გავრცელებული პრაქტიკული შეცდომა არის ის, რომ აქცენტუაცია განიხილება, როგორც დადგენილი პათოლოგია. მაგრამ ეს არ არის სწორი. აქცენტუაცია შეიძლება შეეხოს როგორც სოციალურად დადებით, ისე სოციალურად ნეგატიურ მოვლენას. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აქცენტუაცია არის არა პათოლოგია, არამედ ნორმის უკიდურესი ვარიანტები.

ხასიათის აქცენტუაციის გამოკვლევა ჩატარდა კარლ ლეონჰარდის მიერ შემოთავაზებული კონცეფციის საფუძველზე სმიშეკის მიერ შედგენილი კითხვარის მეშვეობით, რომელიც ითვალისწინებს 88 კითხვას და პასუხების ორ ვარიანტს – კი და არა. ტესტირების შედეგები მუშავდებოდა შესაბამისი გასაღების მეშვეობით, რომელიც ნაჩვენებია ა.რ.რეანის და ი.ლ. კოლომინსკის სახელმძღვანელოში (Реан, Коломинский, 1999:76-92). კვლევაში მონაწილეობა მიიღო სპორტული სკოლების „მოსწავლე სპორტსმენებმა“ და საჯარო სკოლების „სკოლის მოსწავლეებმა“. კვლევაში მიღებული შედეგები ნაჩვენებია ცხრილში №15 (იხ. დანართი).

შესწავლილი იყო ხასიათის აქცენტუაციის 7 ტიპი. სახელდობრ: ჰიპერთიმიული, პედანტური, ემოციური, შფოთიანი, ციკლოთიმიური, დისტიმიური და დემონსტრაციული ტიპები.

**ჰიპერთიმიულობა.** ჰიპერთიმიულობის უმაღლესი დონე სიხშირით ყველა ასაკობრივ ჯგუფში უფრო მეტად „სკოლის მოსწავლეებს“ ახასიათებს, ვიდრე „მოსწავლე სპორტსმენებს“. მრიგად, ჰიპერთიმიულობის ისეთი უკიდურესი უდისციპლინობასთან დაკავშირებული ნიშნები, როგორც არის: მოუსვენრობა, სიცვლქე, მოლაყებობა, – შეიძლება კლასში დაძაბულობის მიზეზი გახდეს. ხშირად ჰიპერთიმიულ ბავშვებს არა აქვთ გაცნობიერებული მათსა და უფროსებს შორის არსებული დისტანცია, რაც ზრდის სასკოლო ურთიერთობების გართულებების ალბათობას. ამავე დროს, როგორც ჩანს, სპორტულ ჯგუფებში არსებული შედარებით მკაცრი დისციპლინა, მომთხოვნელობა, საკუთარი ქცევის თვითორგანიზაციის სტიმულირება – ბუნებრივი ჰიპერთიმიულობის შეკავებას და მასზე კონტროლის დაწესებას იწვევს.

**პედანტურობა.** პედანტური ტიპის შესწავლისას, უკიდურესი მაჩვენებელი, ანუ 24 ქულა მხოლოდ „სკოლის მოსწავლეებმა“ მიიღეს საშუალო და უფროს სასკოლო ასაკში. ამრიგად, პედანტურობის ისეთი მახასიათებლები, როგორც არის აკურატულობა, მოწესრიგებულობა, განპირობებული უნდა იყოს სასკოლო რეჟიმის შესაბამისად ქცევის წარმართვასთან, რაც დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს და ამავე დროს, სკოლის რეჟიმისადმი დაქვემდებარებულობის მაჩვენებელიც არის. პედანტურობის საშუალო მაჩვენებლების მხრივ, „მოსწავლე სპორტსმენების“ უპირატესობა იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ აქ დაძაბულობის მომენტი უფრო დიდია და ამიტომ პედანტური ტიპის ისეთი მახასიათებლები, როგორცაა სიფრთხილე და გარკვეული გაუბედაობა, რომელთა გადალახვა საკუთარი თავის განმტკიცების მაჩვენებლადაც შეიძლება ჩაითვალოს, ზუსტად აქ უნდა იყოს უფრო მეტად წარმოდგენილი. თუ შემსრულებლობა უშუალოდ პედანტურობის პირდაპირი გამოვლენაა, მაშინ შინაგანი სიფრთხილის განცდის გადალახვა ფიზიკური ვარჯიშის საშუალებით უთუოდ იმის ნიშანი იქნება, რომ „მოსწავლე სპორტსმენი“ ცდილობს პედანტურობის ისეთი ნეგატიური მხარის, როგორცაა გაუბედაობა, სიფრთხილის ხარისხში აყვანას და სპორტული რისკის მინიმუმამდე დაყვანას. ამრიგად, ვფიქრობთ, რომ პედანტური ნიშნების მქონე „მოსწავლე სპორტსმენები“ ცდილობენ პედანტურობის უფრო რთული თვისებების დაძლევას.

**ემოციურობა.** ყველა ასაკობრივ ჯგუფში „მოსწავლე სპორტსმენები“ უფრო მეტი სიხშირით ავლენენ ნაკლებ ემოციურობას, ვიდრე ეს „სკოლის მოსწავლეებს“ ახასიათებს.

**შფოთიანობა.** რამდენადაც ორივე შესადარებელ ერთობლიობაში სჭარბობს დაბალი ემოციურობის მაჩვენებლები, კანონზომიერია, რომ ყველა სასკოლო ასაკის ჯგუფში ფიქსირდება შფოთიანობის დაბალი სიხშირე.

**ციკლოთიმიურობა.** ირკვევა, რომ ციკლოთიმიურობის მაღალი მაჩვენებლებით განსაკუთრებით გამოირჩევიან „სკოლის მოსწავლეები” საშუალო და უფროს სასკოლო ასაკში, ხოლო საშუალო ციკლოთიმიურობის მაჩვენებლების მიხედვით (რაც რეალურად არსებული ციკლოთიმიურობის მაჩვენებელია) – ყველა ასაკობრივ ჯგუფში. ციკლოთიმიურობას წამყვანი ადგილი უკავია „სკოლის მოსწავლეებში”, რომლებსაც ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან „მოსწავლე სპორტსმენები”. ასეთი მონაცემები იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ სპორტული საქმიანობა უფრო მეტ პიროვნულ ერთიანობას, თვითკონტროლის უნარს, ორგანიზებულობას მოითხოვს და ამიტომ ციკლოთიმიურობისათვის დამახასიათებელი აქტიური და პასიური ფაზების სწრაფი, უმიზეზო ცვლილებების ტენდენციები აქ უფრო მეტად დაიძლევა და პიროვნული მთლიანობა გაცილებით უფრო მყარია, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ციკლოთიმიურობის ტენდენციის მქონე პიროვნებას შეიძლება ახასიათებდეს.

**დისთიმიურობა.** დისთიმიურობის დაბალი დონე თითქმის თანაბარი სიჭარბით არის წარმოდგენილი ორივე შესადარებელი ჯგუფის რესპონდენტების მონაცემებში (საშუალო სასკოლო ასაკში დაბალი დონე უფრო მეტად „მოსწავლე სპორტსმენებს” ახასიათებს). მაღალი დისთიმიურობის მაჩვენებლები უპირატესად „სკოლის მოსწავლეებთან” შეინიშნება, ხოლო საშუალო დისთიმიურობის მაჩვენებლების მიხედვით, უფროს სასკოლო ასაკში „მოსწავლე სპორტსმენებს” აქვთ უფრო მაღალი სიხშირის მაჩვენებლები. შედეგების ასეთი სტრუქტურა იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ, როგორც ჩანს, უფროს სასკოლო ასაკში სავარაუდო წარუმატებლობას სპორტსმენი უფრო ძლიერ და ღრმად განიცდის, ვიდრე ნებისმიერი სხვა ჩვეულებრივი სკოლის მოსწავლე ძირითად საქმიანობაში (სწავლაში).

**დემონსტრაციულობა.** დემონსტრაციულობის მაჩვენებლებში ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ყველა ასაკობრივ ჯგუფში და ყველა შესადარებელ ერთობლიობაში ჭარბი მონაცემების სიხშირით ნაჩვენებია დემონსტრაციულობის მაღალი მაჩვენებლები. ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება – უმცროს და საშუალო სასკოლო ასაკში აქ უპირატესობა გააჩნიათ „სკოლის მოსწავლეებს”, რაც იმას ნიშნავს, რომ საკუთარი თავის წარმოჩენა, ყურადღების

საკუთარი პიროვნებისადმი მიქცევა მათ უფრო ახასიათებთ, ვიდრე „მოსწავლე სპორტსმენებს“. ასეთი ვარაუდი იმით შეიძლება იყოს გამართლებული, რომ უმცროს და საშუალო სასკოლო ასაკში სპორტში დაკავებული მოსწავლეების უმრავლესობას რაიმე მნიშვნელოვანი წარმატება არა აქვთ მოპოვებული, რომ შეეძლოთ სამომავლოდ მაინც ივარაუდონ წარმატების დემონსტრაცია. ასეთი პრეტენზია სპორტში ძლიერი კონკურენციის პირობებში მაშინვე მისცემს სხვებს (სპორტსმენებსა და არასპორტსმენებს) მკაცრი კრიტიკის საშუალებას. ჩვეულებრივი „სკოლის მოსწავლეები“ კი, განსაკუთრებით, გარდატეხის პერიოდში (დგებუაძე, აბესაძე, 1988:226; ჭიბაშვილი, 1989:416); პეტროვსკი, 1977:126; Бержере, 2008:56; Гамезо, Матюхина, Михальчик, 1984:226; Соколова, 2001:27; Реан, Коломинский, 1999:79; Выготский, 1996:31), დემონსტრაციულობით ცდილობენ დააკომპენსირონ მათი დაუკმაყოფილებელი ამბიციები და ეს იმ დროს, როდესაც „მოსწავლე სპორტსმენები“, რომლებიც სერიოზულად არიან სპორტით დაკავებულნი, ზუსტად ამ მიმართულებით ცდილობენ მიაღწიონ წარმატებას. ამიტომ მათ არ ექმნებათ საჭიროება, სხვა გზებით დააკომპენსირონ საკუთარი ამბიციები თუ პრეტენზიები. სულ სხვა მდგომარეობა იქმნება უფროს სასკოლო ასაკში „მოსწავლე სპორტსმენისათვის“. აქ ის უკვე სისტემატურად გამოდის შეჯიბრებებზე და ბუნებრივად უმუშავდება საკუთარი თავის ჩვენების საჭიროება, ანუ დემონსტრაციულობის (თეატრულობის ელემენტით, რაც მსახიობს ახასიათებს. ამიტომ არის, რომ სპორტს ხშირად ხელოვნებასთან აიგივებენ) მოთხოვნილება, რომელიც, რა თქმა უნდა, განსხვავდება იმ უსაფუძვლო პრეტენზიულობისაგან, რომელიც მოზარდს უვითარდება და ხშირად არასრულფასოვნების მაჩვენებელია, იმ დროს, როდესაც უფროს სასკოლო ასაკში „მოსწავლე სპორტსმენის“ დემონსტრაციულობა უკვე მის საქმიანობასთან არის დაკავშირებული და რეალურ ღირებულებას შეესატყვისება.

#### **§8. აჭარის არ სკოლის მასწავლებლებისა და სასპორტო სკოლების მწვრთნელთა საკვალიფიკაციო-საგანმანათლებლო მონაცემების შესწავლა**

წინამდებარე პარაგრაფი ეძღვნება ისეთ აქტუალურ საკითხს, როგორცაა საჯარო სკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებისა და, მეორე მხრივ, სასპორტო სკოლების მწვრთნელების განათლების, კვალიფიკა-

ციის, მომზადებულობისა და მათთან დაკავშირებული საკითხების გარკვევა, რომლებიც განაპირობებს მოსწავლე-ახალგაზრდების ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღ პიროვნებად ჩამოყალიბებას. ცნობილია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, საჯარო სკოლებში “ფიზიკური აღზრდის” საგანი შეიცვალა საგნით “სპორტი”. ასეთმა ცვლილებამ მნიშვნელოვანი პრობლემები წარმოქმნა სწავლების პროცესში. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კანონში სპორტის შესახებ (თავი მეექვსე; მუხლი 25), აღნიშნულია: „სპორტის სფეროში პედაგოგიური, სასწავლო-საწვრთნელი და გამაჯანსაღებელი მუშაობის უფლება ეძლევათ მხოლოდ სპეციალური განათლების მქონე მოქალაქეებს და პირებს, რომლებსაც აქვთ აკრედიტებული სასწავლებლის დიპლომი. ამავე დროს, კანონის მიხედვით (მუხლი 211), მასწავლებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეებს ასწავლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებს. იმავე კანონში მითითებულია, რომ მასწავლებელი შეიძლება იყოს პირი, რომელიც სერტიფიცირებულია „ამ კანონითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.“ ამრიგად, როგორც საჯარო, ისე სასპორტო სკოლებში სწავლებას უნდა უძღვებოდეს არა ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი, არამედ მწვრთნელი-მასწავლებელი არჩეული სპორტის სახეობის მიხედვით. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ამ კუთხით სასწავლო სფეროში არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის, განათლებისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, განხორციელდა კვლევა. შედგენილი იყო სპეციალური კითხვარები ცალკე საჯარო სკოლის სპორტის მასწავლებელთათვის და ცალკე – სასპორტო სკოლებში მომუშავე მწვრთნელთათვის. კითხვარები ითვალისწინებდა კვალიფიკაციის, სერტიფიკაციის, ხელისშემშლელი პირობების შესწავლას. კვლევის შედეგად დადგინდა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლებში მომუშავე მასწავლებელთაგან, 69%-ს აქვს სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის დიპლომი და კვალიფიკაცია, და არა სპორტის მწვრთნელ-მასწავლებლის დამადასტურებელი საბუთი და კვალიფიკაცია. საჯარო სკოლებში და სასპორტო სკოლებში მომუშავე ამ კატეგორიის მასწავლებლებს კი კანონით ეკრძალებათ სპორტის მასწავლებლად მუშაობა, რადგან სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი შედარებით



ზოგადად ფლობს სპორტის ამა თუ იმ სახეს, ხოლო სპორტის მწვერთელ-მასწავლებელს მოეთხოვება ვიწრო სპეციალიზაცია, სკოლის მიერ არჩეულ სპორტის სახეობაში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლის ფიზაღზრდის, სპორტის მასწავლებელთა 31%-ს არა აქვს სპეციალური უმაღლესი განათლება. აქედან, 25%-ს დამთავრებული აქვს ტექნიკუმი, ხოლო 6% საშუალო სკოლის განათლების მქონეა. ზემოთ აღნიშნული კონტინგენტიდან, გადამზადებაზე უარი განაცხადა მასწავლებელთა 4%-მა, 15%-მა კი თავი შეიკავა. სულ კვალიფიკაციის ამაღლებაზე მასწავლებელთა 19% თქვა უარი. ამას ემატება ასაკოვან მასწავლებელთა 8% (63-84 წლის მასწავლებლები), რომლებიც არ ექვემდებარებიან გადამზადებას, რაც კიდევ უფრო ზრდის მაჩვენებელს  $19\% + 8\% = 27\%$ . მიღებულ პროცენტულ მონაცემს თუ დავუმატებთ ზემოთ ნაჩვენებ 31%-ს, მაშინ მივიღებთ, რომ სკოლაში მომუშავე მასწავლებელთა 58% ვერ დაექვემდებარება გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც ძალზე სახიფათო მაჩვენებელია. გამოდის, რომ უახლოეს მომავალში, თუკი სასწრაფოდ არ დავიწყებთ არსებული ადამიანური რესურსის მაქსიმალურად გადამზადებას, კვალიფიკაციის ამაღლებას და ახალი კონტინგენტით სკოლის უზრუნველყოფას, - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლები მხოლოდ 42%-ით იქნება უზრუნველყოფილი კვალიფიცირებული კადრებით, ისიც საუკეთესო შემთხვევაში (იგულისხმება ამ კატეგორიისათვის სპეციალურად შექმნილი სასწავლო პროგრამის დაჩქარებული კურსით გავლა).

ასევე კვლევამ გვიჩვენა, რომ საჯარო სკოლები 42%-ით არ არიან უზრუნველყოფილი იმ სპორტული ინვენტარით, რომლის გარეშე სპორტის სწავლება ყოვლად შეუძლებელია, ხოლო კითხვარების საფუძველზე მიღებული მაჩვენებლები იმის თაობაზე, რომ სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა 58%-ს შეადგენს, ძალიან გადაჭარბებულად მიგვაჩნია.

კატასტროფულია საჯარო სკოლების სპორტული ლიტერატურითა და მეთოდური სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის დონე, რომელიც მხოლოდ 17% შეადგენს. ამავე დროს, ბუნებრივია, რომ ასეთი სპორტული ლიტერატურის გარეშე წარმოუდგენელია არა მარტო რაიმე სპორტული სიახლის დანერგვა, არამედ

საერთოდ სწავლება. დღეს საქართველოში ასეთი ლიტერატურა თითქმის არ არის, ან ძალიან დიდ იშვიათობას წარმოადგენს. უცხოურ ლიტერატურაზე კი ხელი არ მიგვიწვდება, ენობრივი და სხვა ბარიერების გამო. იშვიათად ხორციელდება ასეთი წიგნების თარგმანი, წიგნების ფასი საკმაოდ მაღალია, ტირაჟი კი მცირე.

კითხვარის მიხედვით, როგორც საჯარო, ისე სასპორტო სკოლის აბსოლუტურად ყველა მასწავლებელი მიუთითებს დაბალ ხელფასზე, რომელიც არ არის საკმარისი არც სტიმულირებისთვის და არც ნოვატორული ინიციატივებისათვის, და ამგვარად, ერთ-ერთ ძირითად ხელისშემშლელ პირობად გვევლინება სწავლებაში.

ასეთივე მდგომარეობა აღინიშნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასპორტო სკოლებშიც, სადაც, მომუშავე პედაგოგთაგან, სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის კვალიფიკაციითაა 34%, მწვრთნელ-მასწავლებლისა – 17%; 24% კვალიფიკაციის გარეშეა (არასრული უმაღლესი განათლება, საშუალო განათლება და კითხვარში კვალიფიკაციის არდაფიქსირება). დანარჩენ 25%-ს სხვადასხვა პროფესიის ადამიანები შეადგენენ, რომელთა 62% არ არის სერტიფიცირებული. გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე უარი განაცხადა პედაგოგთა 3%, თავი შეიკავა 18% , გადამზადებას არ ექვემდებარება 63-92 წლის ასაკის პედაგოგები, რომელთა პროცენტული მაჩვენებელია 22%.

ზემოთ აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით დგინდება, რომ ამჟამად სასპორტო სკოლებში კვალიფიკაციის შესაბამისად მუშაობის უფლება აქვს მხოლოდ 17%-ს, ხოლო პედაგოგების დანარჩენი ნაწილი – 83% გადამზადებას არ ექვემდებარება. აქვე თუ გავითვალისწინებთ სასპორტო სკოლების კვალიფიცირებული კადრებით უზრუნველყოფის მიმე მდგომარეობას და დასაქმებულთა სპორტულ გამოცდილებას, მიზანშეწონილია, მათ მიეცეთ გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შანსი. ამ შემთხვევაში, ასეთი სურათი გვექნება: გადამზადებისადმი დაუქვემდებარებულთა 83% – (3% + 18% + 22% ) = 43% მსურველი, რაც მაინც საგანგაშო ციფრია, რადგან საბოლოოდ მივიღებთ 17% + 43% = 60% და ესეც – საუკეთესო შემთხვევაში.

რაც შეეხება სპორტულ საქმიანობაში ანკეტაში აღნიშნულ პირველ სამ ხელისშემშლელ პირობას, ისინი ასე გადანაწილდა:

1. სპორტული ინვენტარის არქონა და სიძველე – 59%.

2. საწვრთნელი პირობების არქონა, არსებულის სიმცირე, მოუწესრიგებელი გარემო და ამის გამო მეცადინეობათა შეზღუდული დრო – 45%.

3. დაბალი (მიუღებელი) ანაზღაურება – 43%.

საინტერესო მონაცემები დაფიქსირდა კითხვაზე: „რა უნდა ისწავლებოდეს საჯარო სკოლაში: სპორტი თუ ფიზიკური კულტურა (ფიზიკური აღზრდა) და სპორტი სექციური მუშაობის ფორმით გაკვეთილების შემდეგ“.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტში მომუშავე მწვრთნელ-მასწავლებელთა 17% (რომელთაგან 8% სამთო მოთხილამურეა) თვლის, რომ შესაძლებელია სპორტის სწავლება საჯარო სკოლაში ბოლო გაკვეთილებზე, ხოლო გამოკითხულთა 83% მიზანშეწონილად მიიჩნევს ფიზიკური კულტურის (ფიზიკური აღზრდის) სწავლებას საჯარო სკოლაში და სპორტული სექციების მუშაობას გაკვეთილების შემდეგ. იგივე აზრისაა საჯარო სკოლების მასწავლებელთა 90%-ზე მეტი. გამოკითხულთა უმრავლესობის მიერ გამოთქმული ნეგატიური აზრი საჯარო სკოლებში „სპორტის“ სწავლების მიმართ გამოწვეული უნდა იყოს ზემოთ აღნიშნული პირობებით, რაც აგრეთვე იმის შედეგია, რომ არასათანადოდ შესწავლილი იყო სპორტის სწავლებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სპორტის მასწავლებლებით საჯარო სკოლების უზრუნველყოფის საკითხი. ამჟამად მტკიცდება, რომ ეს საკითხი ნაჩქარევად და არაკომპენტენტურად იქნა მიღებული, როგორც ჩანს, მხოლოდ საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული მდგომარეობისადმი უკრიტიკო მიბაძვის საფუძველზე.

იგივე კვლევებით დადგინდა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლებში მასწავლებელთა 47% ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (შემდგომში – სახელმწიფო უნივერსიტეტის) კურსდამთავრებულია ფიზიკური აღზრდის სპეციალობით. იგივე სპეციალობით, თბილისის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი (შემდგომში ფიზიკური კულტურის აკადემია) და თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი დამთავრებული აქვს მხოლოდ 10%-ს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ აჭარის რეგიონს პედაგოგიური კადრებით, მათ შორის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სპეციალისტებით უზრუნველყოფს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამჟამად, თბილისსა და ბათუმში აღნიშნულ სპეციალობებზე მიღება აღარ წარმოებს.

სასპორტო სკოლებში მომუშავეთა მონაცემები შემდგენიერად გამოიყურება:

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (შემდგომში სახელმწიფო უნივერსიტეტის) კურსდამთავრებულია ფიზიკური აღზრდის სპეციალობით 34%.

თბილისის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი (შემდგომში ფიზიკური კულტურის აკადემია) დაამთავრა 12,6%.

თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი დამთავრებული აქვს მხოლოდ 1,4%-ს დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და ფიზაღზრდის სპეციალობით.

მიღებული მონაცემები შემაშფოთებელია. კვლევაში მწვრთნელთა ასაკობრივი მაჩვენებლები (მწვრთნელთა წლოვანება) არ არის გათვალისწინებული, რადგან ასაკოვანი პედაგოგები არ ექვემდებარებიან გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც კიდევ უფრო დაბლა დასწევდა არსებულ მაჩვენებლებს. ცხადია, შექმნილი მდგომარეობა განსაკუთრებული განსჯის საგანი უნდა გახდეს განათლების სისტემის ყველა საფეხურზე, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოსა და მთავრობის დონეზეც კი, რადგან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობა იდენტურია ქვეყნის ყველა რეგიონისათვის.

## დასკვნები

ჩატარებული კვლევის შესაბამისად მიღებული შედეგები საშუალებას  
გვაძლევს გაგვაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

### 1. ინტელექტუალური სფერო

ა. „სკოლის მოსწავლეებისა“ და „მოსწავლე სპორტსმენების“ გონებრივი განვითარების უმაღლესი დონის მიხედვით, უმცროს და საშუალო ასაკის სკოლის მოსწავლეებში რაიმე მნიშვნელოვან სხვაობაზე საუბარი შეუძლებელია. მაგრამ უფროს სასკოლო ასაკში გონებრივი განვითარების უმაღლესი დონის მანქვენებლების (130 ქულაზე ზემოთ) მიხედვით, 17 წლის „სკოლის მოსწავლეებს“ (14 მოსწავლე – 61 %) აშკარა უპირატესობა აქვთ იმავე ასაკის „მოსწავლე სპორტსმენებთან“ შედარებით ( 0 მოსწავლე – 0 %).

ბ. მიღებული შედეგების პარალელურად „სკოლის მოსწავლეებისა“ და „მოსწავლე სპორტსმენების“ სასკოლო აკადემიური მოსწრების შესწავლამ აჩვენა, რომ ამ შესადარებელ ჯგუფებში აკადემიური მოსწრების მონაცემების მიხედვით უმცროს სასკოლო ასაკში არსებითი განსხვავებას არ აქვს ადგილი. საშუალო სასკოლო ასაკში, „სკოლის მოსწავლეებს“ (8.39) ამ თვალსაზრისით 1.18 ერთეულით უპირატესობა გააჩნიათ „მოსწავლე სპორტსმენებთან“ (7.30) შედარებით. უფროს სასკოლო ასაკში „სკოლის მოსწავლეებს“ (8.94) „მოსწავლე სპორტსმენებზე“ (6.92) 1.12 ერთეულით უკეთესი აკადემიური მანქვენებლები აქვთ.

გ. თუ შესადარებელ ჯგუფებს შორის უმცროს სასკოლო ასაკში გონებრივი განვითარების მანქვენებლები ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ასაკის ზრდასთან ერთად, მდგომარეობა იცვლება საკმაოდ განსხვავებულმდე საშუალო და უფროსი სასკოლო ასაკის „სკოლის მოსწავლეების“ სასარგებლოდ.

დ. ასეთი მონაცემები განპირობებული უნდა იყოს შემდეგი გარემოებებით:

სასპორტო სკოლებში მშობლებს ბავშვები შეჰყავთ ერთი მიზნით, რათა ფიზიკურმა აქტივობამ ხელი შეუწყოს ბავშვთა ნორმალურ განვითარებას; იმ შემთხვევაში კი, როდესაც საუბარია მაღალი სპორტული შედეგების მიღწევაზე, მშობლების უმრავლესობა უარს აცხადებს სპორტული წვრთნის გაგრძელებაზე, რადგან: ა. დიდი სპორტული შედეგების მიღწევისათვის საჭიროა უზარმაზარი ენერჯის ხარჯვა, რომელიც ბავშვის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. ბ. უფროს სასკოლო ასაკის „სკოლის მოსწავლეთა“ უმრავლესობისათვის, კარგი სპორტული მონაცემების შემთხვევაშიც კი, წარმატების მიღწევის ნაკლები შანსია სპორტულ კარიერაში. ამის გამო, მაღალი გონებრივი და ფიზიკური

მონაცემების მოსწავლე სპორტსმენები მიდიან სასპორტო სკოლებიდან, რადგან სხვა სპეციალობაზე ორიენტირებულობა შესაბამის აკადემიურ მომზადებას მოითხოვს.

## 2. ზნეობრივი სფერო

ა. დადგინდა, რომ „სკოლის მოსწავლეებს“ შორის მიტევების პროცესის მიმართ მიღებულია შედარებით უფრო მეტი სინშირის მაღალი შეფასება, ვიდრე „მოსწავლე სპორტსმენებში“, რაც, სავარაუდოდ, იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ „სკოლის მოსწავლეთა“ შემადგენლობაში უფრო მეტი იყო მდებარეობითი სქესის წარმომადგენელი, რომლებიც, ზოგადად, უფრო მიმტევებლები, ემპათიურობის გამომვლენები არიან (Семечкин, 2004:169), ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენლები. ვფიქრობთ, მომავალში სპეციალურად შევისწავლოთ ამგვარი სხვაობის საფუძვლები, რის ერთ-ერთ საშუალებად მიგვაჩნია შესადარებელი ჯგუფების სქესობრივი შემადგენლობის თვალსაზრისით თანაბარი დაკომპლექტება.

ბ. სიმართლის თქმის მიხედვით ყველა შესასწავლ ასაკობრივ ჯგუფში და სპორტისადმი განსხვავებული დამოკიდებულების მქონე შესადარებელ ერთობლიობებში („სკოლის მოსწავლეები“ თუ „მოსწავლე სპორტსმენები“) მიღებულია უმაღლესი შეფასების („ძალიან მნიშვნელოვანია“) აღნიშვნის ჭარბი შედეგი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ თვალსაზრისით არ არსებობს განსხვავება „სკოლის მოსწავლეთა“ და „მოსწავლე სპორტსმენტა“ შორის.

გ. უცნობი ადამიანის გადარჩენაზე უფროს სასკოლო ასაკში „მოსწავლე სპორტსმენები“ (77%) უფრო არიან ორიენტირებულნი, ვიდრე „სკოლის მოსწავლეები“ (44%). ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ მოსწავლე „სპორტსმენებს“ თითქმის ისეთივე შედეგი აქვთ (77%), როგორც სხვა შემთხვევაში – მეგობრის სიცოცხლის გადარჩენის აღნიშვნის დროს (73%). ამრიგად, გამოდის, რომ უცხო ადამიანის გადარჩენას „მოსწავლე სპორტსმენები“ ისევე უყურებენ, როგორც მეგობრის სიცოცხლის გადარჩენას. ამის საფუძველი უნდა იყოს ის, რომ მათ გაცილებით უფრო მეტი კონტაქტი გააჩნიათ უცხო ადამიანებთან ურთიერთობისა, რაც საშუალებას აძლევს ზნეობრიობის შეფასებისას არ შეიზღუდონ ახლობელი ადამიანების წრით.

დ. პიროვნების ზნეობრივი განვითარების შეფასების ტესტის საფუძველზე დადგინდა, რომ უფროს სასკოლო ასაკში, „სკოლის მოსწავლეების“ მაჩვენებ-

ლები – 83% უფრო მეტია, ვიდრე „მოსწავლე სპორტსმენებისა“ – 65%. შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ რეალურად არსებულ განსხვავებაზე ზნეობრივი განვითარების შეფასების თვალსაზრისით, რომელიც უფროს სასკოლო ასაკში დაფიქსირდა. ვვარაუდობთ, რომ ის უპირატესობა, რომელიც „სკოლის მოსწავლეებს“ გააჩნიათ „მოსწავლე სპორტსმენებთან“ შედარებით უფროს სასკოლო ასაკში „ძალიან მაღალი დონის“ ზნეობრიობის დაფიქსირებაში, გამოწვეული უნდა იყოს სპორტულ საქმიანობაში რეალურად არსებული და სპორტული სიტუაციისათვის გამართლებული, მაგრამ ჩვეულებრივი ზნეობრივი სტანდარტებისთვის მიუღებელი, ანდა ნაკლებად მისაღები მოქმედებების შეფასებით, რომლებიც, მკაცრი ზნეობრივი განსაზღვრით, ორივე შესადარებელი ჯგუფის თვალსაზრისით არ შეესიტყვება ძალიან მაღალი დონის ზნეობრიობას.

ვფიქრობთ, რომ ასეთ თვისებებს უნდა მივაკუთვნოთ, უპირველეს ყოვლისა, აგრესიულობა, რომელიც, ჩვენივე გამოკვლევის საფუძველზე, უფრო მეტად ახასიათებს „მოსწავლე სპორტსმენებს“, ვიდრე „სკოლის მოსწავლეებს“, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ სპორტში აგრესიულობას, მთელ რიგ შემთხვევაში, დადებითი ელფერი აქვს, მას მხარს უჭერენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ზოგადად თვითონ „მოსწავლე სპორტსმენები“ ასეთ თვისებას „ძალიან მაღალი დონის“ ზნეობრიობად ჩათვლიან. ვფიქრობთ, იგივე ითქმის მეტოქეობის მხარდაჭერაზე, რომელიც ზოგადად არ შეიძლება ძალიან მაღალ ზნეობრიობას მივაკუთვნოთ. ამავე დროს, როგორც ჩანს, საჭირო არის შემდგომში ზნეობრიობის გამოვლენის რეალურად არსებული განსხვავების შესწავლა, რომელიც, ერთი მხრივ, საშუალებას აძლევს „მოსწავლე სპორტსმენებს“ „მაღალ ზნეობრიობას“ გაუსვან ხაზი საკუთარ განვითარებაში, მაგრამ თავს იკავებენ „ძალიან მაღალი ზნეობრიობის“ აღნიშვნისაგან.

### **3. ესთეტიკური სფერო**

ა. ესთეტიკური კვლევის მონაცემების განხილვამ აჩვენა, რომ როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც არსებობს განსხვავებები „სკოლის მოსწავლეებსა და „მოსწავლე სპორტსმენებს“ შორის. ორივე შესადარებელი ჯგუფის წარმომადგენლები, როგორც უმცროს, ისე საშუალო და უფროს სასკოლო ასაკში, ესთეტიკურობის განსაზღვრისას მიუთითებენ მშვენიერებაზე.

ბ. ესთეტიკურობის ისეთ მაჩვენებელს, როგორცაა ამადლებულობა, ძალიან ცოტა მიუთითებს უმცროსი სასკოლო ასაკის ორივე შესადარებელ ჯგუფში.

საშუალო სასკოლო ასაკში, ამ თვალსაზრისით, სკოლის „მოსწავლეები“ ბევრად უფრო მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან (32%) „მოსწავლე სპორტსმენებთან“ შედარებით (3%). ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად იცვლება უფროს სასკოლო ასაკში, სადაც ამაღლებულობას, როგორც ესთეტიკურობის გრძობას, სკოლის „მოსწავლეთა“ (39%) მიუთითებს, ხოლო „მოსწავლე სპორტსმენებთან“ – 23%. ამ შემთხვევაში, ამაღლებულობის ესთეტიკურობასთან დაკავშირების ცნობიერება იზრდება ორივე ჯგუფის წარმომადგენლებში. როგორც ჩანს, ამაღლებულობის ცნება ესთეტიკურობასთან კავშირ-ურთიერთობაში უფრო უცხოა მოსწავლეთა დიდი ნაწილისათვის.

გ. საყურადღებო მონაცემები მივიღეთ სილამაზის განსაზღვრის დროს, რომელსაც გრაციოზულობა შეესაბამებოდა კითხვაში. აქ უფროსი ასაკის „სკოლის მოსწავლეებისა“ და „მოსწავლე სპორტსმენებს“ შორის განსხვავება მცირეა (შესაბამისად, 65% და 57%). ამავე დროს, უმცროს და საშუალო სასკოლო ასაკში, გრაციოზულობის სილამაზესთან დაკავშირების თვალსაზრისით, უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ „მოსწავლე სპორტსმენებს“ (შესაბამისად, 52%–65%). იმის მიუხედავად, რომ ცნება „გრაციოზულობა“ უფრო ხშირად მხატვრულ ტანვარჯიშში გამოიყენება, სპორტული სახეობის სხვა წარმომადგენლებს ესმით ეს სიტყვა, კარგად აქვთ გათავისებული და ამიტომ უფრო მეტად აკავშირებენ მას სილამაზესთან.

დ. სილამაზის აღქმასთან დაკავშირებით, სადაც პასუხებში წამყვანი ადგილი ეკავა ჰარმონიულობას, უმცროს სასკოლო ასაკში ამ ცნებას სილამაზესთან გაცილებით უფრო მეტად აკავშირებდნენ „მოსწავლე სპორტსმენები“ (68%), იმ დროს, როდესაც ამ პასუხს „სკოლის მოსწავლეების“ მხოლოდ 38% იძლეოდა. მაგრამ შემდგომი საშუალო და უფროს სასკოლო ასაკში მაჩვენებელთა შორის განსხვავება არ იყო დიდი, რაც, ჩვენი აზრით, იმას ნიშნავს, რომ ტერმინი არ არის მაინცდამაინც სპორტთან დაკავშირებული და ესთეტიკური ცნებების გამოყენების მზარდ ზოგად ტენდენციასზე მიუთითებს.

ე. სილამაზის განსაზღვრის შემთხვევაში, ორივე შესადარებელი ჯგუფი თითქმის თანაბრად მიუთითებს პროპორციულობასა და სინქრონულობაზე. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს საშუალო და უფროს სასკოლო ასაკში. ამრიგად, ვფიქრობთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში „მოსწავლე სპორტსმენებს“ აქვთ გარკვეული უპირატესობა ესთეტიკური ცნებების სწორად გამოყენებისა და



აღქმის თვალსაზრისით, მაგრამ მთლიანობაში არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ აქ არსებით განსხვავებასთან გვაქვს საქმე.

#### **4. რელიგიური სფერო**

იმ კომპონენტების მიხედვით, რომლებიც გულისხმობს ცდისპირთა დამოკიდებულებას რელიგიასთან, არ შეიძლება ვისაუბროთ ჩვეულებრივ „სკოლის მოსწავლეებსა“ და „მოსწავლე სპორტსმენებს“ შორის არსებით განსხვავებაზე. რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისა და სპორტსმენის რეალურ სიტუაციაში ურთიერთობების კვლევა შემდგომი მუშაობის აუცილებელ მიზნად გვესახება.

#### **5. ურთიერთობები წვრთნის პროცესში**

ა. მწვრთნელთან და მასწავლებელთან ისეთ ურთიერთობებს, რომლებიც განაპირობებს „სპორტული მუშაობის“ აქტიურად განხორციელებას, უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვების ორივე ჯგუფის წარმომადგენლები დადებითად აფასებენ. ამდენად, აქ არ შეიძლება რაიმე მნიშვნელოვან განსხვავებაზე ვისაუბროთ, რადგან ორივე შემთხვევაში, ბავშვებს ურთიერთობის მცირე პერიოდი გააჩნიათ როგორც მწვრთნელთან, ისევე სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან. საშუალო ასაკის „სკოლის მოსწავლეებსა“ და „მოსწავლე სპორტსმენებში“ განსხვავება გაცილებით უფრო მაღალია და ის „მოსწავლე სპორტსმენებში“ 92%-ს შეადგენს, იმ დროს, როდესაც „სკოლის მოსწავლეების“ ერთობლიობა გვაძლევს თითქმის 20 ერთეულით ნაკლებ მაჩვენებელს, რომელიც 71%-ს შეადგენს. ეს ტენდენცია, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ მწვრთნელის გაძლიერებულ ზემოქმედებად უფრო „მოსწავლე სპორტსმენებზე“, ვიდრე „სკოლის მოსწავლეებზე“, შემდგომშიც დასტურდება უფროს სასკოლო ასაკში, სადაც სხვაობა ამ მონაცემების თვალსაზრისით კიდევ უფრო იზრდება და აქ „სკოლის მოსწავლეების“ მაჩვენებელი 65%-მდე ჩამოდის, ხოლო „მოსწავლე სპორტსმენებისა“ – ისევ 92%-ია. ეს მონაცემები აშკარად აჩვენებს „მოსწავლე სპორტსმენების“ აქტიურობაში მწვრთნელის განსაკუთრებულ როლს, რაც თავისთავად გულისხმობს სპორტული უნარ-ჩვევების დაუფლებაში მწვრთნელის უდიდესი როლის აღიარებას.

ბ. „მოსწავლე სპორტსმენები“ (81%) შედარებით უფრო მეტად თვლიან, რომ მათ აქტიურობაზე ზეგავლენას ახდენს მწვრთნელი, იმ დროს, როდესაც ჩვეულებრივი „სკოლის მოსწავლეების“ მაჩვენებელი მხოლოდ 61%-ს შეადგენს.

გ. **წვრთნის ეფექტიანობის ამაღლება.** შესადარებელი ორივე ერთობლიობის შესწავლა გვიჩვენებს, რომ როგორც „სკოლის მოსწავლეების“, ისე „მოსწავლე სპორტსმენების“ ყველა ასაკობრივი ჯგუფი, 90%-ზე მეტ შემთხვევაში, აღნიშნავენ, რომ აქვთ აქტიური წვრთნის შესაძლებლობა. წვრთნის ამაღლების ეფექტიანობის თვალსაზრისით, ორივე ერთობლიობა თითქმის თანაბრად აღნიშნავენ ასეთი შესაძლებლობების არსებობას. ბუნებრივია, რომ სინამდვილეში ასეთი თანაბარი შედეგი იმის გამოა მიღებული, რომ ის ამოცანები, რომლებიც „სკოლის მოსწავლეების“ წინაშე არის დასახული, სავსებით კმაყოფილდება მათი წვრთნისთვის არსებული პირობებით, ხოლო „მოსწავლე სპორტსმენების“ ვარჯიშებისა და წვრთნისთვის საჭირო პირობები უნდა შეესაბამებოდეს ბევრად მაღალ მოთხოვნებს და ეფექტიანობას. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში განსხვავებული დატვირთვისა და განსხვავებული მიზნების შესაბამისად, ორივე ჯგუფის ერთობლიობას აკმაყოფილებს არსებული პირობები, რადგან, ერთ შემთხვევაში, სკოლაში ორიენტირი აღებულია ფიზიკურ ვარჯიშებზე და შედარებით უფრო ნაკლები ყურადღება ეთმობა ინტენსიურ ვარჯიშებს ან უშუალოდ სპორტულ შედეგებს, ხოლო სპორტულ სკოლაში – პირიქით, წინა პლანზეა წამოწეული ინტენსიური ვარჯიშები და სპორტული შედეგების მიღწევა.

დ. **მწვრთნელის კომპეტენტურობას** ყველა ასაკობრივ ჯგუფში „ჩვეულებრივი მოსწავლეები“ უფრო მაღალ შეფასებას აძლევენ, ვიდრე „მოსწავლე სპორტსმენები“, რომლებიც, ასაკის ზრდასთან ერთად, სულ უფრო იშვიათად აძლევენ მაღალ შეფასებას მწვრთნელის კომპეტენტურობას.

ამრიგად, როგორც ჩანს, რაც უფრო მეტად არიან დახელოვნებულები „მოსწავლე სპორტსმენები“ და რაც უფრო მეტ ცოდნას ფლობენ სპორტის, ვარჯიშის ზემოქმედების ფაქტორების შესახებ წვრთნების ჩატარების პერიოდში, მით უფრო მცირედ კომპეტენტურად მიიჩნევენ მწვრთნელებს. ასეთი განსხვავების მიუხედავად, მწვრთნელის პიროვნებისადმი სიმპათია და მაღალი დონე აღინიშნება უფრო სასკოლო ასაკის „მოსწავლე სპორტსმენებში“, რაც 81%-ით გამოიხატება. როგორც ჩანს, „მოსწავლე სპორტსმენებს“ ტრადიციულად კარგი ურთიერთობები აქვთ მწვრთნელებთან, რადგან ისინი სპორტით სერიოზულად არიან დაინტერესებულნი, თუმცა ეს მაინც არ გამოირიცხავს მწვრთნელების კომპეტენტურობის მიმართ მათ კრიტიკულ დამოკიდებულებას.

## 6. სოციალიზაციის თავისებურებები

ა. ორივე შესადარებელი ჯგუფის წარმომადგენლებს გაძლიერებული აქცენტი აქვთ წარუმატებლობის თავიდან აცილებაზე. თუმცა „მოსწავლე სპორტსმენები“ მაინც უფრო მეტად გამოირჩევიან ამ ტენდენციით. ეს მაჩვენებლები რეალურად ასახავს იმ ფაქტს, რომ „სკოლის მოსწავლეთათვის“ ვარჯიში თუ შეჯიბრება არ არის თვითმიზანი და ამიტომ სპორტულ სფეროში წარმატებას ისინი ნაკლებმნიშვნელოვნად აღიქვამენ. „მოსწავლე სპორტსმენების“ შემთხვევაში კი, ამ უკანასკნელთა სპორტზე განსაკუთრებული ორიენტირებულობის, სპორტულ გარემოში მეტოქეობის გაძლიერებული მუხტის არსებობის შედეგად, წარუმატებლობის თავიდან არიდებას გაცილებით მეტად ცდილობენ. ეს საკითხი კიდევ უფრო საფუძვლიან შესწავლას საჭიროებს, რადგან ის რეალურად ასახავს იმ პრინციპულ განსხვავებას, რომელიც არსებობს მოყვარული სპორტის წარმომადგენლებსა და სერიოზული სპორტული მიზნების მქონე პიროვნებებს შორის.

ბ. ემპათიის საშუალო დონე უმცროს და საშუალო სასკოლო ასაკში „მოსწავლე სპორტსმენებს“ უფრო მეტად ახასიათებთ, უფროს სასკოლო ასაკში კი საშუალო დონის ემპათიურობა უფრო მეტია „სკოლის მოსწავლეებში“. რაც შეეხება მაღალი დონის ემპათიურობას, უმცროს და საშუალო ასაკში ის უფრო მეტად „სკოლის მოსწავლეებს“ ახასიათებს (პირველ შემთხვევაში 39%, მეორე შემთხვევაში – 50%), ხოლო უფროს სასკოლო ასაკში „მოსწავლე სპორტსმენების“ ემპათიურობის მაღალი მაჩვენებელი (54%) არათუ არ ჩამორჩება, არამედ სჭარბობს კიდევ „სკოლის მოსწავლეების“ ემპათიურობის დონეს (52%). თუმცა აქ უფრო მეტად შეიძლება ვილაპარაკოთ თანაბრად მაღალ ემპათიურობაზე ორივე შესადარებელ ჯგუფში. რაც შეეხება უმცროს და საშუალო სასკოლო ასაკში „მოსწავლე სპორტსმენებში“ მაღალი ემპათიურობის შედარებით ნაკლები ოდენობით აღნიშვნას, და ეს იმ დროს, როდესაც საშუალო დონის ემპათიურობით, როგორც უმცროს, ასევე უფროს სასკოლო ასაკში, უფრო მაღალ ემპათიურობას აღნიშნავენ „მოსწავლე სპორტსმენები“, ვიდრე „სკოლის მოსწავლეები“, – ვფიქრობთ, ეს მდგომარეობა საგანგებო კვლევას მოითხოვს, რომელიც დამატებით მასალას მოგვცემს იმის თაობაზე, თუ რატომ ჩამორჩებიან „მოსწავლე სპორტსმენები“ ემპათიურობის მაღალი დონის თვალსაზრისით „სკოლის მოსწავლეებს“ უმცროს და საშუალო სასკოლო ასაკში. ვფიქრობთ, რომ ასეთი ჩამორჩენის ერთ-ერთ საფუძვლად უნდა მივიღოთ ის, რომ ორივე ამ

ასაკობრივ ჯგუფში „მოსწავლე სპორტსმენები“, როგორც ჩანს, უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ სპორტში არსებულ მეტოქეობას, რომელიც, სავარაუდოდ, მათი ემოციურობის გამო, ასუსტებს ემპათიის გრძნობას.

**გ. მარტოობის შესწავლამ** „სკოლის მოსწავლეებსა“ და „მოსწავლე სპორტსმენებში“ აჩვენა, რომ მარტოობის მაქსიმალური დონე – 60-80 ქულა და მარტოობის მაღალი დონე – 40-59 ქულა საერთოდ არ იყო ნაჩვენები ცდისპირთა მიერ. ასევე არ დაფიქსირდა მარტოობის დაბალი დონე – 1-19 ქულა. ყველა მონაცემმა, რომელიც კვლევის შედეგად მივიღეთ, მთლიანად მარტოობის საშუალო დონეში (20-39 ქულა) მოიყარა თავი. ყველა ასაკობრივ ჯგუფში (უმცროსი, საშუალო და უფროსი სასკოლო ასაკი), უკლებლივ ყველა რესპონდენტმა მიუთითა მარტოობის საშუალო დონეზე და ამ თვალსაზრისით, არავითარი განსხვავება არ გვაქვს არც ასაკობრივ ჯგუფებში და არც შესადარებელი ერთობლიობების მონაცემების შედარების საფუძველზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში, ალბათ, მოქმედებს სტერეოტიპი, რომლის საფუძველზე მარტოობა სახარბიელო მდგომარეობად არ აღიქმება არა მარტო სკოლის მოსწავლეების, არამედ ზრდასრული ადამიანების მიერაც (Корсини, Авербах, 2002:783). ადამიანი ამ შემთხვევაში საკუთარ თავს დავიწყებულად და არასაჭიროდ თვლის. როგორც ჩანს, მარტოობის მიმართ ასეთი დამოკიდებულება თავისთავად განაპირობებს იმ შედეგს, რომელიც ჩვენ მივიღეთ: უარყოფილია მარტოობის როგორც მაქსიმალური, ისე მაღალი დონე და მხოლოდ საშუალო დონე დასტურდება. მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ საშუალო დონის მარტოობას რესპონდენტები დასაშვებად მიიჩნევენ, იმით უნდა აიხსნას, რომ საერთოდ საშუალო დონე ადამიანის მიერ შედარებით უფრო მისაღებ დონედ ითვლება, რომელიც არიდებს მას უკიდურესობებს. ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ რესპონდენტთა ორივე შესადარებელი ერთობლიობა („სკოლის მოსწავლეები“ და „მოსწავლე სპორტსმენები“) არიდებს თავს უკიდურესი დონის მარტოობის აღნიშვნას.

**დ. თვითფლობის შესწავლის საფუძველზე** აღმოჩნდა, რომ თვითფლობის დაბალი დონე უმცროს სასკოლო ასაკში, უპირატესად, „მოსწავლე სპორტსმენებს“ დაუდასტურდათ, ხოლო თვითფლობის მაღალი დონე კი, იმავე ასაკობრივ პერიოდში, უფრო მეტად აღმოაჩნდათ „სკოლის მოსწავლეებს“ (45%).

საშუალო სასკოლო ასაკში თვითფლობის დაბალი დონე „სკოლის მოსწავლეებსა“ (50%) და „მოსწავლე სპორტსმენებში“ (54%) დაახლოებით თანაბარია. თვითფლობის მაღალი დონე ამ ასაკობრივ ჯგუფში ისევ „სკოლის მოსწავ-

ლეებს“ დაუდასტურდათ (50%). „მოსწავლე სპორტსმენების“ სასარგებლოდ კარდინალური განსხვავების მაჩვენებლები დადასტურდა უფროს სასკოლო ასაკში, სადაც თვითფლობის დაბალი დონე „სკოლის მოსწავლეებმა“ (26%) აჩვენეს, ხოლო მაღალი დონე – „მოსწავლე სპორტსმენებმა“ (50%). მიღებული შედეგები მეტყველებს, რომ უმცროს სასკოლო ასაკში არსებული უპირატესობა, რომელსაც ფლობენ „სკოლის მოსწავლეები“ „მოსწავლე სპორტსმენებთან“ შედარებით, შემდგომ ასაკობრივ ჯგუფებში არა მხოლოდ მცირდება, არამედ, უფროს სასკოლო ასაკში „მოსწავლე სპორტსმენები“ მნიშვნელოვან უპირატესობას აღწევენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი შედეგი კანონზომიერი უნდა იყოს, რადგან სპორტული ვარჯიშების, შეჯიბრების, ძლიერი კონცენტრაციის, მეტოქეობისა და დაძაბულობის მდგომარეობის სისტემატური ხასიათი აიძულებს „მოსწავლე სპორტსმენებს“ იყვნენ უფრო ორგანიზებულნი, მოწესრიგებულნი, წინდახედულნი და შესაძლებლობის ფარგლებში, მიზანმიმართულად წარმართონ საკუთარი მოქმედება. თვითფლობის განვითარების ასაკობრივი სხვაობები ადასტურებს, რომ შეიძლება ვისაუბროთ პიროვნების სტრუქტურაში გარკვეულ თვისებრივ ცვლილებებზე, რადგან ეს თვისება სიტუაციურ მდგომარეობას კი არ ასახავს რომელიმე კონკრეტულ ვარჯიშსა თუ შეჯიბრების პროცესში, არამედ, ზოგადად, თვითფლობის შესწავლაზე იყო ორიენტირებული და ამიტომ ჩვენ უფრო მეტად მივიღეთ პიროვნული თვისების ამსახველი შედეგები თვითფლობის თვალსაზრისით, და არა სიტუაციური თვითფლობის მაჩვენებლები. საყურადღებოა კითხვარის იმ პუნქტის განხილვა, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ კითხვაზე პასუხს: „რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანისათვის სიცოცხლე, მაშინაც კი, როცა ეს მას არ უნდა?“ ყველა ასაკობრივ ჯგუფში უმაღლესი ხარისხის მაჩვენებელი შეფასება – „ძალიან მნიშვნელოვანია“ – უპირატესად აღნიშნული აქვთ „სკოლის მოსწავლეებს“ და არა „მოსწავლე სპორტსმენებს“, ხოლო უფროს სასკოლო ასაკში სხვაობა მაქსიმუმს აღწევს, რადგან „სკოლის მოსწავლეების“ 87% მიუთითებს მაღალ ხარისხობრივ შეფასებას, ხოლო „მოსწავლე სპორტსმენები“ 38%-ით კმაყოფილდებიან. აქ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ უფროსი ასაკის „მოსწავლე სპორტსმენების“ მიერ გამოვლენილი დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის მიმართ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევისათვის, რადგან მათ აქვთ დიდი ხნის განმავლობაში სპორტთან ურთიერთკავშირი, სისტემატურად ვარჯიშობენ და გარკვეულწილად, სხვა „მოსწავლე სპორტსმენებისათვის“ ეტალონურ ჯგუფს წარმოადგენენ, ამიტომ მათ მიერ გამოვლენილი

დამოკიდებულება გარკვეულწილად ასახავს სპორტში ჩართული „მოსწავლე სპორტსმენების“ განცდებს და დამოკიდებულებებს. მიღებული შედეგი, უპირველეს ყოვლისა, აშკარად მიუთითებს „მოსწავლე სპორტსმენების“ პიროვნების რეალურ თავისებურებებზე „სკოლის მოსწავლეებთან“ შედარებით. ეს კონკრეტული მონაცემი ზუსტად ასეთი დამაფიქრებელი სხვაობის მაჩვენებელია. სპორტული საქმიანობა დაკავშირებულია ძალასთან, გამძლეობასთან, ამტანობასთან, ქცევის ძლიერ მოტივირებულობასთან, შფოთიანობასთან (Кретти, 1978:27-35), მეტოქეობასთან, აგრესიასთან, სტრესთან (Мартенс, 1979:106-124). საქმე იმაშია, რომ სტრესი დაკავშირებულია ცხოვრების ისეთ მოვლენებთან, რომლებსაც თან ახლავს არა მხოლოდ მოკლევადიანი, არამედ მყარი აფექტური რეაქციები. შესაბამისად, საჭირო ხდება უფრო ხანგრძლივი დრო გარემოსთან ადაპტაციისათვის. სტრესის კავშირი ისეთ კრიტიკულ ცხოვრებისეულ მოვლენასთან, როგორცაა შფოთიანობის აშლილობები (Спилберг, 1983: 12-24), დიდი ხანია ინტენსიურად შეისწავლება. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან არსებობს დამოუკიდებელი კვლევითი მიმართულება, რომელიც დაკავებულია ექსტრემალური გადატვირთვებით, მათი დაძლევით და შედეგებით, და რომელთა შესწავლის საფუძველზე ჩამოყალიბდა ცნებები: მატრამვირებელი დატვირთვები, მატრამვირებელი სტრესი, ან, უბრალოდ, ფსიქოლოგიური ტრამვა. ამრიგად, ტრავმატული სტრესი შეიძლება განსაზღვრული იყოს, როგორც ცხოვრების კრიტიკულად შემცველი სპეციფიკური ჯგუფების მოვლენები, რომლებსაც აქვს შემდეგი მახასიათებლები: ისინი არასასურველია, გააჩნიათ უკიდურესად ნეგატიური ზემოქმედების შესაძლებლობა ადამიანის ცხოვრებაზე, ხასიათდება სერიოზული საფრთხის შემცველობითა და მაღალი ინტენსივობით. მათი კონტროლირება ძნელია, ზოგჯერ – სრულ შეუძლებლობამდე. ისინი ხშირად არ ექვემდებარებიან წინასწარ მეტყველებას და მყისიერი ბუნება გააჩნიათ (Дмитриева, 1999:240-249). ამდენად, გასაგებია, რომ სისტემატურ-სტრესულ მდგომარეობასთან გარკვეულწილად ადაპტირებული უფროსი ასაკის „მოსწავლე სპორტსმენებს“ გაცნობიერებული აქვთ საშიშროება, რომელიც უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება სიცოცხლისადმი საშიშროებად იქნეს განცდილი. უეჭველია, რომ მნიშვნელოვან რისკიანობასთან სპორტული საქმიანობა უფრო მეტად არის დაკავშირებული, ვიდრე ჩვეულებრივი სასკოლო სიტუაცია და ამის გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ გარკვეულწილად, სწორედ რისკისადმი შეგუებულობა ასახავს „მოსწავლე

სპორტსმენების“ მხრივ სიცოცხლისათვის ზიანის მიყენებისადმი გარკვეული ადაპტირების, შეგუების მდგომარეობას.

ამრიგად, როგორც ჩანს, „მოსწავლე სპორტსმენებს“ თავის საქმიანობაში უფრო მეტად აქვთ საფრთხის წარმოქმნისა და ამ გზით წარმოდგენილი შედეგების მოლოდინი.

## 7. პიროვნების ფსიქოლოგიური ფაქტორები

კვლევის პროცესში ყველა ასაკობრივ ჯგუფში დაფიქსირდა საკმაოდ გამოხატული საშუალო ნერვულობის დონე. ასეთი შედეგები გადის ჩვენი კვლევის ფარგლებიდან, რადგან ნერვულობის მასობრივი ხასიათი გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ აქ საქმე გვაქვს ზოგადად იმ **ნერვული ატმოსფეროს ასახვასთან**, რომელშიც უწევთ სკოლის მოსწავლეებს მოქმედება და მოქმედების ეს სივრცე შეუძლებელია მხოლოდ საჯარო ან სასპორტო სკოლით იყოს შემოფარგლული. ამავე დროს, ფაქტია, რომ მთლიანობაში ნერვულობის მაქსიმუმი „მოსწავლე სპორტსმენებში“ უფრო მეტი სიხშირით დასტურდება. აქ ჩვენი ვარაუდით, ორ ფაქტორს უნდა ჰქონდეს ადგილი. პირველი: მთლიანად ორივე შესადარებელი ჯგუფის ნერვულობის დონე საკმაოდ სერიოზულია (თუმცა საშუალო დონისა). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სპორტული საქმიანობა მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია ძლიერ კონკურენციასთან, დაპირისპირებასთან, მეტოქეობასთან, ძალების თავმოყრასთან, ორგანიზებულობასთან, თვითიძულებასთან, ძალისხმევასთან, – გასაგებია, რომ ასეთი მდგომარეობა სტრესის, დაძაბულობის წარმოქმნის მუდმივი რისკის ზონად უნდა მივიჩნიოთ. ეს გარემოება თავისთავად გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ სპორტული საქმიანობის სტრესული სიტუაცია გზას უხსნის იმ „დომინირებულ რეაქციას“ (Mañerc, 2001:), რომელიც ამ სიტუაციას შეესატყვისება, ე. ი. ნერვულობას, რომლის წინაპირობები ისედაც არსებობს საერთოდ სკოლის მოსწავლეებში, ხოლო სპორტით დაკავებულებში ის კიდევ უფრო ძლიერდება და „დომინირებული რეაქციის“ სახით გვევლინება. ამგვარი ფაქტის მხოლოდ დადასტურება სულაც არ არის საკმარისი. ის აუცილებლობით მოითხოვს, რომ გაძლიერდეს სკოლის მოსწავლეებთან სისტემატური სამედიცინო, პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მუშაობა, ხოლო სპორტში დაკავებული ბავშვები და ახალგაზრდები აუცილებელ სამედიცინო, პედაგოგიურ, ფსიქოლოგიურ მეთვალყურეობას და დახმარებას საჭიროებენ.

**აგრესიულობა.** ნერვულობის მაჩვენებლების განხილვის შემდეგ, არ არის მოულოდნელი, რომ დაბალი აგრესიულობა, მშვიდი ბუნება, იძულებაზე უარის თქმა, ზოგჯერ უკანდახევა, საკუთარი თავის თვითფლობის უნარი და აგრესიულობისადმი ნაკლები მიდრეკილება (Зиверт, 1998:67) დაბალი ქულებით (10–24) აღინიშნება. ცხრილის მიხედვით, დაბალი აგრესიულობის მაჩვენებლები ჭარბობს „სკოლის მოსწავლეების“ ჯგუფებში, როგორც 10–11 წლის (16%), ისე უფროსი ასაკის „სკოლის მოსწავლეებში“ (17%). როგორც მოსალოდნელი იყო, ნერვულობასთან დაკავშირებული მონაცემების განხილვის შემდეგ მიღებული აგრესიულობის საშუალო დონის ქულები (25–39) დაახლოებით თანაბრად ახასიათებს „სკოლის მოსწავლეებს“ და „მოსწავლე სპორტსმენებს“ 10–11 წლის ასაკში. აგრესიულობის ეს დონე ფასდება გონივრულობის საზღვრებში არსებულ აგრესიულობად, რაც თავდაცვით აგრესიულობასთან გაიგივდება (Зиверт, 1998:67). გარდატეხის ასაკში (13–14 წელი) „სკოლის მოსწავლეებს“ შედარებით მეტი სიხშირით აღენიშნებათ აგრესიულობა (89%), რაც, ვფიქრობთ, ასაკობრივი თავისებურებებით უნდა ავსხნათ, თუმცა „მოსწავლე სპორტსმენებიც“ ძალიან არ ჩამორჩებიან მათ (73%), თუმცა სხვაობა – 16 ერთეული – მაინც თვალსაჩინოა. ასეთი შედეგის ფონზე, თითქოს არ უნდა იყოს კანონზომიერი ის მაჩვენებელი, რომელიც 17 წლის „მოსწავლე სპორტსმენებში“ მივიღეთ: მათი საშუალო აგრესიულობა 85%-ს აღწევს „სკოლის მოსწავლეების“ მონაცემებთან (66%) შედარებით. ვფიქრობთ, რომ ეს მონაცემები არ არის შემთხვევითი. კარგად არის ცნობილი, რომ სპორტულ ენერჯიულობას, შემტევობას, ანუ ზოგადად აგრესიულობას (ბუნებრივია, სპორტული წესების ფარგლებში) მწვრთნელები და ხშირად მაცურებელიც, არათუ არ კრძალავენ, არამედ კიდევაც სტიმულს აძლევენ მას, რაც არ არის უცხო სპორტისათვის და განსაკუთრებით, სპორტული თამაშებისათვის (თუმცა, როგორც ვიცით, აქ არის უკიდურესობები).

აგრესიულობის მაღალი დონე (40–60 ქულა) უპირატესად ახასიათებს „მოსწავლე სპორტსმენებს“ 10–11 წლის ასაკში – 12%, იმ დროს, როდესაც „სკოლის მოსწავლეებს“ მხოლოდ 3% აქვთ, მოზარდობის პერიოდში (13–14 წლის ასაკი). მაღალი აგრესიულობა „მოსწავლე სპორტსმენებში“ აღწევს 15%-ს, ხოლო „სკოლის მოსწავლეებში“ ეს დონე საერთოდ არ დასტურდება. მიუხედავად იმისა, რომ 17-წლიანებში „სკოლის მოსწავლეების“ მონაცემი (17%) უფრო მაღალია, ვიდრე „მოსწავლე სპორტსმენებისა“ – 12% (თუმცა არც ისე მნიშვნელოვნად), მაინც შეიძლება ვამტკიცოთ, რომ „მოსწავლე სპორტსმენებს“ უფრო



მეტად ახასიათებს აგრესიულობა, რადგან მთლიანობაში, ყველა ასაკობრივი დონის მიხედვით, აბსოლუტური რიცხვების შედარება აქ გვაძლევს „მაღალი აგრესიულობის“ 10 შემთხვევას, როდესაც „სკოლის მოსწავლეებში“ ანალოგიური მაჩვენებელი 5 შემთხვევას არ აღემატება. სპორტული შეჯიბრების სიტუაცია, მეტოქეობა გარკვეულწილად ხელს უწყობს აგრესიულობის გაძლიერებას და ამიტომ საჭიროა, რომ სპორტში ჩამოყალიბებული და წესების საზღვრებში გამოყენებული აგრესიულობა საერთოდ ჩვევად არ გადაიქცეს ცხოვრების სხვა სფეროებში მოღვაწეობის დროს, რადგან არსებული ინტეპრეტაციით აგრესიულობის მაღალი მაჩვენებლები (40–60 ბალი) საკმაოდ რთული ფსიქოლოგიური პრობლემების ამსახველი უნდა იყოს, რაც აგრესიული მოქმედებისადმი მიდრეკილებაში გამოიხატება. ამიტომ ზივერტი (Зиверт) იძლევა რჩევას, რომ ასეთი მაღალი დონის მაჩვენებლების აგრესიულობის მქონე პირებისათვის კარგი იქნება დაკავდნენ სპორტის საბრძოლო სახეობებით, რათა შეუმცირდეთ აგრესიულობა. შესაძლებელია, აგრეთვე, რომ ასეთი ადამიანები ფიქრობენ, რომ გარემო არის მათ მიმართ აგრესიულად განწყობილი და მათი აგრესიულობა მხოლოდ საპასუხო რეაქციაა ამაზე. ასეთ შემთხვევებში, საკუთარ თავში რწმენის გაზრდის მიზნით, სასარგებლო იქნება სპეციალური სავარჯიშოები (Зиверт, 1998:67).

**დეპრესიულობა.** დეპრესიულობის (ჩუგოშვილი და სხვა, 2006:83–90; Виленский, 2000:138-146; Соколова, 2001:113-116) დაბალი მაჩვენებლები (10–24 ქულა) ყველა ასაკობრივ ჯგუფში დაფიქსირდა, უფრო მეტი სიხშირით კი „სკოლის მოსწავლეებში“ (არასპორტსმენებში) და არა „მოსწავლე სპორტსმენებში“. როგორც ჩანს, „მოსწავლე სპორტსმენებში“ გაცილებით მეტად ახასიათებთ დეპრესიულობა. ეს პროცენტული მონაცემების გარეშეც დასტურდება, რადგან ამ დონეზე ყველა ასაკობრივ ჯგუფში არის ნაჩვენები 10 „სკოლის მოსწავლე“ და მხოლოდ 5 „მოსწავლე სპორტსმენი“ სავსებით კანონზომიერია ისიც, რომ მაღალი დეპრესიულობის მაჩვენებლები (35–60 ქულა), ყველა ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით, უფრო მეტად ახასიათებს „მოსწავლე სპორტსმენებს“, ვიდრე „სკოლის მოსწავლეებს“ და ეს იმ დროს, როდესაც მაღალი დეპრესიულობა განისაზღვრება შემდეგი მახასიათებლებით: „ადამიანს პერიოდულად ტანჯავს ცხოვრებისადმი ზიზღი და საშინელი გუნება-განწყობილება, შეტევები უმიზეზოდ უჩნდება და ადამიანი არ ფიქრობს, საიდან წარმოიშობა ისინი. ნუ ეძებთ მიზეზს ვიღაც სხვაში, მოძებნეთ საკუთარ თავში, შესაძლებელია თქვენ მეტ-

ნაკლებად გორგუნათ არასრულფასოვნების კომპლექსი, რომელიც თავადვე შთააგონეთ საკუთარ თავს. ამიტომ, აუცილებელია, რაც შეიძლება სწრაფად გაერკვეთ ამ პრობლემაში“ (Зиверт, 1998:68). ასეთი ვითარება შეიძლება საგანგებოდ მივიჩნიოთ, რადგან აშკარად ჩანს, რომ „მოსწავლე სპორტსმენებთან“ ნაკლები ყურადღება ექცევა ფსიქოსოციალურ მუშაობას, ფსიქოლოგიურ დახმარებას. ამგვარად, ვფიქრობთ, რომ ყველა სპორტულ სკოლაში, ჯგუფებში სასწრაფო და აუცილებელია ფსიქოლოგიური შემოწმების ჩატარება და ბავშვებისათვის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის უზრუნველყოფა, რადგან, ამ შემთხვევაში, სახეზეა მაღალი სტრესული დაძაბულობა, რომელიც არ არის ასალი ამბავი სპორტში, რასაც მოწმობს რიგი სტატიებისა, რომლებიც სპორტში სტრესისა და შფოთიანობის პრობლემებს ეძღვნება (Вяткин, 1983:56-63; Мальчиков, 1983:87-98; Суинн, 1983:204-215).

**აგზნებულობა.** საყურადღებოა, რომ ცხრილის მიხედვით, აგზნებულობის დაბალი მაჩვენებელი (10–24 ქულა) წყნარი, მშვიდი და ჩაკეტილ ადამიანთა დამახასიათებელი ფაქტორია. ამ თვალსაზრისით, უმცროსი სასკოლო ასაკისა და საშუალო სასკოლო ასაკის ორივე საკვლევი ერთობლიობის მონაცემების მიხედვით, უპირატესობა „სკოლის მოსწავლეებს“ გააჩნიათ, რაც თითქმის ორჯერ უფრო მეტი რაოდენობის წყნარი რესპონდენტების დაფიქსირებაში გამოიხატება. მაგალითად, უმცროს სასკოლო ასაკში ასეთი „სკოლის მოსწავლეები“ 23%-ს შეადგენენ, „მოსწავლე სპორტსმენებში“ კი – 12%-ს. საშუალო ასაკის „სკოლის მოსწავლეები“ იგივე მაჩვენებლის მიხედვით 18%-ს შეადგენენ, ხოლო „მოსწავლე სპორტსმენები“ კი 8%-ს. უფროსი ასაკის მოსწავლეებში კი ოდნავ მეტია „მოსწავლე სპორტსმენების“ პროცენტული მაჩვენებელი – 7%, იმ დროს, როდესაც „სკოლის მოსწავლეები“ 5%-ს შეადგენენ. ამრიგად, მთლიანობაში, წყნარი, გულმშვიდი მოსწავლეები უფრო მეტი რაოდენობით ფიქსირდება „სკოლის მოსწავლეებში“. ასეთი შედეგი თავისთავად აისახა მაღალი აგზნებულობის (40–60 ქულა) მაჩვენებლებში, სადაც უმცროს სასკოლო და საშუალო სასკოლო ასაკობრივ ჯგუფში უფრო მეტი აგზნებულობით „მოსწავლე სპორტსმენები“ ხასიათდებიან, ხოლო უფროს სასკოლო ასაკობრივ ჯგუფებში არსებითი განსხვავება მონაცემებში არ უნდა იყოს (იხილეთ ცხრილი). აქ საინტერესოა, თუ როგორ ინტერპრეტაციას აძლევს ზივერტი მაღალი აგზნებულობის მონაცემების მქონე რესპონდენტებს. ის წერს: „თქვენ ადვილად ექვემდებარებით პროვოკაციებს სხვა ადამიანების მხრიდან და საშუალებას აძლევთ მათ, რომ

გაგალიზიანონ თქვენ. შეეცადეთ, არ მოახდინოთ ასე მწვავედ ყველაფერზე რეაგირება. ნუ აქცევთ ყურადღებას „ჩხვლეტებს“ (Зиверт, 1998:69). ამრიგად, კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ „მოსწავლე სპორტსმენები“ უფრო მეტი აგზნებადობით ხასიათდებიან, ვიდრე ჩვეულებრივი სკოლის „მოსწავლეები“.

**კონტაქტურობა.** კონტაქტურობის დაბალი მაჩვენებელი (10–24 ქულა) საერთოდ არ არის დაფიქსირებული უმცროსი სასკოლო ასაკის ჯგუფებში. საშუალო ასაკობრივ ჯგუფში შედარებით მაღალია „სკოლის მოსწავლეების“ მაჩვენებლები, რომლებიც 18%-ს შეადგენენ, ხოლო „მოსწავლე სპორტსმენებში“ ეს მაჩვენებელი 4%-ს უდრის. ვფიქრობთ, რომ ამ ასაკობრივ ჯგუფში მონაცემების ასეთი სხვაობა განპირობებულია მოზარდთა ასაკობრივი თავისებურებებით. ფსიქოფიზიოლოგიური გარდატეხის საფუძველზე, ზოგიერთ შემთხვევებში, მოზარდები უფრო თავშეკავებულნი არიან სხვებთან ურთიერთობებში. ხოლო ის ფაქტი, რომ ასეთი თავშეკავებულობა უფრო ნაკლებად ახასიათებთ „მოსწავლე სპორტსმენებს“, შეიძლება იმით ავსხნათ, რომ მათ უფრო ბევრი კონტაქტები აქვთ და ისინი მხოლოდ სასკოლო ურთიერთობებით არ არიან შემოსაზღვრულები, და სპორტულ სკოლაში მეცადინეობა ბუნებრივად იწვევს მეტ გახსნილობას. ანუ როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ „დაბალი კონტაქტურობის უფრო მაღალი პროცენტული მაჩვენებლით ხასიათდება სკოლის მოსწავლეები“ ეს ნიშნავს, რომ „კონტაქტურობის უფრო მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება მოსწავლე სპორტსმენებთან. აქ, ამ შემთხვევაში, საუბარია დაბალი კონტაქტურობის დონეზე, რაც ნიშნავს უკონტაქტობას.

კონტაქტურობის მაღალი მაჩვენებლები, ანუ ზივერტის სიტყვებით, „ადამიანებთან კარგად ყოფნის მდგომარეობა“, თითქმის თანაბრად ახასიათებს უმცროსი და საშუალო სასკოლო ასაკის „სკოლის მოსწავლეებსა“ და „მოსწავლე სპორტსმენებს“. თუმცა უფროს სასკოლო ასაკში მიღებული, გაცილებით უფრო მაღალი მაჩვენებლები, რომლებიც აქვთ მოსწავლე „სპორტსმენებს“ (54%), ადასტურებს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ სიტუაციურად, კონტაქტების უფრო მეტი სიხშირე განაპირობებს იმ მონაცემებს, რომ „მოსწავლე სპორტსმენებს“ უფრო მაღალი მაჩვენებლებები გააჩნიათ კონტაქტურობის თვალსაზრისის „სკოლის მოსწავლეებთან“ (39%) შედარებით.

